ჩვენი მწერლობა.

ფასი ათი შაური.

I

მგოსნები.

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული
ს. რ. ფოცხვერაძის მიერ.

წიგნსაცავი

თბილისი
მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა". მოსკოვის ქუჩა, № 5.
1907

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ.

ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

I

ᲛᲒᲝᲡᲜᲔᲑᲘ.

ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲗ.

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚ-ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ
Ს. Რ. ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ „ᲫᲛᲝᲑᲘᲡᲐ“. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 5.
1907

წინასიტყვაობა.

Aრსად იმდენს არ ლაპარაკობენ: „ჩვენს წარსულსა და ლიტერატურას არ ვიცნობთო“, როგორც ჩვენში; და არც ერთი ერი ისე ნაკლებ არ ზრუნავს თავისი წარსულისა და ლიტერატურის შესასწავლად, როგორც ჩვენ. დღემდე ჩვენი საუკეთესო მწერალ-მგოსნების იაფ-ფასიანი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი გამოცემაც არა გვაქვს; არა გვაქვს არც მათი საუკეთესო ნაწერების რიგიანი კრებული. ამ დასაკლისს ყველაზე უძლიერესათ ქართული ენის მასწავლებელნი გრძნობენ, მაგრამ იძულებულნი არიან სამწუხარო ფაქტს დაემორჩილონ და ქართული ენის იმ სახელმძღვანელოებს დასჯერდენ, რომელთაც დღემდე, ცენზურულისა და სხვა მრავალგვარის ხელ-შემშლელი პირობით შებორკილი, ორიოდე ქართველი პედაგოგ-გამომცემელი იძლეოდა. მართალია, ეს სახელმძღვანელონი, ავათ თუ კარგათ, დღემდე თავის დანიშნულებას ასრულებდენ; მაგრამ დღეს, როცა ქართულ ენასა და ლიტერატურას მთავრობის სასწავლებლებშიაც კი კარი გაუღეს, ყოვლათ შეუძლებელია აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე შევჩერდეთ. ეს განსაკუთრებით საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასებზე უნდა ითქვას, სადაც მოწაფეები ქართულს ლიტერატურას სწავლობენ: აუცილებლათ საჭირო ხდება ისეთი სალიტერატურო კრებულის გამოცემა, რომელშიაც, შეძლების და გვარათ, მოთავსებული იყოს ჩვენი მწერლების ყველა საუკეთესო ნაწარმოები (მთლათ ან შემოკლებით მაინც) და უმთავრესათ ისეთი ნაწარმოები, რომელიც მათი სამწერლო ხიბლისა მიმართულების დამახასიათებელია.

Aსეთი თანამედროვე სასკოლო ცხოვრებისგან წამოყენებული საკითხი. ჩვენ განვიზრახეთ ამ საკითხზე, რამდენათაც ძალ-ღონე შეგვწევს, შესაფერი პასუხი გაგვეცა; და ამ

აზრით შევუდექით „**ჩვენი მწერლობის**“ გამოცემას. წინამდებარე წიგნი ჩვენ მიერ განზრახული კრებულის მხოლოთ ერთი ნაწილია. აქ მოთავსებულია: ლექსები, პოემები და ლექსად დაწერილი დრამატიული ნაწყვეტები. ვეცადეთ, ამ ნაწილში ადგილი მიგვეცა ყველა ქართველ, ცოტათ თუ ბევრათ ცნობილ, მწერალთა საუკეთესო და მათი მიმართულების დამახასიათებელ **სამგოსნო ნაწარმოებთათვის**, მე-XII საუკუნიდან დღემდე. მეორე ნაწილში კი მოვათავსებთ ჩვენი მწერლების საუკეთესო **ბელეტრისტულ ნაწერებს** (რომან-მოთხრობებს) მთლათ ან შემოკლებით. რომ მკითხველთა და მასწავლებელთათვის შრომა გაგვეადვილებია, ჩვენი კრებულის პირველი ნაწილის ბოლოში ზოგიერთი მგოსნების მოკლე ბიოგრაფიები და სიტყვების ახსნა მოვათავსეთ, ხოლო იმავე მგოსანთა ნაწერებს წინ მოკლე, სახელმძღვანელო, მათი მიმართულების ამხსნელ-დამახასიათებელი შენიშვნები წავუმძღვარეთ.

თვით სასწავლო მასალა დაახლოებით იმ გეგმაზე დავაწყვეთ, რომელიც ამ ზაფხულს თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართული ენის მასწავლებლებმა შეიმუშავეს ბ-ნ ე. თაყაიშვილის **თ**ავმჯდომარეობით, ე. ი. წინ მე-IV, V და VI კლასის კურსი ანუ „ახალი მწერლობა“ მოვათავსეთ და უკან მე-VII და VIII კლასისა—ანუ „ძველი მწერლობა“.

ჩვენ არ შეგვეძლო მხედველობაში არ მიგვეღო ჩვენი მოწაფეების, ყველასათვის ცნობილი, სილარიბე; ამიტომ ვეცადეთ, მათთვის, რაც გაგვეწყობოდა, **მეტი მასალა ნაკლებ ფასად** მიგვეწოდებია. ამით აიხსნება ჩვენი კრებულის პირველი ნაწილის გარეგანი სახე—შედარებით პატარა შრიფტი (კორპუსი), რაც ლექსით დაწერილი მასალის გამოცემას, თვით მასალის სივრცესთანა და მომსხო შრიფტ ან შედარებით, თითქმის ერთი-ორათ აიაფებს. მართლა, პატარა შრიფტს უხერხული მხარეცა აქვს: სიხელდობრ, ეგი შედარებით უფრო ადვილათ ჰლლის მკითველის იერს; მაგრამ ამ მხრით შრიფტის სიპატარავე საშინ უმთავრესათ მაშინაა,

როცა მკითხველი ძლიერ ნორჩია ან ხანში შესული და როცა ამ შრიფტით დაბეჭდილი სტრიქონებიც მეტათ გრძელია. ჩვენი კრებული კი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, უმთავრესათ საშუალო და მდაბალ სასწავლებელთა უფროსი კლასებისთვისაა დანიშნული (მე-IV—VIII კლასისათვის); ხოლო ამ პირველი ნაწილის თვითეული სტრიქონის სიგრძე, როგორც მკითხველიც ჰხედავს, ორიოდე შემთხვევის გარდა, სამს კვადრატს (10—მარცვლოვანი სტრიქონი) არ აღემატება. ეს ორი გარემოება, ვფიქრობთ, საკმაოთ ასუსტებს ჩვენი შრიფტის უხვრხულობის ძალა-მნიშვნელობას და, სამაგიეროთ, ღონისძიებას გვაძლევს ჩვენი მოწაფეების ხელ-მოკლეობას ანგარიში გავუწიოთ.

Дარწმუნებული ვართ, თავისი სპეციალური დანიშნულების მიუხედავათ, ჩვენი კრებული იმ პირებსაც **ჯ**ეროვანს დახმარებას გაუწევს, რომელთაც სურთ ჩვენს სამგოსნო ლიტერატურას გაეცნონ, მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობა ნებას არ აძლევთ ქართველი მგოსნების ნაწერები ცალ-ცალკე შეიძინონ.

Дასასრულ, ვთხოვთ პატივცემულ მკითხველებს, სანამ ამ წიგნის კითხვას შეუდგებოდენ, მის ბოლოში აღნიშნული შეცდომები გაასწორონ.

1907 წ. ივნისის 20. **ს. გორგაძე.**

ქ. თბილისი.

სარჩევი.

ახალი მწერლობა:

გვ.

I. ა. ჭავჭავაძე (1—4):

1. თავსა უფლად . . 1
2. სიყვარული (შემოკლებით). 2
3. ოთხი ჰასაკი. . . 2
4. გოგრა. . . . 2

II. ნ. ბარათაშვილი (4—16):

1. შემოღამება მთა-წმინდაზედ 4
2. ფიქრნი მტკვრის პირას . 6
3. სული ობოლი . . 7
4. სატრფოს . . . 8
5. ბედი ქართლისა . . 8

III. გ. ორბელიანი (16—25):

1. იარალი . . . 16
2. საღამო გამოსალმებისა . 17
3. სადღეგრძელო (შემოკ.) . 18
4. თაძარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში . . . 21
5. მუშა ბოქულაქე . . 22

IV. ვ. ორბელიანი (25—35):

1. ბულბული . . . 26
2. იმედი (შემოკლებით) . 26
3. გელათი . . . 29
4. დედოფალი . . . 30
5. მთის ქალი და მოგზაური . 33

V. ი. ჭავჭავაძე (35—67):

ა. პირველი ჯგუფი:

1. სიმღერა . . . 37
2. გავსწორდეთ ბედო. . 37
3. დაბნელდა სული . . 37
4. პოეტი . . . 37
5. მას აქედ, რაკი . . 38
6. ჩემო კალამო . . 38
7. აღარც ნატვრა და აღარც იმედია. . . . 39

ბ. მეორე ჯგუფი:

8. ელეგია . . . 39
9. აჩრდილი (შემოკლებით) . 39
10. ბედნიერი ერი . . 44
11. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? . . . 45
12. ჩემო კარგო ქვეყანავ . 46

გ. მესამე ჯგუფი:

13. ზაქროს ბავშობა . . 47
14. საღამო ალაზნის პირად . 49
15. ყმა და მებატონე („აჩრდილიდან“) . . . 50
16. გუთნის დედა . . 51
17. მუშა . . . 51
18. შრომის შვილს („აჩრდილიდან“) . . . 53

დ. მეოთხე ჯგუფი:

19. უსულგულო ცხოვრება 54
20. ნანა. . . . 54
21. ქართლის დედას . . 56
22. დიმიტრი თავდადებული (რამოდ. ნაწყვეტი) . . 57
23. დედა და შვილი . . 60
24 დამაკვირდი. . . 67

მისივე: „განდეგილი“ (ლეგენდა) . . 183—192

VI. ა. წერეთელი (67—127):

ა. პირველი ჯგუფი:

1. საიდუმლო ბარათი . 68
2. ჩანგური . . . 68
3. პოეტი . . . 9
4. ზღვას და პოეტს . . 9
5. ნატვრა . . . 9
6. სიღერა . . . 0
7. ჩემო თავო, ბედი გიწერია 1

		გვ.
8.	აღმარ-აღმართ მივდიოდი	72
9.	სულიკო . . .	73
10.	განთიადი . . .	73
11.	ყარიბი . . .	74
12.	ქებათა-ქება . .	—

ბ. მეორე ჯგუფი:

13.	ამაო ძებნა . .	76
14.	მოგონება . .	—
15.	ოცნება თარზე . .	77
16.	პროზიდან „ბოდვა“ (შემოკლებით) . . .	78
17.	მესტვირე რას ამბობს .	82
18.	სიმღერა . . .	—
19.	ავადმყოფი . .	83

გ. მესამე ჯგუფი:

29.	გლეხის აღსარება .	83
21.	იმერული ნანინა .	84
22.	მამლის ყივილზე (შემოკლებით) . . .	85

დ. მეოთხე ჯგუფი:

23.	ქართული ანბანი .	87
24.	წყევლა . .	89
25.	გორგასლანის სიმღერა .	90
26	Თორბიკე ერისთავი, პოემა (შემოკლებით) . .	90
27.	სიზმარი . .	103
28	ნათელას სიმღერა (პოემიდან: „ნათელა“) . .	—
29.	ბაგრატ დიდი, პოემა (თავი II) . . .	104
30.	ჰაღარა(საკაძის სიმღერა)	108
31.	პატარა კახი, ისტორ. დრამა (სამი სცენა) . .	109
32.	გამზრდელი . .	122

VII. რ. ერისთავი (128—137)

1.	ყვავილს. . .	128
2.	მთხოვარა, გლახაკი .	—
3.	ღარიბი მდიდარი (შემოკლე- . . .	130
	ოველო (პოემიდან:	
	ის ომი“) . .	131
5.	ზამთარი . . .	132
6.	აღდგომა . . .	132
7.	სამშობლო ხევსურისა .	133
8.	თინიას მამითადი. .	134
9.	სნეული ოჯახი . .	—
10.	დედაბრის მოთქმა. .	135
11.	ტეტიას მოთქმა . .	—
12.	თანდილას დარდი. .	—
13.	ბერუას ჩაფიქრება. .	136
14.	სესიას ფიქრები . .	—
15.	ბერუას ჩივილი . .	—
16.	მოხუცი ხიზანი ყმაწვილს მემამულეს . .	137

VIII. ვაჟა-ფშავ. (138—148)

1.	არწივი . . .	138
2.	მთა და ბარი. . .	—
3.	დამშეული. . .	—
4.	იმედი საზიკაული. .	140
5.	ღამე მთაში . . .	141
6.	ბებერი ლომი . .	—
7.	გოგოთურ და აფშინა (ძველი ამბავი) . . .	142

IX. ი. ევდოშვილი (148—160)

1.	გაზაფხული . .	149
2.	სძინავს სოფელსა.	—
3.	მეგობრებს . . .	—
4.	საღამო ქალაქში. .	150
5.	მუშის სიზმარი . .	151
6.	ასოთ-ამწყობის სიმღერა.	152
7.	მკერავი ქალის სიმღერა („ტომას გუდიდან“) . .	152
8.	განკიცხული. . .	154
9.	სახლების მხურავი . .	—
10.	პირველი სხივი. .	155
11.	მუზა და მუშა . .	—

X. საზოგადო ჯგუფი:

1.	ანტ. ფურცელაძე—„ჩემს სანეტაროს“ . . .	160
2.	მამია გურიელი—„ფიცი“ .	—
3.	ბაჩანა—„მუხას“. .	161
4.	დუტუ მეგრელი: „ცრემლები“. . . .	162

		გვ.
5.	მისივე: „აღარსით ისმის“	—
6.	შიო მღვიმელი—„ობოლი“	—
7.	ილ. ჩხერ—ლი: „საშობაო მოგონება“	163
8.	„ „გლოვა ნესტან-დარეჯანისა“	164
9	გრ. აბაშიძე—„სატრფოს“.	166
10.	თ. რაზიკაშვილი—„რაღა დროს ტკბილი ხმებია“.	167
11.	დ. თომაშვილი—„მოლოდინში“	168
12.	სილოვან „ქალი“	—
13.	მისივე: „მოძმეებს“	169
14.	ცახელი—„გურგენ რაინდი“, ლეგენდა (შემოკლებით)	171
15.	ილია ჭავჭავაძე—„განდეგილი“, ლეგენდა	183
16.	კ. მაყაშვილი: „გაუტეხელი სახელი“	192
17.	„ „ამირანი	—
18.	განდეგილი: „დილა“	193
19.	„ „ლოდინი“	—
20.	სოლ. გ.—ძე: „შეკრთა სუსხი“	194

ᲛᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ:

I. ი. შავთელი (195 197):
„აბდულ-მესია“ ხუთი ტაეპი 196

II. ჩახრუხაძე (197—198):
„თამარიანი“. მეოთხე ოდა 197

III. რუსთაველი (198—205):
„ვეფხის ტყაოსანი“ (რამოდენიმე ადგილი):
1. როსტევან, თინათინ და ავთანდილ; თინათინის გამეფება 198
2. ნადირობა და ტარიელის ნახვა 201
3. ავთანდილის ანდერძი 202
4. ავთანდილის მოთქმა 203
5. ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი 204
6. ქაჯეთის ციხის აღება და პოემის დასასრული 205

IV. მ. თეიმურაზ I (205—208):
1. ქართველები. 206
2. ენა. —
3. ვარდობა („ვარდ-ბულბულიანი“-დან) —

V. არჩილ მეფე (208—212):
1. თეიმურაზ-მეფისა და რუსთველის გაბაასება („არჩილიანი“-დან), 208
2. თეიმურაზ-მეფის ქორწილი (იქიდანვე, შემოკლ.). 209
3. თეიმურაზ-მეფის დაქვრივება და 4. ქართლ-კახელთა რჩევა მარაბდის ომის წინ (იქიდანვე, შემოკ.) 210

VI. იოსებ თბილელი:
მოურავის გოდება (დიდ-მოურავიანი“-დან) 212

VII. გურამიშვ. (214—221):
1. სწავლა მოსწავლეთა (შემოკ.) 215
2. ქართლ-კახელთა გასაჭირი (შემოკლებით) 217
3. ლეკთაგან დატყვევება (შემოკლებით) 218
4. ლოცვა ტყვეობაში. —
5. გაზაფხული („ქაცვია მწყემსი“-დან) 219
6. ანდერძი დავ. გურამიშვილისა 220

VIII. ბეს. გაბაშვ. (221—226):
1. ანნა დედოფალზედ (შემოკლებ.) 222
2. მუხამბაზი. —
3. ბულბული მოდის მწუხარებით 223
4. ირაკლი მეფის ქება —
5. ასპინძის ომზედ (შემოკლებ.) 224

დამატებანი: I ბიოგრაფიები 227
II ლექსიკონი 226

ახალი მწერლობა.

ლექსები და პოემები.

I. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

(1786—1846 წ.)

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როდესაც სპარსული ლირიკის გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე კიდევ ძლიერი იყო. ამიტომაც იმის ლექსებში უდიდესი ნაწილი ეგრეთ წოდებულს ეროტიულს ანუ სატრფიალო ლექსებს უჭირავს. ორი იმათგანი ჩვენც მოგვყავს.

მეორე მხრით, ეს ის დრო იყო, როცა რუსთა მფლობელობა თანდათან მყარდებოდა ჩვენს მხარეში და ადგილობრივს მოწინავე წოდებას ხელიდან აცლიდა სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური სვე-ბდის გადაწყვეტაში ძალასა და მნიშვნელობას. ახლათ და ისაც ძალათ მოვლენილი კულტურის გავლენით ჩვენი ხალხის პატრიარქალურმა ზნე-ჩვეულებამა და აზრ-შეხედულებამ რყევა და რღვევა იწყო. ძირს კი, საზოგადოებრივს ცხოვრებას სარჩულად ძალმომრეობასა და უსამართლობაზე დამყარებული ბატონ-ყმობა ედო, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მდგომარეობის სიმწვავეს და ისედაც უფერულს ჩვენს ცხოვრებას უფრო უფერულად ხდიდა და აუტანელად.—ერთი სიტყვით, ჩვენი ერის საზოგადოებრივი პსიხიკა ფრიად ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენდა ყოველგვარის პესიმისტური აზრისა და შეხედულებისათვის. ამიტომაც ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში პესიმისტური შინაარსის ლექსებსაც საპატიო ადგილი უჭირავს. ორი მათგანია „ოთხი ჰასაკი“ და „გოგჩა.“

1. თავსა უფლად.

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება

ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ!
მეცა ვიყავ მოქადული.

ვიდრე ჩემად მქონდა გული;
ჭირი ვერად შემიპყვრიდა,
აშიყთ მტანჯვი სიყვარული.
თუ ვინ ვნახი ფერ-მიხდილი,
შვენებისდა მონად ქმნილი,—
ვსთქვი თუ: კაცსა ვითა შვენის
გული ესრედ უძლურ-ლბილი!
მაგრამ ჩემი სულის ძალა
ერთმან წამმან სრულად ჰსცვალა:
განახე და მყის შენმა სახემ
შემიპყრა და შე-ცა-მსჰვალა!
მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი,
ჯაჭვი დამსდვა მონებისა,—
კისრად ვიღე და დავდუმდი.
მაშინ ვიგრძენ მეყვსეულად
სისხლი ცეცხლებრ აღგზნებულად,—
ცრემლიანმან და მოხრავმან
ვეღარ ვიცან თავი სრულად.

№ 2. სიყვარული.

სიყვარულო! ძალსა შენსა,
ვინ არს, რომე არ მონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად,
ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს,
შენგან ბრძენი ხელად რებდეს,—
და ბულბულსა რად ეძრახვის,
რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!..
1823 წლამდე.

№ 3. ოთხი ესსაკი.

ეს სოფელი, სამყო ძნელი,
მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით,
მოვიზრდებით—წიგნის კითხვით
არ გაგვიშრობს მწრთვნელი თვალთა,
ქამი გვიროკს, იგი გვიძახს:
„შეუდექით სიბრძნის კვალთა“.
რა ჰასაკსა შევალთ, ახლად
ჭირი უფრო გვემრავლების: [ბას,
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნო-
გრძნობა ტრფობას ემსჭვალების;
სახე რამე საყვარელი
დაგვატყვევებს თვისებრ ნების
და გლახ შეგვიქმს პატიმარად,
მკვნესარად და მთქმელად ვების.
ოდეს შევალთ ხანსა სრულსა.
მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:
არა ვკმაობთ საკმოთა,
ნდომა ჩვენი უზომ, უხვ—ა;
გვსურს დიდება, გვსურს პატივი,
გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;
რა ვერ ვპოებთ საწადელსა,
შეგვექმნების შურით ჭმუხვა.
ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით
ქედსა შვილდებრ მოვიხრებით,—
ყოველთავე მოვძაგდებით,
ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით,
სიკვდილისა წინამძღვარად
მოვლენ სენნი მახვილ-ღებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის:
„ახ“-ით ნაშვნო, მოკვდით „ვებით!“
1823 წლამდე.

№ 4. ბ ო ბ ჩ ა.

ბოგჩა. ტბა ვრცელი, ხმოვანებით
ზღვის-ა მბაძავი,
ოდესაც ზვირთთა აღქაფებით
ჰღელავს მრისხანედ; [ლო.
ზრგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვი-

თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს
და მთათა მწვანეთ.
მაგრამ ნაქცევნი, მისთა კიდეთ
ძაძით მმოსველნი,
საგლოვო ნაშთნი შენობათა
კვლავ ეროვანთა,
სად ჰყვავებულან დიდებულად
ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა
და ნატამალთა,—
ჰმუნვათა თვისთა მნახველთაცა
უზიარებენ;
უდაბურება, მჩუმარება,
არა-რაობა
თვალთა და გულსა კაცისასა
სევდით ავსებენ,—
და უნებლიეთ წარმოდგება
ოხვრით ეს გრძნობა:
„აჰა პალატთა დიდებულთა
ნგერული ნაშთი!
აჰა ქალაქთა ჩინებულთა
ხვედრი უცილო!
აჰა ჩვენისა მომავლისა
ნამდვილი ხატი!..
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ,
ხედავ ბრმობილო?!“
ესე კამარა ძლივ საცნობო,
ყოფილი ტაძრად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით
იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა
ესმოდათ მტკბარად
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან
ხმანი ფსალმუნთა,—
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად
მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად
ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა,
და ხან წარმვლელი
მუნ შეაფარებს საქონელთა,
შორით ზიდულთა!
ეს გროვა ქვათა სახეშლილის
ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი
მდიდრად წყობილან;
სომეხნი, მხნენი ხელოვანნი
მომგებლობისა,
პირსა ქვეყნისასა ამა საქმით
ადრივ ცნობილან;
მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა
ქუურთა მქონე,
არა თუ ვერკხლით, ნდობითაცა
ყოვლად მდიდარნი;—
აწ მტვრად აღგვილა იგი ძალი
და იგი ღონე,
მათთა განთქმულთა შეძლებათა
წარშლიან კვალნი!
მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს,
ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ
ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნის ტაცება, ჭაბუკთ მხედართ
გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა
და ისართ სროლა!
ერთ გზის ესეცა ქვანი შავნი,
დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით
ამაღლებულან,—
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი
და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან
და განშვებულან;
აქაცა მჯდარა ძალი მაღალს
ტახტსა ამაყად,

წყალობათა და რისხვის ფრქვევით
მმართველი ერთა;
აქაც ულრღნია შურსა, მტრობას
გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან
კვლავ ერთმანეთთა!
რავდენთ ბანოვანთ შვენებანი
ახლად მშლილობნი
ჭავლის სიწმინდეს მიუხიდავს
ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი
და გიშრის მწყობრნი
რავდენ-გზის ტურფად გარდულია
სარკესა წყლისას!
რავდენ გზის მთვარეს თავმომწონეს,
მათთან შთახედვით
უგრძვნია თვისი ჩაგრულ-ყოფა
და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა?!. დროის მსვრელის ცელით,
ყოველთა წარმწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც
სხვათებრ მოსთვლილა!

1841 წ.

II. ნიკოლოზ ბარათაშვილი.

(1816—1845 წ.)

ნიკოლოზ ბარათაშვილი ალ. ჭავჭავაძეზე ადრე გადაიცვალა. მაშასადამე საზოგადოებრივი ნიადაგი მისი ჩანგისთვისაც იგივე იყო, რაც პირველისათვის. მხოლოდ სპარსული პოეზიის გავლენა მასზე ისე ძლიერი აღარ ყოფილა, როგორც პირველზე. სამაგიეროთ ბარათაშვილი ორის დიდებულის ევროპელი მგოსნის: ბაირონისა და ლერმონტოვის ეპოქაში იყო დაბადებული და აღზრდილი. ამას გარდა თვით მისი კერძო ცხოვრებაც ისე მოეწყო (იხ. მისი ბიოგრაფია), რომ მარტო ეს მიზეზიც კი საკმაო იყო, ბუნებისაგან უნიჭად დაჯილდოებულს მგოსანს თავისი ჩანგი ნაღვლიანს კილოზე მოემართა.

აქედან ცხადია, თუ სატრფიალო ლექსებს რად უპირავს ისე მცირე ადგილი ნიკ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულში და, პირაქეთ, ძლიერ დიდი ადგილი უკავია კერძო და საზოგადოებრივის „მსოფლიო“ ნაღვლით გამსჭვალულს ლირიკას.

1. შემოღამება მთაწმინდაზედ.

ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქრეველნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითა ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაჰშთენ ამოს ციაგნი ნელნი!
ვიუარი მაშინ იდუმალობა
დაისადგურებს შენს არე-მარეს!

რა სანახავნი წარუტყვევს თვალთა
მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ, რეცა ტაბლას წმინდასა,
და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა,
შენდა აღკმევენ სუნნელებასა.
მახსოვს იგი დრო, საამო დრო, რომ ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვდიოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!
ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ
იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!
აწცა, რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენდამი ვერ მოაღწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მპვრეტელს, მავიწყდების საწუთროება;
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება,
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!
დაფიქრებული ვიდექ სერზედა,
და, ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი,
აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი
ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი
ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ.
მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!
სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე;
ბინდი გადეკრა ცისა კამარას;
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური,
ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.

გინახავთ სული, ჯერედ უმანკო,
მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგვანდა მთვარე, ნაზად მოარე,
დისკო გარდახრით შუქ-მიბინდული!
ამ გვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ სული ჰგრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შვება.
ჰოი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ,
შენ დაშთი ჩემდა სანუგეშებლად!
როს მწუხარება შემომესევის,
შენდა მოვილტვი განსაქარვებლად;
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

1836 წ.

2. ფიქრნი მტკვრის პირას.

წარვედ წყალის პირს სევდიანი
ფიქრთ გასართველად;
ბქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს
განსასვენებლად.
ბქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ
ვინამე ცრემლით;
იქაც ყოველი არე-მარე
იყო მოწყენით.
ნელად მოღელავს მოდუდუნე
მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი
ცისა კამარა.
იდაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებ მე
მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი რბიან შორად, შორად
ცის-დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ,
ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ,
მაგრამ ხარ უტყვი!
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე
ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა
ამაოება?
მაინც რა არის ჩვენი ყოფა,
წუთი-სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული
აღუვსებული?
ვინ არის იგი, ვის თვის გული
ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით,
ისი ეკმაროს?
თვითონ მეფენიც, უძლეველნი,
რომელთ უმაღლეს
არ ვინღა არის, და წინაშე
არვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი
სოფლის დიდება,—

შფოთვენ და დრტვიან, და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს!,“
და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამომავლობას!...
მაგრამ, თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,
მაშინ ვინღა სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...
მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან— შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა:
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!...

1837 წ.

ზ. 3. სული ობოლი.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჰჩივის თავის უთვისტომობას,—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელღა ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი!
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარა ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მაოად ითმენს უნუგეშობას კრული!
აღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის:
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839 წ.

მაგრამ ვერა რა ავნო ვერსაით.—
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და, თურმე, ყოვლით იმედმიხდილი
ქართლიდან წარსვლას დააპირებდა...
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
და მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმე
ნი!—

სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვისთა ესდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა [ჯართა.
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტ-ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი [ნი!
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღე-

II.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს.
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.—
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული,
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!

დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;
ბოლოს მახვრალმან უბძანა მსაჯულს:
„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს
გულს;
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი, ვითა
წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გუ-
ლის წადილს,
შენ გაგიმჯღავნებ, ვით საყვარელს
შვილს!

„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი ძეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,

და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას,
განვუმზადებდი [illegible]კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა—და ვინ ახარეს!..
„ამიერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შეჰსწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!
მეც, თუმცა კვლავ ვჰგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახავარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
ჰოი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღა განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად!...
„აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგათ იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი—სარწმუნოება,—
მას მსურს რომ მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!“
ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უპვრეტდა მეფეს, განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
„რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს:
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!
„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინღა ახსენოს აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ.
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“—
„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლს
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვჰფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უპვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
აი, ხომ ნახე აწ მაგალითი:

რა ჰქმნა ამ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმედ-ხან
ქალაქს დაჰსჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!
„ახლა კი დროა, სოლომონ, რომ
მშვიდობა ნახოს საქართველომ.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავთზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!—“
ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს, აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფეო, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომ ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება, [ფლება“.
თუ აქვთ თვისთ ბერთ ქვეშ თავისუ-
„სულ მართალია, ჩემო სოლომონ.
მაგრამ აბა ჰსთქვი, ქართველთა რა ჰყოფ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევასა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფება!“
ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ!
ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
ცამ, მოჭედილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა,
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს,
ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლეტონს:
მას მოაგონდა დრო ყმაწვილობის,
განტარებული თვისთა კახთ შორის,
როს ჯერ არ ეღო ტვირთი მეფობის,
როს ჰქონდა ჟამი უზრუნველობის,
და საყვარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!
დიდ ხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
„ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი,
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;
შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი.“

III.

ღილაზე ადრე მოვალს მაჯული
ქანის ხეობაში, დაფიქრებული;
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,—
და, მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.
მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:
„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფ-
ლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღეროდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფეო, ვინ მოგცა ნება—
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,

მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
'შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის!..."
„იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შო-
მა'ს რამ უცვალა მას გული მყარი, [რის.
ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?..
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს. რაც გვეპირვება:
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების!"
ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თვისი ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!
„ვეკობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას:
ვეკობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს, [ლებს
როს საცხოვრებლად დიდ-კაცთა ცო-
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის.
ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის;
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულ-გასართობლად:
მაშინ კი ვისღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!"—
„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჭყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული!
და ველად ივ, ამხანაგო შორის,
ჭირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დამღე-
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, [რის;
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირვება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!
„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში!
. . . . . !"
მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით.—

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრიდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?...“
რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უპვრეტდა ცრემლთა აღმჩქეპალატნი მისნი გადმონგრეულან, [ფე!
სახლნი სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი ჰსუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!
აღავსო კვალად ერმან თფილისი,
რა მობრძანება ჰსცნა ირაკლისი.
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა!
წარვიდნენ წელნი მოსვენებისა;
და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი [
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის!

1839 წ.

ბ. ნ. მერანი.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი;
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი
შავი ყორანი!
გასწი, მერანო,—შენს ჭენებას
არ აქვს სამზღვარი,—
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი,
შავად მღელვარი!
გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით
თავ-განწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,
მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა
და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა.
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს,
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
ქვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი,
მივცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს,
გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო,—შენს ჭენებას
არ აქვს სამზღვარი,—

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი
შავად მღელვარი!
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტირებს სატრფოს გულები,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მიჭალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გადამატარე ბედის სამზღვარი:
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი!
ლაე, მოვკვდე მე უპატრონოდ
მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა
მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო,—შენს ჭენებას
არ აქვს სამზღვარი,—
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი
შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირული სულის-კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!
მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი
შავი ყორანი!
გასწი, მერანო,—შენს ჭენებას
არ აქვს სამზღვარი,—
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი
შავად მღელვარი!

1842 წ.

87. სულო ბოროტო!

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო
ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის
შეშ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე
სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა
სარწმუნოება?
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას,
ყმაწვილ-კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად
თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა
დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედ
გარდამიქცევდი!
მარქვი, რა იქნენ საკურველნი
ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე
წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე,
ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი
მომჯადოები?
წყეულიც იყოს დღე იგი, როს
შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი
ჩემთ გულის თქმათა!

მას ექეთ არის დავუკარგე
მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელავნი ვნებათანი
მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო,
სულო ბოროტო!

რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი
უსაგნო, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო,
სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი
შენი მსახვრალი!

1843. წ.

III. გრიგოლ ორბელიანი.

(1800—1883 წ.).

გრიგოლ ორბელიანის პირველი ლექსი 1832 წელს ეკუთვნის. ეს ის წელია, როცა ქართველი ახალგაზდობის ერთმა ნაწილმა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინა; მაგრამ ეს შეთქმულობა გამომჟღავნდა და მისი მონაწილენი მთავრობამ ყველანი სამშობლოდან გადაასახლა. ერთი მათგანი იყო გრიგოლ ორბელიანიც. მართალია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი დიდათ დააწინაურა მთავრობამ (იხ. მისი ბიოგრაფია), მაგრამ მაინც პირველმა დამარცხებამ სამუდამო დაღი დაასვა გრ. ორბელიანის მომავალს სალიტერატურო მოღვაწეობას; მისი ჩანგის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს: ჩვენი ქვეყნის წარსული დიდების მოთქმა-ტირილი და აწმყოსა და მომავალზე სრული გულ-გატეხილობა.

1. იარალი.

ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანე!
ჩვენებურათა, ძველებურათა [ნეს!
ვსვამდეთ, ვიძახდეთ: „ჰარი-არალ!“
ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს;
ყნოსვა, დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს!
კახურის ღვინით აღვსილი,
აზარაფეშაცა ხელს გვეპყრას;
მოთალი, მწვადი, მწვანილი,
აგვიჭრელებდენ წინ სუფრას!
ცა მშვენიერი, ცა შშობლიური,
მარად ბრწყინვალე, ზე-დაგვნათიდეს;
გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განვიგრილებდეს!
შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენ-
გამოუცდელი — მოხუცებულსა, [დე
თუ ვით ივერნი, ლომ-გულნი გმირნი,
ბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წა-
რსულსა-
გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი, მხნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე,
შეგროვდებოდნენ წამს, შეჭურვილნი.
ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,

ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჰფარვიდნენ:
ვითა, შურდულებრ, მტრედთ შავარ-
მიესეოდნენ და შემუსრვიდნენ! [დენი,
დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოც-
ხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად;
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ
ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად;
როს ერთგულება, სარწმუნოება
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
როდესაც ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ!
გისმენდე თუ: ვით, დღესასწაულსა,
შექცევით, ლხენით, მოწოდებულნი,
ჭაბუკ-მხედარნი ყაბახსა ვრცელსა,
ვითა საომრად მომზადებულნი,
ვით ალვა რგული, ცხენზე უძრავად,
მოჰქრიან ეგრედ, ვითა ნიავი;
ჰკრეს ნაღარასა—განიყვნენ ორად,
აჰა, საომ სჩანს სანახავი:
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,
კვალად ზე-ხტომა და ხმალთ კრიალი!
ზოგი არწივსა, ზეცას მფრინავსა,
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა;
ჯირითი ზოგის ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულ-
ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი [სა!
სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეწერა დიდება სახეს,
ვინცა არღა არს, ვისთვისცა ვსტირით!
წარსულთა დროთა, დიდების დრო-
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს: [თა,
აწ უცხოს ცის ქვეშ [illegible]
[illegible]
ოხვრით
და ცრემლ[illegible]—ზოგის[illegible]ს!

ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით, ერთისა დაკრით,
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს!?..
მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა?.. სად არს მწვანილი?..
ღვინის წილ კვასი, მზისა წილ ყინვა!
გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდი-
სადღა იხილოს ცა მშობლიური? [ადსა
შენ ხარ პეტერბურღს, მე—ნოვღო-
როდსა;
გარედ მკლავს ყინვა და შინ—უგარი!
გულს ეწუხების, რა აგონდების
დღენი წარსულნი ნეტარებისა,
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის
და ჰმუნვა მითცა შემცირდებისა.
1832 წ. ნოვგოროდი.

2. საღამო გამოსალმებისა.

მზე ჩაესვენა; მის ფუჭი
გამოსალმის ყამს კავკაზსა
თავსა ეხვევა ალერსით,
ვით ქალი მამას მოხუცსა;
ბუმბერაზ მთანი, მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ-გვირგვინით შემკულნი;
მათ კლდოვანთ გვერდთა შავადა
ღრუბელნი ზე დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნასა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა
ტყე, შემოსილი სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს
[illegible]ცბო სუნნელთა მოფენით;
[illegible]ნი, მთით დაქანებულნი,
[illegible]ალმასს[illegible]ერ უფსკრულს ჰსცვივიან:

ბიბლიოთეკა

თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!
შეწუხებული ვუმზერ გზას
და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის,
რაცა გვაქვს ამა სოფელსა;
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს
ზეციურისა სხივითა
და აღგვამაღლებს ამ სოფლით
სულისა აღმაფრენითა!
მიდიხარ სატრფოვ?.. მშვიდობით!
მარად დღე შენი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექნება,
ვიდრემდის სული მელევა!
არღა აამონ აწ თვალთა
გული შენისა ხილვითა,—
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე
უშენოდ შრომით, ზრუნვითა!
ეტლი ჰრბის... სატრფო მშორდე-
თანა სდევს ჩემი მას სული... [ბის...
ვმზერ...შორს ძლივსღა ჰსჩანს... აღარ
რაღასა ვუმზერ შმაგ-ქმნილი?! [ჰსჩანს!
სიშორის ნისლმან მიჰფარა
თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
და გულით ოხვრა სიმწარის
აღმოვუტევე უნებლი...
მშვიდობით, ვინცა დამატკბე
სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გული მიკვნესის,
სული სწუხს განშორებითა;
ვის ხილვა არღა შემშოსავს
სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს
ალერსის ხმითა ტკბილითა!
მაგრამ ამ სოფელს შენ გარდა
ვინა მყავს მანუგეშებლად,
რომ შენც განმშორდი, დამტოვე
მწუხარებისა მე მსხვერპლად?
წახველ, წარმტაცე ყოველი
საამებელი სულისა,
და ვინ გამიღოს აწ კარი
ბედისა დაკარგულისა?...
შეღამდა... მარტო ვჰზი ჰმუნვით;
ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა
ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის;
მხოლოდ სჩანს: მთანი მდუმარედ
აყუდებულან ცათამდის
და ყაზიბეგსა საამოდ
ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
წყალნი, მთით დაქანებულნი,
უფსკრულსა იკარგებიან;
თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

1841 წ. ვლადიკავკაზი. მაისი.

3. სადღეგრძელო.

(შემოკლებით)

ძმანო, აღვავსოთ ფიალა
წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დასდვეს სიცოცხლე
მამულის ასამაღლებლად;
რომელთა სახე დიდების
სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი
ჩვენც მიგვიზიდავს ცად მაღლად!
I. ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუ თუ ვეღარა უცვნია შვილი,
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?...
შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთ-მთა-
ვრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი;

შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობასა წესი და ძალი!
და ივერიის აღჩნდა მეფობა
და განძლიერდა შენისა სიბრძნით;
შორსა განითქვა მისი გმიროობა
და მის მეფენი — დიდების ბრწყინვით!

II. ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შემუსრავს კერპთა მათის ბოძოსნით.
და განქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმენება;
ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით,
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!..

III. მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!
ესე არს გმირი ის ზორგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ;
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდნენ და შემუსვრიდნენ!

IV. ზეცა წყალობად, ნუგეშად
ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა,
ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით გასწავლულს,
ენა-მდინარე მეტყველსა!
დავით ჰსთქვა: „იყავნ ქალაქნი!“
და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განვლე უდაბნო ოხერი, —
სავსედ დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი, — და აღჩნდნენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ
გალობით შენნი ივერნი!
ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი,
ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ,
მშვიდობით აღყვავებული!..
აღმხედრდი ლაშქრად, — და ილტსულთანი შეძრწუნებული; [ვის
შირვან-დერბენდი ჰყავ სამზღვრად,
შენი ხმლით შემოხაზული!

V. ვითარცა ღმერთა შვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების, [რი,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნა-
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნოებას,
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას! [ბელი,
მის დროშას მოჰსდევს დიდი ორ-
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი,
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი!
თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდებეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით;
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი;
მკლავით ძლიერით ქართველი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი;
ოსი ფეხ-მარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდისნობით აფხაზი;
გურული, მეგრი მკვირცხლობით!

თამარი ლოცავს ჯვარითა,
ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის,
უსაზღვროება—წყალობით!
გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა,
ერთის შეტევით მილეწეს;
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა,
მის ციხე ზღვაში ვარდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი,
ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტერი გაოხრებისა
ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

VI. დრონი იცვალნენ... იხილეთ
ქეთევან, ნაზად აღზრდილი:
მამულისათვის იტანჯვის,
სარწმუნოების დამცველი!
ხორც-დაგლეჯილი შანგებით,
მკერდზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს,
ზეცად დიდებით აღმსვლელი!

VII. ნათელ გვირგვინით მოსჩანან
კახეთის მხსნელი გმირები:
ელიზბარ, შალვა, ბიძინა,
მტარვლისგან დატანჯულები!
ტარიგად შესაწირავად
მახვილით გაგმირულები,—
ღმერთს ავედრებენ მამულსა
მათ უკანასკნელ სიტყვები!

VIII. აჰა სჯულისა წიგნითა
ვახტანგ სვე-დამწარებული,
სწავლის მოყვარე, მფარველი,
გონება ამაღლებული!
უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს
მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან,
ჩვენთვის კი დანიწებული.

IX. აჰა ივერის ნუგეშ-დიდება,
თავის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი! [ვდენით,
წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ-მიწ-
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!
დღენი ამისნი ეხსგავსნეს
ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს;
მის შუქი თუმცა გვინათებს,
მაგრამ ვეღარ ვმზერთ მის სახეს!
მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა ელვარეს;
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს!...

X. მამულისათვის ფიალა
სავსე ვსვათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყვავებული,
კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედი აღყვანილ
ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი
ვხარობდეთ გულსა აღგზნებით.
სოფელი ამად არა ღირს,—
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევჰხვდეთ
უშიშრად ათასს მახვილსა
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით
ვადიდებთ მისსა სახელსა!

XI. რა არის ჩვენი სიცოცხლე,
თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს,
არ ვექმნით ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა,
მართლის არა ვართ მფარველი,—
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს,
სხვისა არ გვესმის ტკივილი?

ამ აზრის გულსა დანერგვით
ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას;
ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს
და მისსა უსამართლობას;
ვჰსდევნიდეთ კაცის წამპილწველს
უწმინდურს ანგაარებას;
ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის
კაცისა სულის მაღლობას!
მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის ცემა—ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას!
კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული!
XII. Cისკარმან აღმოსავლეთი
ვარდისა ფერად შეჰღება,
ცას სიხარული მოჰფინა
და ქვეყანასა—შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ
შორს განბნეულნი ღრუბელნი...
ცა მშვენიერობს, ნათლდება...
მასა შევნატრით მხილველნი!
ილევა ბინდი ღამისა;
ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან;
ათასის ხმებით ფრინველნი
განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავიც,
გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა
და ბაღში ფოთოლთ შრიალი!
/ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს
ბუნება მიძინებული!
დაჩუდით!... ყური მიუგდეთ!...
არ გესმით?... ჰგალობს ბულბული!...
ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს
ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჰმუნვის გამქარველს,
სიცოცხლის დამატკბობელსა!...
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს
მის ფერ-უთვალავს შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!

4. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის—გიმზერ,
ვწუხვარ და—გიმზერ;
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!...
ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული.
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ-დროთა ძალით ფერ წახდენილი.
და ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,—
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყმდეთ ცის შემრიხნით დამაშვრალი, [სხავნი!...
დაღონებული
შენდავე, მეფეო, მოველ ვედრებით:

მოხედო ბედკრულს
შენს სატრფო მამულს
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად!
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვათ ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!—
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა!
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ
და განჰქრეს ბნელი უმეცრებისა!...
მაგრამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი
და მე ვეღარ მცხობ, გულ შემუსვრი-
დამცირებულსა, [ლსა,
ხმა-მიღებულსა
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს,
ეჰვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..
ვაჰ, თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღსდგეს,
ვეღარ აყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი!
ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო!
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუ თუ ესღა გვაქვს, ვხედავ რასაცა:
დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის, [ლი?!...
სჩანს ძველს კედელზედ გამოხატუ-

1877 წ.

5. მუშა ბოქულაძე.

რას მიყურებ ეგრე გაკვირვებითა?
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა,
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ ჩაჟანგებული,
კაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა?!...
ან რა გიკვირს? ჩემს შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში, უდროდ გათეთრებული,
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,

დიდთა შრომათ, ღრმათა ფიქრთა მწარეთა,
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!...
ჰსჩანს, არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!...
ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემს გულში ჩახედო,
წაიკითხო სიმწარისა ამბავი:
ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან წყეული სიყვარული,
ნაზის ხელით გულს დასმული დაღები!...
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა, რაცა ვიყავ ოდესმე!...
და აწ მხოლოდ დამშთა ასე ჩემს ბედად
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!
ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა!
სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!...
ბედნიერნი გულითა უზრუნველნი!
ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწვარი სიტყვები...
გულით მინდა, მეც აქედან ხმა მივცე;
მაგრამ მცხვენის, მე მისი რა ტოლი ვარ,
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულს ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის...
მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხივსა სიხარულის ნათლისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა,
მოკლებული ყოველ-გვარსა შვებასა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!...
რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
მოვჰხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე, რა ვინანო?

როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!...
რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? არ ვიცი!
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება...
  რას მიყურებ ეგრე გაბრაზებული?
ნუ თუ, მართლა, კაციც არა ბგონივარ?
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!...
მაშა მღვდელი ლაჰარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რად ვუგდებ გონება—მიზიდული?...
მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ხუგეშ-ცემისა,
ზეციურის მადლით განათებული;
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვჰგრძნობ სიმშვიდეს... თან ლოცვებსაც ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
თვალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
და აღარ ვჰწყევ ჩემ შობის დღეს, ჩემს ბედსა!...
მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემს ქოხს დაჰფრინვენ ანგელოზნი!...
  ვანცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა თქვენთვის არის შექმნილი!
ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული სუნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გაბარებენ, გატკბობენ!
შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონინებს;
მიპოჰქრიან შენოვის ხღვაში ხომალდნიც,
ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი;
თვით პეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
დილითვე ვჰგვი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი აო ეწყინოს შენს ცხვირსა,
და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე წყალობის...

შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!..
  რაღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიჰხვდი,
რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?
როგორ ახდენს სიღარიბე კაცილს გულს
და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,—
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!...

IV. ვახტანგ ორბელიანი.

(1812—1890 წ.)

ვახტანგ ორბელიანიც ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელნიც 1832 წლის შეთქმულობის გამო სამშობლოდან გადაასახლეს. იგიც, გრიგოლ ორბელიანივით, დასტირის ჩვენს წარსულს, მაგრამ ძმავალზე მასავით გულ-გატეხილი არ არის. ვახტანგ ორბელიანის პირველი ლექ[illegible] რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, სწორედ იმ დროს აკუთვნის (1857 და 1859 წლებს), როდესაც მთელს რუსეთში დიდებული რეფორმები მზადდებოდა, მოწინავე საზოგადოება ვახახლებას მოელოდა, ხოლო, კერძოთ, ჩვენს მშობლიურს სალიტერატურო ასპარზზე 60-იანი წლების ახალ-თაობამ (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხ.) შემოდგა ფეხი; აი, ამ ახალთაობის გვერდით მოუხდა მოღვაწეობა ვახტანგ ორბელიანს; და ამიტომ ადვილი ასახსნელია, თუ რათ ყლერს იმისი ჩანგი შედარებით უფრო იმედიანათ, ვინემ ყველა მისი მოწინავე ქართველი მგოსნებისა. მას სწამს, რომ „ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰკრებიან," რომ მისი „სამშობლო, დანარეული, კვლავ აღყვავდება." (პოემა „იმედი").—იმავე გარემოების შედეგია ის დემოკრატიული პრინციპებიც, რომელნიც ამ მგოსნის ზოგიერთ ლექსებში გამოსჭკირს („დედუფალი," „მთის ქალი და მოგზაური"). როგორც ვიცით, ამ გარემოებამ გრიგოლ ორბელიანის ჩანგზედაც კი იქონია ერთი მხრით შესაფერი გავლენა (იხ. ზემოთ მისი „მუშა ბოქაულაძე"). მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერათ ამ გარემოებამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რაფიელ ერისთავის ჩანგზე იმოქმედა.

1. ბულბული.

ერთს განშორებულს მშვენიერს მტილსა
ვარდი ჰყვაოდა ნაზად, ნარნარად;
და მას გარემოს, მწვანით მოსილსა,
წყარო მცინარე ურწყვიდა მარად.
გარნა, რა დილა გამოკრთებოდა,
ყვავი ყვავ-ყვავით ვარდზედ ჯდებოდა,
და მისა ახლოს ბულბული წყნარი,
ერთს გაბმარს ხესა საწყლად მჯდომარი,
ნაზად და ნელად მწარედ მოსთქმიდა
და სჭვრეტდა ყვავსა, ვით ვარდს სჯიჯგნიდა.
განრისხებული ვარდის მფლობელი
გარდასჩხაოდა საწყალს ბულბულსა:
„ეგრეთ ცუდისა ხმის მქონებელი
ოად არ დაცხრები, რად უხეთქ გულსა
ნარნარად ჩემგან შეყვარებულსა?“
გარნა ბულბული ნაზად და წყნარად
სტვენდა სიყვარულს მარად და მარად.
რა გავაგრძელო? მამაცმა ყვავმა,
ვითა გულითა, სულითაც შავმა,
გრძლად ვარდთან შვება ვერ მოითმინა;
ყრიანტალითა და ბრჭყალებითა
გასჯიჯგნა ვარდი და მსწრაფლ იფრინა.
ვარდიცა დაჭკნდა მიწას გდებითა.
გარნა ბულბული ნაზად და წყნარად
სტვენდა სიყვარულს მარად და მარად!...

1857 წ.

2. იმედი.

(შემოკლებით).

I.

ვინა ხარ, ეჰა, მშვენიერო,
მოხვედი სითა?
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური
მოფრინდი ცითა?..
აღმოსავლეთის ყვავილთ შუა
თუ გაიშალე,
ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვდიადს სტუ-
მოხველ აქ მალე? [ქსე,
ძოგესალმებით ნათლის გულით
შენ მშვენიერსა!
შენ გაღიმე სიმშვიდითა
ძველსა ივერსა!..
იყავ შვენება, ნეტარება
ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი,
შუკი მთვარისა!

II.

მაგრამ აქ ხშირად ჰპოებ ტაძართ,
შთენთ დიდებულთა,
პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ
აოხრებულთა;
მაგარ სადგურნი, ფრიალოთგან
გადმოკიდულნი,
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი,
დატევებულნი;
წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა
ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ
ტყენი ჰბურვიან;
არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ
წირვა, ცისკარი;
მხოლოდ დროებით მათზედ ჰბერავს

რას ნიშვნენ შთენნი, ეს ნანგრევნი,—
შენ გსურს იკითხო?
გსურს ივერიის შავი ბედი
აღმოიკითხო?
ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის,—
მიდი მის კარსა;
რაც ლმობიერმა გულმა გკითხოს,
ჰკითხე მას ჯვარსა.
მირიანის დროს ხელში ეპყრა
წმინდა ასულსა,
აწ ძველ ტაძარში მასა ჰპოებ
წმინდად დაცულსა...
სისხლის ცრემლითა მის ჯვარზედა
არს წარწერილი
ჩვენის სამშობლოს ბნელის ეტლის
მოთხრობა ბნელი! [ბლითა
გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრე-
მასზედ სწერია?
აი ეს აზრი: „წმინდა ჯვარი
და ივერია!“
მათთვის მხურვალედ მამა-პაპათ
გულნი ეძგერდნენ,
მათ დასაცველად მთელს აზიას
მწარედ ებრძოდნენ.
„ერთისა ხელით წმინდა ტაძართ,
პალატთ[illegible]ვაგებდით
და მეორეთი მტერსა ვცემდით,
ხმალს არ ვაგებდით:
ან სულ გავწყდეთო და ან მტერთა
ვძლიოთ, ეგება“.
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა
სრულად შეღება!...
ჩვენი ივერი მშვენიერი
არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი
და სავალალო!

III.

ხული მიკვნესის, გული ჩემი
მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი
მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა
ნორჩს მომითხრობდა...
ის ჟამი იყო, საქართველოს
სული ხდებოდა...
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი,
კახი პატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივცემო,
არა და არა!“
იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან
იბრძვის ზედ მტკვარზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარედ და შინ,
ზედ თავის კარზედ;
ებრძვის ქრისტეს მტერთ, ღღე და ღამე
არ ხუჭავს თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს
სამშობლოს ვალსა!...
ძველნი თავადნი, აზნაურნი
მას თან ახლავან;
მწარე ომებში დახვრეტილნი
ჩვენ არა გვგვანან!
ქალაქის კარი მაგრად მათგან
არს დაჭერილი;
„აქ სულ გავწყდეთო“, ნათლად
აქვთ დაწერილი; [გულში
კრწანისის ბოლოს გურამისძე
ზარბაზნებს მართავს,
ან მტერს სულ გასწყვეტს, ან მტრის
მოიკლავს ზედ თავს! [ხელით
მოხუცი მეფე მკვირცხლის თვალით
დღეს მტრის ურდოს ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს,
მამა-პაპურს ომს!...

აჰა, თენდება ის დიდი დღე,
ძნელი საამბოდ...
ქართველნო, ყური დამიგდევით,
უნდა გიამბოთ:
სამი ათასი სამოც ათასს
წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად
შეიღებება!...

IV

მაგრამ რა გითხრათ,რა გიამბოთ?
ჩვენს ულონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს
და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულთ დროთა
არ აცხოველებს,
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი
არ მოგვგვრის ცრემლებს!
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ
რაც დაგვდვეს ვალი;
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ:
ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი
მამული ვსპამოთ,
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ,
ძმათ ცილი ვსწამოთ;
ოღონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს
და ცაში ნუ ჰქუხს,—
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა
მაშინ სოღანლუღს!..
მას აღარ ვფიქრობთ, იმ გმირს მაშინ
რა ცეცხლი სწვავდა,
სამშობლო ქვეყნის აღდგინება
თუ აღარ სწამდა! ..
და დასავლეთის ქრისტეს ერნო,
თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ წინა,
თქვენს კარს ეწყდებოდით?

თქვენ ირაკლისა ღიმილითა
თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა
ტაშსა უკრავდით!...
და შვილებსაც კი ხშირად გაზისო
შავი ბეჭედი,
არ დაიდუმებს ისტორია,
ნუ გაქვსთ იმედი!
მართ-ლმადიდებელთ წმინდა სისხლი
კისერს გედებათ,
მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი
როსმე გეგებათ!...

V

ბონება ხელობს, გაშმაგებულს
აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის
ძალა ერევა.
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ,
მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს
და იყოს ღმერთი?...
თუ დაბადება სამყაროსი
იყო მის ნება,
და თუ ეს აზრი არ არს შტერთა
და ცრუ ზმანება;
თუ ქვეყანასა წესი მისგან
მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი
ჭეშმარიტების,—
ჰაშ საქართველო ასე მწარედ
რისთვის დაემხო?!...
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა,
ჰატარა კახო,
როს გადაავლე შენს ქალაქსა
ავლაბრით თვალი
და დაინახე, ოთხის კუთხით
ავარდა ალი?!...

VI

მაგრამ რას ვროტავ უბედური
და რასა ვყბედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა
როგორა ვბედავ?
ვარ მომაკვდავი, ქმნილი მიწით,
მსხვერპლი მიწისა,
შთამომავალი ადამისა,
თესლი ბიწისა!...
ვბედავ კი მივსწვდე მოკლე ჭკუით
მაღალ ღვთაებას,
მსურს უბედურსა, გზა ვუჩვენო
ციურსა ნებას! ..
ღმერთო კეთილო! მომიტევე
შენს დაბადებულს,
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს,
გულ გადაგებულს!
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს
ცეცხლი შედება,
რა საქართველო დანგრეული
მოშელანდება;
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც
იქნება განჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც
აღარსად დარჩნენ!...

VII

მოშიახლოვდა მაშინ ტურფა,
მშვიდი ასული,
გრძნობითა სახე უბრწყინავდა,
უძგერდა გული:
„გწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ
არ განჰქრებიან,
გწამდეს ეს შთენნი დიდებულად
კვლავ აღსდგებიან:
მართლ-მადიდებელთ ჰე'შმარიტი
ღმერთი ძლიერი
მოგფენთ თვის სხივსა, თვის სიუხვეს,
და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთის წამებული,
კვლავ გამრავლდება;
თქვენი სამშობლო დანგრული
კვლავ აღყვავდება!
ამიერ თქვენთან დავამყარე
წმინდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქნები
სტუმარი ხშირი!...

VIII

დავემხე წმინდა, მშვენიერის
ასულის წინა,
ვუამბორ,ბდი მის ფერხთ მტვერსა:
„ტურფავ, ხარ ვინა?“
თუმცა პასუხი მშვენიერმა
არა რა მომცა,
მაგრამ ნათელი და სიცოცხლე
მოკლულს გულსა სცა!...
1859 წ.

3. გელათი.

არის ადგილი; მის შვენებას
ვერ აღწერს ხელი:
როგორც ედემის, მის აღწერა
ისეა ძნელი!
მისი შვენება ედემისა
არის შვენება,
მისი შვენების მოშორება
თვალს ენანება!...
ზაფხულს ზეფირი მას დაჰქროლავს
და მაზედ ჰხარობს,
ზამთრით მზე მარად მაზედ მნათობს
და მის გულს ათბობს;
ღამის მნათობნი სიხარულით
მას დასცქერიან,
უხვად თვის სხივსა ზამთარ-ზაფხულ
მას უგზავნიან!...
ესე არს მიწა საყვარელი
ვარსკვლავთ და მზისა,

ზურმუხტ მდელოსი, ფურჩვნილ ყვა-
და ნათლის ცისა! [ვილთ
დიდი შენობა მის დიდ მთაზე
არს აღმართული;
ათასის წლისა ხავსით არის
იგი მორთული;
დგას დიდებულად, გულ-ამაყად,
მკიცედ და მაგრად,
თითქო უბრძანებს გარეშემო
ხეობათ და მთათ:
„აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლო,
ვდგევარ ლიტონი;
მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი,
თქვენი პატრონი!“
რა შენობაა ის შენობა?—
ჰკითხეთ თვითონ მას;
ათასის წლისა მის კედელი
მოგცემთ თვითონ ხმას:
იმის კედელი, ჯერაც მტკიცე,
არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული
არის რვეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: „მე აღვ-
ხელით ძლიერით; [შენდი
ათასმა წელმა ჩემს თავზედა
განვლო გრიალით!
ამ ათას წელში მრისხანებით
მე მბერდნენ ქარნი;
იძროდნენ მათგან ხეობანი,
მთანი და ბარნი;
სეტყვა და მეხი მრისხანენი
ძლიერად მცემდნენ,
ჩემს შერყევასა და დარღვევას
თითქოს ცდილობდნენ.
მაგრამ ხომ მხედავთ, აწცა მაგრად,
ვით ძველად, ვდგევარ,
თუმცა ათასის წლის ხავსითა
შემოსილი ვარ!
აქ, დაბლა, მე ვარ მის მოწამე
და იქ, მაღლა, ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო,
როგორც დაეცა!
აქ, ჩემს წიაღში, განისვენებს
დიდი თამარი,
თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა
და მშვენიერი,
პოეზიისა, ერის გულში,
სხივით მორთული,
ივერიისა ძეთ დიდება
და სიყვარული!
აქ განისვენებს... მის სახელი?—
დიდი დავითი! [ლი,
მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცვე-
მე ვარ... გელათი!“

1879 წ.

4. დედოფალი.

მიჯნურობა სხვა რამეა,
არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა,
შუა უზის დიდი მზღვარი!

რუსთაველი.

დგას მეფის წინა მშვენიერი ვინმე ასული,
მის ტოლი ტურფა ამ ქვეყანას არვის უნახავს!

დგას, ბროლის მკერდზე თავმიხრილი, სევდით მოცული,
შავს წამწამზედა მარგალიტი ცრემლი უბრწყინავს.
ჰაბუკი მეფე მას მშვენიერს თვალებში ჩამზერს,
პირველ უღელავს სიყვარულით ჰაბუკი გული,
ახლის, უცნობის, დიდის გრძნობით უთრთის და უძგერს,
მშვენიერ არსში თვის არსით არს მთლად დაკარგული!
ეტყვის: „რა გსურსო? შენი არის ჩემი დიდება,
ჩემი სიმდიდრე და საუნჯე შენ ფეხთ. იქნება!
დიდსა პალატსა, თვალთ წამტაცსა, მე შენ აგიგებ,
ვერცხლით, ოქროთი, წალკოტებით მას გავაბრწყინებ;
მოგრთავ ძვირფასის ძოწეულით, ძვირფასის თვლებით,
რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდნენ შურის თვალებით!
მარგალიტებით, დიბით მორთულს მშვენიერს ტახტზედ
შენ დაგაძინებ, გაგაღვიძებ ჩანგის ტკბილ ხმაზედ,
ოღონდ გიყვარდე... შემიყვარე! ოღონდ ნუ მომკლავ!
ამ ჰაბუკს გულსა სიყვარულით ოღონდ ნუ დასწვავ!
უძმო, უდედო მეფის ტახტზედ მე ვზივარ ობლად,
მეფე ერისა; ჩემს ჰაბუკს გულს არვინ ჰყავს ტოლად!“
მაგრამ მეფის წინ თავმოხრილი, სევდით მოცული
დგას უპასუხოდ მშვენიერი ტურფა ასული...

„მაშ რა გსურს, მითხარ? გსურს ავისხა აბგარ-აბჯრები
და სხვა მეფეზედ წავიყვანო ჩემი ლაშქრები,
და ბრძოლის ველზედ მოვიპოვო გშირთა სახელი
და იმ სახელით მხოლოდ გნახო ტურფა ნათელი?“

მაგრამ მეფის წინ თავმოხრილი და სევდიანი
დგას უპასუხოდ მშვენიერი თვალ-ცრემლიანი.

„მომეც პასუხი! შენი სახე, შენი არსება
გაუყრელია ჩემის არსით, თვალთ არ შორდება!
ეგ ტურფა სახე რაკი ვნახე, გულს დამრჩა ხატად,
გულს დავიმარხე, შევინახე, ჩემთან არს მარად.
შენ მე ვერ მიცნობ, მე შენ გიცნობ, ვიცი, ხარ ვინცა,
შენ ვერ მხედავდი, მე გხედავდი, იყავ სადაცა:
მალვით ტაძარში, როცა იყავ ცაში და ღმერთთან,
და ღმერთი იყო თვისის სხივით და მადლით შენთან;
ღარიბს ქოხშია, როცა ობოლს აკვანს ურწევდი
და ტკბილის მღერით და ტურფა ხმით ნანას უმღერდი;
სადმე ქუჩაში, მივარდნილში, როს ობლებს, მშივრებს
ბროლის თითებით პურს უყოფდი, უშრობდი ცრემლებს!...

კმარა! შენია ჩემი სკიპტრა, ჩემი პორფირი,
სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ერი...
ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მაკლია თვალი.
შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი!"
მშვიდის თვალებით მშვენიერმა შეხედა მეფეს,
წარმოსთქვა: „ჩემთვის ფასი არ აქვს შენს დიდს საუნჯეს!
თუ გსურს, ის იყოს სასყიდელი ჩემის სიწმინდის,
მეფევ, საუნჯე მთლად ქვეყნისა მას ვერ იყიდის!
ჩემი აკვანი სხვა ნანაზედ დედას ურწია,
ჩემთვის მამა-ჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია!
მეფევ, არაფრად მჩანს მე ჯდომაც მეფის ტახტზედა,
თუ მის სიმაღლით არ გარდმოდის მადლი ერზედა;
და, თუ გსურს, ვიყო დედოფალი შენის ერისა,
მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია,—ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ.
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმდიდრე,
იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახმარე.
ქვრივი, ობერი შეიწყნარე და შეიბრალე
და დავრდომილი სახლი-არე მას გაუახლე;
მშიერის ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფრქვიე,
და ის ობოლნი გულს ჩაიკარ და მოეხვიე.
უფსკრულს ჩავარდნილს სიმშილითა ნორჩსა ასულსა,
ქვეყნის ნათელსა, მის სიცოცხლეს გამოკლებულსა,
მიეცი ხელი და უფსკრულით აღმოახდინე
და ღვთის ნათლისთვის, კეთილისთვის კვლავ აღადგინე!
ეშურე, მეფევ, მანამ ერი შენ შემოგცქერის,
მინამ მის გული შენთვისა სძგერს და შენთვის არის,
ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოვლე!
მაშინ შენი ვარ... მაგრამ, მეფევ, როგორც მეუღლე.
არ დაგიმალავ, როგორც შენ მე, მეც მინახვიხარ.
რა დაგიმალო? როგორც შენ მე, მე შენ მიყვარხარ!"
ბაბუკი მეფე ასულს უმზერს განცვიფრებული,
მიხვდა მის წრფელი, ჯერედ ნორჩი და წმინდა გული,
რისთვისაც ღმერთმა მას დაადგა გვირგვინი თავსა,
მიხვდა თვის ტახტის დიდებულის ტვირთსა და ვალსა:
ნათელ თვალთაგან გადმოცვივდა ცრემლი ნათელი,
და იმ ცრემლისა ღმერთი მაღლით იყო მხედველი!

ბანვლო ზაფხულმა, შემოდგომამ, განვლო ზამთარმა,
როგორც ოცნებამ, მოჩვენებამ, როგორც სიზმარმა,
და განაცხოვლა გაზაფხულმა გული ქვეყნისა:
გამწვანდნენ ველნი და მოისმა ხმა ბულბულისა!
მაისის დღეა; ბულბული სტვენს, ნიავი ჰბერავს...
მეფის წალკოტი ყვავილებით და ნამით ბრწყინავს.
იქ ზის ყვავილი—დედოფალი, ფერით მიმკრთალი,
იმ ყვავილებზედ უფრო ტურფა არის ყვავილი!
თვის დიდ სახლობას: ქვრივ-ოხერთა და მშიერ ობლებს
ბროლის თეთრებით უყოფს საზრდოს და უშრობს ცრემლებს.
მეფე ზის ერთან და განაგებს მასთან სამეფოს,
მაგრამ მის გული ტრფიალებით ელის საღამოს!

1882 წ.

5. მთის ქალი და მოგზაური.

ქალი.

მგზავრო, ჩემს შერთვას, ჩემს წა-
ამოდ ეძებ: [ყვანას
მე ჩემს მიწა-წყალს, ჩემს ქვეყანას
ვერ დავუტევებ!

მოგზაური.

რა ქვეყანაა, დაბურვილი
თოვლით და ნისლით?
რა ქვეყანაა—ფრიალონი,
ღრენი და კლდენი?
რა ქვეყანაა, სად ძლივს მნათობს
მზე მნათის სხივით
და არ გვართობენ, არ ხარობენ
ფურჩვნილნი ტყენი?!...
იქ კი თვალ წინა გექნებოდა
ვრცელი ველები,
მწვანე მდელოთი, ყვავილებით
შემოსილები;
იქ ლაჟვარდ ცაში კაშკაშებენ
ზღვა და ქვეყანა,
თითქო მათ შუა საიდუმლო
იყოს რამ ენა;
დაგბერდა იქა ზღვით ნიავი
რა ფუფუნებით,
იყნოსდი ჰაერს შეზავებულს
რა სურნელებით!...

ქალი.

მგზავრო, რად მინდა მზე ცხოველი
და ცა ნათელი
და ან მბრწყინავი ყვავილებით
ზურმუხტი ველი?
ნიავი ზღვისა გულს მომფენს მე
რა ფუფუნებას,
მოშორებული თუ ვიქნები
ჩემს წყალს, ჩემს მიწას,
თუ ვეღარ ვხედავ ჩემ საყვარელთ,
ჩემ მყინვარე მთებს?
შეხე, ყინულის მაგ გვირგვინი
როგორ ელვარებს,
ბრწყინავს, ეგზნება ვით ცეცხლით და
ნაპერწკლებითა,
როგორც გვირგვინი სახელმწიფო
ალმასებითა!
მგზავრო, ეს მთები მირჩევნია
მე თქვენს ნიავსა,

ფუფუნებისა გულ-მომფენს და
სურნელიანსა,
თქვენს ცას ნათელსა, მწვანე ველებს
და მზეს ელვარეს,
თქვენს ყვავილებს და მოკაშკაშეთ
ვარსკვლავთ და მთვარეს!

მოგზაური.

 Დიდი სასახლე ზღვაზედა მაქვს
გადაკიდული,
ყვავილთ წალკოტით ტურფად არის
იგი მორთული;
ნელად ირხევა ტალღა ზღვისა,
მოდის ბიბინებს...
რა ტკბილის ძილით მის ბიბინი
შენ დაგაძინებს!
ჩემი მეუღლე იქნებოდი,
მის—დედოფალი
და დედის ჩემის მარგალიტი
და სატრფო თვალი!

ქალი.

მე ჩემი ქოხი მირჩევნია
შენს დიდს პალატსა,
შენს ყვავილთ წალკოტს, მშვენიერსა
და გულწამტაცსა!
მე აქ ვშობილვარ, აქ გავზრდილვარ,
აქ უნდა მოვკვდე,
ჩემი სამარე უნდა იყოს
ისევ დიდი კლდე!

მოგზაური.

ჩემს ქვეყანაში ნახავდი შენ
დიდს სანახავებს:
დიდ ქალაქებსა, დიდ ტაძრებსა,
დიდ შენობაებს:
გაკვირდებოდი, დატკბებოდი
იმათის მზერით
და გულწამტაცის სიმღერის ხმით
და საკრავებით!

ქალი.

ხედავ დიდ მთასა? მის მწვერვალსა
თვალი ძლივს სწვდება!
როდესაც ხოლმე მის გადასვლა
მე მომიხდება,—
ვხედავ: ჩემ თვალ-წინ საქართველო
გადაშლილია;
რა ბუნებითა, რა სიტურფით
შემოსილია!
მარცხნით კახეთი, მარჯვნით ქართლი,
უკან იმერი...
მიდგას თვალ-წინა თითქმის მთელი
ძველი ივერი!
ვუმზერ და ვუმზერ დიდებულად
სხივით მორთულსა,
განსვენებულსა და შრომაში
მყუდროდ გართულსა!...
და ან რად მინდა მე სამშობლოდ
უცხო ქვეყნები,
თუ ჩვენს ტაძარში ღვთის-მშობლის
ვერ დავემხვები; [წინ
თუ ვერ ვიხილავ ფრიალოზედ
თამარის ციხეს
და დიდ ტაძარში გამოხატულს
მის ნათელ სახეს?...
რად მინდა სმენა თქვენთ საკრავთა,
თქვენის სიმღერის,
თუ მწყემსის ტკბილი სალამურის
ხმა არ მომესმის?..

მოგზაური.

იქ შენ ნახავდი ერს სწავლულს და
განათლებულსა,
დიდს ქვეყანასა, ხელოვნებით
აყვავებულსა.
აქ. ვერ ანათებს შენთვის სრულად
ის განათლება;
მის საღმრთო სხივი იქ შენს გულს
მოეფინება! [მთლად

ქალი.

ჭამა ჩემია დაბლობითგან
აქ გადმოსული;
მაგრამ მე შობით და გულით ვარ
მთების ასული.
ჩემთ მშობელთ ხვედრად ცოტა რამე
სწავლა ჰრგებიათ,
და, რაც სცოდნიათ, ჩემს ნორჩს გულში
ჩაუნერგიათ.
მამამ ცოტა რამ მომცა სწავლა
და განათლება,
დედამ კი გულში ჩამინერგა
მე საღმოთო მცნება:
მოვალეობა დიდი დიაცთ,
გზის არ შეცდომა,
გულის სიწმინდე და სიმშვიდე,
შურის შორს დგომა,
გლეხებთან ძმობა, შეწყალება
ქვრივ-ოხერისა
და სიყვარული ჩვენის მიწის,
ჩვენის კერისა;
პატივისცემა მოხუცისა
და მისი სმენა,
და რუსთაველის მშვენიერი
და ტკბილი ენა.
მასწავლეს ესა, და აქ, მთებში,
ესეცა კმარა
და ჩემის ქვეყნის მოშორებას
მეტყვი ნუღარა!
შორს, უცხო ქვეყნად გადარგული
მთების მცენარი,
ვიქნები მე იქ საბრალისი
მწირი სტუმარი!

მოგზაური.

მოგზაურობით აქ მოსულსა
შენ შემხვდი უცებ
და, რაკი შემხვდი, შენ შეგნატრი,
შენს გზა-კვალს ვეძებ.
როცა ვერ გხედავ, უშენობა
გულს მქენჯნის და მკლავს,
მარტოც კი ფიქრი „ვეღარ განახო“
გამითხრის საფლავს!

ქალი.

შენ ეგრე ფიქრობ და გგონია,
მაგრამ კი სცდები;
გადივლი მთებსა, გაიმინდვრებ,
დაგავიწყდები.
მე კი... კარგია, მგზავრო... კარგი!..
მგზავრო, მშვიდობით!
ჰპოვე სხვა სატრფო, მომიგონე
შენ კი და-ძმობით!

1886 წ.

V. ილია ჭავჭავაძე

(დაიბადა 1837 წ.—სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო 1857 წ.)

დიდებული იყო ის დრო, როდესაც ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა: მთელს მოწინავე რუსეთს მედგარი იერიში მიჰქონდა დახავსებულ ბატონ-ყმობაზე და მთავრობაც 60-ნი წლების რეფორმებს ამზადებდა. ჩვენს სამშობლოში კი ჯერ ისევ ძილი სუფევდა. არ ეძინა მხოლოდ შეგნებული ახალგაზდობის ერთს პატარა ჯგუფს, რომელსაც

მაშინდელმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ორი უმთავრესი საკითხი წამოუყენა: ა) მიძინებული საზოგადოების გამოფხიზლება, მის დამღუპველ თვისებათა და გამაუკუღმართებელი წყობილების გაკიცხვა, და ბ) ახალი საზოგადოებრივი იდეალების წამოყენება, უკეთესი მერმისისაკენ გზის ჩვენება.—სიტყვით თუ საქმით, წერით თუ ზნეობრივის გავლენით, აღნიშნულმა ჯგუფმა, დროის შესაფერათ, ღირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა: მან ულმობელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ბატონ-ყმობა, სასტიკი ომი გამოუცხადა ყოველს ჩვენს ეროვნულს ნაკლულოვანებას, და ზნეობრივ-გონებრივათ მიძინებულ ერს უკეთესი ცხოვრებისაკენ მიუთითა.

ამ პატარა ჯგუფში პირველი ადგილი ილია ჭავჭავაძეს ეჭირა. მას პირველს მოუხდა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს შეხებოდა, მრავალგვარი საკითხებისათვის გაეწია ანგარიში. სწორეთ ამავე პირობებში იყო სამოციანი წლების მეორე დიდებული მგოსანიც, აკაკი წერეთელი. ამიტომ როგორც ერთის, ისე მეორის ჩანგი მრავალმხრივია: იგი შეეხება როგორც თვითონ მგოსანთა კერძო ცხოვრებას აგრეთვე მთელი ერის აწმყოსა, წარსულსა და რამოდენათმე მომავალ ბედ-იღბალს; შეეხება, კერძოთ, მშრომელი ხალხის წარსულსა, აწმყოსა და მომავალს ცხოვრებას; ოცნებით მიგვაფრენს ჩვენი ერის შორეულს წარსულში და იქ ეძიებს სულის აღმაფრთოვანებელ მაგალითებს, ადამიანობისა და მამულიშვილობის მაღალს იდეალებს.

შესწავლის გასაადვილებლად, როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე აკაკი წეროეთლის საუკეთესო ლექსებსა და პოემებს ჩვენ ოთხს უმთავრეს ჯგუფად ვჰყოფთ:

ა. პირველ ჯგუფში იმ ლექსებს ვათავსებთ, რომლებშიაც იხატება თვითონ პოეტის პიროვნება, როგორც კერძო ადამიანისა, მგოსან-მოქალაქისა და მგოსან-მამულიშვილისა.

ბ. მეორე ჯგუფს იმ ლექსებსა და პოემებს ვაკუთვნებთ, რომლებშიაც მგოსანი გვიხატავს ჩვენი ერისა და სამშობლო ქვეყნის აწმყოსა, წარსულსა და მომავალ ცხოვრებას.

გ. მესამე ჯგუფის ლექსები და პოემები შეეხება მშრომელი ხალხის მდგომარეობას ბატონ-ყმობის დროს, რამოდენათმე მის აწმყოსა და მომავალს.

დ. ხოლო მეოთხე ჯგუფში ისეთი ლექსები და პოემებია წარმოდგენილი, სადაც მგოსანი გამოსთქვამს თავის აზრს ადამიანისა და, კერძოთ, ქალის მაღალ მოწოდებაზე, ან წარსული ცხოვრებიდან გვიჩვენებს მამულიშვილობისა და ადამიანობის მაგალითებს.

ა. ილია ჭავჭავაძე, როგორც კერძო ადამიანი, მგოსანი-მოქალაქე და მგოსანი-მამული შვილი:

1. სიმღერა.

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ?
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთი-სოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.
შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას
და იქ ჩაჰღუპავ ჩემს ნავს,—
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ვსწყევლი ჩემ შობის წამსა:
რად მინდოდა სვლა ქვეყანად,
თუ ეგ ბოლო მხვდა მხვედრად?...
ვინც კი ეგრედ მსვლელია,
შესაბრალებელია!!...
ორსა, ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირეს ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

1857 წ.

2. გავსწორდეთ ბედო.

ეჰ, ჩემო ბედო! ჩემ სიცოცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებებზედ გინავარდნია.
სისხლის ცრემლებით დამწვი თვალები,
გულზედ მატყვია შენი ბრჭყალები.
გეყო!... მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი გავსწორდეთ, ნუ მემალები!
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები!..
შენს დუდუკზედა აქამდინ ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და—შენ კი იხტუნე!

1859 წ.

3. დაბნელდა სული.

დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა,
სიცივე მკვიდროობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც **სიძ**ულვილში, არც სიყვარულში.
დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას
და გავიმაგრე ჰაბუკი მკლავი,
ბევრჯერ მამარცხეს, მაგრამ არვის წინ
არ მომიხრია ამაყი თავი. [დნენ,
ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირ-
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზღ, დაბალ მტრო-
არც მეცინება, არც მეტირება. [ბაზედ
დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!

1860 წ.

4. პოეტი.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;

არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

1860 წ.

5. მას აქედ, რაკი.

მას აქედ, რაკი შენდამი ვცან
მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე
ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ
სულ-განაპული;
ღამე თენდება ეგრედ ჩემი
და დღე ღამდება.
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ
მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად
იძვრის ჩემ გულში,
და მე არ ვჩივი,—მიხარიან,
რომ ეგრედ შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში,
შენს სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა
მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო
და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში
კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი
განვუზიარო!. .

1861 წ.

6. ჩემო კალამო.

ჩემო კალამო, ჩემო კარგო,
რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად
კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად
მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად,—მათ სულთ-
სეირს ვუყუროთ. [ხდომის
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული,
ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და
სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე
ჩვენ ქართვლის ბედმა,
და, დაე, გვძრახონ,—ჩვენ მის ძებ-
დავლიოთ დღენი. [ნით
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს
ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს,—ეგ ხომ
სიძულვილია!“ [ცხადი
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული
კი მაშინვე სცნობს—
ამ სიძულვილში რაოდენიც
სიყვარულია!

1861 წ.

7. აღარც ნატვრა და აღარც იმედია.

Აღარც ნატვრა და აღარც იმედია!...
ყველა წარხდა... ვაი ესრედ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!...
ახ, რად გნახე შენ ჩემ საუბედუროდ?
რამან შეგქმნა ეგრე სავსე სიკეთით?
ეჰა, გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღად აღსდექი მკვდრეთით?
მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას.
სად წარვიდე, ვის შევჩივლო, ვის ვუთხრა?
ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?

1877 წ.

8. ელეგია.

Მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!!.
მშობელი შობილს არ რას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა.
ვიდექ მარტოკა, და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

1859 წ.

9. აჩრდილი.

(შემოკლებით).

I

Აღმობრწყინდა მზე დიდებულათა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი...
და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული,
ვითა ქვეყანა, ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენახელითეჩრდილნათვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა;
მის გარეშემო შვენოდნენ მთანი [და...
და მათ ფერხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფ-
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა..
იგი მოხუცი მას დააცქერდა;

ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიდამა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი საკვირველო კაცო, მითხარი?
რად დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ვსთქვი ესა, მსწრაფლვე მო-
მესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

II.

«მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა!...
მე ვარო შენი თანამდევი,
უკვდავი სული;
შენთა შვილო სისხლით გული სრუ-
გარდამებანა; [ლად
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო,
შენი წარსული!
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო,
შენის ტანჯვითა;
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი
მიტირებია;
მეც წარეტყვენილვარ წარსულთ დღე-
შენთა ნატვრითა; [თა
შენის აწმყოთი სული, გული
დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს
დიდებულება:
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა
მორჭმულ-ძლიერი;
შენცა გფენია ქვეყნის მადლი—
თავისუფლება;
ეხლა აღგვილა ყველა ესე,
ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს
შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია
მას გულში წყლული;
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის
შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი
გაუქმებული...

III.

«აქ არვის—დიდსა თუ პატარასა—
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის-დადება!...
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტავ იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება:
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს
და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს
ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა
და, თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,—
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

IV.

«მაგრამ, ქართველნო, სად არის გმი-
რი,
რომელსაცვეძებ, რომლისთვისცვსტი-
რი?

იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა.
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.

გადასდგომიხართ თქვენ ქართელო-
დაგინგრევიათ დიდი მამული, — [ბას,
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნო-
ბას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?

თქვენ გარს მადლითა სავსე ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი, [ვრებას,
რომ მისცეს თქვენ ში ზრდა დიდს ცხო-
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.

ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედ-მოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა,

რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ.
თქვენი სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი უცხოს კალთის
ვითა ობოლი, შეფარებულა. [ქვეშ,

V.

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთე-
ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა[ბის,
შეებრძვის და არ ემორჩილების;

მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმალ გაცუდებულა.

აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნი-
ათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ,
და ერთმანეთს კი არ ენდობიან;

ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც
ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

VI *)

„აგერ, დიდ-კაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.

მოძმეთა ხსნისთვის თავის დადება
წმიდა მხვედრია მხოლოდ გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?

ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა [illegible]ველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?

აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა [illegible] ნიეთსა,
და, ძმა მის მოკვდეს თუნდ[illegible] ბილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდ-
სა.

აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!

სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?

სად არის იგი, მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის, ჭეშმარიტება?
სად არის იგი, ბიწის მდევნელი,
ჯვარ-ცმულის ღმერთის მაღალი მცნე-
ბა?

---

*) ბატონისა და ყმის ურთიერთობაზე ამავე პოემიდან ამოღებული ადგილი იხ. ქვემოთ მე-8 ჯგუფში.

VII

„აგერ ტფილისიც!.. ყმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსა და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთ-გზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ. ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ქლიავილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს,—
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს, თუ გრძნობას
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთ-მაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულ-წარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა. ვით ჰრბოდა გუშინ,
ერთ-ნაირად და უგემურადა;
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე—პატიოსნებას
და დაჟანგებულს ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

VIII

„აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა,
ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი.
აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა,—
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა;
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

IX.

„ქართვლის სამკვიდროვ, ქვეყნის დაბადებულო, [თვალად
რავდენს ვაებას შენს თავზედა გარდაუვლია!...
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარდა წამებულო, [ცმულო
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!... მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს!
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ღრი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყად თვისი თავი ქვეყანაზედა

არავის წინა სამუდამოდ
არ მოიხარეს!
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე
შენი იღვწოდა,—
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის
არ მოაცალა,—
მამულისა და რჯულისათვის
იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა
მათ ანაცვალა!..

X.

„... როდისღა ვნახავ მშვენიერსა
ამ ქვეყანასა,
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა
კვლავცა აღმდგარსა?
დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა
კავშირთა ბრძოლას?
ერთის ცხოვრების, ერთის სულის
ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ-ცხოვრების,
ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ
შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიხწეულ
მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით
განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის
სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს
დიდ ხნის ბორკილსა?
და ქართველობა სიქადულად
როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ქართვლის ყოველს
ერთგულსა შვილსა?"

XI.

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,
ცაზედ ელვაძა გაიკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი;
ქარმა დაჰღმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა,
ბური სვეტივით აატრიალა;
რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა;
ზვავმაც მაღლიდამ დაიგრიალა,—
და მყის ბუნების მშვიდი დუმილი
ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცევოდა;
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირევოდა.
მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა...
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს
ვერ გაატანა თვალმა უძლურმა...
„ნუ თუ გათავდა ამით ხილვა ეს!"
შემომტირა მე მწუხარე გულმა.
მცირე ხნის შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოიღიმა ნათლად მთამაცა,
და მზისა სხივით გაბრწყინვებული
კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

XII.

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა
შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ
ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ
ამ ხალხს უღვრია;
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ
მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა,
ტანჯვად ეყოფა!

მოეცი ძალი დავრდომილსა
კვლავ აღდგომისა;
სახელოვანი განუახლე
წარსულთ დღეთ ყოფა;
მამა-პაპური სული, გული
მოჰმადლე შვილსა!
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ
ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან—
რა არს მშვიდობა;
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი
და სისხლის ძღვენი!
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს
ტანჯვით შენდობა!
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა
და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი
ესე მამული!...
ჰოი სახიერო! ცისარტყელა
განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი
წარხოცო ხალხსა!...»

XIII.

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდ-
შვიდ-ფეროვანი სარტყელი ცისა [სა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხ-
ლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულის-თქმა ყვე-
ლა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

1860 წ.

10. ბედნიერი ერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედ-დრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვე-მძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულ-ჩვილი და ლმობიერი;
თვალ-აბმული,
თავ-აკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვა-დამჯდარი, გულ-ხმიერი;
მცირე, დიდი
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მტვერ-წაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზა მრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;

მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი დი მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

1870 წ.

11. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით.

(ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა)

ერთხელ მე და პაპა ჩემი
ერთს ადგილს შევიყარენით;
ჯერ, როგორც მოგეხსენებათ,
მრავალჯერ დავამთქნარეგვით.
მერე ვუთხარ:—პაპა ჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?
მაგალითებრ, მაშინ, როცა
მიიწურა ქართლის ბედი,
როცა მოგვიკვდა ერეკლე,
ის ჩვენის ქვეყნის იმედი,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შენი მტერი!.. პირღიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.
მერე, როს მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვის-ტომნი აუჯანყდნენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულმოდგი-
ვწეწდით და ვიწეწებოდით. [ნეთ
მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გაუჭირეთ
და ქვეყანას ერთიკულობა
ჩვენი ურცხვად დავუძვირეთ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.
მერე, როცა საწყალ მეფემ
დაგვიყენა ლეკნი მცველად,
თვის ქონება სრულად დასდვა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწექით და ვნებივრობდით.
მერე, როცა მოკვდა მეფე,
აიშალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შურითა
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვლალატობდით.
მერე, როცა დაქსაქსულნი
შავმა ბედმა ხელთა გვიგდო
და ჩვენი სვე ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ყაბახზედ ვაყკაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!
მერე, როცა გაგვიჭირდა
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვებოდით.
მერე, როცა ამ წვა-დაგვამ
დღენი ჩვენი მოგვაწბილა,
ტანჯვა ვეღარ ავიტანეთ,

სინიდისმაც გაგვამხილა,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — შერცხვენილნი და დამწვარნი
 აქა-იქა ვიურჩულებდით.
მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვრიეს,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — ფერ-მიხდილნი ბეზღობაში
 ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.
მერე, როცა მაგ ბეზღობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — მოვყევით და სიხარულით
 ყოველ დღე ვბედოვლათობდით.
მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვქონდა სულ გავფლანგეთ,
არა რა შემოგვდიოდა,—
 რა ვავაკეთეთ? რას ვშრებოდით?
 — ერთმანეთს უსინიდისოდ
 მამულებს ვეცილებოდით.
მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 —ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ
 ვისხედით და ხელს ვითბობდით.
მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა, გაღატაკდა,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — თვით შევსხედით მაღლა თაროს,
 დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.
მერე, როცა ის ყმებიცა
დროთა ბრუნვით ჩამოგვერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 —მაგას შვილო, ნუღარ მკითხავ...
 ვტიროდით, ვიხოცებოდით!..
მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დავვიბრუნდა
და ყმებისა მოშორების
გულს ტკივილი დაგვიყუჩდა,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 — რაღაც ბანკი მოვიგონეთ
 და მაზედ ვლაზღანდარობდით.
ნერე, როს საშვილი-შვილოს
ბანკს უმუხთლა თქენში ერთმა:
ჩემთვის ბანკი რა ჭკვაო,
არ მომცაო შვილი ღმერთმა,—
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
 —„Наплечо"-ბა გვასწავლეო,
 მთავრობას ვეხვეწებოდით.
მერე, როცა...—კიდევ როცა!...
აქ გამიწყრა პაპა ჩვენი:
—შემაწუხე ამდენ კითხვით,
„პოჟოლუსტა", დამეხსენი!
 რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?...
 მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
 უსაქმოდ ვეხეტებოდით.

1870 წ.

12. ჩემო კარგო ქვეყანავ.

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?...
აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია;
თუმცა ძველნი დაგშორდნენ,
ახალნი ხომ შენია!...

მათ ახალთ აღგიდგინონ
შენ დიდების დღენია,—
ჩემო თვალის სინათლევ,
რაზედ მოგიწყენია?
წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ
ნაზარდნი, გულ-მტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი
შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა,
თუ კი მათ მიენდები!...
მათის ღვაწლით შეგექმნეს
სახე ბედით მთენია,—
ჩემო თვალის სინათლევ,
რაზედ მოგიწყენია?
მათი გული შენისა
ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი
შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას
სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შემუსრონ
მტერთა სიმაგრენია,—
ჩემო კარგო ქვეყანავ,
მაშ რად მოგიწყენია?

1878 წ.

გ. მშრომელი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი:

13. ხაქროს ბავშობა.

(პოემიდან: „რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“).

მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემ სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ჭლხინობდნენ, და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულ-ჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!...
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლი-
ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი, [სა,—
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი.
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;
პატარა გულმა გამოიდარა
და შეუბრუნა ნაღვილსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!...
არა რა მქონდა იქ საფიქრელად,
ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე,
და რიგ-რიგადა ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,

გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა,
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძროხასა, [ბდით
ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩაღე-
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშამო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი,
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
რაკი ტრედის-ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრ-
თხობდა.
ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა;
და თავის ძროხას ყველა ზლაზვნითა
ასაშვებლადა მიესევოდა.
ზოგი აქ მიდის თექა-მოსხმული
და მიიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა,
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული
და ერეკება თავის ძროხასა;
და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ!
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ცივ წყარო-
ზედ.
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრ-
თხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდე-
ბოდით;
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდაროობ-
დით,
და ზეზეურად დავნაყრდებოდით;
მერმე ვმართავდით თამაშობასა,
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა
და შუადღისა გოლვისა ჟამსა [მაღლა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა,
ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა.
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?!...
საღამოს ჟამზედ ისევ იმ რიგად
ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით.
ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა.
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრედ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილ-დღიანი
და არსენობა მენატრებოდა.
ეგრედ მინდორზედ, ძმაო, ვყვავოდი
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერედ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ დღისა
და მეგონა, რომ ჩემსავით ყველა
მადლიერია თავის ბედისა.

1860 წ.

14. სიღამო ალაზნის პირად.

(იმავე პოემიდან).

დიდხანს არ გაგრძელებულა ზაქროს ბედნიერება. ოც წლამდე იგი ბატონის კარზე იყო, მაგრამ ბატონი ამას იქითაც არ უპირებდა შინ გაშვა, სადაც ზაქროს მოხუცებული და ციებისაგან დასნეულებული მამა ჰყავდა. ამის გამო ბატონსა და ზაქროს მამას დიდი შეტაკება მოუვიდათ: ბატონმა ყმა, შვილის თვალ-წინ, ბიჭებს როზგით აცემინა სასტიკად. ზაქროს შური იძია: მოჰკლა თავისი ბატონი და ყაჩაღად გავარდა.

აი, ამ უკანასკნელი წუთის მომხიბლავი სურათი:

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,—
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხარო-[დნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარო-[ბდა,
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!...
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიკრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა...

მიდის ურემი და უეცრადა
ვიღაცამ ტყიდამ ასკუპა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრადა,
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.
—ვერ მიმასწავლებ კუდი-გორის გზასს?
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.
—რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადეგ, წადი,—და როცა
ცხვირ-წამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ? ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება:
—იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბღაჭიაშვილი იქ იმყოფება.
მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარ-[დები,
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი,
ბღაჭიაშვილს ნუ დაენახვები,
ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი!
—შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;

როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვ-
რებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელ-აღებული!
და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმაც ხმა მოჰსცა მთამა.
თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!"—წაიდუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა.

1860 წ.

15. ყმა და მეჩიატონე.

(„ანრდილი"-დან).

აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს
ძნელსა
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა ორად
ჰზდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა.
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვი
მაგრამ ქვა არის ბატონის გული, [ა
ვერ დაარბილებს მას შებრალება:
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული.
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედ-შავი, მონა საწყალი
სდგას, ეევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ფიქრობს: „ვიშ, ჩემი ბრა-
ლი!
რით შეეძლებ შვილთა ჩემთ გამოკვე-
ბა?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძალობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარ-
გებს.
ვაიმე, ბედ-კრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა ჰშრომობდა და ვინა ძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!..."
შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ;
ვინ იცის, სიდან სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,—
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეკე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
ვახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუს წართმეულს და შეგინებულს!...
პირს უკუ იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება!...*)

1860 წ.

*) ამავე საგანს შეეხება ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი".

16. ვუთნის დედა.

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო.“

Ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე
და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!... შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერ-
პლსა
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყვე-
ლი?!...
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრე-
ლი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვ-
ლას?...
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჭკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტან-
ჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში
ჭკლავს!...
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი...
მაშ რა გაღონებს?... გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..

1863 წ.

17. მ უ შ ა.

„Въ трудѣ прохдить
жизнь его
И не приноситъ
ничего“.

I

ბოლვიან დღეში, ტფილისშია,
შუა-ბაზრისკენ
მე ჩამივლია.. ჩემო მუშავ,
მინახვიხარ შენ,
კედელთან მწოლი; მხურვალე მზე
ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად
გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა
შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა
და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო?
სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ,
გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას,
შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს
მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგტყორცნა
მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა
მაცდურ იმედმა?

აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე
და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია
აბა რა ჰპოვე?..

II

აი ტვირთ ქვეშე მოკაკულხარ,
საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან
შუბლით გეღვრება;
შეგუბებულის სულის ისმის
დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ
მუხლთ გეკეცება!...
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჰქრის
დიდ-კაცის დროშკა,
შენს პირდაპირა ივი მორბის
დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა,—
და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო
დასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომარითურთ
და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ
მაღლა ხარხარი...
რასაც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი
მწუხარე თვალმა: [სთქვა
შენს დუმილშია იყო ღვთისა
რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით მიხველ, წეკა
დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ,
თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი—გეკარგება
შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს—და არავინ
არა გშველიან!...

III

აჰა, მიხველი, მიუტანე
ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე
იწმენდავ ოფლსა,
განივრად იძვრის დიდი მკერდი
სიგრილეშია,—
იცდი. საწყალო!—შენი ლუკმა
იმის ხელშია!...
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც
იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გიკლებს შიშველს მში-
მწყურვალს, უბედურს... [ერს,
„ნუ მიტეხ ლუკმას,—ეუბნები,—
ღმერთსაც შეხედე!...
მე ეგე ლუკმა პირუტყვსავით
ზიდვით ვიყიდე!“
შენ უღონო ხარ... და უღონოს
კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშ-
შეგევაჭრება, [ზედ
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს,—
და შენ კი ეიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით
დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ
ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ
ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები
იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ რიგად განაგრძელებ
უღმრთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დააღამებ
ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ
ვერც ერთსა დღესა...

მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში,
რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ
მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად
გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა,
რუსის ფარაჯა!...
მარტო იცოცხლებ და მარტოცა,
ძმაო, მოჰკდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს
მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი
შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს
გაიწვდი ხელსა.
მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგეფლ-ვენ
საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ
სამარეშია!
ეგრედ უბრალოდ გაფუჭდები,—
და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს
შენს „აქ“ ყოფნასა!

1860 წ.

18. შრომის შვილს.

(„აჩრდილი“-დან)

შრომისა შვილო! მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ-მძიმეთ შემწყნარებელი
შენის დაცვისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად.
თუცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა ჰყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად განმზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა-მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი

შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი,
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთ-მოყვარება და სათნოება...
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ!...

1860 წ.

დ. ცხოვრების იდეალი, მამული-შვილობა და ქართველი ქალის მაღალი მოწოდება.

19. უსულგმულო ცხოვრება.

უსულგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა,
რასაც ბოლო ჰქონია!
ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლოვოა,
ვით სულის შთამბერველი.
ნეტა, ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...

1860 წ.

20. ნ ა ნ ა.

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაპყარ თვალნი?
ჯერედ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინა-მორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთა:დმი ღვთიურს ვალს!...
მაშ რაღ:მ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!
ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,

ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
ჰნახავ ჩვენს ბედშაობას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
დედათა გული ჩჩვილი
მამულისთვის მაგრდება,—
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!
ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!...

შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!
იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი:
უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამ
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ-იცეს დედამ,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაულიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს,
ჰასვე გმირებ უბრუნებ;
აღსრულდები ღიმილით,
რომ მამულს არ უმტყუნე
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი:
ისეც უკვდავ იქმნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე:
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

1859 წ.

21. ქართლის დედას.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა“.
ლეიბნიცი.

ქართლის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!... დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ,—საკდაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?...
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი!...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმაროვდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს
და მოგვცემს ნაყოფს ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული!

1859 წ.

22. დიმიტრი თავდადებული.

(რამდენიმე ნაწყვეტი).

უქმე დღე იყო. საყდრის წინ, ხალხში ერთი ბრმა მეფანტურე ჩამდგარიყო, თავის უბრალო ფანტურს გულ-საკლავთ აკვნესებდა და ზედ ნელის ხმით დამღეროდა. ხალხი სმენად იყო გადაქცეული. აი, რას მღეროდა მეფანტურე:

I.

მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასართობსა,—
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა,—
იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულ-ქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.
შვილის ყოლა გლეხს, თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით, ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.
უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის თავს
შეაკლავდა, როგორც ლომი.
მამული სთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გქვონდა გულში აბჯრად
და სატეკრად—ხმალი ხელში.

ეგრედ, შვილო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინა-პარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

II.

ეხლა რა ვართ? საწველ-ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ,
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.
წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულ-და-გულ
ეს პატარა ქართველის ერი.

III

ურო მიგდეთ, გეტყვით ამბავს
ეტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამ-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტან-მაღალი,

ჯირითში, თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.
კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარედ რისხვით მტრისა მსვრელი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.
ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოიკლიდა ქვრივს და ობერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.
ვის რაც გულში დარდი ჰქონდა,
წავა იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.
ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

IV

ამ დროს საქართველო მონგოლებს ეშორჩილებოდა. ერთხელ მონგოლების ურდოში ორეულობა მოხდა; ძველი ყეენი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ნაცვლათ სხვა გამეფდა. ახალმა ყეენმა შური იძია ყველა იმ პირებზე, რომელნიც ძველ ყეენს არ გადუდგენ. ერთი ამათგანი იყო დიმიტრი მეფეც. ყეენმა იგი ურდოში დაიბარა და თანაც შემოუთვალა: „თუ დაუყონებლივ ჩემთან არ გამოცხადდები, მე თვითონ წამოვალ ჯარით და მთელს ქვეყანას აგიოხრებო!“

მეფემ მსწრაფლათ შეჰყარა დარბაზი და რჩევა ჰკითხა. მღვდელ-მთავარს გარდა, ყველანი ურჩევდენ ურდოში არ წასულიყო; მღვდელ-მთავარმა კი აი რა უპასუხა:

ატირდა და მოახსენა:
ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.
მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
ჰე ამ მწარე რჩევისათვის.
მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...
ვსტირ და გირჩევ თავ-გაწვავს,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასთათვის თავ-დადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.
ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთი-სოფლის გულისათვის!...

ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ მტკიცეთ გადაწყვიტა ურდოში წასვლა; გამოემშვიდობა დიდებულებს, სთხოვა, ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულებზე ეზრუნათ, სუსტი ძლიერისათვის არ დაეჩაგვრინებიათ,— და გაემგზავრა ყეენთან. მას თან ახლდა ერთგული ამალა და მღვდელ-მთავარი.

ყეენმა ძლიერ ცუდათ მიიღო იგი: ჯერ აცემინა და მერე ერთ საშინელ სიპყრობილეში ჩააგდო; ამას შემდეგაც სასჯელი დაუგვიანა და თითქმის ყოველ დღე აცემინებდა და აწამებდა.

V.

ერთხელ მეფე ნაწამები
ძლიერად და ულმობელად
ბნელში ეგდო ძალ-მიხდილი
უპატრონოდ, უზრუნველად.

როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ლოცვითა
და ცრემლები გადმოჰყარა. [რთო!
მოსთქვამდა თუ:—„ღმერთო, ღმე-
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.
მე არა გთხოვ,—მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო.
მე გთხოვ,—სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სხვისთვის შეიწირო.
ღმერთო, ღმერთო!.. თვალ წინ მი-
დიდ-ტანჯული მე ძე შენი... [დგა
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი!“

VI.

შეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაპეტილი;
ორი ვიღაც შემოვიდა
ფეხ-აკრეფით, როგორც ჩრდილი.
მივიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა: მისნი იყვნენ
და ჩაიკრა ორივ გულსა.
მოახსენეს:—„შევისყიდეთ
და გავტეხეთ ქრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.
ნუღარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანდა იქმნება:
ხვალ თავს გჭრიან,—ასეთ
ყეენისა თურმე ნება“.
უბძანა თუ:—„ადრეც მითქვამს,
არ გადვირჩენ სხვისით თავსა.
ჩემ მაგიერ არ დავღუპავ
ჩემ ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქ!.. ტყუილია
თათბირი და ყველა რჩევა!“...
ბევრს ეევდრნენ და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათს ხვეწნას და მუდარათა!

VII.

ბათენდა დღე ზართ ამხდელი,
ვაი იმა დღის დამსწრესა!
ტყვე მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავთ-საკვეთსა.
ხალხი თამაშად მოსული
ვით ჯინჭველა ირეოდა,
თვით ვეზიოიც ყეენისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.
ვეზიოს გვერთ ედგა ჯალათი
ერთი რაღაც საზარელი,
იღლიამდინ დაემკლავა
ძარღვიანი ტლანქი ხელი.
ამ ორ შუა ჩააყენეს
ფერ-მიხდილი წვალებითა...
დადგა მეფე... ღმერთს შეხედა
ნაღვლით სავსე თვალებითა.
მერე თვალი იმავ ნაღვლით
მოედანს შემოატარა...
ის ყოფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა...
შეჰკრთა როგორც ხორციელი
უმისოდაც ქანცგწყვეტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა,
როგორც ერთი დაბნედილი.
მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სჯლი...
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული.

გაოცდა და მიიხედა,
ჰნახა თვისნი დიდებულნი!...
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ,
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.
მღვდელ-მთავარიც მათთან იყო,
თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათის ცოდვით და ვაებით
ქვებიც კი ატირდებოდნენ.
თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი, ტომი
ქვეყანა და თავის ერი...
ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!
ამას კი ვეღარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!...
მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა:—„დამიხსენი!...
რაც გადამხდა, ისიც კმარა!“...
სთქვა და თქმული თვით შეჰზარ-
სახელი არ წაიხდინა... [და...
—„ჰა ჯალათო!“—დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა.

1880 წ.

23. დედა და შვილი.

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა).

დედა.

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქაროველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,—
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!...
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშ-მცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია,—
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის—რომელი დასთმოს?...
ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედის-ეროთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლო არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგგირულს გულსა
და ეგრედ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!...
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა-შენი იმ სიკვდილით შენით ვივავებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე სრული,
პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრედ ნაშოვნი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რაღად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ-სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?...

შვილი (შემოდის გახარებული)

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმოჰქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!... გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!...
მაგრამ შენ სწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დედა.

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!...
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხვარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შვილი

როგორ? მეც მგზავნი საომრადა, დედის ერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დედა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან.
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟ-კაცად იყავ,—ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შვილი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედან იძახის)

ცხენოსანი

კიაზო, წამო! რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია... ჩვენს ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შვილი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან—მეომარს, შენგან შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი!... გზათა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დედა

ვაი შენს დედას!... მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები!?
ვაი თუ მოვკვდე და ვისგანღა დავიტირები?...

(სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე უეცრად ხელს ანებებს და ზარ-დაცემულსავით თვალში თვალს უყრის და მცირეს ხანს ამ ყოფით არის).

დედა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი (გაოცებით)

მერე რომ მიყვარს?

დედა

მასთან დარჩი!

შვილი

მერე მამული?

დედა (თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული!... იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი, შვილო!... ღმერთი იყოს შენი მხსნელია...
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოთა მარტო მოვკვდები,
ვილა დამმარხავს?... წადი... წადი... ნუ გვიანდები...

შვილი

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში!
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დედა (ღონე მიხდილი გადიქცევა ლოგინზედ
და სულთ-მობრძავი ამბობს)

ვაიმე, შვილო!... შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოთა ძნელია ყოფნა...
დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!...

(კვდება)

1860 წ.

24. დამაკვირდი.

I

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულ-გრძელებითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა!

II

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.

III

არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
კაცთა მუსვრას და ომსაო!...
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო.

IV

წუთი-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია;
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია.

V

პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია.

1889 წ.

VI. აკაკი წერეთელი.

(დაიბადა 1840 წ.—სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო 1856 წელს).

ხაზოგადოებრივი პირობები აკაკი წერეთლის ჩანგისთვისაც იგეთივე იყო, როგორიც ილია ჭავჭავაძისათვის. ამიტომ გასაკვირალიც არაა, რომ ორივე მგოსნის ნაწერებში, შინაარსის მხრივ, ხშირათ დიდს მსგავსებას ვჰპოებთ.

თავისი ჩანგის კილოს აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს:

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია!
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგად ცხარი ძმარია!...

ზოგს ეტკბილება, ზოგს არა,
მაგრამ რა ჩემი ბრალია?
ბულბული ვარდს და ეკალზე
თანსწორად მომღერალია!

შესწავლის გასაადვილებლად აკაკის ლექსებსა და პოემებსაც ოთხ უმთავრეს ჯგუფად დავჰყოფთ. სამწუხაროთ, საშვალება არა გვაქვს ყოველ მის ლექსს თარიღი დავუსვათ და იძულებული ვართ—ესა თუ ის ლექსი შინაარსის მიხედვით მოვათავსოთ სხვა ლექსების წინ თუ უკან.

ა. აკაკი წერეთელი, როგორც კერძო ადამიანი, მგოსანი-მოქალაქე და მგოსანი მამულიშვილი.

1. საიდუმლო ბარათი.

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო“.
მისთვის გიდებ უბეში,
გალობ ცრემლის გუბეში,—
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!
ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლებს რომ ვღვრი მდუღარეს?
რად არ მეტყვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?
როცა მისი მარჯვენა
გრძნობით გხატავდა შენა,—
თვალს ცრემლი ვერ შენიშნე?
ვერც სახეზე მოწყენა?
როცა ამ სიტყვებს სწერდა,
გული ხშირად უძგერდა?
და თან ტკბილის გრძნობითა
სიყვარულსა დაგმღერდა?
ან, როს ფარულად მანა
შენ ჩემთან გამოგგზავნა,
ანგელოზი სუფევდა
მის გულში თუ სატანა?
არა! ამ გრძნობას განა
მიჰბეღავდა სატანა?!
მაშინ უკუღმა ბრუნვას
იწყებდა თვით ქვეყანა!
საიდუმლო ბარათო!
მექმენ... მექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო!

1 ივლისი. 1866 წ. პეტერბურგი.

2. ჩანგური.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს;
ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების;
აღტაცებით სიმთა ეღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორ-ხმოვანად გამოისმას,—
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!...
მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
აშორდება უქმად გდება
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ეფიცავ, არც ის მოსტყუვდება!
გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..
რაგინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,—
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!
სხვისი ღხენით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!...

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს!

3. პოეტი.

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა;
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა!
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირკვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელის-უფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
ეს გული სარკედ ქცეული
ბუნების ნათავზედია:
მხოლოდ მის სხეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჰკუას
გაუზომ-აუწონია!
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუა-კაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

4. ზღვას და პოეტს.

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაეშორჩილე!
ამთაგორე ტალღები,
კიდეებს გადააცილე!
მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მყუდროების დროს ის განძი
ქვეყნისთვის დაფარულია.
მხოლოდ, როდესაც მრისხანებ,—
გულს უხსნი მზე და მთვარესა;
იმ მარგალიტებს შესტყორცნი
შენს შემკვრელს არე-მარესა.
პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!...
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა!...

5. ნატვრა.

ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
ტკბილის ხმით მოჭიკჭიკე,
სიამით მონავარდე,
რომ გავგოგდე... ავფრინდე...
ფრთები გავშალო ჩქარა
და ცისკენ თავისუფლად
ისარივით ავვარდე!
მივფრინდები იმ არეს,
სად ვარსკვლავნი კრთებიან,
სადაც ხშირად კაშკაში
გააქვს მოწმენდილ მთვარეს,
იქ, სადაც მტრის ისრები
მე ველარ მომწვდებიან;
იქიდამ გადმოვხედავ
ჩემსა სამშობლო მხარეს!...
ვნახამ იმ ბრძოლის ველებს,
სადაც ბედი სწყდებოდა,
მტერი, მგონი, მემუსვრის
ანგარიშში სცდებოდა,
რადგანც ქართველს იმა დროს
თავი ავიწყდებოდა...
ბრძოლა!... სჯული და ენა
კი მითი მტკიცდებოდა.
დავეცემი გულ-მკერდით...
იმ ველზე დავეშვები,
ნისკარტით ვუამბორებ
წმინდა სახსოვარ მიწას,

წინაპრების სახსოვრად
ქვეყანას შევაბრალებ...
შევავედრებ მათ ზეცას!
მაგრამ ვით გავარჩიო
ჩვენი მკვდარი და მტერი?
ხომ სულ ერთადა ჰყრიან
არეულ-დარეული?
წმინდა ბრე წინაპრების
და მტრების ბილწი მტვერი
რატომ არ არის ნეტავ
გარჩეულ-გასაზღვრული?
არ დავსდეთ, მაგრამ ის კი
თვით ბუნებამ გასაზღვრა:
იქ ეკალი ამოდის,
სადაც მტერი მარხია,
და სადაც ჩვენმა ძველმა
წმინდა სისხლი დაჰღვარა,
იქ მოდის ყვავილები
და ზოგანც ვარდის ხეა.
ეკალს და ბალახ-ბულახს,
მტრის გულზედ ამოსულსა,
მივანებებ ბაყაყებს...
დეე, მათ უჭიყინონ!
მე ვარდის ყვავილებზედ
ავიღელვებ ამ გულსა,
ვიტიკტიკებ... და მკვდრებმა
საუკუნოდ იძინონ.
ნეტავ ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
რომ ტიკტიკით გამოვსთქვა
ვნება ჩემის გულისა;
ვწახო ჩემი სამშობლოს
ბედნიერება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა
შორის გაზაფხულისა!

6. სმღერა.

ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,
როცა ეშხით მთვრალია!
მერცხლის ტკბილი ტიკტიკიცა
გაზაფხულის ბრალია!
თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია;
და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ
ამ მღერისთვის მწყრალია.
არ დაჰკნება მითი ვარდი,
რომ დააფრთხო ბულბული,
მერცხალი რომ კიდეც მოჰკლა,
მაინც მოვა ზაფხული!
მე რომ კიდეც გამაჩუმონ,
მითი შენ რა გაკლდება:
ჩემს ადგილზე სხვა მღერალი
ათასი სხვა გაჩნდება...
მსურს მოვფინო, მშვენიერო,
შენი ქება ცის კიდეს!...
ვფიცავ, ლხინად მიმაჩნია
ტირი შენს გადამკიდეს!...
რომ დამიბან კიდეც ენა,
გულს ხომ მაინც ვიძგერებ!
ტურფავ, შენის გულისათვის
ქვეყანას დავიმტერებ!
ნათესავებს და მეგობრებს
შენთვის ყველას ვეყრები!
უსასყიდლოდ გმსახურებ და
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები!
და თუ ბედმა უნებურად
მომაშორა ეგ სახე,
მაშინ, ტურფავ, შორს მყოფიცა
ერთგულ მონად დამსახე.
თვითონაც ვგრძნობ, რომ ეს ჟინი,
ტურფავ, შენია ბრალია,
და ბრიყვი კი უსამართლოდ
დღეს ჩემზედ გამწყრალია!

7. ჩემო თავო, ბედი არ გიწერია.

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ,
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ,
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...
აღარა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს,
არ ვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვპვრეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!...
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ეხედავ, ჩემი მტერია!
რაღას ველი, დროა განქრეს იმედი;
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
ახა, ღმერთო, რა უდროვოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!...
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!...
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია!...
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...
დავუძლურდი, განქრა გიჟი ოცნება...
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
და ღმერს ვეედრებ: „ღმერო მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!...
სჯობს, სულ განქრეს კაცი, რადგანც მტვერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია,
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

8. აღმართ-აღმართ მივდიოდი.

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;
მზემან სხივი მოომფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.
შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“
და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა;
გამიკვირდა, ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?
„მოხიბლულა .. შემცდარია... ის არი!..
ალერსით მთვრალს ვერ უნახავს ისარი!“
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე შენი თავი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!
აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ვეღარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით?
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

9. სულიკო.

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო!
გულ-ამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“
ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლათ რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.
სულ-განაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო;
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს თქვა: „დიახ, დიახო!“
დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შეეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმოგაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:
„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილათ
და ღამე გაითენეო!
„სამათ გაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნათ შეგიყვარდათო!“
მენიშნა... აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!...
ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო;
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!...

10. განთიადი.

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.
მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.
მგოსანი გრძნობა-მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!
„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,

წამძლია სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დავეჩქარეო.
„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ-ვყარეო,—
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელ-ახლად გამიხარეო.
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.
„ნურც მკვდარს გაჰწირავ, ნურც
ზე კალთა დამაფარეო, [ცოცხალს,
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ
შენს მიწას მიმაბარეო, [გთხოვ—
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“.

11. ეარიბი.

ნუ კითხულობ, ვინა ვარ?
სიდან მოვალ, სად მივალ?
სულ ესა ვარ, რაცა ვარ,
რასაც მხედავ თვალ-და-თვალ!
თავისუფლად დავდივარ,
არც ბატონად, არც მონად!
ცა ქუდად არა მყოფნის,
დედამიწა—ქალამნად.
უფროსი, არც უმცროსი
ნებით არვინ მყოლია!
ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ,
ყველა ჩემი ტოლია!
ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია:
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია!
არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზე მდიდარი
არც კი გამიგონია!
მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია!
ვერ მომპარავს ვერავინ,
თან დამაქვს ეს დიდება!...
განჩინების ძალითაც
ხელი არ ეკიდება!
ჩამოდექი, პრისტავო!...
ნუ მოდიხარ, მოვალე!...
სიმდიდრეც ამას ჰქვიან...
ვინც მომცა... ვენაცვალე!. .

12. ქებათა-ქება.

ხვებმა სვან ღვინო; მე უღვინოთაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავალკეცებს
მიდამო მისის მშვენიერებით!
ვიშ ამ საღამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ-ნეტარებით შეზავებულსა!
რა უცნაურად,
მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,—
რომ საიდუმლო,
სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს,
და, სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,

იქ მარტო, მხოლოდ გულს აგრძნო-
აჰა ვგრძნობ მეცა, [ბინოს!
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით,
და ეს ქვეყანა
ყოვლგნით, ყველგანა
თავს უხრის შემქმნელს მადლით სა-
დახით ამ მთვარეს, [გრძნობით!
სხივ-მომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო
მოკაშკაშენი, [გულსა;
მოთამაშენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერ-
ძალთა დიდება, [ხულსა!
შექმნათა ქება,
არს საიდუმლო მათი ვედრება;
ქვეყნით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათა-ქება“.
ყვავილთა ენა
არს სუნნელთ ფშვენა,
საგალობელად აღმა-კმეული;
წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული,
ბუნების მაყრულს,
საქორწილოდ სრულს,
ეკავშირება, ზე ემატება;
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვსცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!...
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?...
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევა-მოსილად გარდამიცვალა?!..
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო,
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვა-
ლო!...
შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხო-
ლოდ ცილს გწამებს;
და შენ მაგიერ შენის სახელით
ის აღიარებს პირუტყულ წამებას!...
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნი-
გამოუთქმელო კაცთა ენითა!.. [ჭო,
შენგან მგოსანი ფრთებ-შესხმული ვარ
და მონავარდე აღმა-ფრენითა,—
რომ მეც გედ ივით სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო,
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალაღოთ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო!
მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივ-ცისკარა,
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!..
ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატიოსნება!...
როცა ჭაბუკი, გამოუცდელი,
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,—
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს
იმაში შენათხზ-შეერთებულად;
და საამქვეყნოდ გულ-გრილ მო-
ხუცი
დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც პირ-
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა [ველად,
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!..
სხვებმა სვან ღვინო!... მე ღვინო-
დაც
მთვრალი ვარ მეტრს სიხარულითა!..
ემატა სოფელს მშვენიერება
ჩემ თვალში მისის სიყვარულითა!..

1900 წ.

B. სამშობლო მხარე, მისი აწმყო, წარსული და მომავალი:

13. ამაო ძებნა.

მაისის ღამე ბნელ-თვალიანი
აგერ განთიადს ესალამება,
და ვარსკვლავთ კრება უხვ-სხივიანი
გულდაწყვეტილი ნელ-ნელა ჰქრება.
იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმა,
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა;
წყნარად დაჰქროლა დილის ნიავმა
და სუნნელება ქვეყნად მოჰფინა.
მამალთ ხმამაღლა იწყეს ყივილი,
მუშებს აუწყეს მით გათენება;
აღიძრენ ჩიტნი და ერთხმად ტკბილი
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.
შემოქმედების სარკევ, ბუნება!
ვინ ჩაგისხა ეგ ძლიერება?...
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
გჰვრეტდეს ჭარ გრძნოს მან ნეტარება?
მაგრამ რას ვხედავ! აჰა ჭაბუკი,
რომელიც შენ ყურს სულაც არ გი-
ვდებს,
კვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს!
მთა-კლდეთ შეჰბღავის, ჩასძახის
ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფელ-მიმავა-
ლსა,
მაგრამ ვერ ჰპოებს ნუგეშის მცემელს
და უმრავლდება წყლული საწყალსა!
მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვალთ გამ-
ხმართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინა-
საზარელ, უხმო ამა პასუხით [პართა.
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულის ამბავს ის ევედრება.
მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მოაქანებს ას-წლოვან ხეთა, [ლი
მალმალ ტალღით სცემს განრისხებუ-
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდე-
თა,—
რომ მსწრაფელ მორეცხოს მან სისხლი
მის კიდეებზე გადათხეული, [ძველი,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მისგამოა აღელვებული.

14. მოგონება.

სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა
ზედ დასტირიან რაღაც საგანსა
და უცნაურის თანაგრძნობითა
ეს [illegible] ეტყვის მათ ბანსა.
ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე
მოთქმა!..
ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა:
მხოლოთ ამისი ეს მაცდური ხმა
გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა.
ეს არის ჩემი თანამგრძნობელი,
ეს ისმენს მხოლოთ ჩემს აღსარებას;
მეალერსება, ვითა მშობელი,
და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარე-
ბას.
სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს,
მომცეს წარსულთა დროთ მოგონება
და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს.
ჰა, წარმომიდგა თვალ წინ ჭაბუკი,
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ჭღვრი-
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი [და,
უფროსების წინ თავს არ იხრიდა.
პირმოთნეობით ის დაჩაგრული
არავის სთხოვდა თვის წარმატებას

და, სიმართლისთვის თავ-განწირული,
აღიარებდა ჭეშმარიტებას. [ბას,
უშლიდა მოძმეთ სულის მდაბლო-
ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას,
მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!
„გამოახილეთ,—ამბობდა,—თვა-
ლი!
შეიტყეთ, გლეხიც თქვენი ძმა არი!“
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
„ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმა-
რი!“
დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდ-კაცებს ჰგმობდა პირ-უთნეველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...
ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად!
მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა
უფროსების წინ იმათ მტერი,
თუმც ჩუმათ ხმირათ ცრემლებს კი
ღვრიდა,
გაუკითხავი ყველგნით... მშიერი.
შიმშილ-წყურვილით გახდა ის ავად,
მისი დაცემა ყველამ იხარა;
მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოთ მიწამ დაფარა.
ოჰ, უგნურებავ! ოჰ, საძაგლობავ!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.
ვინც მოუწრაფა საწყალს სიკვდი-
ლი,
იმას კი გრძნობით არ ვინ აკურთხებს;
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მამის საფლავს გადაადურთხებს.
კურთხეულმც იყოს ამგვარი შვი-
ლი!...
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:
ვინცა სამშობლოს უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!

15. ოცნება თარზე.

მიყვარს თარი, გულ-საკლავად მკვნესარი:
მწუხარების უკუ-მყრელი ეს არი!..
სიმები რომ დაიწყებენ ულერასა,
სული ჰშფოთავს, გული შეიქმს ძგერასა;
ყურსა ვუგდებ უცნაურსა ციურ ხმას,
ვიორკეცებ აღტაცებით გულის-თქმას;
მით ვივიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
შორს მივჰყევარ მომხიბლავსა ოცნებას:
ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულს ფის კუთხეს,
ყვავილებსა, სუნნელებს მფშვინავს,
და ბულბულსა, ზედ ხაამად მსტვენავსა.
ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარე!..
არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე;

რადგანც ელის განთიადის ცისკარსა,
ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!
რა ხალხია! რა ხალხია აქ მდგმური!
ერთობა და სიყვარული აქვსთ ძმური.
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,
წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან,
სამშობლოსთვის შეუწირავთ მთლად გული
და უსტვენენ ისე, როგორც ბულბული!
ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მბარეა?
მაგრამ არა!.. ვიცით, რომ სიზმარია!...
სიმი შესწყდა... თარმა ხმა შეიცვალა...
ოცნებამაც დაჰკარგა მისი ძალა...
თვალთ წინ ჰქრება საამური ჩვენება:
ბაღის ნაცვლად, სხვა რამე მეჩვენება!...

16. ეროხიდან „ბოდვა".

(შემოკლებით)

I

Ცრემლში ნალესი ნაღველი
მინდა, რომ მელნად ვიხმარო,
საწერლად მივსცე გლახ-გული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!
მის ნაცვლად ენა ჩავუწო. —
საწვერ-მახვილო ის არი,
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!
თავგანწირულად პირდაპირ
შევეჭიდები ქვეყანას!...
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას?...
თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით
ვერ ვინ შემიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულს მადლს და ცოდვასა.

II.

ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა
ღვთის-მშობლის წილ-ნახვედრია,
ქალწულ დედისგან ნაკურთხი
ძისადმი შენავედრია!
აქ ნინო, თაპარ, ქეთევან
სამარადისოდ ქებულან,
დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინვებულან.
აქ ჩვენი ძველი დედებიც
სამაგალითო ყოფილან:
ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,
რადგანაც მისთვის შობილან!
გამოუზრდიათ გმირები
სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად,
და მით გვაძლევენ მაგალითს,
თითქოს ზღაპრად და არაკად!
დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!...
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ვეღარ ახელსა!

ვერ ახელს მიტომ, რომ სხვა მხრით
უპირავს შემცდარს თვალები...
და უნდა ღირსად შევამკოთ
ჩვენც დღევანდელი ქალები.

III

Dრო წავიდა, სხვა მოვიდა,
დღე დაწვა და ღამე შობა.
—„ზრასტის“ ვეტყვი ზოგიერთ
აღარ ესმის „გამარჯობა!“ [ქალს,—
ვეტყვი, მაგრამ სად მოვნახო,
სახლში რომ არ დამიხვდება?
დილას ადრე კატასავით
ის ხომ კარში გამოხტება!
თითქოს რამე დაჰკარგოდეს
და ეძებდეს დანაკარგსა...
მაგრამ ვისთვის? ოჯახისთვის
შესაძენს და განა კარგსა?
სულაც არა! სხვა რამესთვის
მიჰქრი-მოჰქრის და ფარფაშობს!
აღარ ახსოვს მას ოჯახი,
არც იგონებს ქმარს და ნაშობს.
სძულს წარსული, აწმყოს ეტრფის,
მომავალში მისთვის ბნელა;
იმდენს ჰგრძნობს და იმდენს ჰფი-
რამოდენსაც ბუზ-პეპელა. [ქრობს,
ბევრი იტყვის: „ნეტავ ჩვენში
ამისთანა ვინ უნახავს?
აბა ერთი მიგვითითოს,
ვიზედა სწერს? ვის გვისახავს?
უკაცრავად, ვერ გავამხელ
იმათ გვარს და იმათ სახელს,
უფრო მალე გავიმეტებ
მოსაპრელად ენას და ხელს,
სარკე თვითონ გამოაჩენს
მისის სახით თვითეულ ქალს
და თუ ვინმე მახინჯია,
მე არ ვიღებ ჩემს თავზე ბრალს!...

მხოლოდ ვამბობ: ბუნებაო,
რად შეამკე ეგრე სრულად,
თუ იმ შენს მადლს, დიდებულს ნიჭს,
ატარებდენ გაბასრულად?!
თუ ქვეყანას არას არგებს,
განა არ სჯობს დაბნელდეს მზე?
ქართველ ქალის ჩვენ ამ დროში
რას გვარგია სილამაზე?
ჰეი, ჰეი! ველარ ვხედავთ
დღეს ძველებურ ქართველ დედებს,
მათ მაგიერ მომავალზე
ველარავინ გვაიმედებს!

IV

Mაგონდება შაჰ-აბაზი
მთელს კახეთზე გულმღელვარე
და იმის წინ ტყვედ წამდგარი
ქალი ეშხით მოელვარე.
თრთის ყეენი ფერწასული,
ჰხიბლავს ქალის მის შვენება;
მოეღელვა გულზედ სისხლი,
აეშალა ვნებათ-ვნება;
და ტყვეს ჰკითხავს: „ჩვენება ხარ,
თუ ნამდვილი მიწის შვილი?
თავს გვირგვინი გეკადრება
და რას ნიშნავს ფეხთ ბორკილი?“
—„ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძა-
ქალი მტკიცედ ეუბნება: [ლას!“
„ალბად ღმერთთან შემცოდე ვართ...
კურთხეულ არს მისი ნება!...
„ვხედავთ, მაგრამ შენდა თავად
ჩემ წინაშე რა გაქვს ბრალი?
ნუთუ მართლა ბრძოლის ველზე
გამოსულხარ სუსტი ქალი?
—„რატომ არა?... ქალი რომ ვარ,
უფრო ჩვილი არ მაქს გული!
აქ მასხია ჩემის ქვეყნის
ერთგულება-სიყვარული;

და ეს არის, დღევანდელ ჭირს
რომ მიქარვებს... მიადვილებს!...
მამა-პაპათ მიანდერძეს,
რომ გადავცე მეცა შვილებს...
მამა არ მყავს!... თათრის ომში
მოკლულია ჩემი ქმარი!...
შვილები ჯერ არ დაზრდილან...
მეღა დავრჩი მეომარი.
ვერ ვაკმევდი ოჯახს სირცხვილს,
მომეხადა უნდა ვალი:
მამა-კაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი.
და ავიღე განა მიტომ,
რომ ბორკილზე გამეცვალა!...
ეჰ!.. რა ვუყოთ! ნათქვამია:
„აღმართსა ჰხნამს მეტი ძალა!“
ერთით ერთზე ვერ მოჰბედავ...
გუნდით ებრძვი ყოველ ქართველს!..
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს!“

V.

ვით მრისხანე ანგელოზი,
მცველად მდგომი ედემის კარს,
ყეენის წინ სდგას ტყვე ქალი,
თავ-ბრუს ახვევს და სცემს თავ-ზარს.
გალომებულ-გავეფხვებულს,
აღელვებულს ქართველსა ქალს
მოთმინებით უსმენს სიტყვებს...
ვერ აშორებს ძლიერი თვალს!
„ბაშვადონუმ!“—ბოლოს ბრძა-
ქალი უნდა ამისთანა! [ნა,—
ვხედავ, რითიც მიმკლავდება
ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა!...
„გული მიწვევს მათ სამუსროდ...
გონება სხვას მეუბნება:
ძნელი არის ამისთანა
ხალხის ჩვენგან დამონება!
„არ შეიცვლის არც ზნეს, არც ფერ...
სანამ სრულად არ გაჰქრება!...
და ცოდვაა ამისთანა
მტკიცე ხალხის აოხრება!...“
ეს ბრძანა და სარდლებს უთხრა:
„შეაყენეთ სისხლის ღვრაო!
მზემან შუქი მომაფინა...,
ვნება გულის დამიცხრაო!“

VI.

„მხეცი იყო შაჰ-აბაზი
და პირუტყვი იმ დროს ერი;
მაშინ ყველა იტანჯოდა,
და დღეს კი ვართ ბედნიერი:
„აღარც ომი, არც სისხლის ღვრა,
არც ტყვეობა, არც შიმშილი...
და რად ვიტკენ უტკივარ თავს,
ცხოვრება მაქვს როცა ტკბილი?“
ამგვარ პასუხს იძლევნება
დღევანდელი ჩვენი ქალი!..
იყურება და ვერ ჰხედას,
გახელილი თუმც აქვს თვალი.
აბა ჰკითხეთ, ვისთანა ჰყავს
და როგორ ზრდის თავის შვილებს?
უზრდელობად ჩამოგართმევს,
უპასუხოთ გაგაწბილებს.
შვილი მიტომ გააბარა,
თვითონ მაზე არ იფიქროს;
თავს ვერ ართმევს სხვა საქმეებს,
ვერ დაჰკარგავს უბრალოდ დროს:
დავიზიტობს, ბალში დადის,
ხელოვნებას ვერ დასტოვებს,
თაყვანსა სცემს გრძნობით სავსე
ლოდებსა და ტარტაკოვებს.

VII.

ქალებმაც რომ გვკითხონ კაცებს:
„თქვენ რაღა ხართ, ჩვენ რომ გვწუ-
ნობთ?

განა თქვენ კი ცხოვრებაში
ჩვენზე ნაკლებ მაიმუნობთ?
ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:
მეგობარს და შვილის მშობელს?
თუ ფულსა და პროტექციას,
სინიდისის დამამხობელს?
როდის იყო, რომ მოგწონდათ
და ეტრფოდით მუშა ქალებს?
თქვენვე არ სდევთ ბუზ-პეპელებს?
ვერ აშორებთ გულს და თვალებს?!
თქვენ არა ხართ, რომ გვიჩვენებთ
შავს თეთრად და თეთრს კი შავად?
უთავ-ბოლოდ თუ ვირჯებით,
იმიტომ რომ ვერ გცნობთ თავად!"
ეს რომ გვკითხონ, რაღა გვეთქმის?
ჩავიგუბოთ პირში წყალი!
წავიყრუოთ და ჩვენს საქმეს
ავარიდოთ ჩვენვე თვალი!...
თორემ აღარ მოხერხდება
ჩვენის თავის გამართლება,
და დრომაც რო გვიკიჟინოს,
ღირსი ვართ და გვემართლება.

VIII.

ბული მწყდება, მაგონდება
სიყმაწვილე გადასული!...
ხსვაგვარ ვგრძნობდით, სხვას ვფიქ-
სხვანაირად სძგერდა გული. [რობდით,
ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს
თავმოყრილი ერთად, სრულად;
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მოწამე-მოციქულად.
ჩამოვედით; ვიწყეთ ბრძოლა,
მივიტანეთ იერიში;
არ გვქონია სხვისი რიდი,
არც გვდებია გულში შიში,—
სანამ ბედმა უკუღმართმა
არ დაგვსეტყვა, არ დაგვმეხა,
და სურვილით სავსე გული
უდროოდ არ გაგვიტეხა.
მაშინ მხოლოდ ცხოვრებამაც
შეგვიტოპა... შეგვითრია...
და მას შემდეგ შრომის ოფლი
ქვეყნისთვის არ დაგვიღვრია.
და რაღა ვართ? დღეს სულ სხვა
გადვიქეცით მხოლოდ ენად, [ვართ;
მოყვრის გულის მოსაკვლელად
და მტერების მოსალხენად!
„ჰამა გვინდა და სმა გვინდა!"
აი ჩვენი საჩივარი!...
არ ვფიქრობთ, რომ ღორმუცლობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი.
საზრდო უნდა კაცს იმდენი,
რომ განაგრძოს მუშაობა,
და მეტისმეტს ვინც დაეძებს,
თანვე ახლავს პირშაობა.
მაგრამ, ჰეი, ვინ არ სცდილობს,
რომ კარგათ სვას, კარგათ სჭამოს,
ჩაიცვას და დაიხუროს,
თვალსა და გულს ასიამოს?..
ამ სურვილებს ვერ ასცდება
ვერც ძველი და ვერც ახალი!
თითქოს მხოლოდ ესღა იყოს
ცხოვრებაში ჩვენი ვალი!

IX.

მაგალითად გინდ ავიღოთ
იმერელი კიკოლიკა:
მოციქულად მზადდებოდა,
ადვოკატად გაიტლიკა!
დღეს დასცინის თავის წარსულს!..
შეცდომად სთვლის!.. სხვებსაც სძრა-
გარეულებს შეურიგდა, [ხავს!
შინაურებს აძრობს რა ტყავს!..
ქურქს იკერავს... აღარ სცივა.
ემატება შნო და ძალა;

ხალხსაც მოსწონს, და ტაშის კვრით
შესძახიან: „ბარაქალა!“
იქ რომ მივსწვდით კიკოლიკას,
ქართლშიც ვნახოთ ტეტიკელა:
პირობა და ‘ორი აღთქმა
დაავიწყდა ჩვენში ყველა!...
„ამყოლს აჰყევ, ჩამყოლს ჩაჰყევ!“
დღეს ეს არის მისი მცნება;
ჩაბმულია სხვის ფერხულში
და მაღალ ბანს ეუბნება!
კაკალს შოვობს და ქვაც მზად აქვს,
დროზედ ჰკრეფს და დროზე ამტვრევს!
სათვალთ-მაქცოდ მღვრივეს სწმენდავს,
მაგრამ უფრო წმინდას ამღვრევს,—
რომ თევზები წმინდა ბადით
უფრო მარჯვეთ დაიჭიროს,
უმასპინძლოს მუქთა-ხორას,
გულ-უხვობით გააკვიროს,
და იმათი დახმარებით
ხმა გაიგდოს, ისახელოს;
იბურთაოს ცხოვრებაში,
გადაავლოს ბურთი ლელოს!..
ბრბო რას ამბობს? რა უნდა სთქვას?
შენატრის მის ხერხს და ძალას!
მაგალითად მიაჩნია
და შესძახის „ბარაქალას!“

X.

მხოლოდ ერთი ფეხ-შიშველა,
კუჭ და მუცელ ცარიელა,
მათ უყურებს მწუხარებით
მეწალკოტე ტარიელა.
ხან იცინის ნაღვლიანად,
ხან ცრემლებს ჰღვრის მწუხარებით
და გულში კი ასე ჰფიქრობს
გამოცდილის დაკვირვებით:
ხეს როდესაც დაჰკრავს სუსხი,
უმალ წვეროს დააჩნდება,
გაყვითლდება ნელა-ნელა
და ფოთლებიც დასცვივდება!..
დროზედ უნდა მიშველება,
რომ არ გახმეს ძირიანა;
გადასხეპვა ეჭირვება,
წამალია მისი—დანა!

17. მესტვირე რას ამბობს.

ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო!
აქამდე ძველ დროს მოვსთქვამდი,
ახლა ახალსაც ვსტირიო!..
ღმერთო, რა ვნახე?! რას ვხედავ?!..
რა დრო დაგვიდგა ესაო?
სიმტყუვნე გულში იცინის,
სიმართლემ დაიკვნესაო!..
მელა მექათმედ დამდგარა,
მწყემსობას ჩემს მგელიო...
ეშმაკი ეშმაკს პატიჟობს;
„სასუფეველში გელიო!“
დიდება შენდა, უფალო!
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თვალი, ენა და ყურიო!...
ცრემლით მევსება ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,
ახლა ახლებსაც ვსტირიო!...

18. სიმღერა.

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ-ტაროსი შგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აოარკეცა თვისი ძალა!..
ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი,

მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.
მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი?!
სჯობს მიჰბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს;
საზრდო მისცეს სულსა და გულს,
მით სურვილი დაიმწიფოს;
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,—
მაშინ ისევ გადმოფინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალი,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული
ახლო არის მომავალი!“
დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით!..
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

19. ავადმყოფი.

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
[illegible]
ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება!
ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით:
გულსა—სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა!
მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარ-
არ გვიმართებს ორგულობა! [ჩენს,
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდ-სულობა!
დეე, მისთვის გავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?
არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და, როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..

ვ. მშრომელი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი:

20. გლეხის აღსარება.

ოჰ, დარდების ამშლელო,
ჩემის გულის ხაზი ხარ!
თავდახრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზედ მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ.
ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ,
თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!...
რომ იცი, რაღად მკითხავ:
ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო,
რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყედო
აქ, იქ შენ არ ცხონდები!

ხალხსაც მოსწონს, და ტაშის კვრით
შესძახიან: „ბარაქალა!“
იქ რომ მივსწვდით კიკოლიკას,
ქართლშიც ვნახოთ ტეტიკელა:
პირობა და შორი აღთქმა
დაავიწყდა ჩვენში ყველა!...
„ამყოლს აჰყევ, ჩამყოლს ჩაჰყევ!“
დღეს ეს არის მისი მცნება;
ჩაბმულია სხვის ფერხულში
და მაღალ ბანს ეუბნება!
კაკალს შოვობს და ქვაც მზად აქვს,
დროზედ ჰკრეფს და დროზე ამტვრევს!
სათვალთ-მაქცოდ მღვრივეს სწმენდავს,
მაგრამ უფრო წმინდას ამღვრევს,—
რომ თევზები წმინდა ბადით
უფრო მარჯვეთ დაიჭიროს,
უმასპინძლოს მუქთა-ხორას,
გულ-უხვობით გააკვიროს,
და იმათი დახმარებით
ხმა გაიგდოს, ისახელოს;
იბურთაოს ცხოვრებაში,
გადაავლოს ბურთი ლელოს!..
ბრბო რას ამბობს? რა უნდა სთქვას?
შენატრის მის ხერხს და ძალას!
მაგალითად მიჩნია
და შესძახის „ბარაქალას!“

X.

მხოლოდ ერთი ფეხ-შიშველა,
კუჭ და მუცელ ცარიელა,
მათ უყურებს მწუხარებით
მეწალკოტე ტარიელა.
ხან იკინის ნაღვლიანად,
ხან ცრემლებს ჰღვრის მწუხარებით
და გულში კი ასე ჰფიქრობს
გამოცდილის დაკვირვებით:
ხეს როდესაც დაჰკრავს სუსხი,
უმალ წვეროს დააჩნდება,
გაყვითლდება ნელა-ნელა
და ფოთლებიც დასცვივდება!..
დროზედ უნდა მიშველება,
რომ არ გახმეს ძირიანა;
გადასხეპვა ეჭირვება,
წამალია მისი—დანა!

17. მესტვირე რას ამბობს.

ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო!
აქამდე ძველ დროს მოვსთქვამდი,
ახლა ახალსაც ვსტირიო!..
ღმერთო, რა ვნახე?! რას ვხედავ?!..
რა დრო დაგვიდგა ესაო?
სიმტყუვნე გულში იკინის,
სიმართლემ დაიკვნესაო!..
მელა მექათმედ დამდგარა,
მწყემსობას ჩემოს მგელიო...
ეშმაკი ეშმაკს პატიჟობს;
„სასუფეველში გელიო!“
დიდება შენდა, უფალო!
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თვალი, ენა და ყურიო!...
ცრემლით მევსება ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,
ახლა ახლებსაც ვსტირიო!...

18. სიმღერა.

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ-ტაროსი შგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!..
ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი,

მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.
მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი?!
სჯობს მიჰბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს;
საზრდო მისცეს სულსა და გულს,
მით სურვილი დაიმწიფოს;
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,—
მაშინ ისევ გადმოფინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალი,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული
ახლო არის მომავალი!“
დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით!..
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

19. ავადმყოფი.

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
[illegible]
ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება!
ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით:
გულსა—სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა!
მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარ-
არ გვიმართებს ორგულობა! [ჩენს,
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდ-სულობა!
დეე, მისთვის გავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?
არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და, როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..

ვ. მშრომელი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი:

20. ბლეხის აღსარება.

ოხ, დარდების ამშლელო,
ჩემის გულის ხაზი ხარ!
თავდახრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზედ მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ.
ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ,
თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!...
რომ იცი, რაღად მკითხავ:
ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო,
რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყედო
აქ, იქ შენ არ ცხონდები!

ცხადად შენ მაგონდები,
შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები,
მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დამეძებ?!
შენი ნატვრა ეს არი:
„ნეტავ ვინ გაასწორა
ერთადო მთა-და-ბარი?!“
ამით ჩვენის კავშირის
უფლებით ხარ შემცვლელი;
ძლიერმა სუსტი მნახე,
დაჩაგვრა შეიძელი!...
მაშ ახლა რაღად სწუხარ,
ახალ დროს რომ მოელი?
რად არ მეტყვი: „ძმები ვართ,
მოდი, მომხვიე ხელი“?!...
თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ,
მე—ჩამოგიყრი ყურებს;
მტერს ვინ უწინაღმდეგებს,
რომელიც ჩვენ შეგვყურებს?
ერთმანეთის მტრებს ველარც
მამული გვიმსახურებს
და ახალ დროს დაგვასმენს,
შვილის-შვილთ მოგვამდურებს.
მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა
შენ როგორღაც გემწარა,
შეუბნები: „შენ ვინ ხარ?
ვისი ტიკი-ტომარა?“
მაგრამ, ჩემო კეთილო,
იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა,
და მაშინ აღიარე,
მართალს ვამბობ, თუ არა?!...

21. იმერული ნანინა.

(სიბატონო ყმების ახალ-შობილ შვილებს).

ბაპუტულო გლეხის შვილო,
შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილათ, უდარდელათ
რამ დაგაძინაო?
დედის გვერდში მიგიგნია
შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!...
დედა ეტყვის: გენაცვალოს
შენი მშობელიო!
ძუძუებში ჩაგივლია
პაწაწა ხელიო!
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს
მე ღვთის-მშობელიო!
მამი-შენის ბედის არ ხარ,
შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის!
ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!..
ღმერთს შენი ბედნიერება
წინედ უსახავსო;
შენც მის ნაცვლათ ემსახურე,
ნურას იზამ აკსო:
დედას თმას ნუ მაწეწინებ,
ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიპირს; ხომ შეიტყე
ბატონი არ გყავსო!
რისთვის შეკრთი? მართალია!
რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!...
ბაიზრდები, გენაცვალე,
თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს,
ვერც გაგტეხს ვალიო;
შენს მტერსა და მოშურნესა
დაუდგეს თვალიო;
პირისა და ავ-თვალისგან,
გიხსნის უფალიო!

ხომ გიამა, გენაცვალე!
მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!...
 Დიდი-კაცის შვილს სკოლაში
გვეოდთ მოუჯდებიო;
აბა, შენ იცი. ბიჭოჯან,
როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონის შვილს სწავლაში
ნუ ჩამორჩებიო:
„გლეხსა ნიჭი არა აქვსო,“
არ აფიქრებიო! ..
შენი დაჩაგრული ძმები
შენ უნდა იხსნაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იან-ნანინაო!
ჩინოვნიკებიც არიან
ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ,
გვეტყვიან: „ხვალეო!“ —
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ,
მაშინ კი—„მალეო!“
ამას შენ ველარ გეტყვიან,
შენ გენაცვალეო,
რომ ველარ დაგიბრიყვებენ,
თუ რომ თავი სცნაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!
ბაწაწინა იადონო
და ვარდის კონაო!
დღეს ხომ კარგათ გაიგონე
ჩემი ნანინაო?
და თუ კარგათ გაიგონე,
ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე!
იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყე ამ სოფლისა
ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!“

22. მამლის ეივილზე.

(შემოკლებით).

ჩამოსტირის ზამთარს პირი,
დაღრეჯილა ტყე და ველი.
არ ვარგია ქალაქს გარედ
საცხოვრებლად აწ სოფელი.
გარედ სწვიმს და ტალახია.
გული კვნესის, შფოთავს გული!..
უნდა დარჩე სახლში მარტო,
ტუსაღივით დამწყვდეული.
დამიძახეთ მოხუც-გამდელს,
შემაქციოს მაინც ზღაპრით!..
მითხრას ამ მთის, ან იმ ბარის,
თუნდ პირდაპირ, თუნდ გადაკვრით!
შემოვიდა დედა-ბერი,
ჩვეულებრივ მოიკეცა;
მოჰყვა ზღაპარს, მაგრამ ჯერ კი
მოაგონდა მაღლა ზეცა:
„ღმერთზე დიდი არვინ არის!..
ვერც იქნება ვეროდესა!
წყევლა-კრულვა პილატეს და
შეჩვენება ეროდესა!..

II

„იყო ერთგან ერთი კაცი
ობოლი და მარტოხელა;
ბატონი, ყმა, ერი, ბერი
სულ კისერზე აწვა ყველა.
მას ემართა მათ ყველასი
ერთგულება—სამსახური.
მაგრამ ერთხელ კილო-კავად,
სადღაც თურმე მოჰკრა ყური,
რომ ბატონი ტყუილია,
მატყუარა არის მღვდელი...

ძიანება თავი სახნისს
და მოავლო ხანჯალს ხელი!
სთქვა საწყალმა გუნებაში:
თუ გადვურჩი მე ამ ორ ჭირს,
ჩემს ბედს ძაღლიც აღარ დაჭყეფს
მომავალში!... რაღა მიჭირს?".
და ორივეს გაუცხადა
მტრობა... ბრძოლა პირდაპირი:
ჰსურდა მოეშორებია
ამნაირად ჭირით ჭირი.
„აირია მონასტერი,"
აიშალა შინაობა!..
რისი ძმობა?.. რა ერთობა?
რა მღვდლობა?.. რა ბატონ-ყმობა?!
გადამხალდა ყველაფერი.
„ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა."
ვერც დიდი და ვერც პატარა
საკეთილოს ვეღარ გრძნობდა.
გაჩნდენ მაშინ შუა-კაცად—
ვითომ უფრო შეგნებული;
ერთმა სხვა სთქვა, მეორემ სხვა...
აუცრუეს გლეხ-კაცს გული!..
თითქოს ხელში სჭირებოდეთ
მათ ზღაპრული ნატვრის თვალი,
ყველა ერთად მოინდომეს...
დაბნიეს გზა და კვალი!...

III.

„მაშინ გაჩნდა ერთი ვინმე
და მიჰმართა მოჩხუბრებსა;
რაც რომ ჰქონდა ვანძრახული,
უთხრა, როგორც მეგობრებსა:
რას ჩადიხართ? აგრე როგორ
აგრევიათ ყველას ჭკუა,
რომ თქვენგანი ყველა ერთად
გარე მტერმა მოატყუა?..
როცა ებრძვით თქვენ ერთმანეთს,
ხომ სუსტდებით ერთად ყველა?
თქვემი მტერიც მაგას უცდის;
ხელს ჩაგკიდებსთ ნელა-ნელა!
გაგისტუმრებსთ ყველას ერთად
იქით, სადაც არ მოელით,
და თქვენსავე ყელს გაიჭრით,
უგუნრებო, თქვენის ხელით!..
არ გიჯობსთ, რომ გამორიგდეთ
მეგობრულად, შინაურად
და ერთმანეთს სიყვარულით
გაუწოდოთ ხელი ძმურად?
აბა რა გაქვსთ საჩხუბარი
და ან სამტრო საშვილ-შვილო?
გონს მოეგეთ, რომ არ გახდეთ
გარე მტრისგან სასაცილო!..
დღეს ვეღარ მცნობთ, მაგრამ
ბევრი ოფლი დამიღვრია".. [თქვენთვის
თქვენ მოსარჩლედ გამოვსულვარ...
და არც ქედი მომიხრია...
მაშინ სიტყვაც ძნელი იყო,
არ თუ საქმე დღევანდელი,
მაგრამ ვიყავ გამბედავი...
ჩალად მიჩნდა ეს სოფელი!
აღარც ცოლი, აღარც შვილი,
აღარც სახლი, აღარც კარი!..
გაძაღლებულ ცხოვრებაში
თქვენთვის ვიყავ მე მყეფარი.
ვხედავდი, რომ, რასაც თესდენ
ვერ მოგცემდათ ის კარგ ნაყოფს...
მაგრამ ვერას შემგონები
დაგტიროდით ვით ავადმყოფს!
ბატონ-ყმობა გადააგდეს,
ვითომ, მაგრამ თავლთ-მაქცურად,
„სადაც გავა გავად გავა,
იქვე ფენთხიც გადის ცურად!"
გადააბეს ერთმანეთზე
თავადი და გლეხი კაცი
როგორც მშვიდი, უწყინარი
ორი ცხვარი—ორი ვაცი!..

შუამავალ მომრიგებელს
ის საბელი მისცეს ხელში,
რომ ორივეს მოუჭიროს
და მოჰხაროს მაგრად წელში!..
აბა, სადღა იქნებოდა
ამ ყოფაში გლეხის ბედი,
თუ რომ უნდა მოეტანა
ბატონისთვის მეოთხედი?
ის ბატონიც, თავის-თავად
ველარაფერს აიღებდა,
თუ რომ მოსამართლის კარზე
ძაღლივით არ დაიყეფდა.
რაც რომ ჰქონდა ეკლესიას,
ჩამოართვეს სუყველა მღვდელს,
და მიუგდეს ის სარჩენად
მის მრევლსა და საწყალ სოფელს.
გაჩნდა დრამა, შუა-კაცად
ჩაერია პოლიცია...
და მღვდელიცა და სოფელიც
თანასწორაც დააქცია!...
ჩვენ წავალთ და სხვები მოვლენ!
მათ დარჩებათ ჩვენი მხარე!
მე სულ ამას დაგტიროდით
და დღესაც მდის ცრემლი მწარე!
არა! გიჯობსთ მორიგება!
ნუ იქნება მეოთხედი!—
შემოვიდეს თანასწორობა,
გაუბრწყინდეს ყველას ბედი!..
გლეხს სჭირდება მიწა-წყალი,
სადაც ხელი მიუწვდება;
„რაც ერგება, შეერგება“,
რაც არა და ტყვილა სცდება!..
თვისი შრომა, თვისი ოფლი
მოიხმაროს იმან უნდა
და სხვასაც არ მიაყაროს
იმავე დროს ქვა და გუნდა!
უნდა შვილი გამოზარდოს,
რომ პირუტყვად აღარ იყოს
და „ძმობასა“ და „ერთობას“
მაშინ მხოლოდ ხელი მიჰყოს.
სწავლა არის მხოლოდ ერთი...
ერთი მხოლოდ განათლება,
რომ შეეძლოს სუყოველ კაცს
თანასწორად ამაღლება!“
ეს რომა სთქვა, გადახედა
სასოებით ორთავ მხარეს.
ჰგავდა ბნელში მოარულსა,
უსინათლო, დამცხრალ მთვარეს“...

IV.

ბარეთ წვიმს და ტალახია,
ჩვეულებრივ არც შინ თბილა,
მაგრამ მალე გათენდება...
ჩუ! მამალმაც დაიყივლა!

1906 წ.

დ. ცხოვრების იდეალი, მამულიშვილობა და ქართველი ქალის მაღალი მოწოდება:

23. ქართული ანბანი.

უმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო!..
პირველი ასო არი: ა.
თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან,

ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ.
სამშობლო შვილსა ერთგულსა
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან,
და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს!..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ბ.
შენს ვალსა აასრულებდე
ერთგულად, რაც კი მოგანდონ;
ნუ შეგაშინებს სიკვდილი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: დ.
პირადის სარგებლობისა,
იცოდე, ძებნას დაეხსენ!
იყავ შენ მუშა ქვეყნისა...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ე.
თავგანწირულსა მუშასა
ვერ შეგაშინებს ვერავინ,
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ვ.
ვით მაღლით ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ზ.
სხვებიცა შენის მიხედვით
გამრავლდებიან თანდათან
მამულის წყლულის მკურნალად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: თ.
მიჰბაძე იმას, ვისაცა
თავს ედგა ეკლის გვირგვინი,
გვირგვინი ახლის აღთქმისა...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ი.
წინ სწორეთ წადი, რომ კვალი
მრუდე არ დარჩეს შენს უკან!..
მაშ გახდი ჯერ სწორ-მხედველი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: კ.
ეცადე სოფლის ბრუნვამა
ეგ შენი გული არი მოჰკლას!..
გამაგრდი როგორც სამსონი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ლ.

რომ ვეღარ შესძლოს მტარვლობა
სუსტის ძჩაგვრელმა ძალამან,
შესძარი სვეტი ბომონის...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: მ.
ვით დიოგენი, კეთილ კაცს
ეძებდე, გეპყრას ფანარი,
რა ნახო, დაეძმობილე...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ნ.
რომ შენით შენთა მოძმეთა
ცოტა რამ შვება იპოვონ;
სხვას რაღას ეძებ ამ ქვეყნად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ო.
და მაშინ შენი სახელი
იბრწყინებს, ვითა ლამპარი,
მარადის გაუქრობელი...
მაგრას ისწავლე ჯერ: პ.
ზღაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს
არ შეუშინდა არც ბეჟან,
თუ შეგხვდეს, ნურც შენ შეკრთები..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ.
ჭირში და ლხინში ყოველთვის
შენს მოძმეებზე იფიქრე,
რომ არ გიკვირდეს არცერთი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ.
რა სჯობს, რომ შენსა ნაღვაწსა
ჩანგზედ დამღერდეს მგოსანი
და იმ ხმით სძგერდეს გულები...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ს.
ვისაც ეს წილად რგებია.
ბედისგან ის არს ნეტარი;
სახარბი, სამაგალითო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ.
და „ვაი“ კაცსა ურგებსა:
მას ბნელი ადევს უკუნი
და წყევა საშვილიშვილო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: უ.
მას ვეღარ იხსნის წყევისგან
ვერცა დიპლომი, ვერცა ფარი,

ვერც მოპედილი საყელო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ.
ხალხის მართლ-განჩინებასა
ხელს ვერ შეუშლის მანქანი,
მანქანი ბრიკით ნაპედი...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ქ.
ნუ დაივიწყებ ნურც იმას,
რაც ზემოდ გითხარ მე წელან!
თავიდამ გაიმეორე...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ღ.
რაც წაიკითო, იფიქრე,
ბეჯითად გული მიაპყარ
და მერე კიდევ განვაგრძოთ...
შემდეგი ასო არის: ყ.
თუ დაიღალე, მითხარი,
ხვალამდინ გაგიშვებ შენ შინ
და, ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ,
რომ ყარის შემდეგ არის: შ.
რა ამდენს ასოს ისწავლი,
მერე არ გინდა ჩიჩინი:
შენ უჩემოდაც მიხვ ვემი,
თუ რა ასოა ის: ჩ.
ხომ ხედავ, გაგიადვილდა?
ჩინი უჩემოდ გამოსცან!
თუ სცანი. კიდეც მოშორდი
და გაიკვეთე ეხლა: ც.
შენს გაზრდ:ს, თუ მოგეწყინოს,
ან მოგივიდეს აწ ძილი,
კითხვა ხვალამდე გადავსდოთ;
მაშინ ვისწავლოთ ეს: ძ.
მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც
მცირეღა დაგვრჩა ნაწილი
ამ ჩვენის „ანა-ბანისა“...
მაშ წაიკითხე აწ: წ.
გამოიფხიზლე, ადუღდი,
გაცხარდი, როგორც მაპარი,
და უფრო მკვირცხლად ისწავლი,
თუ რა ასოა ეს: ჭ

თუ დაიღალე, მითხარი,
სჯობს შეისვენო ხან-და-ხან,
რომ მერე შესვენებულზედ
უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ.
ხვალ ამოსაღებს დაიწყებ,
რადგან გემატა დღეს ჯანი
მთლად „ანა-ბანის“ დასწავლით,
მაგრამ, ოჰ, დაგვრჩა ეს: ჯ.
და ვინც სულ არასა სწავლობს,
მათ უნდა ვუთხრათ ხომ „ჰაი“,
რადგანაც გამოუცნობი
დარჩებათ იმათ ეს: ჰ.

24. წეკვლა.

ქრულ იყოს მისი, სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა!
გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან ქრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!
ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა.
ქრულია მისი სხენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა;
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!

25. ეორეასლანის სიმღერა.

ვახტანგმა ხელი ხმალს ვიკარ,
მტერს როგორ შევუშინდები!
სიცოცხლეს მსხვერპლად გავსწირავ,
სულითაც დავეწინდები!
გარს ოთხი გუნდიც მეხვიოს,
მაოტოსა მეჯარებოდეს,
თუ რომ გავექცე, „ფუ“ მითხრან!
დარჩენა მეჯავრებოდეს!
ჩემი ძველების ანდერძსა
ვერ გავსტეხ დიაცურადა:
ან მოვკლავ, ან შევაკვდები
ქვეყნის მტერს ვაქაცურადა.
შეც ანდერძს გაუტეხელად
გადავსცემ შვილის-შვილებსა...
ერთის დგმის ღვაწლი მეორეს
ცხოვრებას უადვილებსა.
გულს ვერ გავიტეხ, ბაყათარ!
ვერ დავაჩლუნგებ ძველ ხმალსა
და ვერც დავაგდებ გულ-გრილად
წინა-პართ გზასა და კვალსა!

26. თოლრნიკე ერისთავი.

(შემოკლებით)

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაში ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულათ
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!...
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის, შვიდ ფერი,
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“

I.

მეფის წვეულება.

მეფე დავით კურატ-პალატს
ჰქონდა ერთხელ წვეულება—
მშვიდობის დროს ჩვენს მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა,
ილხენდენ და გაჰკიოდენ
ერთხმათ „მრავალ-ჟამიერსა.“
და, მართლადაც, რომ შვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს ვადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი, დათრგუნვილი,
შეღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ხედავდა?
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცათ აფასებდენ,
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზე მუშაობდენ,
უქმე დღეზე მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო“
სათვითოო არ იცოდენ,
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ სმაზე ახსენებდენ
საქართველოს და უფალსა,

დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ
მეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გმირებს იგონებდენ,
მამულისთვის ომებში მკვდარს,
და მღვდელ-მთავრის კურთხევითა
სვამდენ იმათ შესანდობარს.
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო.
ამ გვარივე იყო იმ დღეს
ზომიერი ჭამა და სმა;
მოილხინეს, გაშაირდენ
და ერთმანეთს ტყორცეს მათ ზმა.
ორ აზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა,
ყველას მეფის ხუმარა ჯობს,
არ ვინ არის იმისთანა!
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულათ, გალექსულათ,
ცალფეხ ზმების საპასუხოთ,
ეუბნება ორ-ლესულათ:
—„მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან
ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!“
ხუმარამ თქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
—„ხუმარათაც ვარგებულხარ,
ვაშკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო!“
აქ თორნიკეს ხსენებაზე
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
—„თქვი, ხუმარავ, თუ რას ნიშნავს
ეგე შენი გამოცანა?
რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო!...
მომიკვდა, თუ დასნეულდა?—
თქვი, ტყუილს ნუ მიბედავო!“
—მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზე
დღეიდან-კი ხელს იღებსო...
თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერცა სხვაო,
რადგან უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა,
გეევედრები ცრემლის ღვრითო!“
—მეფემ ბრძანა: „არ გიწყრები.
გმადლობ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოკჰკითხავ მას მიზეზსო.“
სახლთ-უხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ თაგიხვდეს, თუ გარეთო!“
ეს ბრძანა და ზე წამოდგა.
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოთ, ვინც იქ ჰყავდა.

II.

დარბაზი და თორნიკე.

მეფის წვეულების მეორე დღეს შეიკრიბა დარბაზი. აქ იყო თორნიკე ერისთავიც.

ახოვანი, შვენიერი,
თეთრ-წვერა და თეთრ-თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროთ
მოწიწებით—ტკბილ-ხმიანი:

თაყვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს ორივ მხრითა,
გულზე ჯვარათ ხელებს იკრავს,
თავ-დახრილი, ცრემლის ღვრითა!...
წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარი ოხვრით ვერ იქარვებს,
გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოთ ის ჩავარდა
და რომ მასზე გულს იყრიან
ისინი, ვინც მას უყვარდა...
და საერო ნება-სურვილს
მორჩილებით აძლევს პასუხს
და თან-და-თან მისი სიტყვა
შეუპოვრათ ჰეკავს და ჰქუხს:
„მწარ წარსულის მოგონებით,
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზე
მაშინდელი მაზის დაღი!...
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულად გვესეოდა
ყოველი მხრით მტრისა გუნდი!...
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქმელათ...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელათ...
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა!..
მოხუცი, თუ ახალ-გაზდა,
ერის კაცი, თუ სამღვდელო,
ყველა ერთ მხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდა ყველას ლელო!
სადღა იყო განსხვავება?
რის ბატონი?! ან ვისი ყმა?!
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულის თქმა:
რომ გულწრფელათ მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!...
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომ-კაცურათ
შეებმოდა ერთი ასსა!...
„ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოთ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შეიღება წითლად მდელო...
აღდგომის კვერცხს დაემზგავსა
ჭირ-ნახული საქართველო!...
განახევრდა ქართველობა...
მაგრამ მტერს კი ჰძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღდგა მკვრეთით!“
და მართლაც, რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთა-მბრძოლი,
და გადმოცეს შვილი-შვილთა,
მარგალიტი ვით ობოლი!..
მხედართ-მთავარ-უხუცესათ
იყო მაშინ იოანე,
შემდეგში რომ ბერათ შედგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი!

მტრისა ისრით გამხვრეტელი,
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირათ მამა-პაპის სისხლზე
თავისასაც ზე ანთხევდა!...
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება!..
სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლათ, თვისი ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის, ჩემსავით, მხცოვანებით.
მხოლოთ უთხრა დარაზმულ ჯარს:
„აწ უქმია ფარ-ხმალიო!
სხვა მმართებს აწ სამსახური
და მიმიწვევს სხვა ვალიო!“
დამლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მითხრა: „—თორნიკ, ჰა შენ გქონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი,
ვინძლო, ღირსათ აასრულო
მომავალში შენი ვალი!“
ამ სიტყვებმა მომიმატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იწყო ფოლადობა
და სულმაცა ამაღლება!
თუმცა ამ გვარ დიდებისა
ღირსათ თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურათ
დღემდი ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავ-თ იყო ის, თუ კარგათ,
თქვენს ხელთ არის დაფასება,
მე არ მფერობს ჩემი თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემი პირველობის
და მე მხოლოდ ვთავ კაცობდი,
შემწირველი დიდ მადლობის.
მეფისა და სამშობლოს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფეი, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს, სხვას დავაცლი!
იმიტომ, რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე... ძველათ:
ჩემს სისუსტეს სული გრძნობს და
გონება წყვეტს უეპველათ.
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება
აღარ ძალ უძს მუხლსა და მკლავს!
ადრინდულად მუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი...
და ვით შეეძლო, მაშ, სარდლობა,
როცა ატყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ხედავ აქ—სუყველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათას გვარათ
ბრძოლის ველზე გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვთ ჩემგანავე
ახსნილი და გასწავლული.
ჩემზე მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო,
დღეს შეშვენის მას სარდლობა
და რათ დახვდეს ღობე-ყორეთ
იმათ ჩემი პირველობა?

რომ ამხადო პირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის:
უმაღურათ ჩაითვლება,
გქონდეს რიდი ქვეყნის ენის.
და, რომ ჩემი წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოღალატე შევიქნები...
მეძულება მე სამშობლო!...
აი, მეფევ, თუ რათ ვბედავ
თქვენს წინაშე დღეს ურჩობას
და, სულ სხვა გზით მიმავალი,
გილოცავთ თქვენ გამარჯობას!...
იოანეს მივაშურებ,
შევუდგები მეც მის კვალსა
და, თქვენისვე ნება-დართვით,
სხვას გადავცემ ამ ჩემ ხმალსა!
ესა თქვა და მისი ხმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამ გვარმა მისმა სიტყვამ
გულში ბევრი აატირა...

ამ კრების შემდეგ თორნიკემ მიმართა ათონის მთას (საბერძნეთში), სადაც ბერად შედგა.

III.

ძმობა-მეზობლობა.

იმ დროს საბერძნეთის იმპერიაში აჯანყება მოხდა. ბარდა სკლეროსმა თითქმის ნახევარი იმპერია მიიმხრო და ახალგაზდა იმპერატორებს: კონსტანტინესა და ბასილს უკვე ტახტიდან ჩამოგდებას ემუქრებოდა. მათმა დედამ, დედოფალმა თეოფინიამ, კარის-კაცების ჩაგონებით, შემწეობა ქართლის მეფეს დავით-კურაპალატსა სთხოვა და ამ საქმეზე სამოციქულოდ თორნიკე ერის-თავი გამოგზავნა. დავითმა შემწეობა არ დაუგვიანა.

ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო,
ბერძნების მისაშველებლათ,
სიკეთე მოიეფეო.
ათონით დაბრუნებული,
თორნიკე მოციქულობსო
და „ორივ ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო.“
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაჟკაცი ჩვენთაგანიო,
ამაზე კარგი რათ გინდა
ბურთი და მეიდანიო?
ისარ-კაპარჭი მომართეს,
ხმალს ლესენ, ფარსა ჰფერავენ...
მათთვის სამგზავროთ ქალები
ტანისამოსებს ჰკერავენ...
ჯოჯიკ მთავარის თანხმობით,
ეს უთქვამს გამრეკელსაო:
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო!...
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივჰყვეთ შავარდნულადო,
ფიცხელი ომი ავტეხოთ,
საქები ადრინდულადო!“
ხალხიც ამ აზრზედ დამდგარა,
მასვე თხოვს კურატ-პალატსა
და, ვინც იურჩებს, იცოდეს,
მას შესწამებენ ღალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერპდა, რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორღაც
მეტათ შორს დაუჭერია.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმ თან მეფის თანხმობით
და უთხოვნიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.
მოხუციც ამის მნახველი,
თუმცა კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისე გასალებულა!
ორბელიძე და ჯოჯიკი
ორივე გააწბილაო

და ვამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულ-მკვდარი ვამბობ ვარსაო,
აწ ვეღარ გავცვლი ფარ-ხმალზე
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ ავსაო;
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო,
და მღვდელ-მთავარი თუ ამხსნის,
იქნება მისი ნებაო,
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემ გულშიც აიგზნებაო!"

მართლაც, კათალიკოზმა არსენიმ მამოზრივის დარიგებით ჩააგონა თორნიკეს, საქრისტიანო საბერძნეთის დასაცველად კვლავ ხმლისათვის მოეკიდნა ხელი. თორნიკეც დათანხმდა და მალე 12000 ქართველი მხედარი დაიძრა მცირე აზიისკენ, სადაც, მდ. ჰალიზის პირად, ბარდა სკლეროსის ჯარი იყო დაბანაკებული.

IV.

ბრძოლა.

მაღლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს,
ისე დაჰყურებს მთავარ-სარდალი;
წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნით
ყოველი მხრისკენ ჭრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს, ტურფათ დარაზმულს,
ოთხი ათასსა დაჰყურებს ჭაბუკს,
მხოლოდ იმ წამის მოლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში, გახურვებულებს,
ძლივს-ღა უტჭერენ თავს ბიდაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარ-შლით აცქვეტენ ყურებს,
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ თან იერიში
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია 'მიში!
თავში უდგია რაზმს ორბელიძე,
ჯერ ახალგაზდა გმირი სარდალი,
და იმან იცის, თუ როდის ატყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
შორს მათგან, მარჯვნივ, ქვევითი ჯარით
მოფენილია მთლად ტყე და ველი:
საფარში აჯენს შორ შორ გაფანტვით
მტრისა სამიზნოთ მათ გამრეკელი;
და მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით
მიექანება ჰალის მდინარე,
სავარსამიძის დამდგარა ჯარი,
ფარ-ხმალ, ჯაჭვ-ჯავშან-შუბ მოელვარე.
ჯავშანიძე-კი მხოლოდ-ღა ერთი
აღარსადა ჩანს, აქ არსად არი:
წინა ღამითვე მან საიდუმლოდ
აიღო ჩუმათ მტრისა საფარი.
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრათ ამხედრებს დიდ ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ
და ჯარასავით დატრიალებს გარს.
მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თარონელს,
მარცხენა მხარეს—მისვე ძმას გრიგოლს
და არ ჰგონიათ, თუ შეხვდებიან
ისინი თავის თანასწორს და ტოლს!
და ორბელიძის საპირდაპიროთ
თვით აფრანიკე გამოსულია...
წვერ-ულვაშს იგლეჯს, მეტი სიფიცხით
ალმური ასდის... გულ მოსულია:

„როგორ თუ ასე მცირე მხედრობით,
ასე თავ-ხედათ ჩემზე მოდისო?!
სიკვდილისაგან ატროებული,
მძებნელი არის სწორეთ ლოდისო!"
წინა ომებში გათამამებულს,
მარჯვე ცხენოსან, სპარსელების ჯარს
სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრულ საჩუქარს.
იმათაც ნიშნათ შეუპოვრობის
განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოთ
გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით გამრეკელისგან
სამოციქულოთ გამონატყორცი;
მას თანვე მოჰყვა სხვების ისრებიც,
გულის გამპობი და გასაოცი.
ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველი კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოთ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა...
გახურდა ბრძოლა, გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება ..
აჰა, ამოდის მხიარულათ მზეც,
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება!...
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულათ
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი.
მიუხვდენ სარდალს გულის პასუხსა
მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს,
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.
დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას!"
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირ-და-პირ ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრათ დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი, სასისხლოთ გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი,
ფარ მომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინა და გაიშალენ
სახელდახელოთ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუ-
ფათ,
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე!
კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახა-ჩუხის ხმა გულ-საზარი
არეულია და ფეხით გააქვთ [რი!..
ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდა-

V.

ბუმბერაზობა.

აგერ მხედარმა, შავით მოსილმა,
გამოახტუნა მერანი მინდვრათ,
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურათ:
—„სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები,
თუ ოომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
აფრანიკ მქვიან, შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწეო!
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკასკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნულარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!"
ხმალ-სისხლიანი, თავზე ჩაფხუტით,
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ხარი!

თვით ორბელიძე იყო ეს გმირი,
ახალ გუნდს მკაცრათ რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა
და სიხარულმა ააცახცახა!
მისი სურვილიც თურმე ის იყო,
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვა-და-სხვა რაზმში მიჰქრი-მოჰქრო-
თავი მოსწია გაქანებულ ცხენს, [და.
ყალღზე შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა:—„გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!"
მოღუნეს შვილდი, მოდვეს საცერე
და ერთმანეთსა ტყორცეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლე-
ლი!...
მერე გადიგდეს შვილდები მხარზე
და ხმლებს მოავლეს საომრათ ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა, გასაკვირვალი,
მოჩხუბართ მხოლოთ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თან-და-თან ალი!...
მოსწყინდათ ფარი და უკუ აგდეს,
დაადგენ ორივ მარტო შიშველ ხმალს;
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოთ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს!
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ ცხენს,
განზე გაუხტა და აიშორა!...
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა ..
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელ მეორეთ ხმლის მოჰარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა:
თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი, ფეხ-მალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია!...
შეკრთა აფრანიკ... დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექმნა:
იდგა უძრავათ, ვით ცოცხალ-მკვდა-
გმირთა წესია ლმობიერება: [რი!...
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
—„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგეჭიდო,—არ მეკადრება,
მხოლოთ თანსწორი იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!"
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,
მარდათ, უეცრათ ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა!
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და, ზაფრა ნაცემს,
უნებლიეთად გაუტყდა გული,
შეწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბათ დამ-
ფრთხალი,
იქითკენ, სითაც შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.

VI.

ომის შემდეგ.

ბათავდა ომი. კიდეც დაღამდა.
ბნელმა მოჰფინა ის არე-მარე.
შეწყდა კიჟინა და იმის ნაცვლათ
კვნესა მოისმის აქა-იქ მწარე. [ნეთ,
ზოგი წყალს ნატრობს სიკვდილის წი-
ზოგი შველას და შემწეობასა, [ბობს,
ზოგი ბედს ჰყვედრის და ტანჯვით ამ-
რომ სიკვდილი ჯობს იმის ყოფასა.
ისინი, ვინც რომ ერთ-წუთის წინეთ
მხეცივით სისხლით ვერა ძღებოდენ,
ახლა, იმ კვნესას რომ ყურს უგდებდენ,
იმათი ცოდვით იდაგებოდენ!...
უნდოდათ შველა, მაგრამ სიბნელით
რომ ვერ ხედავდენ აქ ველარაფერს,
ერთად არეულ-დარეულებში
ველარ არჩევდენ მოყვარეს და მტერს.
ბრძანა თორნიკემ:—„გაურჩევლათ,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი.
სიკვდილი ყველას ათანასწორებს,
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამა-
რეს.
ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაშკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავათ ისიც ეყოფა!“
ასე ისურვა და იმ სურვილზე
უარს ეტყოდა მხედრობა განა?
მხოლოთ უცდიდენ მთვარის ამოს-
და, ჰა, მთვარუმაც ამოატანა. [ვლას,
ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით
და გადმოხედა ნაზათ ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათლა და გამოაჩინა
დასანახავი გულ-შესაზარი,
თითქოს უნდოდა ეჩვენებია
კაცისთვის ბოროტ-ნამოქმედარი:
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია
ხეობა, ღელე. ტყე და მინდორი...
ვისიც სიცოცხლე დილას ჰყვავოდა,
ახლა შეიქმნა ლეში და მძორი!...
აგერ დაჭრილი...აგერ ძევს მკვდა-
გაკვეთილია საბრალო ორათ; [რი,
აგერაც ერთგან ათასზე მეტი
ზედ დაჰჩეხიან ერთმანეთს ხორათ!
ცოტა შორს, გზაზე, შავი კლდის ძი-
უწვერ-ულვაშო ეს ვინღა არი? [რში
თავს დახვიხვინებს, ტოროს ცემს მერანი,
რომ გააღვიძოს მისი მხედარი...
მაგრამ ამ ნეტარ-საუკუნო ძილს [რა,
აწ ვერ დაუფრთხობს ქვეყნათ ველარ-
დედის ცრემლების მან საპასუხოთ
აქ ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარა
და შეასრულა მით ღირსეულათ
მამულის შვილის უკვდავი ვალი:
თავის სამშობლო ქვეყნის ხსოვნაში
სამარადისოდ დახუჭა თვალი...
ეგებ სხვა რამე გულ-დასაწვავი
სიკვდილის წინეთ აგონდებოდა
და სასიკვდილო შხამი გულის წყლულს
უფრო სახმილათ ეკიდებოდა?
ვინ იცის რა და რა საიდუმლო
მან საიქიოს თან წაიტანა? [ცნოს
შორს სადმე ქართლში დედამ გამო-
ან გულის სატრფომ ეს გამოცანა...
აგერ ისრისგან მთლად დაცხრილული
გდია მოხუცი, პირ-ნათლად მკვდარი,
თითქოს ძინავსო და ეხმანება
მას შორეული ტკბილი სიზმარი...

აჰა, დაჭრილი მიფორთხებულა
ბევრი წვალებით დიდ ხისა ძირში,
სურს დაიყვიროს, მაგრამ საძრავი
ენა აღარ აქვს მომაკვდავ პირში!...
აგერ სიდღამაც უცნაური ხმით
გამოიძახის კვნესით დაჭრილი!
თავზე აწევან საბრალოს მკვდრები
და ემატება მითი ტკივილი. [ვრით
ამდენ დაჭრილის კვნესით და ოხ-
აღარსად არის აქ ყურთა სმენა;
სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარ-
არეულია სხვა-და-სხვა ენა. [სული,
გამწარებული გამოთქმის კილო
და დედა-აზრი ერთი აქვს ყველას:
წყევლიან თავის ბედს და გაჩენას
და გასაჭირში ითხოვენ შველას.
მაგრამ ბევრს მათგანს ვეღარ უშველის
სიკვდილის მეტი ვეღარაფერი,
თუმც-კი მოყვრულათ ეშველებიან
და აღარავის აღარ ჰყავს მტერი.
ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა...
აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი,
მაგრამ მათ რიცხვში ხუთი ათასი
გამოერია ქართველიც მკვდარი...

VII.

ჯარის შეხვედრა.

შამობრძანდა ქალაქს გარეთ
მეფე დავით ბედნიერი.
თანვე ახლავს ყოველი მხრით
წამოსული ქართლის ერი.
რიცხვი არ აქვს დარაზმულსა
ქვეითსა და ცხენოსან ჯარს,
შეჰხარიან ბატონ მეფეს,
მორჩილებით უვლიან გარს.
გარეშემო მთა და ბარი
წვრილ-ფეხობით მოფენილა,
თითქოს რაღაც დიდ წყალობას
ექადოდეს მათ ეს ველა.
ცალკე სერზედ უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული,
სხვებზე მეტათ დატყობიათ
საზოგადო სიხარული.
წინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს
ბაგრატ მისი შვილობილი,
კათოლიკოს-მღვდელ-მთავრები
იქვე დგანან კმაყოფილი.
სათვალ-მაქცოთ არა ბრწყინავს
ერისა და ღვთის რჩეული:
თან არა აქვს მას გვირგვინი
და სამეფო სამკაული!
მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს,
რომ ის დიდი ცხებულია,
ვინც ერისგან სულის წმინდით
ნაკურთხი და ქებულია?
ყველა იცნობს მამა-შვილურ...
არც რიდი აქვსთ და არც შიში;
მიდიან და რჩევას ჰკითხვენ,
როგორც ლხინში, ისე ჭირში.
აი, ახლაც უთვალავი
ეს ერი სულ მას შეჰყურებს
და მოელის გულის ძგერით
ნახოს, მეფე რას აპირებს.
გაიხედეს შორს მინდვრისკენ
და რაღაცას მოჰკრეს თვალი,
ძირს შავათ და მაღლა ღრუბლათ
მათკენ იყო მომამალი.
ეს იყო, რომ ბრუნდებოდა
საბერძნეთით ქართლის ჯარი
და ცხენების ფეხთა-მტვერსა
აღმა ჰყრიდა ღრუბლათ ქარი.
თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ
მხედრებს გული აუძგერა
და საგმირო, ჩვეულებრივ,
შემოსძახეს მათ სიმღერა:

„ძავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული...
ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა..
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა!...
ბოლოს მაინც გამარჯობა
დარჩა, ყველა გააოცა!
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მაღალ-ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი—ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი;
სიხარულათ შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“
მოახლოვდენ ამ სიმღერით,
დადგენ ცოტა მოშორებით,
დაქვეითდენ, წინ წამოდგენ
და დარაზმდენ აჩქარებით.
თაყვანი სცეს ერთად მეფეს,
ცალი მუხლი მოიყარეს,
სიმდაბლის და მორჩილების
ნიშნად თავი მოიხარეს.
წადგა მეფე და შესძახა:
—გამარჯვება მძლეველ ჯარსო!
ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლს და
საუკუნო სახსოვარსო!
გამარჯვება ქართველ დედებს,
ჩვენს გამზდელსა და მბრძოლებსო:
მათი ძუძუ გვავაშკაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“
ამ სიტყვებმა აიტაცა,
ააღელვა მთელი ჯარი,
შესძახეს და მათი გრგვინვით
ირყეოდა მთა და ბარი:
—გაუმარჯოს ქართველ დედებს!
ვაშა! ვაშა! მძლეველ ჯარსო,
დღეგრძელობა ბატონ მეფეს,
ქვეყნის თვალსა და ჯავარსო!“

VIII
ძღვენი.

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდვა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი.
მოახსენა:—„აჰა, მეფევ,
გრამმატაა დედოფლისო,
მაგიერი სასყიდელი
ჩვენი სისხლის და ოფლისო!
ბასილი და კოსტანტინეც
ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემო ქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილის შვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდ-ძალიო:
სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.
მაგრამ, მეფევ, მე რათ მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო?
თქვენს დიდებულ ბატონობას
შემოვწირავ ყოვლიფერსო:
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარიც ქვრივ-ობრებსო,
ამდენი ჯორ-კიდებული
ორივესთვის იკმარებსო!“
მეფემ უთხრა:—„გმადლობ, ვიცი
ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო,
მათ ჰქონდეს, და მე კი ჩემთვის
არ ვიღებ არც ნახევარსო!

შენია და შენვე გქონდეს,
მოიხმარე, როგორც გსურსო,
რაღა ძღვენი ეჭირვება
შენს ღვაწლსა და სამსახურსო?"
მაგრამ თორნიკ უპასუხებს:
—„ნუ მამჯუნებ, მეფევ. ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო.
ჯვარია და სახარება
მხოლოთ ბერის სიმდიდრეო,
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!"
ვერ შეთანხმდენ, თუმც სარდალი
ცრემლით თხოვდა, მუხლ-მოყრილი,
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავ-დახრილი.

IX

სალოსი.

ლუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩვებ-ჯიხვების მაღალ-სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდეხმე, ერთ დროს.
აღარა ჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ
და მაღლობიდან ის სადგურებიც
ჩვენს შავ-ბედს შავათ გადმოჰყურებენ.
ვერა ოთხ-ფეხი, ვერა ფრინველი,
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი!
ვერც უწმინდური რამე ქვემძრომი:
იქ ბუდობს მხოლოთ წმინდა ფუტკარი;
და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს,
თორემ სხვა, გინდა კაციც შევიდეს,
რაღაცა შიში ააკანკალებს!...
თორნიკეს დროსაც ამ გვარ ღვიმეში
ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხ-შიშველსა,
წელზე ეყარა თმები და წვერი.
ხშირათ სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთ-მოყვარება,
მუნჯათ ვიდოდა, ხმას არვის სცემდა.
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამადლიდა.
უყვარდა გლეხი, ქვრივი, ობოლი,
მამა-შვილურათ ყველას უვლიდა.
თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში
ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისი მარჯვენის მადლს ფიცულობდა
ყოველი გლეხი, გაჭირვებული.
როცა სახადი გადამდები რამ
სადმე სოფელში მოედებოდა,
ივათ მოველელათ და საპატრონოთ
წმინდა მოხუციც იქ გაჩნდებოდა.
და სასყიდელი იმისი იყო
ხმელა პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყენილი,
არც მხიარული და არც გამწყრალი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა,
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არვინ იცოდა,
თუ რას ფიქრობდა ან რას გრძნობდა.
იცოდენ მხოლოთ, რომ ბერი იყო;
ცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახ-
ლოს,
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ სალოსს".
როდესაც მეფემ არ შეიწყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სიჩუმე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წადგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველათ ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,

როდესაც ბატონს ეს მოახსენა:
—„მეფევ! სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის ‌ და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის,
სისხლის სანაცვლოთ იმათ მოიმკეს!
რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც
მამულის სახელს თავი შეწირეს
და გაითხარეს სამარე ისე, [რეს?
რომ შორს მშობლებმაც ვერ დაიტი-
რათ არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს,
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს
ქრისტიანობა იღუპებოდა!...
მთა-წმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,
იქ ააშენეთ მითმონასტრები, [დროს
რომ სუყოველ დღე წირვა-ლოცვის
იხსენებოდეს ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,
რომ მის წილ-ხვედრი მცირე ი ვ ე რ ი
მსხვერპლსა წირავდეს მის მფარველ-
მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილი-შვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!“
თქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ.
დათანახმდა ‌ ‌ ‌

გაუმტკიცებდე აღმა-ფრენასა
და შენ საქებრათ, სადიდებელათ
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!"
რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა
ზეცას შეხედეს სამთავე ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა.

27. სიზმარი.

ერთხელ მხოლოთ, ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება;
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!
ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!...
მარცხნით უდგა თინათინი,
მარჯვნით—ნესტან-დარეჯანი.
გარს ეხვიენ სხვა ქალებიკ,
როგორც მთვარეს ვარკვლავთ კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
სიცოცხლე და ნეტარება!...
შემოვიდა რუსთაველი,
ის სულ-მნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი „ვეჟხის-ტყაოსანი".
თაყვანი სცა სწორ-უპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოღვარა!...
მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი
და თვით გრძნობის ორპოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი:
მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!
ბრძანა: „გმადლობ! ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა,—
უკვდავების მოსახვეჭად
მიგაპირებ მომავალსა!"...
მიუბრუნდა მერე იქ მდგომს
ნესტანსა და თინათინსა:
„თქვენ გილოცავთ ამ ქვეყნიურს
სიყვარულს და შვება-ლხინსა!
„გიანდერძებთ საქმროდ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირად
გამოზრდიდეს შვილი-შვილსა!"
ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა...
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!..
მე კი დავრჩი... შემეშინდა!..
მიმოვავლე გარს თვალები
და რა ვნახე იმათ ნაცვლათ?!
სხვა ხალხი და სხვა ქალები!!
არც თამარი, არც თინათინ,
აღარც ნესტან-დარეჯანი!..
აღარც ერთს არ ეტყობოდა
ქართველობის რამ ნიშანი!..
გული დამწყდა!.. გამეღვიძა,
ნაღვლიანათ გამეცინა! .
ვთქვი: „ნეტავი არ მენახა,
საუკუნოთ დამეძინა!"...

28. ნათელას სიმღერა.

(პოემიდან: „ნათელა").

ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა—ديلا—ديلاو!"

თავის ჰანგებზე, თავის ხმით
წკრიალობს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა—დელა—დელაო!“
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდესჩონგური...
„ოდელა—დელა—დელაო!“
ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრები...
„ოდელა—დელა—დელაო!“
ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა:
„ოდელა—დელა—დელაო“?!
შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა—მელაო
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,
არ მოსწონს: „დელა—დელაო!“
მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე:
„ოდელა—დელა—დელაო!?“
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის—სახრჩობელაო!..
მტრებს: „ვაი, ვაი“ ვამღეროთ
და ჩვენ ვსთქვათ: „დელა-დელაო!“
კმარა, ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!..
ვერც ვუკრავ!.. ველარცა ვმღერი:
„ოდელა—დელა—დელაო!“

29. ბაგრატ დიდი.

(ნაწყვეტი).

შუაღამეა. ბნელი-უკუნი
ზე დასწოლია ქართლისა არეს,
რომ ძილში მაინც მან შეუყენოს
ოხვრა და კვნესა წყლულს ტ მწუხარეს.
ცა მშობლიური, ლაჟვარდოვანი,
ვარსკვლავებით და მთვარით შემკული,
ვით მგლოვიარე, ძაძით მოსილი,
ნისლში იმარხვის ჩაშავებული. [ვისა,
ყვავილთა, თითქოს ნიშნად გლო-
შეჰყენებიათ სუნნელთა ფშვენა,
და ბულბულნიცა ჩვეულებრივად
აღარა სტვენენ... დაჰბმიათ ენა!...
მათ ნაცვლად მხოლოდ ამ ბნელს
წყვდიადში
გამდგარა ლეშის სუნი საზარი
და მასთანც ისმის მგლისა ზუილი:
ქართვლის მძორს ეძებს გაუმაძღარი.
ამ დროს მოისმა აქ ორის კაცს
ახირებული რამ საუბარი:
ერთი ჰყვედრიდა მეორეს, მაგრამ
ჯულ-მტკივნეულად, ვით მეგობარი;
და მეორე კი შეეპოვრობით
პასუხს აძლევდა ხმის კანკალითა
და მის პირისგან ყოველი სიტყვა
გამოდიოდა რაღაც ძალითა.

პირველი ხმა

„აოხრდა ქართლი, ქრისტიანობა
ჩვენის მოწმობით თან-და-თან სწყდება,
მაგრამ გმირული მისი სახელი
უკუნისამდე არ დავიწყდება!
ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
იმისი საქმე შთამომავლობას [პარი!
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამ-
დღემდის ყოველი მეფე ქართლისა
ამ აზრით იყო ხომ შემსჭვალული?
და შენ კი, გმირო, რად გვიღალატე?
ოამ შეგიცვალა ფოლადის გული?

გვითხარ, რად დაჰგმე შენ ქრისტეს სჯული?
რად შეარცხვინე მით საქართველო?
სკიპტრა, გვირგვინი და შენი ქება
შენვე დააჭკნე, ვით მწვანე მდელო!..
ქართველთა მეფე, დიდი ბაგრატი,
სახელ-განთქმული, დღემდე სვიანი,
ისე დაეცა განა დღეს სულით,
რომ უნდა გახდეს მაჰმადიანი?
ოჰ, რა მაგალითს აძლევს ქართველებს,
განთქმულთ წინაპართ საკვირველ შვილებს,
განთქმული მეფე! მისი მიბაძვით
სულით დაცემას მათ უადვილებს!...
თითქოს გიყვარდა შენი სამშობლო?!
მაგრამ არა, სჩანს, ჩვენ ვსტყუვდებოდით:
შენ ის გიყვარდა შენ სადიდებლად,
შენ საპირადოდ!..რას მივხვდებოდით?!
დღეს კი შემთხვევამ ცხადად გვიჩვენა,
რაც გულში გქონდა შენ დაფარული;
შექმნილო კერძო ცხოვრებისათვის,
იყავ ამიერ შეჩვენებული!..“

მეორე ხმა

„ხა! ხა! ხა! ხა! ხა! გხედავ, მოხუცო,
სიბერისაგან გამოყრუებულს?!...
აზრს ველარ იკრებ სასწორ-მხედველოდ
და ვერ იმაგრებ აღელვებულ გულს.
ნუ თუ გგონია, მაგ შეჩვენებით
ის შეაშფოთო და შეაშინო
და მაგ მწარისა საყვედურებით
სინანულისა ცრემლი ადინო,—
ვინცა თავისი სამოთხე ტკბილი
მწარ ჯოჯოხეთზედ მტკიცედ გასცვა-
და ამ ქვეყნადაც გულით ატარებს [ლა
იმავ ჯოჯოხეთს!... სწვავს მისი ძალა?
მაგრამ გაბოდებს გულის ტკივილი,
ტყვე ტყვეს მამხილებ საყვედურითა
და გსურს, მოალბო ეს ჩემი გული,
ვითა ყმაწვილის, ცრემლების ღვრითა.
რაც უნდა მითხრა, არ გაგცემ პასუხს!
რაც რომ ცხადია, რაღად დავფიცო?
მაგრამ ბაგრატის პირადობა კი,
არ შეგიძლია, რომ დაამტკიცო.
ორ გვარი არის ჭეშმარიტება:
ნამდვილი და ხანც მოჩვენებული;
მათი გარჩევა მეტად ძნელია,
ხშირად სტყუვდება საბრალო გული!
და რა იცი, რომ ჭეშმარიტია,
რომელიც შენ გაქვს, ის საფუძველი
და, ვით აქამდე შენს თვალში, აწცა
ისევ დარჩება დაურღვეველი?
შენ სცდები...“

პირველი ხმა

„ვინა? განა მე ვსცდები?
შენ გინდა, ნათლად მიჩვენო ბნელი?
ნეტავი მართლა!... ოჰ, რომ შეგეძლოს
და გამიქარვო ეს ცეცხლი მწველი!..
მაგრამ ამოდ!..ვერ მოვსტყუვდები,
ცხადად ვუყურებ შენს მოქმედებას:
თუ ვითა სწირავ შენს პირადობას
ჩვენი სამშობლოს მაღალ-დიდებას.
სანამ გვირგვინი თავს გედგა ქართ-
მისთვის იყავი თავ-განწირული [ლის,
და დღეს, როდესაც ყველა დაჰკარგე,
ტყვემან იცვალე დროს შეცვლით გული.
მხოლოდ პირადის სარგებლობისთვის,
რომ დაიმოყვრო ლენგ-თემურ მხეცი,

მის წინ მლიქვნელობ და მაჰმადის
მოწიწებითა თაყვანი ეცი!“ [სჯულს

მეორე ხმა

„მისთვის,რომ მიყვარს მე საქართვე-
ლო!“

პირველი ხმა

„არა, ეგ რა სთქვი! ვინ იტყვის უარს
თვის საყვარელზე და აიღებს ხელს?
სჩანს, ადრეც გძულდა და არც აწ
გიყვარს.“

მეორე ხმა

„ეგ იმან მითხრას, ვინც სამშობ-
ლოსი
ჩემზედ უმეტეს ნამსახურია
და ჩემზედ მეტი იმის გულისთვის
ოფლი და სისხლი ერთად უღვრია!
ჯერ დამიმტკიცე, აბა მიჩვენე
ბრწყინვალე ღვაწლი შენი წარსული
მამულისადმი, და ჩემს ღვაწლსაცა
შენ შეუწონე ის დაფარული,
რომ მით დამტკიცდეს, თუ ამ ჩვენ
ორში
ვის უფრო უყვარს თვისი მამული
და საპირადოდ, კერძოობითა
ვის უფრო უცემს ამაყი გული?
აბა მოჰყვი!“

პირველი ხმა

„შენ კარგად იცი,
ვის არ ჰსმენია ჩემი სახელი?!
სადაც იოსებ კი შევარდნილა,
გამაგრებულა იქ ბრძოლის ველი.
სანამ სიბერემ არ დამასუსტა,
მტერზედ მახვილი არ გამცდენია
და თავ-განწირულს, შეუპოვარსა
სისხლზედა სისხლი დამიდენია!
თეთრი აღარ მაქვს თავზედ იმდენი,
რამდენიც ტანზე მტრისგან ჭრილობა!
არ შემდრეკია არაოდეს გული,
მით დავიმტკიცე ქართლის შვილობა.
ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამ ქვეყნიური მე ნეტარება,
ყველა შევსწირე ტკბილ სამშობლოსა,
მინდოდა მისი ბედნიერება!
მაგრამ სიბერით რომ მოვუძლურდი
და არ შემეძლო ხელის ხმარება,
ბერად შევსდეგი, და საქართველოს
ღმერთსა ვავედრებ! მდის მდუღარება.
მეც შემომიჩნდა ლენგ-ოემურ მხეცი,
რომ შემეცვალა ეს ჩემი სჯული,
მაგრამ შენსავით არ მოვხიბლულვარ,
არ გამყინვია მხურვალე გული!“

მეორე ხმა

„კეთილი! მაგრამ ქართლისა ბედმა
სჯულის გამოცვლა რომ გთხოვოს
მსხვერპლად,
ამა სოფელზედ ხელ აღებული,
დასთმობ იმ სოფელსც შეუნანებლად?“

პირველი ხმა

„სჯული ქრისტესი?!.. ხომ არა
ხუმრობ?
ეგ ჩემს გაანზრახვას აღემატება:
ეშმაკებისთვის სულის შეწირვის
მირონ-ცხებულსა არა აქვს ნება.“

მეორე ხმა

„მჯერა! ეგ არის შენი რწმუნება
შეუხებელი, შეურყეველი!
და მაშ ახლა მეც დამიგდე ყური,
და, რომ მომისმენ, პასუხს მოველი:

ჭკუით სრულსა და გრძნობით აღ-
ვსილ კაცს
ვერ შეაშინებს უბედურება!...
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
ის უფრო კერპად ემსახურება
მისგან არჩეულ ცხოვრების საგანს
და სიცოცხლესთან შეკავშირებულს
მაშინ გასწყვეტს ის, როცა კუბოში
ჩასდებს ცივსა და უგრძნობელსა გულს.
ცოლის დამკარგვი სხვა ცოლს შე-
ირთავს,
მკვდარ შვილს უქარვებს მეორე შვილი,
მაგრამ მაგიერს კი ვეღარ ჰპოებს
კაცი, თუ არ ჰყავს მას დედა ტკბილი.
რა გინდ ღირსებით შემკულიც იყოს,
ვერ იქმს დედობას დედი-ნაცვალი!
თუ შვილზედ საშო თვით არ ასწვია,
განზედ უჭირავს ყოველთვის თვალი.
მეფე, დამთმობი ერთხელ გვირგვი-
ბევრჯერ მეორედ ისევ მიიღებს [ნის,
და დაცემის დროს მიღებულსა წყლუ-
ახალი ბედი სრულად ავიწყებს. [ლს
მაგრამ, ვინც ერთხელ სრულად
დაჰკარგავს,
გულით გასწირავს რა მისს სამშობ
ის სანუგეშოდ უკუნისამდე [ლოს,
ნუღა მოელის კეთილსა ბოლოს.
არ ვგლოვ მე გვირგვინს და არც
ჩემს სახელს,
ოდესმე განთქმულს და გაბრწყინვე-
ბულს;
ვითღა მახსოვდეს ის მცირე რამე,
როდესაც ქართლს ვჭვრეტ მე აოხრე-
ბულს?
თვალ-წინ მიდგია ახლაც სურათი,
ის საზარელი დასანახავი,
როცა კალოზედ, ვით ბზე, მოლეწეს
ძუძუს-მწოვრები, უჭყლიტეს თავი!...
მათი კვნესა და მათი ტირილი,
დედების მოთქმით შეზავებული,
დღესაც ყურებში მე მიწივიან,
ტვინი მეწვის და მეწამლის გული.
ხომ გახსოვს, ოდეს ქართველთ
ჭაბუკნი
ხელ-ფეხ შეკრულნი, დატიტვლებ-
ულნი
ველზედ ეყარნენ... და ზედ მონგოლნი
დაჯირითობდენ გამძვინვებულნი?...
და ან ის ყლეტა... მაგრამ, ეჰ,
კმარა...
რომელი ერთი უნდა მოვსთვალო?!
უთვალავია დღეს ქართლის ტანჯვა!
გადმოიხილე ზეცით, უფალო! [წამეს
სამშობლოს ტანჯვის უძლურ მო-
არ შემრჩებოდა აქამდე სული,
თუ რაღაც დიდსა უცნაურს ძალას
არ განემტკიცა კერპად ეს გული.
არც ეს ქვეყანა, არც ის ქვეყანა
მე აღარ მინდა, არცერთი არ მსურს...
სანამ ლენგ-თემურს სამაგიეროს
არ გადვუხდი და არ მივაგებ შურს...
მაგრამ რა გვარად? ტყვე ვარ უძ-
ლური!
მოსწყდა ქართველი მისი გმირობით!
და ძლიერ ხალხთან რაღას გავაწყობთ
ჩვეულებრივის პირ-და-პირობით,
თუ არ ხერხითა და ცბიერებით?
და განვიზრახე მე მოტყუება
ლენგ თემურისა სულის გაწირვით,
და აწ, უფალო, შენია ნება!
ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა
არ მიენდობა სრულისა გულით...
და მაშ, მოხუცო, აჰა მიზეზი,
თუ რად მიყურებ შეცვლილსა სჯუ-
ლით.
ჩემის სამშობლოს გამოხსნისათვის

უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქიოც რომ დავივიწყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე.
ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მოეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწი-
რავს,
იმას არ ჰქვიან მამულის-შვილი!..“
როცა შესწყვიტა ეს საუბარი,
მეორემ უთხრა: „მეც შენთან ვარო!“
და დაიყვირა: „უნდა უარ-გყო
და ნუ შემრისხავ შენ, მაცხოვარო!“
ამ დროს უეცრად ბნელი განათლდა,
ცა გაიხსნა რა, გაიღო კარი
და ორი კაცი გამოაჩინა:
ბაგრატ და ისაკ, მისი მოძღვარი.
მუხლ მოყრით მაღლა ხელ-აპყრო-
ბილნი
უხმო-უსიტყვოთ ცას შეჰყურებდენ
და საქართველოს ჭირისგან დახსნას
უკანასკნელად მას ავედრებდენ.

30 ჭაღარა.

(საკაძის სიმღერა).

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ველარ გაჭკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა!
გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მისდევს ძალ—ღონე!...
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე!
ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე ვით საუკუნები
სხვა და სხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?!...
მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია
ოცნებით გარემოცულსა;
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტუფა გამომხსნელს!
რა ვუყოთ, თეთრი მერიოს!..
ინით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დაუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას.
მაგრამ ვიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..
ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო,
და შენც ტარიელს მოგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“...
მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინა-მორბედი!...
არა, აჰყვავდეს იმედი!
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!...
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!...

31. პატარა კახი.

(რამოდენიმე სცენა).

I

(ტყიდან გამოდის პატარა კახი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით).

პატარა კახი.

ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ რა კარ-
სამოთხის ნიჯი, თავისუფლობა!! [გია
რად მინდა რომ ვარ ბატონის შვილი?
და რაღად მიღირს უფლის-წულობა,
თუ ჩემს ნებაზედ ბიჯსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!..
მერმე უღელი დავსდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულის თქმას!!

(შორიდამ სალამურის ხმა მოისმის)

ჩუ!... სალამური!.. მწყემსია სწორედ!
აი, სად არის ბედნიერება:
ცხოვრობს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება.

(დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს)

ვიშ! რა კარგია ეს სალამური!...
როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას!..
სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს
და აფერადებს მაცდურს-ოცნებას!!
მიგვაფრენს სადღაც ლაჟვარდ-უფ-
სკრულში,
ედემის კიდით, შორეულ მხარეს,
და აქ ანათებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს...

(დიფიქრდება და ყურს უგ-
დებს სალამურს)

ხმა ტყიდგან

ბატონიშვილო!... უუუ?

პატარა კახი (შეკრთება)

უჰ, ღვთის რისხვა!
რომ არ მომნახო, არ შეიძლება?!
დარბაისლურის ზრდილობით მოხვალ,
რომ მომიწამლო ტკბილი ოცნება!..
უუუ! აქ ვარ!... აქეთ წამოდი!...

(შემოდის გივი ჩოლოყაშვილი,
პატარა კახის ალმზრდელი).

გივი

ბატონიშვილო, სად ბძანდებოდი?
ერთ ხანს გეძებე ამ უტეხ ტყეში
და, რომ ვერ გნახე, შიშით ვკვდებო-
დი!...

კახი

რამ შეგაშინა? მგელი შემჭამდა?
რისთვის, ჩამომრჩი? ვისი ბრალია?

გივი

წინ შემხვდა ერთი მოხუცებული,
იმასთან შევსდექ, შემიყოლია.

კახი

მართლა?!... მეც შემხვდა... ვგონებ,
გიჟია!
ან დღეს უთუოდ სადმე დამთვრალა:
ფული მივეცი მას სამოწყალო,
იუკადრისა და დამამწყრალა!

გივი

რომ სცოდნებოდა, თუ ვინ ბძანდე-
კადნიერებას ვერ გაბედავდა. [ბით,
მაგრამ ბრმა არის ის, უსინათლო
და ბატონიშვილს ვერა ჰხედავდა!..

ქალი

გლახაკი, ბრმა და ამპარტავანი?!

გივი

გლახა არ არის, თუმც კი გახლავს
სახელოვანი იყო ის ერთ დროს [ბრმა:
და დღესაც სხვაა მაგის გულის თქმა!..
სხვას რამეს ითხოვს მაგისი გრძნობა,
სხვაგან მიჰფრინავს მაგის გონება!
მაგისი ღვაწლი და სამსახური
სამოწყალოთი არ იწონება...
გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
ჰშვენოდა სიმხნე და მამაცობა...
მტერთან საომრად მაგას დაჰყავდა
დაბალი ხალხი და გლეხ-კაცობა...
მთაში და ბარში სწორად ნაქებსა,
დღესაც იგონებს მაგას სუყველა;
გასაოცარი ვაჟ-კაცობისთვის
მეტი სახელი დაარქვეს „გელა“.

ქალი

ეგ არის გელა?

გივი

დიახ, ეგ გახლავს,
დაბრმავებულა ერთი ხანია.
მიკვირს აქამდის რომ ცოცხალია...
რაც მაგას ჰირი აუტანია.
ამდგარა, დადის სოფლიდან სოფლად,
წინ დაუძღვება პატარა ქალი,
და გლეხ-კაცობას ურჩევს, რომ იმათ
გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი
და მიეშველონ ძმურად ბარელებს,
მტრისგან დაჩაგრულს ⁄ დამონებულს!
გულის გასახეთქ საყვედურებით
მათაც აშფოთებს და უღელვებს
გულს.

ქალი

ხალხი რას ამბობს?

გივი

სიტყვას უჯერებს:
ემზადებიან მტერთან საომრად
და, მეთაური თუ გამოუჩნდათ,
თან მიჰყვებიან ყველა ერთ-პირად.

ქალი

მეთაურია?.. მერე ბატონი
თეიმურაზი რაღასა ბძანებს?

გივი

ჯერ ლოცვაშია!... ხალხს ღმერთს
ავედრებს
და მტერთან ბრძოლას კი აგვიანებს!

ქალი

მერე და არ სჯობს, რომ უპატრონოს
და ყური უგდოს დაჩაგრულ მოყმეს?
ცრემლით ვედრება და წირვა-ლოცვა
მიანდოს მხოლოდ მან წმინდა მაჰებს!

გივი

ეგ მართალია! მაგრამ ბატონი,
გულის ფრიალმა დაასნეულა...
დღეს ქვეყნის თვალი თქვენ შემოგ-
ყურებს
და მხოლოდ თქვენზე იმედობს ყველა.

ქალი

მე?

გივი

დიახ! და თქვენცა გმართებთ სი-
ფრთხილე!..

დღეს ჩაგვაშხამეთ კინაღამ დილა:
დაკოდილ დათვზე ხმალ-და-ხმალ მი-
სვლა
ვისგან ნახულა? სად გაგონილა?

კახი

მინდოდა მკლავი გამომეცადა,
ერთის მოქნევით გამეპო, მსურდა,
და ის მაწუხებს, რომ უღონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა.

გივი

რას ბრძანებთ?! მაგრე მტერს რო შე-
მოჰკრათ,
თვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირს.

კახი

ნეტავ პირველად ჩემი მახვილი
მტერს მოხვედროდა და არა ნადირს.

გივი

განა მაგას კი ვერ მოესწრებით?!

კახი

რაღა დროს, ჩემო მოკბირნახულე?
მეჩვიდმეტეში გადამდგარი ვარ!..
თექვსმეტი წელი დღეს შევასრულე.
მაგრამ მორჩილი რომ ვარ ტანადათ,
მიტომ გგონივართ ყველას პატარა
და ნადირობით გინდათ გამართოთ!..
ტყვილა ნუ ჰფიქრობთ... ახლა კი
კმარა!
საკუთარ ტანჯვათ მე მიმაჩნია
ჩვენი სამშობლოს უბედურება!
და ვერ ვუყურებ გულ-დამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!...
რა დროს ლხინია და ნადირობა!
განა ეს არის დღეს ჩვენი ვალი?!
წადი, მშობლებთან მიშუამდგომლე:
გზა დამილოცონ; მიკურთხონ ხმალი!

გივი (აღტაცებით)!

გმადლობ, ღმერთო, რომ ამ დღეს
მომასწარ!
ამას ელოდა მოხუცი გივი!!...
და ჭირ-ნახული რომ არ წამიხდა,
ბედს არ ვემდური, აღარას ვჩივი!!
ბატონიშვილო, ეგ სიტყვებია,
შენგან რომ მსურდა მე გამეგონა...
მომეცი ხელი, რომ გიამბორო!
(იჩოქებს)
შენ წინ მუხლს ვიდრეკ, ერთგული
მონა.

კახი

ნუ! ნუ! ადექი!.. ჩემო გამზრდელო!
ეგ შენს ჰაღარას არ ეკადრება...
(აყენებს)
მამაშვილური შენი მოხვევა
გულსა სწყურია!... სულს ენატრება!
(გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)
ახლა კი დროა, ჩემო გამზრდელო,
საქმეს შევუდგეთ... დრო ძვირად
გვიღირს!...
რევაზმა რისთვის დაიგვიანა?
საფათერაკო ეგებ რამე სჭირს?!

გივი

არა ბატონო, თქვენ დაკოდილ დათვს
ის გამოუდგა წეღან კვალ-და კვალ...
შორს არ იქნება და, თუ მიბძანებ,
მე დავუძახებ, ახლავე წავალ!

კახი

კარგი იქნება! მანდ ვგონებ ახლოს
მწყემსია ვიღაც, სალამურს უკრავს,
და გადასძახე, რომ ჩამოვიდეს,
მაგრამ ნუ ეტყვი ჩემს ვინაობას!

(გივი გადის. კახი დაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ ამბობს:)

რაები მითხრა ჩემმა გამზდელმა?!
გული დამწყვიტა და ამიძგერა!...
ღვთის მშობლის მხვედრი საქრი-
სტიანო
რომ ამოვარდეს — სწორეთ არ მჯე-
რა! —
მაშინ, როდესაც ბრმაც თურმე სცდი-
ლობს,
რომ აუხილოს ქვეყანას თვალი,
მე თავხედობათ რათ ჩამეთვლება,
რომ ავასრულო სამეფო ვალი?
თუ მამა ჩემი, ნამდვილი გმირი,
სახელ განთქმული და თავ-მომწონე,
დღეს სნეულებამ ისე დასძლია,
რომ მიხდილი აქვს ძალი და ღონე,
მე აქ არა ვარ?... შვილი არა ვარ!?
იმისი ვალი მე არა მხდება?
რა მშობელია მამა, რომელიც
ნაშობისაგან არ იდიდება?
კმარა მონება! კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთ-პირად ერი,
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!...
მონას რათ უნდა კრული სიცოცხლე,
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

II

(მაღლობზე შორით ქოშის გორა მოჩანს, ზედ ეკლესიით, თემობაა. დაბლა ვაკეზე, გზის პირად, მუშები სიმინდს სთოხნიან და მღერიან):

მუშები.

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ციხკრის სხივებმა შეგმოსა
და ნამმა გადაგბანაო,
დაგჭროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო!

მეთაური.

აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!
ნუ შეჩერდებით ჯერ!.. ნუ დაღალ-
დით!..
ეს ერთიც კიდევ ჩამოვუაროთ...
სულ ჯარასავით დაუტრიალდით!..

მუშები

ნუ გეშინია! გაგვიძეხ! გასწი...
არ ჩამოგრჩებით ჩვენც, მეთაურო!..

1 გლეხი

ხომ ხედავ? ისეც ალმური აგვდის...
რათ გინდა, უფრო რომ გაგვახურო?!

მეთაური

ჰოო! მაგრე! მაგრე! თქვენ დაგე-
ნაცვლეთ!
დაჰკარით, სანამ მიწაც სველია!...

მოხუცი

ეს ყველა კარგი, მაგრამ უქმს რომ ვსტეხთ,
ეს განა კარგი საქციელია?

ახალგაზდა

ვითომ რა იცის?

მოხუცი

როგორ რა იცის?
მაშ ადარ არის მადლი და ცოდვა?
მღვდელმა რა გითხრა?..

ახალგაზდა

მღვდელს რას უყურებ?!
ახე იციან სულ იმათ როტვა.

მე-2-ე გლეხი

იმან თუ არ სთქვა, ჩვენ კი არ ვიცით,
რომ უქმის ტეხა, მართლა, ძნელია!

მე-3-ე გლეხი

ნეტავ, რას ამბობ? რა დროს ეგ არის,
გეტყობა, საქმე შემოგელია!
ვერ ჰხედავ, ბარში რა ამბავია?
თესლად მარცვალიც არსად ვარდება!
ჩვენ რომ აქ ახლა უქმეს მივსდიოთ,
ბარი შიმშილით ამოვარდება...

მე-4-ე გლეხი

ახლა სხვა დროა! ღმერთიც არ გვიწყენს:
შრომა მისივე ნაბძანებია...

ახალგაზდა

კარგია ერთი, რაებსა ჰბოდავ?
ვგონებ, სიზმარი დაგზმანებია!...

მეთაური

გაუსვით ჩქარა... ტყვილა ნუ სცდებით,
ცოდვა ჩემ თავზე მე მიმიღია!

ახალგაზდა

აბა დავიწყოთ ისევ მუშური
და ბანი გვითხარ შენ, პირაღია!..

მუშები

ყანაო, გულ-ხელ გაშლილო,
ქვეყნის მოკეთევ ყანაო!
მოყვრულათ შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა,
გაგთოხნით ყოველგანაო!
(ბუკს აყვირებენ).

ახალგაზდა

რა ამბავია?

მე-2-ე გლეხი

რა უნდა იყოს?
ხატობაა და ბუკს აყვირებენ.

ახალგაზდა

ვითომ რათაო?

მე-3-ე გლეხი

აყვირონ, თვარა
მაგითი ყეენს გააკვირებენ...

მოხუცი

გელა იქნება! უთუოდ უნდა
შეჰყაროს ხალხი და უთხრას რამე...

მეთაური

აბა, ბიჭებო... გაუსვით ჩქარა...
მომყევით წყობით, (ახალგაზდას) შენც
. მხარი მამე.

მუშები

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბძანაო,
აგშორდეს გვალვა და სეტყვა
მოსავლის გამოცანაო!..
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო!
ყანაო, ჩემო ყანაო,
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო!..

(შემოდიან: მოხუცი გელა და ყმაწვილი ქალი).

ჰაა... გამარჯობა! რასა იქ გელა?
არაფერს გვეტყვი დღეს ახალ ამბავს?

გელა

გაუკრავსთ პირი თავადიშვილებს...
და აპირებენ რაღაცა ამბავს...
ამბობენ: კმარა რაც უსჯულოებს
ვემონებოდით ამდენ ხანსაო!..
ახლა კი დროა, რომ მათი სისხლით
წითლად ვღებავდეთ ალაზანსაო!

1-ლი გლეხი

ეტყობა, ეხლა აღარ ხუმრობენ!

მე-2-ე გლეხი

ემზადებიან?..

მე-3-ე გლეხი

ჩვენ რაღას ვშვრებით?

მოხუცი გლეხი

რაღა უნდა ვქნათ? ჩვენც კაცები ვართ
და ქუდი გვხურავს, რათ ჩამოვრჩებით?

მე-4-ე გლეხი

განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ?!

მე-3-ე გლეხი

ან უკან როდის დაგვიხევია!...

მეთაური

მათ ხმალთან ერთად უპრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხეკია.

მოხუცი

კი, მაგრამ ყველას რომ აღარა გვაქვს
თოფ-იარაღი?

ახალგაზდა

რათ გინდა მეტი?
ჩარეულ ომში რაღა ნაკლეა
შენს ხმალ-ხანჯალზე ქვები და კეტი?

1-ლი გლეხი

ცული და წალდი ხომ ყველასა გვაქვს!

მე-2-ე გლეხი

და ეს კი განა არ გამოდგება? ..

(უჩვენებს თოხს)

პირიც კარგი აქვს, ყუაც კარგი აქვს...
გამომდგარია... რათ უნდა ქება...

ვითომ გიმტყუნოსთ?!.. თქვენ არ მო-
მიკვდეთ!...
ნუ გეშინიანთ, დაატრიალეთ!

გელა

თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
რომ მაგას ამბობთ!... თქვენ გენაცვა-
ლეთ!

1-ლი გლეხი

ჩვენი მამები თუ კი ომობდენ,
იმათზე ნაკლე ჩვენ რიღათი ვართ?
თუ წინ წამძღოლი ვინმე გვეყოლა,
გულ და გულ მივალთ... ყველა მზა-
თა ვართ!

გელა

წინა-მძღოლს ეძებთ?—მე აქარა ვარ!.
რათ გავიწყდებათ ნაცადი გელა?

მეთაური

კი, მაგრამ დღეს რომ ვეღარა ხედავს,
საუბედურო მისათვის ბნელა!...

გელა

ეგ არაფერი... მართალი არის,
ვეღარას ვხედავ, დამიდგა თვალი,
მაგრამ სანამდი გვერდში მიდგია
და ხელსაც მკიდებს ეს ჩემი ქალი,
არა მიჭირს რა! ისევ გულადათ
მივეგებები ჩვენი ქვეყნის მტერს.
გელას დანახვა ჩვეულებრივათ
მას შეაშინებს და შეუცვლის ფერს...
თქვენ კი მომყევით!..მაგრამ ჯერ უნდა
ჩვენს მეზობლებსაც შევატყობინოთ,
და სავაჟკაცო ჩვენი განძრახვა
წასაქეზებლათ ყველგან მოვფინოთ.
არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრად სდგას, როგორც რომ მუხა:
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმც შეაწუხა...
„მუმლი მუხასა“ მუშურს რომ ვამ-
ბობთ,
არ ვმღერთ უაზროთ და უადგილოთ:
არა, იმაში სიბრძნეა ხალხის,
გადმონაცემი საშვილი-შვილოთ.

მუშები

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ მაგრე გიჭრის ქკუა, გონება.
ეგ შენი კარგი სიტყვა-პასუხი,
გულს რომ გვიმთელებს, სულს ეფო-
ნება!..
წავიდეთ, აბა რაღას ვგვიანობთ!

მეთაური

მართლა, აწ დროა, წავიდვთ ყველა!..
ეს გზა სიმღერით გადავიაროთ!
აბა წაგვიძეხ ისევ შენ, გელა!...

(თოხებს გაიდებენ მხარზე; გელა ქალს
მიჰყავს წინ და სიმღერით მიდიან)

მუმლი მუხასაო
გარს ეხვევოდაო,
გარს ეხვევოდაო,
ვერას აკლებდაო;
მუმლი წყდებოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
ხე არ ხმებოდაო,
ხეთვე რჩებოდაო;
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო!

III.

(მეფის სასახლეში დაბაზია გარმართული: მეფე, დედოფალი, გივი, ბაადურ-კუტი და სხვანი.)

ბაადურ

ხაპყარი მოველ, ვერ გადავუდეგ
ბატონიშვილის მოციქულობას;
და თქვენის რისხვით, ჩემო ხელმ-
მწიფევ,
ნუ შეურაცხყოფთ შუამდგომლობას!

მეფე

ჩემო ბაადურ! რა უნდა გითხრა?
მაგის პასუხი ახლა ძნელია!...
სიჩქარით „ჰო“ და „არა“არ ითქმის,
როდესაც საქმე საეჭველია.
უანგარიშოთ და უფიქრელათ,
საშიში არის ბედის მინდობა!
ვაი თუ უფრო გავაზვიადოთ
ახალ-გაზდობის ჩვენ თავხედობა!

გივი

გვიანღა გახლავსთ ახლა სიფრთხილე!
ამდენ მუქარას და ამდენ სირცხვილს
არ გვირჩევნია ღმერთი ვახსენოთ
და დავეთანხმოთ დღეს ბატონიშვილს?

მეფე

თქვენ, დედოფალო, რაღას გვიბძანებთ?

დედოფალი

გივს ვეთანხმები, რადგან ფრთხილია
და, ძნელ საქმეში წინ დახედული,
ყველაზე უფრო გამოცდილია.

მეფე

აქამდი სწორეთ მაგრე მეგონა,
მაგრამ დღეს ეგეც კი შემცდარია:
ჯერ უმისოთაც წამხდარი საქმე
მაგან სულ უფრო არივ-დარია!
ვერა ხედავდა, რომ ჯერ ირაკლი
ამოდენ ჯარს ვერ მოგვიგერებდა?
რათ არ ურჩია, როგორც მის გაზრ-
დილს,
მაგას ხომ სიტყვას დაუჯერებდა?

გივი

ჩემო ხელმწიფევ, ეგებ ის სჯობდეს,
ბატონიშვილი რასაც აპირებს!

მეფე

როგორ თუ სჯობდეს?! შენი პასუხი
ვერ გამიგია, სწორეთ მაკვირვებს:
ავათ, თუ კარგათ დღემდ[illegible] [illegible]ულებ-
დით
შინ შემოსეულ მტრების მონებას
და დღეიდან კი გარისხებულნი
გამოგვაცლიან ყოველ ქონებას.
ვერ გაიგონე, რა შემოთვალეს?
როგორი სიტყვა და რა მუქარა?
დღეიდან მაგათ დასამშვიდებლათ,
ხარკი რომ მივსცეთ, ის აღარ კმარა:
უღელზე კიდევ უღელს დაგვადგმენ,
აუტანელი გახდება ტვირთი;
თუ გავუძალდით, სრულად წაგვლეკავს
მაგათი ღელვა, მაგათი ზვირთი.

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ, არც მაგრე ვარგა
გულის გატეხა და შეშინება!

ბაადურ

ბარემ სულ გავწყდეთ, ის გვირჩევნია!..

გივი

ჩვენ გავცემთ პასუხს, გვიბოძეთ ნება!—
საშვილიშვილოთ რომ ამოვვარდეთ,
აგრეღმერთს როგორ დავავიწყდებით!?
უთქვამთ: „ცდა ბედის მონახევრეა!“
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!

მეფე.

კერძოთ თუ მკითხავთ, მეც თანა-ხმა ვარ,
როგორც მეფეს კი-არ მაქვს უფლება:
ჩემ ხელში არის მთელი სამეფო,—
ბედის გამოცდა არ შეიძლება!...
როგორ გავწირო მთელი ქვეყანა,
ღმერთთან ბ კაცთან დავ[illegible] მოვალე!..
ეს დრო და ჟამი ცვალებ[illegible]ა!
დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის „ხვალე“?
თუ ყმაწვილობით ბატონიშვილმა
მოულოდნელათ ცეცხლში ჩაგვყარა,
რომ გაასწოროს აწ ის შეცდომა,
მოვალე არის ჩვენი ჭაღარა.

დედოფალი

რას იტყვი, გივო, ხომ გაიგონე
ბატონის მეფის ბრძნული ბძანება?

გივი

თანახმა არ ვარ, ჩემო ხელმწიფე,
და პასუხს ვაკადრებ, თუ მომცა ნება...

მეფე

სთქვი და მოვისმენთ!

გივი

გმადლობ, ბატონო!
ღმერთმა გიკურთხოსთ დიდ-სულოვ-
ნება!
ყველა ვხედავდით, რაც ჩვენ ქვეყანას
მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება...
ყოველ სოფელში, ყოველ ციხეში
ჩამდგარი იყო იმათი ჯარი,
აღარ რჩებოდათ შეუბღალავათ
არა სიწმინდე, ხატი და ჯვარი.
სიამ-ტკბილობა და მოთმინება
ჩვენი იმათთან არ გადიოდა,
ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდენ
და ერთგულს ყველას ცრემლი სდი-
ოდა.
ამით უნდოდათ, რომ საქართველო
ზნეობით სრულათ დაცემულიყო
და საუკუნოთ მონების ჯაჭვით
მომხიბლელ-მტერთან გადაბმულიყო.
დღეს და ხვალობით ცოტ-ცოტათ სენი
გაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში!
რომ ცოტა ხანი კიდევ დასცლოდა,
სიკვდილს უქადდა მას მომავალში.
მაგრამ გამოსჩნდა მკურნალათ გმირი,
რომ ზნეობითი შეევსო ნაკლი
და უწინამძღვრა..

დედოფალი

(სიტყვას აწყვეტინებს) ეს გმირი იყო
პატარა კახი! ჩემი ირაკლი?

გივი

დიახ ირაკლი! ანდამატივით
გარს შემოისხა ყმაწვილ-კაცობა
და მათ უჩვენა სამაგალითოდ
პირადი ღვაწლი და მამაცობა:

დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებათ ჯარი,
ყველა კი მასვე ეთანხმებოდა
და, მტერს თუ სადმე შეიგულებდა,
მოულოდნელათ თავს ესხმებოდა.
ციხე-კოშკებში ჩაემწყვდა მტერი,
გარეთ გამოსვლას ველარ ჰბედავდა...

მეფე

(სიტყვას აწყვეტინებს)
ყმაწვილ-კაცობაც წაქეზებული
მწარე მომავალს ველარ ჰხედავდა!
დააგდო მტერმა სიმაგრეები
და აქ მოგვადგა შეერთებულათ,
რომ სრულის ძალით ბარემ ერთთა
ვად,
საშვილი-შვილოთ გაგვსრისოს სრუ-
ლათ!..

გივი

ეგ მართალია! მაგას ჰფიქრობენ
და ალისკანტიც იმათვე ჰშველის,
მაგრამ არ ჰსძინავს არც პატარა კახს!..
მომსვლელს, იცოდეს, დამხვედრიც
ელის!.

ბაადურ

ჩემო ხელმწიფევ, იყო დრო, როცა
დიდ-სულოვნებით მეც მიგდებდით
ყურს,
დღეს სნეულ-საპყარს რაღა მეკითხვის,
მაგრამ არ იშლის გული სამსახურს!...
მეც უნდა გკადროთ უგნური სიტყვა,
რომ არ ჩავიკლა გულში უთქმელათ:
ამ დროში ყველა არ გამოდგება,
რაც სასარგებლო ყოფილა ძველათ.
ცვალებადია წუთის-სამყარო...
რაც კი არსებობს, ყველა იცვლება:
წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალ ს,
სხვა და სხვა არის მოთხოვნილება.
ჩვენი დროება სულ სხვა დრო იყო,
ახლა კი სულ სხვა დრო და ჟამია!
მადლობა უფალს, ავათ თუ კარგათ,
ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია!
ეს დრო მივანდოთ ახალ-თაობას,
იმის რიგია, იმან განაგოს!
წაახდენს რამეს, თუ გააკეთებს,
ღვთის და კაცის წინ პასუხიც აგოს...
წინ დახედული პატარა-კახი
არას ჩაიდენს სასინანულოს!
არ იკისრებდა პირ და პირობას,
თუ არ ჰხედავდეს სასურველ ბოლოს!

მეფე

(დედოფალს) თქვენ რაღას ბძანებთ?

დედოფალი

თქვენ დიდ გონებას
რაღას შემატებს სიტყვა და რჩევა!
მაგრამ სიბრძნესაც კი ეჭირვება,
ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა.
თვით მამა ჩემი, მეფე ვახტანგი,
ამის მაგალითს გვიჩვენებს ნათლათ:
სიმხნით და სიბრძნით თანსწორ
განთქმულმა
თავი შესწირა მის სამშობლოს მთლად;
მისი სულის თქმა, მისი გულის თქმა,
ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
ყოველი მისი ბიჯის გადადგმა
თვით სიბრძნე იყო წინ-დახედული!..
მაგრამ შავ-ბედის უკუღმართობა
მას ხელს უშლიდა ყველგან, უეცრათ
და მის ყოველი მეფური ღვაწლი
ბოლოს რჩებოდა მტვრათა და ნაც-
რათ

და უცხო მხარეს, იმ ნათლით მოსილს
სიკვდილის წინეთ ეს წამოეთქვა:
„აქვე დამმარხეთ და საქართველო
გულზე მედება, ვით სამარის ქვა!“
ზედ ეწერება: „სადაც ვეღარ სპრის
სიფრთხილე და შორს-გამჭვრეტელო-
იქ სჯობნებია გამბედაობა [ბა,
და ღვთის ნანდობი უეჭველობა!“
დღეს ამ დღეშია სწორეთ სამეფო...

მეფე

თქვენც მაგას ბძანებთ?

დედოფალი

დიახ, ბატონო!

მეფე

მაშ გაგიწირავს რაღა ქვეყანა?
მაგრამ მსურს ერთიც რამ მოგაგონო:
ჩვენს ქვეყანასთან ხომ უნდა იქმნეს
პატარა-კახიც თან განწირული
და, როგორც დედას ერთი შვილისას,
რას გეუბნება, რას გირჩევს გული?

დედოფალი

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკ-
ქვეყნისა მსხვერპლათ გამომიზდია [ლი
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი!..
და ჩვენც ღმერთს ვსთხოვოთ: აუ-
მჯობესოს
მისი ვარსკვლავი და მომავალი.

მეფე

(დიდი ფიქრის შემდეგ) მაშ კარგი!
ახლა მეც გეთანხმები,
უკუ მიგდია ჩემი სურვილი!..
ნება გაქვს, გივო, ახლავ წახვიდე
და შემომგვარო თავხედი შვილი.

(შემოდის პატარა კახი ამალით)

მეფე

დარბაისლების მოციქულობამ
და დედაშენის სურვილმა გასჭრა!..
მაგრამ ხომ ჰხედავ, რომ სნეულობამ
ასე უეცრათ გულს ისარი მკრა?
არ შემიძლია ჩვეულებრივათ
რაზმის დაწყობა... ომში ტრიალი...
და მოახერხებ შენ რომ იკისრო
წინ დახედულათ ღღეს ჩვენი ვალი?

კახი

ვეცდები თქვენი ხელ-მძღვანელობით.

მეფე

კეთილი! მაგრამ, რისი იმედით?
იმათი ჯარი უთვალია!

კახი

არა გვიჭირს რა, ჩვენც მზათა ვართ
მართალი არის, იმათი ჯარი [ღვთით.
ჩვენსაზე ცხადათ უფრო ბევრია,
მაგრამ გავუძლებთ მათ ვაჟკაცობას!!
რიცხვით მეტობა არაფერია!...

გივი

იმათზე უფრო მე ალისკანტი
მეჩოთირება და ის მაფიქრებს:

სამი ათასი ლეკით მოსულა
და მისასვლელზე მტერს ზურგს უმაგრებს.

ბაადურ

დალახვროს ღმერთმა! რა მედროვეა?!
რომ ვეღარ გაძღა ის ჩვენი სისხლით!..
ნეტავ შემეძლოს, ახლაც დავლურში
რომ გამოვიხმო თქვენის სიცოცხლით.
ჩემ დროში მაგას ბევრი სხვა სჯობდა,
მაგრამ სუყველას დედა ვუტირე!...

კახი

ნუ გეშინიან... იმას ამ დროშიც
გამოუჩნდება მოპირდაპირე!

მეფე

თუში ბევრი გყავს?

კახი

სამასი კაცი!

მეფე

ფშავ-ხევსურები?

კახი

ცხრა ასოდე!

მეფე

სარდლათ მიეცი მათ ჭავჭავაძე!..
ლეკებს ეომონ მხოლოდ, იცოდე!

კახი

ჩვენც ეგ დავსკვენით...

მეფე

მემარჯვნე სარდლათ
ვინა გყავს, შვილო, გამორჩეული?

კახი

ქვაბულიძეა, ლევან...

მეფე

მემარცხნეთ?

კახი

მემარცხნეთ რევაზ ბებურიშვილი.

მეფე

მიმშველი ჯარის?

კახი

ჯანდიერი!

მეფე

მოწინავესი?

კახი

მე ვარ ბატონო!

მეფე

შენა ხარ? ეგ კი უხერხულია!
არ შემიძლია, რომ მოგიწონო!..
შენ უნდა დარჩე მთავარ-სარდალთან,
რომ ყოველის მხრით გეპიროს თვალი!
სარდალს არ ჰფერობს მოწინაობა,
როდესაც სულ სხვა იწოდებს ვალი...

კახი

თქვენი ნებაა!

მეფე

მაშ კარგი, შვილო!
ახლა კი დროა, გზა დაგილოცო!..

ეს, მინდა, გულზე რომ გადაგკიდო...
ჯერ კი მუხლ-მოყრით უნდა აკოცო
ამ ძელ ჭეშმარიტს და ამ სასწაულს!
ეს იყოს, შვილო, შენი მფარველი!
ახლა კი ადექ, მომიახლოვდი,
გადაგეხვევი, მომხვიე ხელი!

(კოცნის)

მშვიდობით, შვილო, მაღალმა ღმერთმა
გიწინამძღროს და მოგმადლოს ძლევა!
ახლა დედასთან მიდი... იახელ
და გამოსთხოვე ლოცვა-კურთხევა!

(ცრემლები ერევა)

დედოფალი

დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს!

(ჰკოცნის)

გივო, გაბარებ უკანასკნელათ
და ნუ გაუშვებ საომრათ მარტოს!

(ეთხოვებიან. ირაკლი გადის ამალით, გივი გაჰყვება. სიჩუმეა, მეფე აღელვებულია და ორივე ხელები გულზე აქვს მიდებული, დედოფალი ცრემლებს იწმენდს, ქალები ჩუმათ ქვითინებენ.)

ბაადურ

როგორ ბძანდები, ჩემო ხელმწიფევ?
გულის ფრიალმა გიკლოთ, თუ არა?

მეფე

ლამის მოშიდნოს, ჩემო ბაადურ!
ახლა კი ცოტა გადაბიარა.

(სიჩუმეა)

(დედოფალს) მტერი მიიღებს პასუხს
თუ არა,
უეჭველია ბრძოლაც ასტყდება.
და დედაწულის აქ დატოვება
საშიში არის... არ ევარგება!...
ჩვენც, დედოფალო, უნდა წავიდეთ,
აქ აღარავის მოგვასვენებენ.
სუყოველიფერ აქაურ ამბავს
იქ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ! მე სუყოველთვის
ვყოფილვარ თქვენი სურვილის მონა,
მაგრამ დღეს უნდა სიტყვა შეგკადრო
და შემისრულეთ ეს ერთი თხოვნა:
მინდა, რომ შვილის მახლობლათ დავრჩე...
მის მოქმედებას თვალით ვუყურო
და თან-დასწრებით ან მწუხარების,
ან სიხარულის ცრემლები ვღვარო!

ელენე

დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გადავსწვიტეთ,
რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლათ,
ჩვენის ქრმების და ჩვენის შვილების
სანუგეშოთ და გასამხნევებლათ.

ბაადურ

ბატონო მეფევ! მეც მინდა დავრჩე,
ამათი მხვედრი გავიზიარო,
რომ ფუხალაგობ შემოვიკეც მტერზე
ეს ძველი ხმალი კიდევ ვიხმარო.

(სიჩუმეა)

დედოფალი

პასუხს მოველით და რას გვიბძანებ?

მეფე

რაღა უნდა ვსთქვა? (აღელვებით) მეც
თქვენთანა ვარ!
(დედოფალს) ერთად სიცოცხლე, ერ-
თად სიკვდილი,
ჩემის გვირგვინის გვირგვინო თამარ!..

---

32. გამზრდელი.

(ნამდვილი ამბავი).

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლათ,
მერცხლის ბუდეთ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.
ის ფაცხაა, ღვიმის პირათ
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერათ—
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.
როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას,—
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჰექა-ელვას.
მაგრამ, როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზათ
ეფინება არე-მარე,—
მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავათ ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.
გზა მოუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;
ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწვრთნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.
ამ შორეულ ფაცხა-ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?
ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ-ცხოვრების უარ მყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მასებრ დანაბადი?
მხოლოთ ერთს კი...და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოთ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.
ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მოაშუქა სიყვარული:
ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მიიყვანა ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცისქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...
ნაზი-ბროლა—სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..
ელ-ფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი—მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.
ცა და ქვეყნის შუამავლათ
მიაჩნია მას აფხაზი!..

გულში გულს დებს, სულში სულს ცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..
ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნათვე
სასუფეველის ნეტარებას...
მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა!..

II.

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..
ქარი ზუის გულ-საკლავათ,
წვიმა უშვებს კოკის პირათ;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირათ.
თვითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნათ ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!
ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავ-შესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრათ მოდგა აფხაზის კარს!!..
დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა.“
გაუკვირდა აფხაზს და თქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბათ
გამოაღო ფაცხის კარი.
გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირათ,
უდგამს სამ-ფეხ სკამს დაღალულს.
ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
თავ-პირი აქვს შებუდნული
ყაბალახით და იცინის!..
ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
და ბაშლიყი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა.
— მასპინძელო! სიცილით თქვა,
წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?
— საფარ! შენ ხარ?.. ენაცვლოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?
მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი თვისი ცოლი.
შეეხვეწა: აბა, ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო.
—„არა, ბათუ, ვახშამს არ ჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი
სხვა ნაირი გულის თქმისო...
უპასუხა და მოუყვა:
„მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა
დღეს მიტყდება, ძმაო, ჰირი!
„ალმასსიტს ხო კარგათ იცნობ.
თავმომწონე ინალიფას?

მის ცხენსა და მის იარაღს
ვერ ვინ დადებს ღირებულ ფასს.
„ვაშკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!...
მეტოქეა ჩემი მხოლოთ
ერთად-ერთი, საშიშარი.
„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.
„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.
„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ შვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!...
„მთვარესავით ხელ-უხლები
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულათ
თანასწორათ ყველას ატკბობს.
„ჯერ დაღალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გაჰოცადოს: [ში!...
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელ-
„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმორა!...
და თუ ქალი მაჯობებდა,—
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...
„დამაჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო.
„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!
„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოთ ერთად-ერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი, თავ-მომწონე.
„აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო:
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯი-ლაფშა მოვიპარო!“
მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგათ გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკულმართმა
შეაწუხა, დააღონა.
უთხრა: „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შეგიც შეგყრია,
—„გზა აღარ გაქვს!... უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო.
—„მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიჰყვე, დაემორჩილ,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწირო.
—„ეს შენც იცი,—არ ხარ ქვეყნის
უკადი და უმეცარი,—
სავაშკაცოთ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!
—„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.
—„ერთმანეთის მინამზგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.
—„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,

მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.
—„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!
—„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას!“
გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროთ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III

Ირაჟრაჟა. ქარი ჩადგა.
გადიყარა. დადგა დარი.
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.
მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარათ, ფრთხილათ.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილათ.
აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.
გულში ამბობს: ერთს დავხედავ
ტკბილათ მძინარ ნაზი-ბროლას,
თუ გავუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას...
სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს იქ საკვირველს!!
ნაზი-ბროლა ჩუმათ ტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..
თმა-გაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!..
მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოთ ჩაიკეცა.
დიდ ხანს იჯდა რეტ-დასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას
მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ ტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს—სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!
—„ყოველ გვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილათ ბედს
რას უჩივი, რათ ემდური?
—„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი!“
მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით;
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.
მაშინ მხოლოთ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“
წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!.
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,
გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცო-
ჩანს, ნამუსი შეუნახავს. [დე.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“
მერე უთხრა თვისს ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“
—„შევასრულე: მოგიყვანე.
დროა, აწ კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისათ
თუ რომ ვერას გემსახურე!“
ხან ესა თქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთ-ხანათ,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანათ.
გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.
შეუკაზმა ცხენი. შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.
გაახურვეს მით ცხენები,
ააღელვეს, აიჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.
რომ ჩავიდენ შორი-ახლოს
მინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:
—„საფარ-ბეგო! პირშაობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!
—„არა თქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელათ საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!
—„ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილათ! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“
ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაეცდა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...
ძლივს წარმოთქვა: „მართალი ხარ!.
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..
—„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოთ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია... [სჯობს,
„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“
—„არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...
—„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესათ,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესათ.
—„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“
—„მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველათ:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველათ

—„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა.“
გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩაბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით,—
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოთ ჭკუით და გონებით.
ჭირში, ლხინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.
ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭანმაკია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.
ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭ-
არ ტყუილი ქადილია; [რის,—
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზდილია.
საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?
აი, სწორეთ ამ უსუბთან
მიდის ეხლა საფარ-ბეგი,
მორდუობის გამტეხი და
ჩვეულების გადამდეგი.
ეუბნება ყოველისფერს,
უნებურათ რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.
ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგძეგანა.
ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა თქვა ქმარმა?“
—„მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!...
„მხოლოდ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო.“
—მესმის მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდათ
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..
შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზდილი.
მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოთ,
რომ კაცათ ვერ გამიზდიხარ!“
წარმოთქვა და საფეოქელში
მიიპყრა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ.

VII. რაფიელ ერისთავი.

(1824—1901 წ.)

რაფიელ ერისთავის პირველი თარიღიანი ლექსი 1852 წელს ეკუთვნის. მაშასადამე, ამ მხრით თუ შევხედავთ, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ რაფიელ ერისთავს სალიტერატურო მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე გაცილებით ადრე დაუწყია. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რაფიელის ლექსებს ჩვენ მაინც ამ ორი მგოსნის შემდეგ ვათავსებთ,—და აი ამისი საბუთი: რაფიელ ერისთავი ქართველებისთვის საყვარელია არა იმ ეროტიული ლექსების გამო, რომელნიც უმთავრესათ მისი სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი პერიოდის შინაარსს შეადგენენ, არამედ იმ წმინდა ნაციონალურ-დემოკრატიულ ჰანგების გამო, რომელზედაც მისმა ჩანგმა, 60-იანი წლების ახალგაზდა მგოსანთა გავლენით, იწყო ძლიერათ ყღერა და, ამ მხრით, უმაღლეს ხარისხამდე მხოლოთ 80-იან წლებში მიაღწია. ამიერითგან იგი შეიქნა ხალხის (და განსაკუთრებით სოფლის მუშის, გლეხის) გულის მესაიდუმლე, მისი სიხარულისა და დაფარულის ტკივილების გამომხატველი.

როგორც 60-იანი წლების დანარჩენმა მწერლებმა, რაფ. ერისთავმაც დიდათ ხელი შეუწყო ჩვენი სალიტერატურო ენის გამდაბიურებას, მწერლობაში ხალხური კილოს შემოტანასა და გაბატონებას.

1. ყვავილს.

ბაზაფხულისა დიდებავ,
სტუმარო მოკლე ხნისაო,
ტურფაო, ნაზო, სუნნელო,
მშვენებავ მინდორ-ტყისაო!
რა აჰყვავდები, ფოთოლსა
დაგიკნობს სხივი მზისაო,
დილას მოხვალ და საღამოს
მგზავრი ხარ შორის გზისაო!
ჩვენც შენებრ მოვალთ სოფელსა,
შევსწირავთ მრავალ ქებასა,
გვიკვირს ბუნება, ვადიდებთ
უფლისა ძლიერებასა,
სიკვდილი გვაკნობს, ვით შენ მზე,
და მოგვცემს განხრწნილებასა!..

1852 წ.

2. მთხოვარა ბლახაკი.

ბავშვი ვიყავ, დედ-მამა დამეხოცა,
გავიზარდე, ვთქვი: აწ ღმერთმა დამლოცა!
გავისარჯე—და ერთი-ათად მომცა;
მეც შევიქენ ოჯახისა პატრონი...
მოგახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი:

—დატრიალდა ჩარხი ჩემის ბედისა,
(თუ მეწვია ცოდვა ჩემის დედისა)
გადამეწვა მე, ერთს ღამეს, სახლ-კარი,
შიგ დამეწვა ცოლ-შვილი, ძროხა, ხარი;
მეც ყვავილმა წამაქცია, დამსერა;
ბატონებმა *) მიბატონეს ასე რა,
თვალთ სინათლეც გამაცალეს, გამძარცვეს;
მეზობლებმა სულ ერთიან გამპარეს,
თუ-ღა დამრჩა მცირე რამე ქონება...
მიკვირს, შემდეგ როგორ შემრჩა გონება!...
ბოლოს, ერთს დღეს, დრო რომ იყო ბინდისა,
ხელთ ავიღე ყავარჯენი შინდისა,
შეშის ურმის თვლების ჭრიალს გამოვყე,
ქალაქს ტფილისს მათხოვარად შემოვყე.
მას აქედ მე აქ, ქუჩებში, დავღოდავ,
მოწყალების თხოვნას მე ძლივს-ღა ვბედავ...
დროებათა ქარიშხალთა დამბერეს,
გამითეთრეს თმები და დამაბერეს...
სიღარიბემ წელში ხუთად გამღუნა,
ჭირმა, სევდამ დამცა, დამაძაბუნა!
ჩემზედ გლახა ქვეყანაზედ არ დადის,
საპყარი ვარ, სიკვდილს ვნატრობ მარადის.
საყდარს დავალ თითქმის ყოველს კვირასა,
სხვა დროს ვგდივარ ერთის კედლის ძირასა,
უქალამნო, უშარვლო, თავშიშველი,
ძვირად მაძღარ, ხშირად მშიერი, სველი;
მკერდს არ მწვდება დაგლეჯილი მუნდერი...
თავზედ დამდის: წვიმა, თოვლი, ხან მტვერი!...
ხუთის წლის წინ პურს ვჭამდი ხუმრობითა,
შევაქცევდი გამვლელთ მასხარობითა:
ამგვარებში აძლევენ მოწყალებას,
გლახაკებს კი არა აქვთ შეწყალება!
რა ხუმრობა ვეღარ შევძელ ცოდვილმა,
სულ შემიპყრო მე შიმშილისა ძილმა...
ზოგიერთი სადილს მომცემს და ფულსა,
მაგრამ მცირეს, რომ არც კუჭს ჰხვდეს, არც სულსა!

*) იმერეთში ყვავილს—ბატონებს უძახიან.

თუ ცხონდება მკვდარი ერთის ჭამითა,
მაშ აცხონოს ღმერთმა იგი ამითა!
ერთხელ უცხოდ მოკაზმული მდიდარი,
ყარაბაღის აჯილღაზედა მჯდარი,
მოაქროლებს, ამაყად იყურება;
გროში ვთხოვე, ვუთხარი: „მეპირვება“.
დამატაკა ცხენი, ჩამომიკივლა!..
მკლავი მომტყდა,—იმან გაიღიმილა!..
ერთი ვინცღა, ვარსკვლავებით და ჯვრებით
გავსებული, მოდიოდა კარეტით;
მოვახსენე: „ხრისტა რადი ბატონო!«
„ასტავ! ბოღ დასტ! ტი პოლუჩი'შ პატომო“.
ასე ვგდივარ, ვიძახი უპატრონო:
„კუტი, გლახა შეიბრალე, ბატონო!“
ვინც გაივლის ფეხებს დამიბარტყუნებს
და იძახის (ასე ამითვალწუნეს):
—„დაკა მაგას, თავში ჩაუფაჩუნე!..»
—რისთვისა მცემ, აბა, ჩემო ძმიავ?
სამი დღეა, პური არ მიჭამია!—
მომცემ რასმე—ვითომც საყდარს სანთლები;
არას მომცემ—ცემას რას მემართლები?!..
ზოგიერთი, სულ მორთული ხავერდით,
მობძანდება, ჰაერს მოაპობს მკერდით,
ამაყობს და იკლაკნება წელშია.
მე ფულსა, ვსთხოვ, ის ქვას მიდებს ხელშია!
უფალმა სთქვა: „გაიკითხეთ გლახაკი».
ქრისტიანნო! არ გაძევთ დიდი ხარკი,
რომ ხანდისხან მიბოძოთ თითო ფარა.
შემიბრალეთ, შიმშილმა გამამწარა!...

1859 წ.

3. ღარიბი მდიდარი.

მილიონებსა ნატრობ,
ეძებ ბედნიერებას,
ფულებსა სცემ თაყვანსა,
სდევნი ძეცნიერებას!...

რასაც ეძებ, ვერ ჰპოებ,
გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოებ, რადგანაც
ღარიბი ხარ სულითა!
თავს იმშევ, ტანთ არ იცვამ...
როგორ უძლებ ყინვასა?

ბედნიერებას ეძებ,
შიშით კი არ გძინავსა!...
რასაც ეძებ, ვერ ჰპოებ,
გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოებ, რადგანაც
ღარიბი ხარ სულითა!
ღარიბი რომ იმღერის,
შენ მაშინ ხარ შემკრთალი;
შენ რომ ხახა გიშრება,
ის მაშინ არის მთვრალი;
ღვინოს ვერ გაიმეტებ,—
ამას უნდა ფულები...
ხარ მდიდარი ღარიბი,
უხვი არ მეგულები!..
რასაც ეძებ, ვერ ჰპოებ,
გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოებ, რადგანაც
ღარიბი ხარ სულითა!
ბედნიერება რა არს,
შენ არ იცი, მგონია?
—ეს არს კმაყოფილება
მასზედ, რაც კაცს ჰქონია...
შენ ამას არ ირწმუნებ,
გროშისთვის იკაკვები,
მუხლს მოიდრეკ მისთვისა,
ბედნიერებას სცდები!
მაშ ნუ ეძებ ტყუილა...
გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოებ, რადგანაც
ღარიბი ხარ სულითა!

1868 წ.

4. საქართველო.

(„ასპინძის ომი“-დან).

ძვეყნად ვეძებდი სამოთხეს,
სამხრეთისაკენ ედემსა,
ევფრატის გაღმა გავხედე
გადახრუკულსა ქედებსა,
აქ ვერ ვხედავდი ევასებრ
მშვენიერებსა დედებსა,
არც სად ხეხილსა, არც წყალში
ამაყსა თეთრსა გედებსა!
შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა
უდაბური და მწირია,
მოვბრუნდი, მხარი ვიცვალე,
ჩრდილოსკენ ვქენი პირია,
ვიარე, არ შევიმჩნიე
მე ჩემი გასაჭირია...
ან კი რა მეთქმის?—კაცის თავს
ვაება დიაღ ხშირია!..
აგერ მოვედი და შევხვდი
სანატრელ ნეტარებასა!..
ვიპოვე იგი სამოთხე,
ვინ მოსთვლის ამის ქებასა!?
გადაჭიმულა წალკოტად,
შეხედეთ ღვთისა ნებასა!
ეს საქართველო ყოფილა,
ჰხვედრია ღმრთისა დედასა!..
ორი ზღვის შუა მდებარებს
ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად,
ყინვისგან დაუმზრალია,
შიგ ბანოვანნი კეკლუცნი,
მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,
ვაჟ-კაცთ ცალ ხელში ჯვარი აქვთ,
მეორე ხელში ხმალია!..
ვიშ, რა ხალხია, რა ტურფა,
რა გულოვანი მოყვასი,
უხვი, მხნე, ქრისტეს მორწმუნე,
მტკიცე რჯულისა, კისკასი;
შურით, იჭვით და ტრფიალით
მათ გადმოსცქერის კავკასი,
ნოეს კიდობნის მტვირთველიც
და ურწმუნონი ათასი!
რა ქვეყანაა, რა ჰშვენის,
დამატკბობელი სულისა,
ვაზი ვარდს გადაჰხვევია,

გამლაღებელი გულისა,
არ ეკრძალების კავკასის
ღრეჯლებით დაბურულისა,
ებგურად ჰხადის ამ მთასა,
ზოგჯერ მიზეზად წყლულისა!...
1880 წ.

5. ზამთარი.

ნაშობაოდ დაგვითხოვენ,
დავისვენოთ ცოტა ჩვენა...
გასწი, ბიკო, სოფლისაკენ,
გასწი, ბიკო, შინისკენა!...
იქ ახალს წელს დედ-მამასთან
შევეგებოთ სიხარულით,
და ნაშობევს ახალ სწავლას
შევუდგებით უფრო გულით!...
ამ ტკბილ ფიქრში გავიხედე
ფანჯრიდამა, მეცა ელდა:
დღე იყო და მზე არ ჩანდა—
ჩამობნელდა, ჩამობნელდა!
ცა, ხმელეთი დაგვიღონდა,
ლეგა ღრუბლით დაბურულა,
არცა წვიმს და არც ქარი ქრის,
დილა ბინდად მიწურულა!
აგერ-აგერ თეთრი ფერფლიც
ნაზად, წყნარად ცვივა, ცვივა,
ჰაერში კი სითბო არის,
არა ცივა, არა ცივა!
თოვლი მოდის... აგერ თოვლი
ამიჩრელდა, ამებლარდნა,
მოუხშირა, მოუხშირა,
წამობარდნა, წამობარდნა...
ვხედავ, ვხედავ, დაგვიზამთრდა,
მომაგონდა მე ზამთარი,
მომაგონდა პაწიობა,
მომაგონდა მე სახლ-კარი.
მახსოვს: როცა ბალღი ვიყავ,
მიხაროდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება,
სროლა თავში, გორვა, მოსვრა;
შვილდ-ისარით შაშვსა ვსდევდით,
ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა,
ლასტს ვუგებდით ბეღურაებს,
ვერ მხედავდნენ მუხანათსა;
შევებმოდი მეც ციგაში
და ზედ მიჯდა გოგიელა,
გადაბრუნდის ჩვენი ციგა,—
კოტრიელა, კოტრიელა!...
ბიკები თავს შევიყრიდით,
ვხტოდით, ვჭიდაობდით ყველა,
ხან ერთი ძირს, ხან მეორე.—
ჰერი, ბიკო, კოტრიელა!...
დაღალულნი, გათოშილნი
მოვდიოდით ღამე შინა,
მაგრამ ყინვამ და სიცივემ
ვერცერთი ვერ შეგვაშინა...
მეორე დღეს ყინულზედა
ვცურაობდით ნელა-ნელა...
უკან კოპი, შუბლზედ კოპი,
კოტრიელა, კოტრიელა!...
1880 წ.

6. ალდგომა.

შუადამე გადავიდა;
ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა,
დიდი ზარიც ბოხს ხმას ეძლევს,
ზარბაზანმაც დაიქექა!...
ადექ, გიგო, ადე, ადე!..
ხალხი მიდის საყდრისკენა,
ადე ჩქარა, ტანთ ჩავიცოთ,
დავგვიანდით მარტო ჩვენა!...
ყველა ახლით მოკმაზულა,
ხელთ უჭირავთ კელეპტრები;
ადე, ბიკო, ტანთ ჩაიცვი,

მაგ საბანში რაღას ძვრები?!
აგერ ზარებს მოუბშირეს,
ხალხი იყრის მეტანიას,
საყდრები სულ ლაპლაპებენ,
გარს უვლიან ლიტანიას!...
მოვიკაზმეთ და გავწიეთ.
ეკლესია მხიარულობს,
ყველას ტუჩზედ ღიმი უკრის,
მღვდელი გალობს და ლოცულობს...
აგერ მღვდელმაც შეიძახა:
„ქრისტე აღდგა“ და ჩვენც ცქვიტად
ვუპასუხეთ სუყველამა:
„ჰეშმარიტად! ჰეშმარიტად!“
ქრისტე აღსდგა! —მიყვარს ეს დღე,
მიყვარს, მიყვარს, მიყვარს დიდად...
მოდი, გიგო, გადაგკოცნო!
„ქრისტე აღსდგა!“—„ჰეშმარიტად!“
მოდი კვერცხი კვერცხსა დავკრათ,
მაგრა იყავ და კირკიტად...
„ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!“
—„ჰეშმარიტად! ჰეშმარიტად!...“

1881 წ.

7. სამშობლო ხევსურისა.

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,—
ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
მე მირჩევნია შავი კლდე
თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც
გადმოჭქუხს ბროლი-წყლიანი;
ჯიხვი და არჩვი მეყოფა,
ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
ბარად რომ ვიყო ლაღადა,
სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამატივით
გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი,
ბარში სიცოცხლეც იმწარის!...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
ბარად რომ მომცე დიდება,
ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა,
ჯარი და ზღვაზე ნავია,—
არა ვინდომო ეგენი,
არ მოკვდეს ჩემი თავია!...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...
სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა:
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორსავ თვალზედა;
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

1881 წ.

8. თინიას მამითადი.

მამითადი ჰყავს თინიას,—
დღეს არის ამის ლხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია!...
ქვრივ-ობერს ბეჩავ თინიას
ჰყავს ერთად-ერთი შვილია,
პაწია, წვითა და დაგვით,
ვაებით გამოზრდილია...
დღის მეხრე იყო; მოუხნეს
ერთი დღის მიწა ნაოში,
მაგრამ სათესლე გასპირდა,—
არ გახლდათ საკუბნაოში!...
ჩამოითხოვა თინიამ
ოროლი მუჭა ხორბალი:
მოთესა, უცებ ზღვა გასკდა,
შიგ დატრიალდა ღვთის თვალი;
თავთავმა თავი დახარა,
ყველამ გალესა ნამგალი;
თინას კი გული უსკდება,
ვინ მისცა იმას მომკალი!...
თუ სანახევროდ სხვას მისცა,
რაღაა გასაყოფელი?
თუ არა, ღონე არა აქვს...
მისი ღონეა სოფელი!...
ჩამოუარა სოფელსა,
სთქვა: „ყველას დავეღრიჯები...“
ფილა-ადრიან მოადგენ
კარზე რჩეული ბიჭები;
„ჰოოპუმათი“, კიეინით
მოედვნენ ქვრივის ყანასა,—
არ შევხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა!..-
თინა მასპინძლობს გულ-უხვად:
მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედალი,
მუშისთვის დანამზადები;
ცოტა არ იყოს რცხვენიან,—
ღვინო არა აქვს საწყალსა,
მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს
მამითადს წყაროს ცივ წყალსა...
„ჰოოპუმა“ და კიეინი
უხდება ქვრივის ყანასა...
არ შევხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა!...
ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია,
მამითადი ჰყავს თინიას,
დღეს არის ამის ლხინია!..

1882 წ.

9. სნეული ოჯახი.

ოხრავს გოგონა ნინუა:
ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა...
რა ქნას მარტოკამ?... უკვნესის
მოხუცი დედამთილიცა...
ძმარს უსვამს შუბლზედ სნეულებს,
ხან ჭარხლის ფოთოლს ადებსა,
ხან თხლის შეჭამანდს ჰპირდება,
თავისგან დანამზადებსა...
მაგრამ თვითონაც უძლურობს,—
ვერ გაახურა თონეა:
დღით მაშვრალს, ღამე-ნატეხსა
გამოელია ღონეა!
გვერდით არავინ არა ჰყავს,
ბევრჯელ ინატრა მშობელი...
არა ჰყავს არც წყლის მომტანი,
არც მჭადის გამომცხობელი.
კვნესის ბეჩავი ნინუა,
არსაით უჩანს მკურნალი!
სიცხით ეწვება ქმარ-შვილი
და ეხოცება მწყურვალი!...
ოხრავს გოგონა ნინუა,
ქმარიც ავად ჰყავს, შვილიცა...
რა ქნას ბეჩავმა?.. უკვნესის
მოხუცი დედამთილიცა!...

1884 წ.

10. დედაბრის მოთქმა.

ნეტა რას სტირი, ბებერო,
ვისზედ ჩაგიცვამს შავები?
რას მოსთქვამ გულ-ამოსკვნილი,
გაგიწეწია კავები?
— რას მეკითხები, ბატონო,
რას აქნევ ჩემსა დარდებსა?
შვილი მომიკვდა სიყმისა,
დავტირი ჩემსა შავ-ბედსა!...
დავკარგე ჩემი სესია,
კარგი მეურმე, მომკალი!...
თუ გებრალები, ღვთიანო,
მოდი ჩამქოლე, მომკალი!...
ვინლა მომხედავს ბედ-კრულსა,
ვიღა მომაწვდის მე ჯერსა,
ვინლა დამარჩენს უძლურსა,
გადაყრუებულ ბებერსა?..
ვეღარც ვმუშაობ, ვკანკალებ,—
ნეტა ვის შევებრალები?—
ვეღარც დავართავ ჯარასა,—
ცრემლმა ამომწვა თვალები!...
ნუ მეკითხები, ღვთიანო!
რას აქნევ ჩემსა დარდებსა?..
შვილი მომიკვდა სიყმისა,
დავტირი ჩემსა შავ-ბედსა!...

1882 წ.

11. ტეტიას მოთქმა.

ნეტა, რა წყალში ჩავარდე,
რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა
კარს მომაყენა შიმშილი!...
რას ვიფიქრებდი, ბეჩავი?—
ცა კამკამებდა ლურჯადა,
სამი დღის ყანა, სამკალი,
ზედ კარზედ მედგა ბურჯადა...
შცებ გამოჩნდა პაწაწა,
მუშტის ოდენა ღრუბელი,
მერე გადიდდა, იგრგვინა
და წამოვიდა სულ ბნელი...
დასავლეთიდამ დაბერა,
წამოგვაყარა კოხია,
ბალღები დამიწიოკა,
მოაძებნინა ქოხია;
ისროდა მუშტის ოდენას
და გრიალებდა წყეული,
მირეგვ-მორეგვა ხეხილი,
გაწყალდა ანაზდეული!..
ყანა წამიხდა, რა ყანა,
ავ თვალს არ ენახვებოდა;
თავთავს ქვეშ იზნიქებოდა,
სიმძიმისაგან წვებოდა!..
ნეტა, რა წყალში ჩავარდე,
რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა
კარს მომაყენა შიმშილი!

1883 წ.

12. თანდილას დარდი.

ჩაფიქრებულა თანდილა,
დაუკრეფია გულს ხელი,
ჩასცქერის დედა-მიწასა,
ჩუმად ბუტ-ბუტებს გულ-ხელი:
„მომიკვდა ხარი გიშერა,
მოკვდა; გამიწყარა ღმერთია!
სადღა ვუშოვო მეუღლე,
ცალად-ღა დამრჩა ერთია!..
„რიღათი მოვხნა ნაწრეტი,
რით ავიცილო შიმშილი,
რით-ღა გავუძღვე ქვეყანას,
რით-ღა ვარჩინო ცოლ-შვილი?..
„შენი ჭირიმე, გიშერავ!..
ჭირიმე შენი ქედისა...

მომცილდი, მომკალ ბეჩავი,
მწყევარი ჩემი ბედისა!
„რა ვუყო შენს ცალს ირმასა?
ვერ მოვიკარე თივითა:
დარბის თვალ-დაფეთებული,
ყვირის ხარ-ირემივითა...
„მომიკვდა ხარი გიშერა,
მოკვდა,—გამიწყრა ღმერთია!..
სადღა ვუშოვო მეუღლე?—
ცალად-ღა დამრჩა ერთია!“..

1882 წ.

13. ბერუას ჩაფიქრება.

ე როგორ არის, ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია?..
მიწა სხვისაა, ვქირაობ,
შრომა კი—მარტო ჩემია...
როცა მღალატობს მზე-წვიმა
და მომიცდება ყანები,—
უფლის ნებაა, რა ვუყო,
მე იმას ვეთაყვანები!...
მაგრამ რომ ღალა მიწისა
არ ასცილდება მთესავსა?..
სად რა ვიშოვო საბრალომ,
ვინ მომაქვავებს ბედ-შავსა?..
ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ—რა ვიცი—
მე რაღა დამაღონებდა?..

1883 წ.

14. სესეიას ფიქრები.

მიწა ვარ ნიადაგ მენა,
ბეჩავი, გლეხად შობილი;
მიწაა ჩემი დედ-მამა,
ჩემი ძმა, ჩემი დობილი...
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,
ე შრომა მაინც ფუჭია,—
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,
ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის,
ჭინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი—
ყველა მე შემომცქერია...
ნეტავი გამაგებინა:
როდისღა მომასვენებენ?
ვერ შევესწრები, მგონია,
მინამ არ წამასვენებენ!...

1883 წ.

15. ბერუას ჩიეილი.

ყველა მე ჩამომეკიდა:
მამა-სახლისი, გზირია...
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა
მეც ჩემი გასაჭირია?...
ფული მემართა ვაჭრისა,
„რიგისთვის“ აღებულია:
თავნში პურ-ღვინოს დამჯერდა,
ვახშში მივეცი ფულია.
აკი გაუწყრა ღმერთია
და მიშილთახა წყეულმა:
ვალი მომთხოვა მეორედ,
ღვინოზედ შემოჩვეულმა!
ხელ-ახლად წამომიარა,
სულით ხორცამდის გამცალა...
ნათლია მამასახლისმაც
ერთს თუნგს არაყში გამცვალა!...
არ შემარჩინეს ზედაზე,
გოჭი, ქათამი, წიწილა,
არც საბუდარში კვერცხები,—
გამომილიეს სინსილა...
გეო-ვაჭარი ჩემ სახლში
ნავარდობს, როგორც ქორია,

გზირიც, არყისგან გამტყვრალი,
გორაობს, როგორც ღორია!...
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე,
რით მოვიცილო ჭირია!...
ყველა მე ჩამომეკიდა:
სოფლის მოხელე, გზირია!...

1883 წ.

16. მოხუცი ხიზანი ყმა-წვილს მემამულეს.

ბაჟო, რად მითხოვ აქედგან,
ნეტა რა დაგიშავეა?
ღმერთმა ხომ იცის, მე შენთვის
არა ვყოფილვარ ავია...
ხარჯს ვიძლეოდი რიგიანს,
არ დამიკლია ბეგარა,
ხიზანი ვიყავ მე შენი,
შენ ჩემი თავი გებარა...
თქვენგნით ვართ დანათლულები:
ჩვენში ტრიალებს მირონი...
რომ გვერეკებით, ხომ გავხდით
სამტრონი, სანადირონი?!...
პაპა შენს ბაბუა ჩემი
სიტკბოთი შემოჰხიზვნია;
დღეს კი იმისმა მოდგმამა
შენგნით პანღური იწვნია!...
რადა, ბატონო, რას მერჩი,
რა დაგიშავე ბეჩავმა?
რა დაგაკელი, მიბძანე,
რა გაწყენინე ბედ-შავმა?...
მე არ გიხნავდი ხოდაბუნს,
გიმკიდი, შეშას ვზიდავდი,
გძღნობდი, გაძლევდი ღალასა,
ვენახში ვაზსა ვწიდავდი?...
კაცო, შეხედე ღმერთსაცა,
ის უფრო მოსამართლეა:
არ მოგიწონებს მაგ საქმეს,
არა და არა, ნათლია!...
მენა აქა მაქვს სახლკარი,
ფუზე,—აქა ვარ ჩვეული;
სადღა წავიდე ბედ-კრული,
როგორც თიკანი ეული?!...
სადღა წავასხა ჯალაბი,
ბალღები, კრუხი, წიწილა?..
არც შენთვის არის სახელი,
რომ გავიწყვიტო სინსილა!...
ვაჟო, ჩემი ხნის კაცისთვის
სხვაგან რა გასაძლებია?
ან სად წავიღო, სად ჩავფლა
ე მამა-პაპის ძვლებია!...
ნუ მიზამ, ღმერთი გაცოცხლებს,
ი მამიშენის ლხენასა!
შემოვხიზნივარ შენს კალთას,
შენგნითვე ველი რჩენასა!...

1884 წ.

VIII. ვაჟა-ფშაველა.

(მწერლობა დაიწყო 1881 წელს).

რაფიელ ერისთავს ორი სულიერი მემკვიდრე დარჩა სამგოსნო ასპარეზზე: ერთია ვაჟა-ფშაველა, მეორე—ეროდიონ ევდოშვილი. პირველმა უკიდურესობამდე მიიყვანა რაფიელის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება და მდაბიო სამწერლო ენა, როდესაც თავისი ჩანგის

საგნად უმთავრესათ თავისივე პროვინციის მცხოვრებთა მდგომარეობა და იდეალ-მისწრაფებანი დაისახა და თან ენაშიაც მრავალი ადგილობრივი ფორმები და სიტყვები შემოიტანა. ხოლო მეორემ (ევდოშვილმა) სრულიად უარ-ჰყო ნაციონალისტური მიმართულება და თავისი დემოკრატიული ჩანგის საგნად უმთავრესათ ქალაქის მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება და სულისკვეთებანი აღიარა.

ქვემოთ მოყვანილი ლექსები ვაჟა-ფშაველასი 1886—1898 წლებს შორისაა დაწერილი.

1. არწივი.

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწყდა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე ითრევდა,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ დედას თქვენსა, ყოვებო!
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

2. მთა და ბარი.

მთაო, რად აგრე გულადობ?
ცერად დაჰყურებ ბარსაო?!
რადგანაც ძირით გიცქერის,
მით არ უყადრებ თავსაო?
სალის კლდეებით ამაყობ,
თოვლითა, ყინულითაო;
კენკეშა, ურძან-ქუჩითა,
პირი-მზე მწირულითაო!
შენ არად მოგწონს ბარისა
დიდი სიმდიდრე ხილითა,
ოქროთ ნაქარგი გულ-მკერდი
ზედ მარგალიტის ღილითა;
არ-რადმე გეპაშნიკება
ვარდის გაფურჩქვნა დილითა,
გულით დარდების გადაყრა
წითლის კახურის ღვინითა!
შენი ძმა არის ბარიცა,
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შეღებილი აქვს
ველები ბალახიანი;
შენი ხევებიც იქ ჩადის,
ხევები კალმახიანი;
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი!
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენც თან ჩაჰყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ, ამაყობა ფრიადა!

3. დამშეული.

ძავთარი სათიბს წავიდა,
ცოლს დაბარა ლელასა:
„წამამიღოდი ხავიწი,
სამხრად პურს ვერ ვპამ ხმელასა!“
იმ დღის ქავთარის ნათიბი
გაჰკვირვებია ყველასა:
უსომს ცელს გაფოთებული,
გვრინავს და კვის ვაჟია,
მოელის წმინდის ხმიადსა,
ხავიწს, ჩაწურვილს ჯამშია...

კარაქი, ერბო ტიალი
ლონეს შაჰმატებს მკლავშია!
მზე დაიწურა გორის პირს,—
არსად სჩანს დიასახლისი;
კუჭი გამგელდა საჭმლისად,
ქავთარს ელევა ხალისი;
ბუტბუტებს გაჯავრებული:
„რა იქნა ის საძაგლისი?!“
ლელას დაფქული არ ჰქონდა,—
წისქვილისათვის იარა;
დაღამდა ჯავრში, მაშინ-ღა
ბულალა ჩაიზიარა;
ერთან ჯამანი გამოფქვნა,
მთელი ტომარა კი არა.
სანამ ფქვილს პურად შეჰზელდა,
ქავთარმაც ჩამოიარა,
ცელ დერეფანში მიჰყუდა,
სახლის კარ შააჭრიალა.
ნაცარსა ჰქექენ ბალღები:
კუდურა, ნენე ბღვრიალა.
„დედა სადა გყავთ? შასძახა,
თან ჭერმაც დაიზრიალა;
არ დაუცადა პასუხსა,
ზედ მუშტი დაატრიალა.
„წისქვილში არი, მამაო“,
კუდურამ დაიღრიალა.
აბასტად ბალღების ხრომა
კარისკე დაიგრიალა.
ქავთარი ნამცეცებს ეძებს,
სულ გადაპყვენა ვარცლია.
საუბედუროდ ტიალი
რადა ამ ჟამად დასცლია!?
მარცხენას ყურეს მიჰმართა,
გადმააბუდა ხოკრები;
რა პურს არ შაჰხვდა, წიხლი ჰკრა,
ზედ დააყოლა თოხლები,
სულ ერთმანეთში არივა:
მუტრუკ, თიკანი, მოხვრები.

ცოტა ხანს უკან დედაცა
გაჩნდა კარებზედ კრძალვითა;
დაფქული იმ დღეს წმინდაცა
ხელში ეჭირა ჯამითა.
ქავთარი გადმოეტია
თავის დედა-კაცს ჯოხითა,
ბოსლის წინ გაარბენინა
ერთის წიოკით, ფოხვლითა.
ცოლ-ქმარნი დაჭიმულები
გასწვრივ ბილიკზედ გადიან;
მისძახის ლელას ქავთარი:
„სხვანიცა მაგას სჩადიან?
ქმარს სამუშაოდ გზავნიან,
თავად სოფელში დადიან?!
შე ავის ძუძუთ გაზდილო
რა ჰქენ, რა უყავ სამხარი?
სჯობს, შენისთანა რძე-ძაღლსა
რო გავუთხარო სამარი!..“
მეზობლისაგან ისესხა
ბეჩავმა ლელამ პურია,
ქმარს შაუგორა კარჩიით:
„გაძეღ, დაგიდგეს ყურია!...“
ქავთარმა ხელი პურს სტაცა,
ჩაჩიქა ნიორ-წყალშია...
ვის აგონდება ხავიწი,
ვის-ღა გაუვლის თავშია?!
გამოძღა ჩვენი ქავთარი,
პირზედ ასცოცდა ღმინია,
ტუჩებს-ღა ილოკს ენითა,
როგორც მსუნაგი ფინია.
გადაეწვადა ფანდურსა,
დაჰკრა, დაიწყო ღიღინი;
პატრონის მხიარულებით
თხამაც დაიწყო კიკინი;
ანგელოზებმაც ცაშიით
გუნდათ მაიღეს ბიბინი.
კარგს ქეიფზეა ქავთარი,
აღარას დასდვა წუნიო
და დატრიალდა ოჯახში
ტკბილის საუბრის სუნიო.

4. იმედი საზიკაული.

ჯავრი ჰკლავს საზიკაულსა,
შადედებული შხამითა,
ცრემლი არ მოსდის თვალზედა,
გვაეჭვიანებს ამითა..
რკინის გული აქვს ვაჟკაცსა,
ცრემლს გულსვე ასმევს ჯამითა,
საქვეყნოდ დარდსა არ გაჰფენს,
ამონადულარს გვამითა!
ვაჟს სიბრალული არ უნდა,
არც ვის გენუკავთ ამისად...
დრო და დრო ამოიხვნეშებს
მანუგეშებლად თავისად.
შაიბურება ნაღვლითა,
როგორც მყინვარი ნისლითა;
ამშვენებს თავსა, ვით მოყმე
მტერზე ხმალ-და-ხმალ მისვლითა.
სოფლისა, თემის ავ-კარგი
კვლავც უტარებავ კისრითა;
ბევრს არი გადმონაყაოი,
ეხლაც გულ-მაგრობს იმითა.
—მტერს ხომ არ დაუმარცხებავ,
სირცხვილი შეუჭევია?
იქნება, გმირი უებრო
ურჯულოს დაუძლევია?
ტყვედ მის ცოლშვილი წაუსხამ,
სახლ-კარი დაუქცევია?
საზიკაულის ქავ-ციხეც
დაუშლავ, დაურღვევია?
—„ძმობამ, ჯერ წარბი იმისთვის
არავის შაურხევია!“
—მაშ რა ახვნეშებს ვაჟ კაცსა,
რად ზის კარ-დაკეტილშია?
ხმას აღარ იღებს, ერთ-თავად
ყალიონი სჩრავ პირშია!
აღარც საგლოვედ სად მიდის,
აღარც გვინახავს ლხინშია!!
სულ მუდამ როგორ ვავლიოთ
ლაშქრობა-გასაჭირშია?!...
—იქნება, სიზმარი ნახა,
ლიშან დაუდგა ცუდია—
ეზმანა: ბედი ფშავისა
სამარის კარსა ჰყუდია?
იქნება შვილი მოუკვდა
ნასახელარი გუტია?
—„შვილიც მთელი ჰყავს, დედაცა,
ციხეც ყელ-მაღლობს ისევა;
აგებულს მწვანის ლოდებით
ეერ ჰზარავს მტრების მისევა.“
—რად ჰმალავ ვაჟ-კაცის დარდსა,
გვითხარ, რად სტირის, რაზედა?
ვაჟკაცის დარდის შატყობა
ხვასაც მოიყვანს ჭკვაზედა!...
—„შვილს ვინ ახსენებს, ან ცოლსა?
მეტი დარდი აქვს მაზედა:
ცხენი მოუკვდა ლურჯაი,
აღარა ჯდება სხვაზედა.
ხატში ნით აღარ მოვიდა,
აღარ ჩამოჯდა ჯარზედა.
რითღა წავალის ლაშქარსა?
ლეკებს რით გაჰყვეს კვალზედა?
ვინ-და შააშრობს ტყვეებსა
ცრემლს, ჩამომდინარს თვალზედა,
დაჩაგრულების საშველად
ხელს ვინ დაიდებს ხმალზედა?!
„ცხენს გაუთხარა სამარე,
დამარხა თავის ხელითა,
დაულბო ლურჯას ლოგინი
მომსქდარის ცხარის ცრემლითა.
„არ გახდის სვავთა საჭმელად,
ყორნების საწიწკნარადა
ნიავ-ქარივით მოარულს
როგორც მთას, ეგრევ ბარადა,
ხშირ-ხშირად მხედრის მიმტანსა
ავის დაღისტნის კარადა.
ცხენს გლოვობს საზიკაული,
ამიტომ არის ავადა!“

5. ღამე მთაში.

Დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერედ არსად სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა.
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა,
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს,
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა.
მგზავრს უპირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა.
მთებს ჩაუცვიათ შავები,
ჰმუნვით დასცქერენ ხევებსა,
ცის ნიავს შესთავაზობენ
უფსკრულს მოარულს დევებსა;
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა.
გორით-გორს ბუვი გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა;
ქოჩორს უვარცხნი ნიავი,
დარაჯად დაადგებისა.
მითამ იციან ლავ-ღუვი,
რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისაᲬ!
წყალი სჩქეფს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა გორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შეუწონია...
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონეა!
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!...
ხევი მთას მონებს, მთა—ხევსა,
წყალნი—ტყეს, ტყენი—მდინარეთ,
ყვავილნი—ჰიწას და მიწა—
თავის აღზრდილთა მცინარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!
ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება,
უეცრად, შუა-ღამისას,
ცას ჯანღი დაეფინება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირ-ღია დაგვეღირება,
ჩვენ მოსვენებით მძინარეთ
საჰმელად დაგვეპირება.
მოსქდება ქარი და ღვარი,
სდგას ლეწა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდნილა
დიდის შიშის და ძრწოლისა;
მთელი მთა-ბარი იქცევა,
მეორ-მოსვლაა სწორედა,
მოჰკაწრავს ღვარი ტყე-კლდეებს,
მოაქვს და მოსდგამს ყორედა.
ბუნება მბრძანებელია,
იგივ ᲠᲝᲜᲐᲐ თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირი-მზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!

6. ბებერი ლომი.

Დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ვეღარა;
დაედვა შეუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა;

სხეულით დაუძლურებულს
ვინ შაიბრალებს ნეტარა?!
ის დრო აღარ აქვს მეფესა,
მიწას რო სდრეკდა ტოტითა,
გმირულის გავლით ვაჟკაცი,
მამაცის გადაბოტვითა.
ველარ სჭექს წინანდებურად,
თვის ბუნაგში წევს წყნარადა,
ნადირთა თავ-ზარ დამცემი
ეხლა იმალვის თავადა;
ჰგავს თორმეტის წლის სნეულსა,
გულით ისეა ავადა;
ფიქრი უპირო სოფელზე
სახეს ატყვია შავადა.
დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმაროობს ველარა:
დაედვა შეუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა!..
ტანი სულ დაჰკოჟრებია,
შემომტვრევია ბწკალები,
ველარ ანათებს ძველებრივ
მისი ლამაზი თვალები...
ბეჩავო ნადირთ მეფეო,
ნეტავ ვის შაებრალები!?...
წასვლია ძველი ილეთი,
წყლულად ჰქ'ევია ტყავია,
ვაჰმე, რა საბრალო არის,
რა ძნელი სანახავია!
შიმშილით შაწუხებული
ჰქექავს თაგვების სოროსა,
თხოლოუბს მოწყალებასა,
რომ ტანჯვა დაიშოროსა.
ყურს ვინ მიუგდებს საწყალსა?
ყველა თავისთვის ნადირობს;
ზოგი თავხედი და ბრიყვი
ჯავრის ამოყრას აპირობს.
ბევრს იამს ბუნების ცოდვა,
დაუძლურება გმირისა,
არც ერთი ლომის სიბერეს
ნადირი არა სტირისა;
ვეფხვს უფრო გაჰხარებია
სისუსტე ავის პირისა;
გალაღებული ირემი
ფურს უხმობს, მთაზედ ჰყვირისა.
დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმაროობს ველარა;
დაედვა შეუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა.
იგონებს იმ დროს, როდესაც
ნადირთა გუნდი ებარა
და ლეში იმის ბუნაგში
გამოულევლად ეყარა.

7. გოგოთურ და აფშინა.

I.

ამბობენ: ბლოელ *) აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა;
ჭერხო აავსო უნჯითა,
როგორც სალარო ხანისა.
თახაც იტყვიან: გოგოთურს
ჯანით ვერ შაედრებაო,
ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შაეცხებაო.
მეფესაც უთქვამს: „გოგოთურ
ათას კაცთანო ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი,
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვს,
ჯანი ხო გადამეტია,
რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
მტერი ქვიშაზედ მეტია.

*) ბლო—სოფელია ხევსურეთში.

ომში სიკვდილს ჰგავს გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
როგორაც სულთა-მხუთავი...
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი,
ალბად, სწყალობენ ვაჟკაცსა
ის ანგელოზნი ზენანი!"
რამდენჯერ სთხოვა ბატონმა
დარჩომა მეფის კარადა,
მაგრამ ვაჟკაცი ეტყოდა:
—მეფეე, ვერ გავსძლებ ბარადა.
თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
აღარც გაღება პირისა;
მამეხიბლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა.
გოგოთურ ამაზედა სწუხს,
ხმა აღარ ისმის ომისა,
მიწურვილია, თავდება
ჟამი ზაფხულის ორისა.
შინაც ხომ უქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხვნელია, —
ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა დ,—ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!"
არავის ახსოვს, ფშავშია
ხმა-მაღლა ასძრახდომოდეს,
განაღამც საცარცვავადა
გზად ვისმე გადასდგომოდეს.
ვეება ჭანდარს აიღებს,
წინწკრად გაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედ;
ირმებსაც დაედევნება
ყოფჩის გადაღმა კვალზედა.
შემოღამდება, შინ მოდის,
ჩამოუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქცევადა
დიდის ყალივნის წევასა,
ფანდურსაც შაეღარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა,
ხანდახან დაიბუბუნებს,
ჭერი დაიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი,
მიდამო იწყებს ნთქრევასა.

II

ძველადგანვეა ნათქომი,
რო დედაკაცი ყბედია,
მიჰყვება გულის ძრახვასა—
ვნებიანობით რეტია,
წაიტყვის უგვანს სიტყვასა
მოუფიქრელი ცეტია.
ქმრისად სახელის მძებნელი
სხვას არ დაგიდევს არასა;
მტყუანი იყოს მის ქმარი,
თუნდ ხალხს სცარცვიდეს შარასა,
ოღონდ იქნევდეს ფრანგულსა,
არ ჰღალატობდეს ხარასა *),
ცოლსაც სწყალობდეს, აცვევდეს
წითლის დარაის კაბასა.
ცოლი აუტყდა გოგოთურს:
— „რად გინდა დიდი სხეული,
თუ-კი ზღუბს არ გასცილდები,
როგორც სახადით სნეული?!
რად გინდა თოფ-იარაღი,
ბასრი ფრანგული, წყეული,
ათასგან სისხლში ნათრევი,
კაცების ულეტას ჩვეული?!
აბა დაჭკვლიე, უტირნავ,
ცრემლი აქვ პირზე მცვრეული!

*) თოფია.

წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა;
ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სულ ვერცხლით ეფარა!"
— ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
ჰკვას რად არ ატან სიტყვასა,
საქმე თუ გამოგლევია,
რატუ არ იტყვი იმასა?!
რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა...
შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?!
შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე,
ან არა,—ჰქსოვდე წინდასა.
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!
ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:
„შემოგვესია მტერიო,
ფშავით მოვიდეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ერიო;
წინ გამაუძღვეს გოგოთურ,
ჯერ აროთ არი ბერიო";
მითც არ მოსვლია ჩემს ხმალსა
სისხლში შეღების ჯერიო.
ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვს ხელიო!
უწინ შინ როდის დავმდგარვარ,
როსც დაგვცემია თათარი,
მტრებს წინ მე მივგებებივარ,
როგორც ჯვირნებს აფთარი.
ომში რვა ხმალი გავსცვითე,
მეცხრე თეთრ-ტარა ხანჯარი...
თუ-კი ავ-სული არა ხარ,
ეგ საყვედური რა არი!?
—„მე იმას ვამბობ, ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები.
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები?
ლაშქრობით რა მოგიტანავ
ტანზე წყლულების მეტია,
მარტო სახელი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ჰხვეტეა?!"
დაღონდა მეტად გოგოთურ,
ხმალს მიაწვადა ხელია;
ლაფნის *) საბმურით შაიბა,
მაგრა შაიკრა წელია,
მარცხნისას ფარი გადიგდო,
მარჯვნით—სიათა ჭრელიო,—
უზარ-მაზარსა ძელსა ჰგავს
კაცის საზიდად ძნელიო.
დედაკაცს დაათათბირებს:
— უნდა მიმოვვლო ხმელიო,
რასაც შენა მთხოვ, იმისა,
წავალ, ვიქნები მქნელიო.
მოყვრებში გამოემართა,
ამის დაცინვით მთქმელიო.

III

ბაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდენ იანი,
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი;
ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა,
მიწა გამხდარა წვნიანი,
მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
ხარი-ირემი რქიანი.
გალაღებულან ფრინველნი,
ისედაც ლაღი-ზნიანნი.
არაგვიც მოჰქუხს მრისხანედ,
ამ დროს შავ-ფერად მდინარე,
იღვიძებს, იფშვნეტს თვალებსა
მის არე-მარე მძინარე,

*) ლაფანი—ცაცხვის ან თელის ქერქის შიდა-პირი.

კლდეებიც წყალსა ჰყონავენ,
სრულად დამდნარა მყინვარე...
კოპალის ქვასთან გამოჩნდა
კაცი მთასავით მძვინვარე,
მაიზლაზნება ზოვივით,
პირ-ქუში, არა მცინარე.
ზენაით მეორე მოსჩანს,
იმღერის,—მთანი ხვივიან,
მააქევქევებს ლურჯასა,—
ნალნი რიყეზე წივიან;
მაეზაყება ცხენზედა
გამარჯვებასა ჩვეული,
უხდება წითელს ჩოხაზე
ფარი და დაშნა რწეული.
გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჰვარდება ცხენ და ცხენ,
უდივრად შაიგინება;
აფშინას ბაწარაულის *)
შუქი შორს გაიფინება.
— იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, **) არ იცი ხმარება;
პირ-და-პირია აფშინა,
ვაჟკაცს არ უყვარს პარება.
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეძახიანო!
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა:
ხმალო, გამიჭერ, ფხიანო!
გოგოთურ ფიქრობს: ვეჩვენო,
აცა, აფშინას საწყლადა;
ვეხვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა?
აქებენ, შამიბრალებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა?
—რადა, ძმობილო, რად აგრე?
გან დიაცი ვარ ორსული?
დედამ გამზარდა მენაცა,
ნეხვჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო,
უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღვთისაო?!
მიწაზე როგორ ვიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისაო?
ჯალაბნი არ მეტყვიანა:
„ჰაი, შე ტყლაპო მტრისაო“!
სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჭმევ, ძმობასა,
ქუდ-მოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.
კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?
ოღომც იარაღს ნუ ამყრი,
რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა.
—ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა აიხსენ ხმალია,
სიათაც გადმომაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა, შენს მეტსა
ვერავის დავკარ თვალია.
ჩქარა მაიხვენ აბჯარნი,
არა დ—გალოკებ ქვიშათა,
მიგცემ, გათრიონ ყუნჭივით
ტალღთა არაგვის წყლისათა.
მისცა ხმალი და სიათა,
ფარი, ნაჭრევით ფარული;
ცხენის აღვირსაც უსწორდა
მოყმე, დისწული ყვარული.
აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
იგიც გაფრენას ლამობდა;
გოგოთურს თმენა გაუწყდა,
გამოცხადებით ჯავრობდა:
—მაშ, მიგქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შაირცხვინეა?

*) ხმალია.

**) შემოკლებული „გინდა“.

დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზედ გინაყო ტვინია!
გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,
გულში აეძრა ენია;
ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან;
გადაფითრებულს აფშინას
სატირლად აღარ სცალიან.
მაგრა შაკონა ბეჩავი,
ისე დაადგო გზაზედა.
ჩაეუბნება ჭკვიანად:
—შენ გაგერშილხარ სხვაზედა.
გინდოდა გოგოთურსაცა
წამოსჯდომიყავ თავზედა?
შენ რომ ჭკვიანად მოგექე,
გვედრე, აო შეჰიბრალეა,
ახლა მე მერტყას წელზედა
შენი ზიკ-ზიკა ხმალია;
ცხენიც მე მყვანდეს ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია;
ჩაჩქანი, რკინის პერანგი
შენზედ ერამი არია.
—რა ვქნა,—ამოთქვა აფშინამ
წვერ-მოტეხილის ენითა,
თან დნება ლურჯად, შავადა,
გულში ბოროტის კბენითა,—
რა ვქნა, გავბრიყვდი, ვერ გიცან,
თუმც-კი გიცნობდი შორითა;
ბეჩავსა ვისღაც გამსგავსე,
დონდლედ აგებულს ყორითა.
გაქებდენ, კარგი ჰყოფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიც-ვერცხლი ვსჭამოთ, გოგოთურ,
ჩემს იარაღიც მამცენა.
მრცხვენიან, ამას რო ვამბობ,
მიძმე და მომეც აბჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩევნავ,
რო გულში დამცე ხანჯარი.
—კი ყოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯრისა,
სხვის წელზედ სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა?
კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია.
ეხლა ღა მოხვედ ჭკვაზედა,
ეხლა მაიეც გონია?
ხომ იცი, საქართველოა,
ყველა კუთხიდგან მტრიანი:
მგზავრს მიშვებ უიარაღოს,
კაცი არა ხარ ღვთიანი?
რას დაძრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსოვ, ფაფხურა.
რო წისქვილებში მსუნაგი
ქურდი, ქოფაკი, შავ-ყურა?
გშიოდა, რატუ არ მითხარ,
გაჭმევდი, გაგაძღებდია,
იარაღს როგორა მყრიდი,
ღმერთი არ არის შენშია!
თუ არა, რაად გინდარის
ვერცხლი, ნადები ქვევრშია?
თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
ქროლვა, ქორებულ ტევება,
მე სამ გამამყევ, გაჩვენო
მტერი, საჟლეტი ვეება;
დაგეცეს მარტოს ათასი,
გცემდენ, მოგიგდონ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტომ მისდიე ნრავალსა
პირ-ოფლიანმა, მგლებურა;
მაშინის ვიტყვი: ღირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე ქუდისა;
არა დ, გეხუროს ჩიქილა
თავზე დიაცის ცუდისა!
შენ გიცარცვია, ვინაცა
საბრალო არი, ბეჩავი,

თვის დღეში ომ-უნახველი,
დიაცთ ნალახის მხვეტავი;
არ შაგხვედრია შავ-ფერა,
მკლავ-მსხვილი, რკინის მკვნეტავი.
მე შენ იარაღნ რად მინდან,
სიმრუდის გზაზე ნავალი?
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.
აჰა, აბჯარი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია,
სადაც შენი სთქვა ბიჭობა,
იქავე ჩემი სთქვიდია.
გარისხებ ხახმატის ჯვრითა,
აი, კოპალაც ეს არი,
რო ყველა სიმართლითა სთქვა,
რაც რო დაგედვა ბეგარი...
თანაც გაუხსნა ხელები,
წამააყენა მხედარი.
ადგა ბეჩავი აფშინა
თვალ-მოცრემლილი, ლურჯია.
— მეგონა თავი, ამბობდა,
გაუტეხელი ბურჯია;
ეხლა სჯობს სახჩი ვიმალო,
თავზე დავირტყა გურჩია.
მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია.
ხელი მაჰხვიეს ერთმანერთს
გულ-ახდით, არა-ძალადა;
აფშინას ხურჯინშიითა
ტიკჭორა მააქ ჩქარადა.
მიიპატიჟა გოგოთურ,
დასხდენ ვაჟკაცნი ხის ძირა;
აფშინამ ყანწი აავსო
და ილოცება წინ-წინა:
— სანამ იცოცხლე გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია,
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-საღამოს ჟამია;
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანილსა,
სანამ ჯინჭველა ქალაქით
ზურგით მიტანს მარილსა!
მოგწიოს ლაშარის ჯვარმა
მუდამაც გულის წადილსა!
ახლა გოგოთურმ დალოცა:
— გწყალობდეს, ძმისავ, ხატია,
შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
როგორც წელანა გცადია.
ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ-საქმე, ავი წადილი...
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად ხადილი!
აფშინამ ხანჯრის ბუნისა
ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა,
ორივემ ყანწი დაცალა.
იფიცნეს. ეხლა ძმანია,
ვით ერთის დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთ-ურთს სამღერი ტკბილები,
მერე წავიდნენ ცალ-ცალკე
თავ-თავის გზაზე გმირები.

IV

უკუნეთია. არ ისმის
კრინტი არსითგან არ-რისა.
სუდარ-ჩაცმულნი მთანი დგან,
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სუ მუდამ ყინულიანნი,
არ-როს მნახველნი მწვანისა.
ცხადად ერჩევა საჯიხვე,
ქვნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი მოდის მწყრომარე
იმ ხევსურეთის წყალისა,
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ხმაც გაისმა მწყრომარე,

გადმონადენი ჯავრისა:
— გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
ნადლი ხახმატის ჯვარისა!
რა დროს ძილია, ბედ-მწარევ,
შე უდავლათოს გვარისა?!
აფშინას ვერ შაეწონვი,
როგორც მზეს შუქი მთვარისა.
აჰა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოვიდეს,
ყველა ეს მიეც იმასა.
ჩემ ცხენიც იმასა ჰყავდეს,
ფასს არ ვსთხოვ არცა ქირასა.
ხო გესმის, რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძირასა!?
მე კარჩი ვეღარ გამოვალ,
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა,
ჭირი შამყრია უწამლო
კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.
აგერ სამი თვე სრულდება,
არა სცილდება ბინასა,
ლოგინად ჩავარდნილია,
უნდება კვნესას, გმინვასა.
მალა და ვეღარ დამალა
აფშინამ წყლული გულისა,
არ ეთქვა, აღარ შაეძლო
ვაჟკაცს მობრუნვა სულისა.
ცხენი, აბჯარნი სხვას მისცნა,
გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიყვნენ ხახმატსა
ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი,
სალუდის კარზედ მოჩანან
მინდი, *) მამუკა **) მტრიანნი;
ხირჩლაიც მოდგა ხატის კარს,
ვაჟკაცი სახელიანი;
განს, მოშორებით დამდგარან
დიაცნი მანდილიანნი.
ლუდის სმა არი, ღრეობა,
ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა!
ხევის-ბრის დიდება ისმის,
აფშინა არი სწორედა,
ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
იწვევს მფარველად ქვეყნისა:
„მწყალობელ იყვეს გიორგი,
ხალხო, ოჯახის თქვენისა;
მტერზედამც გაგემარჯვებათ,
სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,
გამარჯვებითამც გივლიათ
ყოვლგნივ ხმელეთის მხარესა!“
ამბობენ: ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:
„ვაჰ, მკვდარო ვაჟ-კაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!!“

*) სახელია კაცისა.
**) სახელია კაცისა.

IX. ІРОДІОН ЕВДОШВІЛІ.

Іродіон Евдошвілის ჩანგის საგანი განსაკუთრებით მშრომელი ხალხია და, უმთავრესათ, ამ ხალხის ის ნაწილი, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურმა წყობილებამ სოფლებიდან ქალაქებში ჩამორეკა და საკლასთაშორისო ბრძოლის მეთაურად გაბადა. მგოსანი იტანჯვის ამ ხალხის ტანჯვით, მაგრამ სწამს, რომ „განთიადი“ მოახლოვებულია. ამიტომაც მისი ჩანგი იმედიანათ ყღერს, მისი გული სიხარულით გარეშოცულია:

„ᲨᲔᲚᲔᲠᲡ მისი ჩანგი, მუზა ამაყათ
აკვნესებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს;
მაღლა მიცურავს წითელი დროშა
და განთიადიც მასთან იღვიძებს!“

ქვემოთ მოყვანილ ლექსთა უმრავლესობა 1895—1901 წლებს შორისაა დაწერილი, ზოგი კი—1901 წლის შემდეგ.

1. გაზაფხული.

ᲙᲕᲚᲐᲕ გაზაფხული, კვლავ ია-ვარდი,
კვლავ ბულბულთ სტვენა დაგვიტ-
კბობს სმენას,
კვლავ სიხარული, ცეკვა, ნავარდი
და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას!
მაგრამ ვით ვსუბვრეტდე ვარდსა და [ია,
ვით შეეტრფოდე მზიანსა დღესა,
ვით გამახაროს უტყვთა მეჯლიშმა,
ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა
კვნესა?

2. სძინავს სოფელსა.

ᲐᲒᲔᲠᲐ მთვარემ ამოაშუქა
და გადმოხედა ძირს არე-მარეს,
ამპარტავნულათ შეითამაშა,
შუქი მოჰფინა ყოველსა მხარეს.
ბულბულმა, თითქო ამის პასუხათ,
დაჰკვნესა ტყიდან მდელოს მდუმარეს,
წყნარმა ნიავმა ნელათ დაჰქროლა
და შორს იტაცებს მის ხმას მწუხარეს.
ᲯᲣᲯᲣ-კალიამ მათ ბანი მისცა,
წყარო ანკარა მოაბნევს ცვარებს,
კურდღელი ბუჩქსა ეთამაშება,
ხეზე შემკრთალი ჩიტი ფრთხიალებს;
მთვარე კი ისევ ლაჟვარდ ცაზედა
ვარსკვლავთა გუნდში მიმოსრიალებს.
ძირს ხეობაში სძინავს სოფელსა,
იქ მაშვრალ ხალხსა მოუსვენია
და მკრთალი შუქი მის ოფლიან
მკერდს
ზედ დაჰფარფატებს, მიმოფენია.
დაიძინევი, მაშვრალო ერო,
მით ჩაიყუჩე ტანჯვა და კვნესა,
დაიძინევი, რომ ისევ კვნესით
კვლავ მიეგებო ხვალინდელ დღესა...
მაგრამ მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი!

3. მეგობრებს.

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
წინ, წინ, მედგრათ შევებრძოლოთ
ჩარხ-უკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!
დეე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ,
კერპის წინა ხარონ ქედი,
ფუ იმ ვაჟკაცს, ვინც ინატროს
მათი სვე და მათი ბედი!
დე, ისევ მათ ავარჯიშონ
საქვემძრომოთ მკლავი, ენა,
სხვა აკვნესონ და ამ კვნესით
თვით იპოვონ შვება-ლხენა...
მომავალი იმათ თვის ხვედრს
წარმოუძღვნის, დასდებს მსჯავრსა,
შეაჩვენებს იმათ საფლავს
სამარცხვინოს, საზიზღარსა!

მეგობრებო, ჩვენ ნუ გვინდა
ამნაირი სვე და ბედი:
ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი,
სატრფიალოდ გულს იმედი!
მაშ უშიშრათ შევებრძოლოთ
ჩარხ-უკუღმართ ამ ჩვენ დროსა
და ჩვენს რაზმს წინ წავუძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

4. საღამო ქალაქში.

ლაჟვარდ ციდანა ქალაქის მხრებზე
გადმოიშალა ოქროს ზეწარი
და ვარსკვლავებმა ღამისა გუშაგს,
ვით ტურფა სტუმარს, გაუღეს კარი.
მიცურავს მთვარე და თანაც ქალაქს
დასჩერებია, ვით გამოცანას,
დიდსა დარბაზსა სხივებსა ესვრის
და გაღმა ბაღებს უგალობს ნანას!
ვიშ ამ საღამოს!... თვით სიყვარულსა
ფრთა გაუშლია, ცელქობს და ფრი-
ნავს,
ხან ვარსკვლავს ჩასდევს ცაზე გამ-
კრთალსა,
ხან კი უცინის ბაღიდან ნიავს!
ბედნიერებო, გამოდით გარეთ:
მხოლოთ თქვენთვისა ანათებს მთვარე!
შენ კი, საწყალო, ბედს რო ემდური,
ამ მეჯლიშიდან გამოიპარე.
თორე, გარწმუნებ, მწვავე იარა
გულს აგეშლება და გაგამწარებს,
ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში
შავსა ნაღველსა შემოგაპარებს!...
დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი
ღელავს, ვითა ზღვა ქარიშხლიანი;
ფარჩათ შრიალი, ვაპართ თოთქოლი
და არეული ეტლთა გრიალი,
ვით ტალღა ტალღას, სცემს, უერთდება
და შორა სწვდება განაპირ ქუჩებს;
აქ გლახა ლუკმას ყიდულობს ცრე-
მლით,
იქ სატრფო სატრფოს უკოცნის ტუ-
ჩებს!...
ჩუ, როიალმაც დაიგრიალა,
თითქო სხივს მოხვდა სხივი მთვარისა:
მშვიდმა საღამომ, ტკბილმა საღამომ,
სჩანს, ვის-ღაც გული წაახალისა!
ბედნიერებო, გამოდით გარეთ:
მხოლოთ თქვენთვისა ანათებს მთვა-
რე!...
შენ კი, საწყალო, არ გაქვს ადგილი,
ამ მეჯლიშიდან გამოიპარე!
ჰოი, ქალაქო, სამეჯლიშოდა
მუდამ მორთულო და მოკაზმულო!
ვინ ენდოს შენსა აღელვებულ ზღვას,
რომ არ ატირო, არ უორგულო?
ჰკითხე შენს სპეტაკ მარმარილოებს,
რამდენი ცრემლი იქ დაცემულა,
და იმ დარბაზსა, ფარდებ დაშვე-
ბულს,
სოდომივით რომ ჩაფიქრებულა;
ჰკითხე: რა ხდება, რამდენი გვამი
შენს ქუჩებიდან იქ გაყიდულა?
ჰკითხე აკლდამებს შენს ჯურღმუ-
ლებში,
რა აწერია იმათ აჩრდილებს:
შრომას, ოფლის ღვრას, სიცივეს, სიმ-
შილს,
შენს ქუჩაზედა ხელ-გამოწვდილებს?!..
ბედნიერებო, ტურფა საღამოს
მხოლოთ თქვენთვისა ანათებს მთვა-
რე!...
შენ კი, საწყალო, არ გაქვს ადგილი,
ამ მეჯლიშიდან, სჯობს, გაიპარე!
გარწმუნებ, ძმაო, მწვავე იარა

გულს აგეშლება და გაგამწარებს,
ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში
შავსა ნაღველსა შემოგაპარებს!

5. მუშის სიზმარი

შიშველს მიწაზე, დიდი ქარხნის
ქვემო სარდაფში,
იწვა მუშაკი, ზედ ეხურა
ჩოხის ნაგლეჯი;
თავი დაეყრდო კონკის-ძველა
ტოპრაკისათვის,
მხოლოდ ეს იყო მის სიმდიდრე,
მისი ავეჯი.
ეძინა მუშას, ისვენებდა
დღისით მოღლილი;
მის მძლავრი მკერდი ოფლიანი
მძიმეთ იძვროდა,
და იმდენათვე ტკბილი იყო
ახლა მის ძილი,
რამდენათ დღისით გამწარებით
ლუკმისთვის ბრძოდა.
მაგრამ ნელ-ნელა შეენაკვთა
ნაოფლი შუბლი,
სახეს გადაჰკრა სანთელივით
ყვითელმა ფერმა,
დახე, ძილშიაც არ ეღირსა
მას მოსვენება:
აქაც კი უსწრო ცხოვრებისა
მსახვრელმა ხელმა.
შავი სიზმარი, ჯოჯოხეთი
შავი სიზმარი,
დაესიზრმა და გულმა უწყო
მწარეთ ღონება...
ვაი, საბრალოვ, შავდღიანო,
თუ არ შავს რასმე,
ნათელს რას შეჰქმნის, რას მოგი-
ძღვნის
შენი ოცნება?!..
ხედავს ბედკრული თავის თავსა
სახლს დაშორებულს,
სხვის კარებზედა იგდებინებს
ჯანსა და ღონეს:
დათმო თვის კერა, მაგრამ ამით
მისმა ცოლშვილმა
ვერ აიცდინეს სიღარიბე,
ვერ მოიფონეს;
ხედავს მუშაკი კარ-მიდამოს
ვერანათ შთენილს;
აგერ მის ცოლი დაყრდნობია
ჭოხის კარებსა,
გასცქერის ქმრის გზას, მოუთმენლათ
იმას მოელის,
და თანაც ცრემლი არ შორდება
ქალის თვალებსა...
აგერ პატარა ფეხ-შიშველა
ხუთის წლის ნიკომ
თავი ანება პაწა დასთან
ბურთის თამაშსა,
შემოტრიალდა, დააცქერდა
დედას თვალებში,
თვითაც ატირდა, შეეხვია
დედის კალთასა:
„აღარა მშია, დედი, აღარ,
აღარც მომშივა,
ნუცასაც ვეტყვი. რომ არც იმას
მოშივდეს პური?“...
თქვა ეს ბაღანამ, თანაც დედას
ჩაეკრა მაგრა
და ამ თქმით უფრო აუჩქროლა
დედილოს გული.
ხედავს მუშაკი ამ ჯოჯოხეთ
სანახაობას,
სურს შეაყენოს თვალთგან ცრემლი,
ვერ მოითმინა,
და უცებ, თითქო დაკოდილმა

ძლიერმა ლომმა,
შეშფოთებულმა ერთი მწარეთ
ამოიგმინა.
ეს გმინვა იყო გმინვა წყევლის
და ვედრებისა,
თუმც არ იცოდა, ვის რას სთხოვდა,
ვის ემუქროდა,
და ამ ორ გრძნობის ბრძოლის ნეშთი
—ცხარე ცრემლები,
ვით კლდიდან წყარო, თვალებიდან
ძირს გადმოჰქროდა.
გამოეღვიძა: ჯოჯოხეთი
იგივ სურათი
კვლავ თვალწინ უდგა, და წაიღო
საგონებელმა;
ტირის უმწეო, ან ვინა ჰყავს
თანამგრძნობელი,
და ან რა უთხრას ნესტიანმა
ქარხნის კედელმა?!

6. ასოთ-ამწყობის სიმღერა.

ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას:
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგი კიდევ განაპირას.
აარჩიე, რიგზე დადე,
გააკეთე რკინის ბადე:
ანთან ბანი, განთან დონი
და ერთმანეთს შეუფარდე!
ასე ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგსა აქეთ, ზოგსა იქით,
ზოგსაც კიდევ განაპირას.
ვერაფ ერი ხელობაა,
კუჭს ვერ აძღობს ეს ტიალი,
მაგრამ რას იქმ, საცა არ სჯობს,
მაინც ვამბობთ: „აღა ბალი!“
აბა, ბიჭო, დატრიალდი.
გააცურე ხელი მარდათ,
გავათავოთ ეს გაზეთი,
აგვიღია საქმე ნარდათ!
შუაღამე გადავიდა,
დატრიალდი მეტრანპაჟე,
ატრიალე რკინის რგოლი,
ბიჭო მკლავი გააკაჟე!
მკვდრის სუდარას სახე გვიგავს,
თვალები კი გამქრალ სანთელს,
ლომიც იყო, ვერა აიტან
ფეხზე დგომას, ძმაო, ამდენს!
ხერხემალი გამიშეშდა,
მუხლები მთლათ მიკანკალებს,
თითები სულ დამიდუნდა,
ვეღარ ვშლი და ვერც ვხრი მკლავებს!
ჰე, რა ვუყოთ, „მოწინავე“
დღის გაზეთში კარგი არი:
„სიმართლე“ და „დამაშვრალი“
ცხელ-ცხელები სულ აქ არი!
რა გგონიათ!.. ორიოდე
ჩვენც რამ ვიცით აქა-იქა,
თან ვაწყობთ და თან ვკითხულობთ,—
აგერ აზრიც გაიზნიქა!
დავიკვეხებ, ჩვენშიც არი
პოეტი და კრიტიკოსი:
ვასო ვიკტორ-ჰიუგოთ გვყავს
და ანდრო კი არის როსი!
ასე ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგი კიდევ განაპირას!

7. მკერვალი ქალის სიმღერა.

(ტომას-გუდიდამ)

დაწყლულებული თითები სტკივა,
სტკივა თვალები გაწყალებული;

კონკის ძველებში უზის საკერავს;
მუშაობს ნემსი გამალებული.
ჰკერავს და ჰკერავს, ჰკერავს მშიერი
და თანაც მღერის ნაღვლიან ხმაზე,
მღერის და მოსთქვამს ამ სიმღერაში
მწუხარე ამბავს თვის საკერავზე:

„ჰკერე და ჰკერე შეუსვენებლივ!
აჰა იყივლა უკვე მამალმა,
მაგრამ შენ მაინც ჰკერე და ჰკერე,
თუნდ გათენება გამცნოს ვარსკვლავმა!
განა არ სჯობდა, რომ მომკვდარიყავ,
ტყვედ ქმნილი, მონად ურჯულოთ ხელში?
იქ ცხონებისთვის არ ფიქრობს ქალი,
როგორც ჩვენიათ ქრისტიანებში!

„ჰკერე და ჰკერე შეუსვენებლივ,
მოღლილს ვიდრე თვალთ დაგიბნელ-
დება,
ბლანდი, გვირისტი, გვირისტი, ბლან-
დი...
ძილშიაც კი სულ ეს გელანდება!
ოხ, ძმებო, თქვენის საყვარელ დების,
ცოლის ნუგეშნო, ნუგეშნო მშობლის!
იცით რა გმოსავთ? ფარჩა კი არა,
ეგ სისხლი არი მკერვალ ქალების!

„სივაგლახეში, სიღატაკეში
ერთის ნემსითა ვკერავთ ორს რამეს:
ერთის ფარჩიდან სხვისთვის ძოწეულს,
ჩვენთვის ვამზადებთ სუდარ-სამარეს!..
მაგრამ რა არის ჩემთვის სიკვდილი?
არ მეშინიან და არც შევკრთები,
თუნდა ამ წუთას გულს ჩამეყაროს
ჩონჩხად ქცეული მისი ხელები!
მეც ხომ მას ვგევარ გაფითრებული!..
მოკვდა, წავიდა ჯანი და ნირი...
ოხ, ღმერთო, ღმერთო, რათ არი ასე:
სისხლი იაფი, პური კი ძვირი?!

„ჰკერე და ჰკერე შეუსვენებლივ!..
აუტანელი შრომა და ტანჯვა!...
ჯილდოდ—გამხმარი პურის ნაპერი,
ლოგინად გელის გამხმარი ნამჯა,
თავ-შესაფარად—ჭერმონგრეული
სარდაფი ბნელი და ნესტიანი;
მის ველ კედლებზე ჭკრთები ხანდახან
ჩემი აჩრდილი კონკებიანი!

„ჰკერე და ჰკერე შეუსვენებლივ,
როცა ფანჯარას ყინვა შეთოშავს;
ჰკერე და ჰკერე შეუსვენებლივ
მაშინაც, როცა გარს სხივი გმოსავს
და გაზაფხულის ცელქი მერცხლები
სახლის საჩიხ ქვეშ მიჰქრი-მოჰქრიან,
ჭიკჭიკით, ლხენით დანავარდობენ
და სანავარდოთ შენც გეძახიან!

„ახ, ნეტავ ერთხელ ამომასუნთქა
წმინდა ჰაერი მწვანე მინდორზე,
ვუცქერდე ცასა ლაჟვარდოვანსა,
ვცელქობდე, ვხტოდე ნორჩ ყვავილებ-
[ზე,
რომ მოვიგონო ჩემი სიბავშვე,
როცა არ ვგრძნობდი ამ მომავალსა,
და არ ვიცოდი—თავისუფლებას
ვანაცვალებდი პურის ლუკმასა!

„ახ, ნეტავ ერთ წუთს, ნეტავ ერთ
წამსა
მწარე ნაღველი გულს გადეყაროს
და სიყვარულის იმედმა გულში
ნეტა ერთ წამით გაიფრთხიალოს!
ცრემლი მხოლოთ გულს მისცემს
შვებასა,
მაგრამ, თვალებო, ნუ ღვრით ნაკა-
დულს,
ნუ უშლით ჩემ ნემსს და საკერავსა,
ნუ დამისველებთ ტურფათ მოქარ-
გულს!..“

დაწყლულებული თითები სტკივა,
სტკივა თვალები გაწყალებული;
კონკის ძველებში უზის საკერავს;
მუშაობს ნემსი გამალებული.

ჰკერავს და ჰკერავს, ჰკერავს მშიერი,
თან დაღიღინებს ნაღვლიან ხმაზე...
ოხ, ბედნიერნო, ნუ თუ არ გიკრთით
გული მის შავ-ბნელ, მწარე ამბავზე?!

8. განკიცხული.

ის მიდიოდა დუქნების წინ
ფეხის ტორტმანით;
ვინ იცის, ღამე სად ათია,
რომელ სარდაფში?...
ყელზე მოეგდო თავსახვევი
გახუნებული
და ძველი კაბა ამოევლო
ბუბყში და ლაფში.
სახეზე აჩნდა უზნეობის
შავი ლაქები,
უსირცხვოთ თვალებს აშტერებდა
გამვლელ-გამოვლელს.
დიდიხანია მან დაჰკარგა
უმანკოება,
დიდი ხანია, რაც გაეცნო
ქალაქის ბაღებს.
ზოგი კენჭს ესვრის, ზოგი ზიზღით
არიდებს თვალსა,
მაგრამ იმისთვის სულ ერთია,
ვინც რა უნდა თქვას:
გადაეხადა თავს მანდილი
უბიწოების—
თვისი სიმდიდრე, და მის გარე
რაღა წაერთვას?!...
დღე ძილს ანდომებს, ღამით ლუკმას
ეძებს მშიერი,
იმავ ბაღებში მღერის, ცეკვავს
და იგრიხება;
მეორე ბაღში ქურდ-ბაცაცობს
მის პირმშო შვილი,—
ის ვერც კი იცნობს, მისი ბედი
არ ენაღვლება...
ათი წელია, რაც მიაგდო
საღღაც კარებთან
და თვით კი გაჰყვა გატაცებით
ცხოვრების ტრიალს;
ის არ იცოდა საცოდავმა,
რა მოელოდა,
უმანკოება რომ შესწირა
პირველსა ტრფიალს...
იქნებ ლუკმისთვინ უბედურმა
გაყიდა თავი,
დუხჭირ ცხოვრებამ გადულახა
ყმაწვილი გული,
ანუ სახლიდან გამოაგდო
ლოთმა დედამა,
და ახლა ჰქვია ქუჩის გოგო
და განკიცხული!

9. სახლების მხურავი.

ხვებისთვის სახლებს ვხურავ,
მე კი ქუდიც არა მაქვს,
მაკრატელი, ჩაქუჩი,
დავდივარ და თან დამაქვს!
აი ჩემი ხაზინა,
სულ ეს არი, რაც არი;
მდიდარი თუ გვერდს მიხვევს,
მეც მყავს ჩემი ამქარი!
სახურავზე ვსეირნობ,
ქალაქს თავზე დავცქერი;
ყველაზე ღმერთთან ახლო
ვარ... ვითომ ბედნიერი!
მაგრამ მხოლოთ ეს მიკვირს,
რატომ ღმერთი ვერ ხედავს,
რომ თვით შიშველ-ტიტველი
სხვისთვის სახურავს ბედავს!

ეხ, ნეტავი იცოდეთ,
როცა რკინა ხურდება,
დასერილი ფეხები
როგორ მტკივა, წყლულდება!
ანდა, ზამთრის სიცივე
როგორ მივლის გულშია,
როცა კისერ-წახრილი
ვცოცავ ცის კიდურშია!
მაგრამ ანტონასათვის,
აბა, ვის ენაღვლება...
რა ვუყოთ, რომ ჩიტივით
ის სახურავზე კვდება!...
ხანდისხან, როცა მცივა,
ამიტყდება კანკალი,
ჩემს ქვეშ დაიგრიალებს
ხმა-ტკბილი როიალი.
მეცინება მწარეთა
ჩემს უცნაურს თამაშზე,
ჩაქუჩი მივარდება
გაყინულს სახურავზე.
ან, როცა გაზაფხული
ქალაქს ირგვლივ მოავლებს
სხვა-და-სხვა ფერს ლალებსა,
ალმას-ზურმუხტის თვალებს,
და მერცხალი ფრთა-მალი
მიქრი-მოქრის ველზედა,
ვუყურებ, ნისლი როგორ
წვება ცის წვეროზედა;
მეც იქით მსურს გავფრინდე,
ვიგრძნო თავისუფლება,
მაგრამ ჩაქუჩს დავხედავ
და გული მიწუხდება.
ეხ, დაჰკარი ჩაქუჩი,
ხეს რკინა დაეჰედე!..
მაგისთანა სურვილი
ან კი როგორ გაბედე?!
დაჰკარ, დაჰკარ ჩაქუჩი,
დააშურე სახურავს!..
სხვებისთვის რკინას ვჰედავ,
მე ქუდიც არა მხურავს!...

10. პირველი სხივი.

მთას ბურუსი შემორტყმია,
ნისლს მინდორი დაუფარავს;
ქარი გმინავს და ბობოქრობს,
არე-მარეს აკრთობს, ჰზარავს!
ტყეს ტოტები დაუშვია,
ბალში ვარდი მთლათ გახრწნილა...
წყვდიადია... ჩუ, ბუმ სადღაც
დაიკვნესა, დაიკივლა!...
რას დავეძებ ბუნებისა
ცრემლებსა და კაეშანსა,
გლოვის ზარით შემოსილსა
მაღლა ცას და დაბლა ბარსა!...
გულში, გულ ში გაზაფხულის
სხივმა დაჰკრა, გაიცინა,
და იმედმა, ფრთა—შესხმულმა,
ალმადგინა, ალმაფრინა!
ქარი კვნესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრთოლავს გული.
ეს პირველი სხივი არის:
მეგობრებო, გაზაფხული!

11. მუშა და მუზა.

I

ერთია მხოლოთ იმისი ფიქრი,
ერთია მისი გულის ღონება:
შავი აჩრდილი უდგა მას თვალწინ,
მას შეუპყრია მისი გონება!
იგი არ არი მხოლოთ ოცნება,
მწარე ქვითინი სატრფოს უარზე,
არ არი იგი გალაღებული
სულის კვეთება ველათ, მთა-ბარზე!
არა, ამისთვის არა სცალიან,—
ღმერთებს დაუთმო მან სიყვარული,—

სხვა აჩრდილს ხედავს იმისი თვალი
და სხვა გვარათ სცემს იმისი გული!
დე, დედამიწის ნებიერებამ
ილოცონ მხოლოთ ნაზი ამური,
იმას შესწირონ ბედნიერება,
წმინდა ნექტარი, სუნელ-საპკური!
არა, მას თვალწინ სულ სხვა აჩრდილი
უდგა დუხჭირი,—თვისი ცხოვრება,
და მწარე არი, ვით თვითონ იგი,
მისი ფიქრი და მისი გონება!
უდგას თვალწინა და ზედ კითხულობს:
„მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა!
შენ კაცი გქვიან, მაგრამ სადა გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება?!
შეხედე შენს მკერდს, რა უყავ ოფლი,
რისთვის და ვისთვის იგი იღვრება!?
„შენებ დარბაზს—სახლი არა გაქვს,
ებრძვი მიწასა—კვდები მშიერი!..
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი
და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს:
შენ გააკეთე ეს ქანდაკება,
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება!
მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?!
სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო?
და მაშინაც კი ცრემლები მოგდის,
როს სევდიანად გსურს დაიმღერო!
არ გესმის ტაში იმ დარბაზიდან,
ტკბილი მუზიკა, სიცილ-ხარხარი?
ბედნიერები დღეს მეჯლისობენ
და მათთვის უკრავს იქ ოქროს ზარი!
მაგრამ იკითხე: ვინ გამოჭედა
ეს ოქრო-ვერცხლი,—და გიპასუხებს:
შენი ნაღველი, შენი სიმწარე
იმათ სიცილათ გადმოიქუხებს!
ადგილი არ გაქვს შენ ამ მეჯლისში,—
ამოეფარე ნესტიან სარდაფს,
ვიდრე შიმშილი შრომის ბაზარზე
არ გაგიძახებს, არ დაჰკრავს დაფდაფს!
იქ შეებმები კვალად უღელში, [ვებს,
მხოლოთ ლუკმისთვის დასჭიმავ ძარღ-
მოკვდები ასე, ვიდრე მკერდის ქვეშ
ტანჯული გული სცემს ფართხალებს!
შენს ადგილს შენი შვილი დაიჭერს,
იცნობს ცხოვრების გზაზე შენს კვალსა,
შეკრთება, მაგრამ გასჭიმავს უღელს,
ვიდრე მოსძებნის შენთან საფლავსა!“
ამას ჩასძახის აჩრდილი მუშას...
ყურს უგდებს, თავი ხელს დაუყრდია,
ყურს უკდებს ჩუმათ ცხოვრების ჩურ-
მისი ბრჭყალები გამოუცდია! [ჩულს,

II

ლილაა... ღელავს შრომის ბაზარი,
სცემს ოქროს ტალღა, სცემს ოფლის ზვირთი,
იქ მონამ კვალად წახარა ქედი
და ზედ დაიდგა ცხოვრების ტვირთი!
დილის სხივებმა გაითამაშეს,
მათთვის ერთია მონა, ბატონი,
მათთვის ერთია, იყო შენ ჭია,
თუ დიდებული მეფე-პატრონი!
აღმოსავლეთი წითლად ენთება,
ხარობს მიდამო, ხარობს ბუნება,—
ვინ გაუბედავს იმას მონობას,
და სხვის მონობა რა ენაღვლება!
ამ დროს სინათლემ მუშის სარდა-
შემოაშუქა და აციმციმდა, [ფში
წინ სხვა სურათი გამოეჭიმა...
შეხედა მუშამ და გაუკვირდა!
ღმერთების სწორი სილამაზითა,
ნაზია, როგორც თეთრი ღრუბელი,
მთლათ სიყვარული, მთლათ სიხა-
რული,

ჩანგზე დაცურავს მთრთოლვარე ხელი,
და სიმი კვნესის, სიმი კანკალებს,
მის ხმაში მღერის, თრთის გაზაფხული;
ყურს უგდებს მუშა, მაგრამ მის სახე
ისევ ისეა დაღონებული!
„მე მუზა მქვიან,—უმღერის ჩანგი,—
და მოგიტანე სიმხიარულე,
მოდი, შეგასვა მისი ნექტარი,
შენც შეიყვარე, იმხიარულე!“
მუშამ შეხედა, ასწია თავი,
გაუთამაშდა ღიმილი მწარე,
და ყრუ სარდაფის კედლების შორის
გაისმა მისი სიტყვა მქუხარე:

მუშა

მუზავ, რა გინდა შენ ამ ადგილას,
ღმერთების შვილო, აქ მუშასთანა,
და სიყვარულიც ჩემს დასაცინათ,
მითხარ, ცამ რისთვის გამოგატანა?
ბედნიერების გასართობელო,
შესამკობელო მათი სუფრისა,
გზა არევია მაგ შენს ტკბილს ჩანგსა,
მესტვირეევ ოქროს დარბაზებისა!
წადი იქ, სადაც ტკბილი ნექტარი
კრთის სიყვარულის ფიალაშია,
ეკლის მაგიერ ვარდი ჰფენია,
წადი ღმერთებთან, წადი ცაშია!
ვერცხლის ქურუმებს უთხარ სიმღერა,
ჩანგს მოგირთავენ ოქროს სიმებით,
იქ მოგიხდება ჰანგების ჟღერა,
მსხვერპლიც სიყვარულს იქ შესწირევით!
მაგ შენს თვალებში სიცოცხლის ტალღა
სულ სხვაფერათ სცემს, სხვარიგათ ღელავს;
სჩანს, შენი ნაზი მკერდი ბროლისა
ჯერ მწარე ცრემლებს არ დაუფეშენი ტკბილი ხმა ისარი არი, [რავს!
ჩემთვის შხამია ეგ სიყვარული,
მე სულ სხვა გვარათ, შენ სულ სხვა გვარათ
გვიღელავს გრძნობა ⁄ გვიცემს გული!
შენ გაჩენილხარ სამხიარულოთ,
მე, თითქოს, მხოლოდ სამგლოვიაროთ,
ვხედავ, არ გჯერა, მაშ მოდი, მომყე,
ცხოვრების ველი შემოვიაროთ!

მუზა

ნუ მირისხდები, ბედთან გამწყრალო,
მე ყველასათვის ერთგვარათ ვეღერავ,
ცისა და ქვეყნის მოციქული ვარ,
ორთავ ერთგვარათ ვმოსავ და ვფერავ!
განა შენ არ ხარ ადამიანი,
შენთვისაც არი ხომ სიყვარული,
შენც ხომ გაქვს გრძნობა, გიყვარს სიცოცხლე,
შენც ხო გითრთოლავს მკერდის ქვეშ გული?!.

მუშა

ბალღი ყოფილხარ, შენ ჩემო მუზავ,
მაშ შენ არ იცნობ, ვხედავ, ცხოვრებას,
და ეგ ლამაზი შენი თვალები
მთლათ დაუფარავს სიამოვნებას!
წამოდი ჩემთან, გაგაცნო ველი;
როგორც სჩანს, ჯერ შენ ის არ გინახავს,
თვით ბედნიერო, სხვაც ბედნიერათ
ბრელს ოცნებაში გამოგისახავს!

III

და წინ გაუძღვა მუშა მუზასა,
ქუჩის ტალღებმა ორივ შეხვია,
გრგვინავს ცხოვრება, კვნესის ვიღაცა..
ცრემლი ჩანგს მოხვდა და შეარხია!

ხელგამოწვდილი ლუკმას თხოულობს
გლახა შიშველი, გლახა მშიერი,
სიკვდილი უკან დასდევს დავროდო-
მას დაუდვია თვისი ელფერი! [მილს,
ის წაბარბაცდა, მეორე გლახამ
გადაუარა ხურგზე გუდითა;
მუშამ დუმილით ღვერთების სატრ-
მწარეთ შეხედა და მიუთითა! [ფოს
უყურებს მუზა გაკვირვებული,
ვერ გამოეცნო მაოხოვრის სახე,
ის ხომ არ იყო შეყვარებული,
არ მოხვედროდა მას სატრფოს მახე!
არა, მას სულ სხვა ბეჭედი აზის,
თვალებ ჩამქრალი, სხეულ მიხრწნი-
და მის სახეზე დაწერილიყო; [ლი,
„მხოლოდ სიმშილი, მხოლოდ სიმში-
ლი!“

„—როკორ?! —განცვიფრდა აქ ცის
ადამიანი... ასე მშიერი?! [პეპელა,—
მაშ, ვისთვის არი ცა და ქვეყანა,
უცხო სამყარო, პირმშვენიერი?“
ჩაფიქრდა მუზა და ჩანგს დახედა,
იქ ეჭვის სიმი გაჭიმულიყო
და ვარდის ყლორტის პატარა წკირა
გლახის ცრემლებით დანამულიყო!
წადგა ნაბიჯი... ქუჩაა შავი ..
ფრთა გაუშლია თვითონ ჯოჯოხეთს...
ცივა... ჭქრის ქარი... ვაი და კვნესა
თვით უგულო ქვას შუა გადახეთქს!

—„უყურე, მუზავ, უყურე, დასტკბი..
ცხოვრების კვერი აქა ტრიალებს.
დაუგდე ყური!—შენიშნავს მუშა,—
მწარე ნაღველი გადმოთქრიალებს!
არა ჰგავს განა ველს აყვავებულს
და ხავერდოსან მთასა და ბარსა,
ბულბულის წკრიალს, ბედნიერების...
შენი ჩანგიც ხომ მათ აძლევს ბანსა!
ცისა და მიწის წმინდა კავშირო,
შენ ჯოჯოხეთი გინახავს ცაში?
იქ ვერ ნახავდი, ის მიწაზეა,
ის არის მხოლოთ ჩვენს ცხოვრებაში!
ეს კვნესა, ვაი—უსახლ-უკარო
ბოგანო ხალხის მწარე ჩანგია,
და მიტომ შენი ტკბილი სიმები
მათთვის ფუჭი და მეტი ბარგია!“

გაწითლდა მუზა, თავი დახარა,
დაჭკრა ნოტმა იმის სპეტაკ შუბლს.
ამდროს ვიღამაც გადიხარხარა,
თვისკენ ეძახდა იკი სიყვარულს!
იცნო მუზამა ეს ბედნიერი,
ბევრჯელ მის ჩანგმა მას მოულხინა,
ახსოვს დარბაზი, ოქრო და ვერცხლი,
ახსოვს მის სუფრა, მდიდარი ბინა!
ის ყიდულობდა სიყვარულს აქა,
ხან იცინოდა, ხან ვნებით თრთოდა,
მისი მსხვერპლი კი თვის უბიწობას
მწარე ცრემლებით ეთხოვებოდა,!
უყურებს მუზა, როგორა სთელავს
ადამიანი წმინდა სიყვარულს,
იმის მკერდზედაც გადაუშლია
თვის ბაირაღი ოქროსა და ფულს!
ჩანგის სიმებმა ვერ მოითმინეს,
შეტოკდენ, მწარეთ ჩაიქვითინეს
და გაყიდული გული და გრძნობა
ადამიანის მათ დაიტირეს!

IV

მუშა გაუძღვა სტუმარს დაღვრე-
მილს,
მათ წინ აკლდამამ გააღო პირი:
გრგვინვა, ქუხილი გაისმოდა იქ,
თითქოს სატანამ დაჭკრა საყვირი!
ჩაეშვნენ ქვევით, სდუღდა გენია,
ათი ათასი იძროდა ხელი,
და პირის ოფლით იპკურებოდა
იმათ გარშემო ცხოვრების ველი!

ცეცხლი ვარვარებს, ტრიალებს ალი,
ადის და ჩადის მთა ბუმბერაზი,
აქ მონობისთვის შემოუვლიათ
ირგვლივ ბორკილის რგოლი და ხაზი!
იქავ ქურუმნი, ოქროს კერპები
დგანან ამაყათ, მათრახით ხელში,
მათ წინ განრთხმულა და ისრისება
ადამიანთა ურიცხვი ლეში.
ვისაც აქვს ძალა, ის იქნევს მკლავსა,
ზოგი ტალღებში დასუსტებულ, [ლი
ბევრი მოღლილი, მთლათ მოქანცუ-
ზვირთისგან ნაპირს გადაგდებულ!
შეხუთულია ირგვლივ ჰაერი,
აქ იხარშება გრძნობა, გონება,—
ამასა ჰქვიან ქურუმ-კერპთა წინ
ქედის წახრა და მწარე ცხოვრება!
შეხედა მუზამ თვის თანამგზავრსა,
შეხედა მონებს: ერთია სახე!..
და ჯოჯოხეთიც იმათთვის მხოლოთ
საერთო არი,—ერთია მახე!

„აბა შეხედე, პირმშვენიერო:
აღმოსავლეთი ვით იღებება;
ნუ თუ არ გინდა ჩანგი აეღერო?...
ათასი გულიც მას ეგებება!
შეუხმატკბილე მათ შენი ჰანგი,
იყავი გმირი იმათთან ერთად,
დე, ქარიშხალმა ძირს დასცეს კერპი,
ადამიანი გადიქცეს ღმერთად!
ეს ოფლიანი ათასი მკერდი,
მოქნილი მკლავი ოფლში, შრომაში,
მათი ნუგეში, მათი იმედი, [ლაში!.
ჰპოვებს, რაც უნდა, მხოლოდ ბრძო-

„ჩუ! აგერ სხივმაც შეითამაშა
და მონამ მაღლა ასწია ქედი,
ბრძოლის ხმამ დაჰკრა, დაიგანგაშა,
რომ გამოსჭედოს მან თვისი ბედი!
შეხედე დროშას განთიადისას,
წითლათ შეღებილს, ამაყს, მშვენიერს,
თრთიან ღმერთები, თრთიან კერპები
და თავს უბრიან მის სიძლიერეს!
აი, აქ არი, თვალმშვენიერო,
რასაც ოცნება მხოლოდ გიხატავს,
გაავლე ჩანგი იმის სხივებში
და მაშინ სიმიც სხვა გვარათ დაჰკრავს!"

V.

წკირამ ჩამოჰკრა ჩანგის სიმებსა,
მაგრამ სულ სხვაა ახლა მისი ხმა,
ჰანგი ჰაერში ჰფანტავს ცრემლებსა...
ისმის გოდება და მწარე მოთქმა!
ქვითინებს მუზა: „მაშ ამ ოა
ცა, დედამიწა, მთელი სამყარო!...
ამიერიდან იგი მძაგს!... მაგრამ
იმის მაგიერ რა შევიყვარო!
რისთვის და ვისთვის ვცემდი სიმებსა,
ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული?..
გაჰკრა, წავიდა ტკბილი ოცნება
და ჩანგთან კვდება თვით სიყვარული!
წყეულიმც იყოს სიცრუე ც სა,
ამიერიდან მისი არ მჯერა,
არ მჯერა სიტყვა მე ღმერთებისა!
აყვავებული ცხოვრების კერა! [თვის?..
წავალ მე ჩემთვის... რისთვის? ან ვის-
ახლა მჯერა, რომ ვარ მეტი ბარგი,—
და ზღვისა ტალღებს შეუერთდება
გადაგდებული ეს ჩემი ჩანგი!"

მუშა

შესდექი, მუზავ, შენ აქაც სცდები,
ზღვა არ დამარხავს შენს ჩანგის სიმებს!..
არა, შენ ჩვენთან დარჩი, იცხოვრე..
ჩვენი ცხოვრებაც გიძმობს, გიშვი-
სიმხდალე არი განდეგილობა [ლებს!
და მონასტერი საფლავ-სამარე...
როგორ გიყვარდეს ამა სიკვდილი,

ოდეს სიცოცხლე ვერ შეიყვარე!
ჩამოხსენ სიმი მაგ მშვენიერ ჩანგს,
ღმერთებს გადუგდე გასართობელათ:
ჩვენი ცხოვრება სულ სხვას გაბამს,
და ხმა მქუხარე გაისმის ქვეყნათ!
ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი
მას დაუბრუნდა, ათრთოლდა ჩანგი,
და ათიათას ხმას შეუერთა
მან საბრძოლველი თავისი ჰანგი!
მაღლა მიცურავს წითელი დროშა,
მონა ქედს იწევს, ზვირთი გუგუნებს,
ცა წაგრაგნილა, ცა მოღუშულა,
ძირს დაუხრიათ თავები ღმერთებს!..
ეღერს კვალათ ჩანგი. მუზა ამაყათ
აკვნესებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს;
მისცურამს დროშა მაღლა თამამათ
და განთიადიც მასთან იღვიძებს!..

X. საზოგადო ჯგუფი:

1. ჩემს სანეტაროს.

მოქანცული ტყვედა ვგდივარ,
ვიბრძვი, მაგრათ შებოჭვილი,
შენ მოგელტვი, ვერ გავსწყვიტე
ამირანის ჯაჭვი მსხვილი.
შენდა სატრფოდ თავ-განწირულს
გული მერჯის, ხელი აღარ...
მითხარ, ჩემო ნეტარებავ,
დამენახვე, ნეტამც სად ხარ?
მთლად მომწყვიტა ცხარე ბრძოლამ,
სიბნელისგან თვალთ მაკლდება,
მხნე ხმა ჩემი, შემზარავი
დღეს არს კვნესა და ვაება;
და, რამდენიც გეტანები,
გარს მეხვევა ბნელი მევე...
სად ხარ, ჩემო ნეტარებავ?...
დამენახვე, გამამხნევე!
თუ იმედი არა მქონდეს,
რომ ოდესმე შეგეყრები, —
უშენობით ვერ გავსძლებ და
თავს მოვიკლავ, გეფიცები!..
ამ სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი,
თუ ვიცოცხლო—ვგვანდე ცოცხალს!..
სად ხარ, ჩემო ნეტარებავ,
რად არ მასმენ ცხოვრების ხმას?
ნუ თუ ჯერაც არ გაივსო [დევს.
მსხვერპლით თხრემლი, წინ რომ გვი-
და უფსკრულის თვისის ძირით
კიდევ ბევრს ხანს დაგვაშორებს?!...
იკმარევი შეწირული,
ისმინე ხმა ვედრებისა:
გამობრწყინდი, ნეტარებავ,
მოგვეც სხივი ცხოვრებისა!

ანტ. ფურცელაძე.

1873 წ.

2. ფ ი ც ი.

(„პოეტი და ჩვენებიდან“).

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, ჯაჭვებით შეკრულს
და წითლად ნაღებს მისსა მიწებსა,
ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჭილს

ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა;
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით და-
ღვრილს,
და მათსა აღმზრდელ მანდილოსნებსა!..
ᲨᲔᲘᲪᲐᲕ მათსავე განთქმულსა სახელს,
საერთო მტრების შემაშიშარსა;
იმათ მკერდს მხნესა, შიშის უცნობელს,
უცხოდ ნახმარებს ხრმალსა და ფარ-
[სა;
მამა-პაპათა ჩვენთა საფლავებს,
მამულისათვის თავ-დადებულთა;
ათასის წლობით მტრებთან მებრძოლ-
თა,
მუდმივ დღე და ღამ ამხედრებულთა!..
ᲨᲔᲘᲪᲐᲕ მეფეთ დასს, თავებ-დაკვე-
თილს,
დედოფლებს, ჩანგლით დაგლეჯილებ-
სა:
ვახტანგს, გიორგის, თამარსა კეთილს,
დავითს, კავკასის ტურფად აღმგებსა,
და ჩემს ღვთაებას კახბერს, სხვა კაცს,
რკინის პალოით საზღვარზე მდგარსა,
ოსმალთ ძალთ მლეწველს, უბადლო
მამაცს,
მას ლომსა და ბრძენს შეუპოვარსა!...
ᲨᲔᲘᲪᲐᲕ ქართველის სულს, ჯან-
გაუწყვეტელს,
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით
შემკულს,
მაგ ჩვენს დამღუპველს, იმასვე დამხს-
[ნელს,
ივერიელებს მისთვის წამებულს,
თვით ჩემს უკვდავ შურს, მიუძინებელს,
საშვილიშვილოდ გარდასაცემსა,
ჯავრის ყრის სურვილს გამაცოფებელს
და ტკივილთ გრძნობას, მტრისგან
ნაცემსა!...

მამია გურიელი.

1883 წ.

3. მუხა.

ᲛᲣᲮᲐᲕ, მიყვარხარ, ტიალო,
განმარტოებით მდგომარე!
ერთი შენ გპოვე გულისა,
ქვეყანა შემოვიარე;
დაღონებული, მტირალი
მიწყივ შენკე ვარ მოარე!
მე მიყვარს შენი სიბერე,
მუდმივი დაღრეჯილობა;
დახავსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ-შლილობა...
შენ ვერ გაშინებს, ვაჟკაცო,
ბუნების ფერის-ცვლილობა!
რაც უნდა ქარი შხუოდეს
და ელვა იკლაკნებოდეს,
მთა-ბარი ირეგვნებოდეს,
ხილ-ხული იხოშებოდეს,
ლერწამი მიწას ეკვროდეს,
მშველი ტყეს ინაბებოდეს,
ზარ-დაცემული მხეცი რამ
პწკალზედ კლდის ეხში ღმუოდეს,—
ამაყად ელი ავდარსა,
ქარს არ უყადრებ თავსაო;
ელვა და ჭექა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო:
არ ივლებ ბაი-ბუადა
ხალხის ულმერთოდ ჭრასაო!
საფლავიმც აუყვავდება,
ვინაც გვაუწყა მცნებაო:
„კაცი იშობვის ერთ დღესა
და ისევ ერთ დღეს კვდებაო,—
კარგი ჰაბუკი სიკვდილსა
არროს არ შეუდრკებაო!“

ბაჩანა.

4. ცრემლები.

როცა ცხოვრების ტალღებთან ბრძოლით
ღონე-მიხდილი, დასუსტებული,
ვდგევარ მარტოკა, უამხანაგოდ,
სუყველასაგან დავიწყებული;
როცა ფიქრები, შავი ფიქრები
თავზედ მეხვევა აზვირთებული,
ზიზღით ვიგონებ მთელს ჩემ წარ-
სულსა
და აწმყოთი ვარ გაბრაზებული;
როცა საზარი სევდა სულს მიკლავს
და გულღვიძლს მილრღნის გამწვავე-
ბული,
რწმენა მესპობა და მომავალსაც
ვუყურებ, იმედს მთლად მოკლებუ-
ლი,—
მაშინ ცრემლები, ცხარე ცრემლები,
ეს ერთად-ერთი ჩემი ერთგული
ამხანაგები, მილბობენ წყლულსა
და ვსტირი... ვსტირი გამწარებული!
ოჰ, რად არ ძალმიძს მთლად
ცრემლად ვიქცე,
გავხდე მდინარე აღქაფებული
და გადავრეცხო, რაც ქვეყანაზე
ბოროტებაა დამყარებული?!

დუტუ მეგრელი.

1891 წ.

5. აღარსით ისმის.

აღარსით ისმის ცხოველი სიტყვა,
სულის და გულის აღმფრთოვნებელი,
ჭაბუკთა მხრდელი და დაჩაგრულთა
რწმენით აღმვსები, ნუგეშ-მცემელი.
ძველნი მოძღვარნი დადუმებულან,
ახალი ჯერ არ გამოჩენილა;
ქვეყანაც თითქოს ძილს მისცემია
და ძარღვის ცემა მის შეწყვეტილა!
რა ამბავია, რას მოასწავებს
ეს სამარისა მსგავსი დუმილი?
ნუ თუ სიცოცხლე შეჩერებულა
და იმის ადგილს იჭერს სიკვდილი?..
მაგრამ, იქნება, ვით ბუნებაში,
მყუდროება წინ უძღვის ქარიშხალს,
როს ელექტრონი ავსებს ჰაერსა
და ყველაფერი თავს უხრის მის ძალს,
როცა უბრალო ნიავის დაძვრაც
საკმარისია, რომ დაარღვიოს
იგი მშვიდობა, და ფარულ ძალამ
მთელი ბუნება მსწრაფულ შეარყიოს!!..
ეს უცნაური დუმილიც ამგვარ
ქარიშხლის არის წინამორბედი:
სიტყვამ დაუთმო ადგილი საქმეს
და გადასწყდება აწ ჩვენი ბედი?!..
ოჰ, თუ ასეა, ნეტავი იმ გმირს,
ნეტა იმ ვაჟკაცს მხნეს და ძლიერსა,
ვინც სათავეში უდგას ცხოვრებას
და ბელადობას გაუწევს ერსა!...

დუტუ მეგრელი.

1892 წ.

6. ობოლი.

მარტოდ მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარედა:
მამა შინ არ ჰყავს საწყალსა,
დაც გამოსულა გარედა.
გული ელევა საბრალოს
დისა და მამის ლოდინში,
ვერც კარი ჩაუკეტია,
ვერც ჩაწოლილა ლოგინში.
დედა-კი სხვაგან ჰგონია,
შორს სადღაც სალოცავადა,

ვერ მიხვედრილა. თუ მამას
რისთვის აცვია შავადა.
ღამეა. ქარი გრიალებს,
ფინია ჰყეფავს კარებზე.
შინ კი პატარას შიშისგან.
ცრემლი ჩამოსდის თვალებზე.
რა დაიღლება ტირილით
და ჯდომა მოეწყინება,
კარის წინ ფარატინებზე
შიწვება, მიეძინება.
დედასა ჰხედავს სიზმარში,
ღიმილი მოსდის პირზედა,
კაბის ღილს უხსნის, ძუძუზე
ჰკოცნის და ეკვრის ყინზედა.
რაკი დასტკბება ალერსით
და მშობელ დედის ყურებით,
გულ-ამომჯდარი ტიტინებს
კალთაში საყვედურებით:
„სად დამემალე, სად წახველ,
ვისთან იყავი, დედაო?
სამი ღამეა, მშიერი
ვიძინებ ზედი-ზედაო.
„ყურს არვინ მიგდებს, ცალიერ
კუპს ძლივას ვიძღობ პურითო,
რასაც ვსჭამ, ისიც სავსეა
ნაცარითა და მურითო.
„ნელარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენაცვალეო!
თუ ფუფალასთან წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო!..“
იძინე, ჩემო პატარავ,
იძინე ტკბილის ძილითა;
წყნარად, გულ-დამშვიდებულსა,
გაგელვიძება დილითა.
ცხადად ვერ ნახავ დედასა,
ვერ ჩაეკვრები უბეში,
გული კვლავ აგიტირდება,
მაგრამ ღმერთია ნუგეში!

შიო მღვიმელი.

1891 წ.

7. საშობაო მოგონება.

Oენდება შობა. მოწიწებით
მომაგონდება
კურთხეული დღე მაცხოვარის
დაბადებისა,
ოდეს ანგელოზთ გუნდმა ამცნო
კაცობრიობას:
„დრო დაგიდგაო მშვიდობის და
სათნოებისა!“
მაგრამ დრო ესე ჯერ შორს არის...
იმის მოსვლამდის
ბევრი ცრემლ-სისხლი დაიღვრება
დედა-მიწაზედ;
ბევრს სიმართლისა მქადაგებელს,
იესოს მსგავსად,
შეხვდება ტანჯვა და საზარი
სიკვდილი ჯვარზედ.
აბა, შეხედეთ დღეს ქალაქსა:
უმცირესობა,
როგორც ყოველთვის, დღესაც არის
დამტკბარ-მაძღარი,
და მის ჭერ ქვეშე ზნეობისა
სიდუხჭირესა
ურცხვად ახურავს ფარისევლის
თავზე საფარი;
აქ „ოქროს ხბოსა“ მოკრძალებით
თაყვანსა სცემენ,
მსხვერპლად შესწირვენ სვინდისსა და
კაცურ ღირსებას;
აქ სულს უხუთვენ ჭაპან-წყვეტით
ლუკმის მძებნელსა,
დღედაღამ შრომით დაქანცულსა
უმრავლესობას!
აქ ამ დღეს რამდენს უსახლ-კაროს,
რამდენს ლატაკსა
ხმელის პურისა ლუკმის შოვნაც
კი ენატრება!...

რამდენს სნეულსა, ცივ სარდაფში
უპატრონოთ მწოლს
საშიში წამი სიკვდილისა
უახლოვდება!..
თან უბედურსა სიკვდილის წინ
გარკვევით ესმის,
თუ მდიდრის სახლში ვით მღერიან
და განცხრებიან:
იგი აქ კვდება, სულთ-მობრძავი,
შეუმჩნევლად,
და იქ კი უკვრენ ტაშა და ცქვიტაო
ცეკვას უვლიან!..
აქ, ბნელ სარდაფში, შრომის შვილი
საშინლად ოხრავს,
თავის გაჩენის დღესა სწყევლის
ბედ-განამწარი;
იქ კი ვაისმის მუსიკის ხმა
გულის წარმტაცი,
ტრფობის სიტყვები და უზომო
სიცილ-ხარხარი!..
დღეს რამდენს კაცსა, ნაცვლად შო-
სიხარულსა, [ბის
აქვს შობა ცრემლის, ტირილისა
და ვაებისა!...
ვინ შეიბრალებს?... მათს სისაწყლეს
რას დაეძებენ
შოთაყვანენი ბოდბელისა
ბილწის მცნებისა?!...
ურიცხვი ხალხი იღუპება
შავ ბედთან ომში
და სიღარიბით უდროვო-დროს
ბოლო ეღება!..
აბა, სად არის ჯერ მშვიდობა
ქვეყანაზედა,
მითხართ, სად არის კაცთა შორის
ჯერ სათნოება?!..
ნეტავი როდის ეღირსება
სისხლის ოფლის მღვრელს
წელში გამართვა, პატივი და
თავისუფლება;
მუქთა-მჭამლების, ძმის სისხლისა
მსმელების გუნდი,
როდის იქნება, რომ სრულიად
გადაშენდება?!..
არ მჯერა, არა, დიდხანს კიდევ
ბატონად იყოს
დღეს ძალადობით მბრძანებელი
ბარბაროსობა!..
დარეკავს ზარი!.. დაიქუხებს
კვლავ სიმართლის ხმა
და შეიმუსვრის ფესვიანად
მისი მეფობა!...

ილ. ჩხერიმელისპირელი.

1894 წ.

8. ელოვა ნესტან-დარეჯანისა.

ხტირის ნესტან-დარეჯანი,
ქაჯთ ციხეში დამწყვდეული,
და ტარიელს შველასა სთხოვს,
გამზდელისგან განწირული:
„თვალ-უწვდენელს ბნელ ციხეში
მარტოდ ვზივარ შეჯაჭვული
და ცრემლსა ვღვრი გულ-ამოსკვნით
უცხოეთში ბედით კრულნი.
მზე-ვარსკვლავებს ვეღარ ვხედავ,
არც ანათებს ჩემთვის ბოვარე;
სათუთობით განაზარდსა,
გულს ტყვეობა მიკლავს მწარე.
ქაჯებს მიზნად ცხოვრებისა
სხვისი ჩაგვრა დაუსახავთ,
თუმც მცნება კაცთ-მოყვარების
სათვალმაქცოდ პირზე აკრავთ.

არც აქვთ სხვაზე მეტი ჭკუა,
არც ზნეობა და არც სწავლა,
მაგრამ ხელში უკავიათ
აღმართისა მხვნელი ძალა.
მიწუნებენ და მიგმობენ
რაც ძვირფასი არის ჩემთვის,
რასაც მუდამ ოაყვანს ვსკემდი
და ვსცემ, მსგავსად შემოქმედის.
დაწყევლილებს ძალიან სურთ
ამირიონ გზა და კვალი,
თავის სჯულზე მაქორწინონ,
დამიკარგონ მომავალი,
მათებურად მაჭიკჭიკონ,
უღვთოდ გულში მკრან ლახვარი,
არც მაცოცხლონ, არცა მომკლან
და მამყოფონ ცოცხალ-მკვდარი.
თვითონ იცი, ვით მემკიდრეს
ინდოეთის ხელმწიფისა,
საქმროც ჩემი ტომის მსურდა,
ჩემისავე მიწა-წყლისა.
ბავშვობიდან თან შეზრდილი
მქონდა შენი სიყვარული
და ამიტომ, ტარიელო,
საქმროდ მყავდი დასახული...
რა მოვიდა სპარსთ მეფის ძე,
ჩემად საქმროდ მოწვეული
მამის მიერ ჩემს უხებრად,
ამიღელდა მწარედ გული.
გადავწყვიტე: ჩემი საქმრო
სასიკვდილოდ გამეწირა,
ჩემ სამშობლოს საკეთილოდ
მის სიცოცხლე შემეწირა,
რომ ამით მას აცდენოდა
სპარსეთისა ბატონობა,
შეენახა თვისი ენა
და თვის თავისებურობა!
გამცნე ჩემი ხვაშიადი,
საიდუმლო გულის ძგერა...
და სპარს-საქმროს შენმან მკლავმან
ჯაუცუდა ბედის-წერა...
ამის შემდგომ ჩვენ ორივე
მოგვიძულეს და გაგვწირეს;
და სამშობლო ჩვენი მტრებმა
სატანჯველად დაიჭირეს.
ეახლოვს, ოდეს სულ პირველად
გაგიცაადე სიყვარული,
ეარქვ: შენი ვარ სიკვდილამდის,
შენთვისა სძგერს ჩემი გული?..
ვერ შემცვალა ტყვეობამან;
იგივე ვარ, რაც ვიყავი:
მაკარს გულსა ვერა ვასტეხს
ვერასოდეს ბედი შავი.
მე ერთი მიჩნს სამიჯნუროდ,
ერთი მივის საყვარელი,
შვილი ჩემი მიწა-წყალის,
გმირთა-გმირი ტარიელი!
თუ სხვ ს მივცე ჩემი სახე,
თუ სხვას გაჰყვეს შენი მთვარე,
ცამ შემრისხოს, მეხი დამცეს,
გამეთხაროს მსწრაფლ სამარე!..
დღეს, ტარიელ, შენსკენა რბის
ნაღვლით სავსე ჩემი გული,
და მამხნევებს ტყვეობისგან
დაჩაგრულსა სიყვარული!
ისღა მითბობს გაყინულს სჯლს
საღმრთო მადლით ბნელს ციხეში
და, თუ მოვკვდი აქ ეულად,
თან ჩავიტან სამარეში.
ტარიელო, გულის სწორო,
რაღას უცდი, გენაცვალე?!
ბოდი, მიხსენ ქაჯთ ხელიდან:
ისიც კმარა, რაც ვიწვალე!"
ასე სტირის დარეჯანი,
ქაჯთ ციხეში დამწყვდეული,
და ტარიელს შველასა სთხოვს
ვამზრდელისგან განწირული.

სტირის, მაგრამ არ მოუკლავს
ყოვლად მხსნელი სასოება,
ევედრება ზენა-არსსა,
მისგან შველას ელოდება.
ამბობენ, რომ ხშირად იმას
ანგელოზი ეცხადება
და ციხისა ღრმა წყვდიადში
ამგვარ სიტყვებს ეუბნება:
„არ უნახავს ტარიელსა
ჯერ თავისი მეგობარი,
ძმად-ნაფიცი ავთანდილი,
ლონით დევთან შესადარი.
როცა ნახავს, ტარიელი
გამხნევდება დღეს გულწყლული,
წამოვა შენს დასახსნელად,
შენთვისვე თავ-დადებული.
ორივ გმირნი გოლიათნი
დაანგევენ ქაჯთ ციხესა,
და გიხსნიან ტყვეობიდამ
უტურფესსა მზეთა-მზესა.
და მასუკან იქორწინებს
ტარიელი გმირთა-გმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენის ხნის გასაჭირი,
და ერთის ხმით ანგელოსნი,
ცის მნათობნი, მთა და მდელო
მაშინ ტკბილად დამღერებენ:
„ვაშა! ვაშა! ტარიელო!
ვაშა! ვაშა! გმირთა-გმირო.
სატრფოსთვის თავ-დადებულო!
ვაშა შენცა, ავთანდილო,
მეგობრისთვის განწირულო!“
სტირის ნესტან-დარეჯანი,
ქაჯთ ციხეში დამწყვდეული,
და ყოვლად-მხსნელ სასოებით
უმხნევდება იმას გული...
ტარიელ კი უმეგობროდ
უდაბნოში დარბის ხელი...
მხოლოდ ამას გაიძახის
სისხლ-ნარევი ცრემლის მღვრელი
„ჩემო ნესტან! მტირალს ხშირად
გამამხნევებს რაღაც ძალი,
და აწმყოში შავბედიანს
მრწამს ბრწყინვალე მომავალი.
მრწამს, ოდესმე გამოგიხსნი
ქაჯებისგან დატანჯულსა,
კვლავ ვიხილავ თავისუფალს
ჩემს ინდოეთს დაჩაგრულსა!“

ილ. ჩხერიმელისპირელი.

9. სატრფოს.

სატრფოს.

ჩემი სული ხელთ გაპყრია,
ატრიალებ ჯახრაკულად,
შენს ნებაზედ მანაოსნებ
უგზო-უკვლოდ, აბნეულად;
შხამს შარბათად გულში მილეს,
სიხარულსა—სინანულად,
ეშმაკს მივლენ ანგელოზად
და ანგელოზს—ბელზებულად!
შენში ღმერთმა დამისახა
სიამე და სიყვარული,
შენი გული ჩანგად მომცა
და ედემად შენი სული:
ოცნებით ვკრებ იქ ყვავილებს,
იქ არს ჩემი სიხარული,
მასთან ჩემი სულის ლოცვა
და სიცოცხლის ნაკადული!—
მაგრამ ამით ნუ იფიქრებ,
რომ შენს ტყვესა—ამ ჩემს გულსა—
სხვა არ ჰყავდეს კიდევ სატრფო,
არ უკმევდეს სიყვარულსა,
არ ეტრფოდეს იმას მარად,
ვით სალოცავს დიდებულსა,
მის ცრემლს ცრემლსა არ ურთავდეს,
მის სიამეს—სიხარულსა,

ნუ შემრისხავ—ის ერთია
საყვარელი ჩემი მხარე,
ძალ-დიდებით შემოსილი,
ვარდ-ყვავილით მონარნარე,
ქრისტე-მხსნელის მოიმედე.
ჩემი მზე და ჩემი მთვარე,
დიდებულთა წინაპართა
ეკლესია და სამარე!..

Ეგი მიყვარს შენზე მეტად,
იმას მინდა ვენაცვალო,
თვით სამოთხის დიდებაზედ,
არ იფიქრო, რომ გავსცვალო;
მსურს კეკლუცის სადღეგრძელოდ
კვლავ კახური გამოვცალო,
მასზედ ყღერა ტკბილის ჩანგის
არავის არ დავაცალო.

Თუ რომ, ჩემო მარგალიტო,
იმის ტრფობის არ დამიშლ[illegible]
იმედების თაიგულსა
არ მომიკლავ, არ ჩამიშლ[illegible]
გენაცვლები, ფიანდაზად
სულს და გრძნობას გადაგიშლი,
საბნად მთვარეს გადაგაფენ
და ლეიბად მზეს გაგიშლი.

მაგრამ თუ მას აღმიკრძალავ,—
ვით დაჭრილს ლომს გამამწარებ,
არ დაგზოგავ, დანით დაგკლავ,
მიწასაც არ მიგაბარებ,
გარდაგაგდებ ტიალ მინდვრად,
ყვავ-ყორნებსა გავახარებ
და იმ დღიდამ მხოლოდ სატრფოდ
ჩემს სამშობლოს აღვიარებ!

გრ. აბაშიძე.

1899 წ.

10. რაღა დროს ტკბილი ხმებია.

რაღა დროს ტკბილი ხმებია
და ან მყეფარე ბულბული?
ყოფნა, არყოფნის საკითხსა
უპყრია ჩვენი სულ-გული!
რაღა დროს სიყვარულია,
ან შავ თვალ-წარბზე ვალობა,
ოცნება ვარსკვლავებზედა,
ბუნების ეშხით მთვრალობა,—
როცა ტკბილ ხმების მაგივრად
შორიდან ისმის ქუხილი,
ქარი როგორღაც ირევა,
ფოთოლმაც შექმნა წუხილი!
ქარიშხლის მოლოდინშია
ჰაერს დაღალვა ეტყობა:
მოუსვენრობენ ფრთოსანნი:
იციან ავდრის შეტყობა.
და შოოეული ყიყინი
მესმის მახვილი ყურითა,
მესმის ყორნების ყრანტალი:
მობევრდნენ სისხლის სუნითა!
ხმა ქვეყნის ბედის წერისა
გულიდან ძარღვებს ეწევა!
ერთობის ხმაზე მივიწევ
სადაც ხალხის ზღვა ერწევა,
მივიწევ გაშმაგებითა,
გული თრთის, სული მელევა!!..
მიახლოვდება ყიყინი...
იქ ნახეთ საანახავები:
მოაჭენებენ, მოჰქრიან,
გადაუდვიათ თავები...
გისურვებთ გამარჯვებასა,
ღმერთმა გიკურთხოთ მკლავები!
ჩავძახოთ სამარეშია,
გაიხარებენ მამები,
სიამით შეფრთოლდებიან

მათი ურწმუნო ძვალები...
ნეტავი წამოგახედათ,
აგახელინათ თვალები!
რა ჰქმნეს და რასა შვრებიან
ლაჩარი მამის შვილები,—
შაჰბმიან ბნელთის მეფეს,
დაუმტვრევიათ კბილები,
ტყვილა გშურთ, ჩვენო ძველებო,
სახელს ვერ შეგვეცილებით!!
დიადი დროშის ფრიალით
მოვდივართ, მოგვიხარიან;
უკან არავინ დამდგარა,
ყველანი ჩვენთან არიან!
ერთობის გულისაოვისა
სუყველას ბრძოლა სწყურია,
ვინაც შეაკრთოს სიკვდილმა,
ლეჩაქიმც დაუხური !!

თ. რაზიკაშვილი.

1905 წ.

11. მოლოდინში.

სხივები კრთის,
გული მითრთის
მოლოდინში მომღელვარე
და აძლევს ბანს
ჩემს ტკბილ საგანს
თვით ცხოვრების ხმა მქუხარე!..
რომ ვეტრფოდი,
შევხაროდი,—
აწ სრულდება, რაც რომ მწამდა,
და ნატკენი,
სისხლ-ნადენი
წყლული თითქო დამიშრა!..
მგოსნის მცნება,
ის ოცნება
სინამდვილეთ შეიცვალა,
როს ერთობით,
თანაძმობით
ზე ამ.ღლდა ერის ძალა!
აწ თვით განთქმულს
იგავათ თქმულს
გადუვიდა თვისი ხანა:
სასამარო
კერპთ სამყარო
პირ-უკუღმა დაექანა!...
სხივთა მჭერი
კედელ-ჭერი
თვით ცხოვრებამ შეანგრია;
უარ-მყოფიც
ავათმყოფიც
მანვე ძალით ჩაითრია!
ძველი წესის
ღვარძლთა მთესის
ნიადაგი განადგურდა!
მაშ, გამოდით,
ძმებო, მოდით,
ვისაც გული გაუხურდა!..
დღეს სხვა დროა,
სანატროა...
გავუსწოროთ, აბა, თვალი!
მედგრათ, ჩქარა,
ძმებო, თვარა
ზიზღს მოგვიძღვნის მომავალი!..
სხივი ელავს,
ერი ღელავს,—
გულს მომფინა ლხენა, შვება!..
ვიტყვი მარად,
მწამს—აშკარათ
მისკენაა გამარჯვება!...

დ. თომაშვილი.

1905 წ.

12. ქ ა ლ ი.

ქალი ის არის, ვინც მანჭვით, ვრეთავს არასოდეს არვის აწონებს, [ხით
ღვთაებრივ სახით, სიტკბო-სიმშვიდით
ციურ ანგელოზს ვინც მოგვაგონებს.
ქალი ის არის, ვისაც აქვს გული
მზრდელი უმანკო სიყვარულისა

და სათნო სული, კეთილის მსურვი,
მომნიჭებელი სიხარულისა!
ქალი ის არის, ვინც ოჯახს უვლის,
შრომით აშენებს თვის სილამაზეს,
ვინც ვაჟს გვერდს უდგას, შრომაში ვაჟობს,
მაგრამ არ კარგავს ქალის სინაზეს.
ქალის ვალია—ტკბილის ნანათი
აძინოს, ატკბოს უმანკო ჩვილი,
რძესთან აწოვოს წმინდა გრძნობები,
ზარდოს ქვეყნისთვის ერთგული შვილი.
მთანი და ბარნი ყვავილს მოისხმენ—
და ბუნებასა იგი აშენებს,
ქალიც ასეა: შვილების აზრდით
აწმყოს ახარებს, მყოფადს აშენებს.
საქმე გაიყოს: შინ ქალი ფლობდეს,
და გარეთ მედგრათ იბრძოდეს ვაჟი!
მაშინ იქნება მთელი ოჯახი
მტკიცე-მაგარი, ვითარცა კაჟი.
ვით გაზაფხული ვარდ-ყვავილებით
არის ბუნების შემამკობელი,
ეგრეთვე ქალი სათნო შვენებით—
ადამიანთა დამატკბობელი.
ქალი ის არის, წმინდა გრძნობებით
ვინც გვასპეტაკებს, გვამხნევებს მარად,
ვინც ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულ
მოევლინება დავითის ქნარად. [სულს

სილოვან.

13. მოძმეებს.

მოძმენო! გული რომ მეწვის,
მით შეგცქერთ ცრემლთა დენითა...
რაც გულში ცეცხლი ტრიალებს,
მწყურის—გამოვსთქვა ენითა.
რაც უფრო გიცქერთ, გცნობილობთ,
უფრორე მეწვის მე გული,
და ვეღარ ფარავს, რასაც გრძნობს
ეს გული გაშმაგებული.
რაღა ხართ? ლანდათ ქცეულხართ
ძველათ ლომგულნი, გმირები,
და დაგიხრიათ წინ ქედი,
უღლისა დანაჭირები.
რაღა ხართ? სულით დაეცით
და დაჯაბანდით გულითა,
თორემ რათ სდუმებთ, როს მტერი
გრყვნისთ, გმუსრავთ დედა-წულითა?
ძლივს ერთი გმირი გამოჩნდა,—
შეკივლა: „დაკა მტერებსო!“
თქვენ, თანაგრძნობის მაგიერ,
ასე სთქვით: „რა აშტერებსო!“
მხცოვან გმირს ასე ეგონა:
„შვილთათვის მე თავს დავდებო!
ღმერთო, ვაითუ დამეხრჩვენ,—
ამ ერთ ხიდს მაინც გავდებო“...
მაგრამ მოტყუვდა ის გმირი:
მტერებმა ის წინ გაიგდეს
და შვილებმა კი მოხუცი
სასაცილოთაც აიგდეს...
შვილთათვის თავს სდებს, სულს
შვილებზედ გადამკვდარია: [სწირავს,
ვინც მსგავს მშობელსა გასწირავს,
იგი სიცოცხლით მკვდარია.
თუ მკერდს ქვეშ გული გიცემდათ,
რათ არ დაკარით ნაღარა,
როს შეაფურთხეს მოხუცსა
და შეუგინეს ჰაღარა?
რათ არ მიბაძეთ წინაპართ:
მტერს მტრულათ მოექცეოდენ,
მისახდომს მიუხდებოდენ,
მომხდურს არ გაექცეოდენ!..
მაგრამ დაკარგეთ ძველი ხნე,
ხართ სხვისი ჰური—გუდები,
არ გეფიცებათ ულვაში,
აღარ გახურავთ ქუდები!

თქვენ კიდევ თავსაც იმართლებთ:
„რა ვქნათ, არ მეგვიძლიან,
ძალა აღმართს ხნავს, რა ვუყოთ,
მტერმა სიმრავლით გვძლიან?!“..
ფუ ამ ზნეს? ეგ სიტყვებია
უძლურის, მხდალის კრავისა!
მხოლოდდა ჯაბანთ წესია
მსგავსი მართლება თავისა!
მაგრამ შეხედეთ იმავ კრავს,
როს მგელი მისდევს, აბღავლებს:
შეხედეთ, თუ თავს არ შველის;
სანამ ის პირსა დაავლებს.
შეხედეთ: კრუხი წიწილებს
თავსა ევლება, აწყდება,
თუ ქორი მტრულად მიუხდა,
არ მისცემს, თვით ზედ აკ:დება!
თქვენ რათ დაეცით ამგვარად:
როცა გაბრჩობენ, ხარხარებთ,
თითქო ეგ შავი სვე-ბედი
გამხიარულებთ, გახარებთ?!..
სული გეხუთვის, ქართველო,
კვდები და კიდევ არ გჯერა?
წამალს არ სძებნი, არ სწუხარ:
მითხარი, რამ გაგაჩერა?
ცასა შესტირე, მნათობთა
აცნობე შენი ვაება,
ცაში ვარსკვლავნი ატირე—
და გადმოგხედავს ღვთაება!
ნუ გძინავს, თორემ ამ ძილში
სიკვდილიც მოგეპარება...
შენ თვით იზრუნე, იშრომე—
და ღმერთიც მოგეხმარება!
„არ მოვკვდებიო“, იძახი:
„მხოლოთ მძინავსო წამითა!“
ეხ, უზრუნველო ქართველო,
თავს ნუ იმართლებ ამითა.
თუ გაღვიძებას არ ფიქრობ,
მსგავსი იმედი ტყვილია,
რაღა სიცოცხლე? სიკვდილი—
იგივ მუდმივი ძილია...
უზრუნველ ძილში ნიქროლ:ს
სიცოცხლე შენი ფუჭია...
შენ მხოლოთ იმას ზრუნავხარ —
დათვრე, აივსო კუჭია!
და თუ გაძღომას მოელი,
ქვეყანა ფეხზე გკიდია:
თუგინდ წიწილი მოგიკლავს,
გინდ მოძმე გაგიყიდია!
მხოლოთ ძმებზე ხარ გულადი;
ჩირათ გიჩნს მათი ღალატი,
ხარ საზიზღარი ჯაშუში
და ულმობელი ჯალათი.
თუ მოძმემ რამე შეგკადრა,
მსწრაფლ გაიქცევი, ჩაასმენ:
„ჩემი ძმა მოღალატობსო“,
მტერს ჩასჩურჩულებ, ჩაასმენ.
ან ხმალს იშიშვლებ, თავს დასცემ,
ხელიც არ შეგიჩერდება!
ერთის სიტყვისთვის ძმას დაკლავ—
გულიც არ აგიძგერდება!..
ძმას დაკლავ! მტერს კი ქედს უხრი,
რამდენიც უნდა გაგინოს:
მუხლთ კოცნი, ფეხთ ქვეშ ეგები,
გინდ ცხვირით ძმარი გადინოს...
და ძმარს გადენენ! შენ სდუმებ,
არც კი გისკდება ნაღველი;
შენ სდუმებ, როცა ქვაც სტირის,
შენის ვაების მნახველი...
უსუსურ ბავშსა მაგონებ:
ვინც ყურს დაუსრესს, აყვირებს,
„ბატონს“, „ხელმწიფეს“ უძახის—
და ჰმონებს, ვინც მას ატირებს...
შენ ყურიც აღარ გაკმარეს,
ცხადად ამოგკრეს ჰაღური,—
და ეგ სირცხვილი შესჭამე,
შეირგე ვითა კახური!..

სინიდისი და სახელი—
დღეს ყველა გაგიყიდია,
და კიდევ ხანჯალს ატარებ,
ხმალიც კი დაგიკიდია?!...
აბა რათ გინდა ხანჯალი,
რათ გინდა ხმალი, ლაჩარო,
რათ გინდა ძველათ ნაქები,
რომ დღეს სასირცხოთ ატარო?
თუ ცხოვრებისა ღირსნი ხართ,
იმამაცეთ და იგმირეთ,
თუ არა—ბარემ გაქარწყლდით,
გულთა ლახვარი იგმირეთ!
დე, ცეცხლმა დასწვას ურგები
ტყე-ველი, ბალახთ ძირები!
კვლავადც აღმოცენდება
უფრო ტურფა და ძვირები!

სილოვან.

14. გურგენ რაინდი ლეგენდა.

(შემოკლებით).

I.

ლომსავით ქეჩო აყრილი,
ადიდებული, მძვინვარი,
მოქუხს რიონი, მთებს შუა
ამაყად ჩამომდინარი;
და ჩაფიქრებით დასცქერენ
იმას მწვერვალნი მთებისა,
ტალღათ ცოფიან ღრიალზედ
გამომცემელნი ხმებისა.
მოდის და მოეშურება
შეუპოვარად თვის გზასა,
ზევით ცას შეჰყეფს მუქარით
და ქვეშ ჰგლეჯს დედა-მიწასა.
მის ნაპირებზედ წყობ-წყობად
სჩანან კორდები, სერები,
შორი-შორს სდგანან კოშკები,
ციხე-დარბაზნი ძველები...
ერთს ალაგს მოსჩანს დარბაზი,
რიონზედ გადმოყუდული,
ას წლოვან მუხის ხეებით
არის ის შემოზღუდული,
იმის შეკირწყლულ სქელ კედლებს
ჩატნეული აქვს ბურჯები
და ბურჯებ-შიგნი კედლებში
მოსჩანან თუჯის უჯრები.
იქიდამ სათოფურები
მრისხანედ იყურებიან,
თავ-ზარსა სცემენ მომსვლელ მტერს
და სიკვდილს ემუქრებიან.
გარშემო უდევს რას არხი
დიდი და უზარ-მაზარი,
ვინც მივა იმის კიდეზედ,
დაესხმის შიშის თავ-ზარი;
ღრმა და დიდია, როგორც ზღვა,
ზღვასავით ფართო და შავი:
მას ვერ ივიწყებს ვერას დროს
ერთხელვე მისი მნახავი.
დაბურულ ტყიდამ სასახლე
მოიყურება შავადა,
შიშსა ჰგვრის გულში მოგზაურს,
მოსულს მის სანახავადა.
მის მარჯვნივ ისევ რიონი
მოაჩუხჩუხებს ტალღებსა,
გულ-დიდობს, ანგრევს ნაპირებს,
ზედ იდებს ნაქაფ-ნაღებსა

II.

აღარ აღვიძებს სასახლეს
გმირთ ნადირობა, ლხინის ხმა:
ლხინი დასტოვა ომისთვის
გმირმა ჰატრონმა იმისმა.
აქ იდგა გურგენ რაინდი,
მთის გმირი, ლომად ხმობილი,
აქ არის მისი სასახლე

გმირთა სავანედ ცნობილი.
აქ დაიბადა ლომ-გული,
აქ დაჭიბუკდა, დავაუდა,
აქედამ მისი სახელი
შორს ქვეყნით ქვეყნად გავარდა.
ამ მთის ქედებზედ გაზარდა
თვისი ლომ-გმირი ჯარები
და იმათ დააპყრობინა
შორით შორს მთა და ბარები.
აქ არა ერთხელ ხმა მისი
საომრად აგრგვინვებულა
და მტერი მისგან ნალეწი
უკან ვერ დაბრუნებულა.
ტვირთ-მძიმეთათვის აქ ხშირად
იგი ყოფილა მფარველი:
თვის ჭირად მიუჩნევია
მას სხვისი ჭირი ნაღველი.
იგი სიმართლის დამცველად
ცით არის მოვლინებული
და მიტომ არვის უნახავს
ჯერ ის მტრისაგან ვნებული.
ვერა, ვერ დასძლევს სიმართლეს
ბოროტი გესლით გულ-მღრენი,
მინამ ცოცხალი იქნება
დიდი რაინდი გურგენი!
და ვაი იმას, ვინც კი მას
შეჰბედავს პირდაპირობას!
სადაც გურგენი ნავარდობს,
იქ სხვა ვერ იზამს გმირობას!..
აჰა, ამ წამშიც მას ესმა:
უძლურთ დაესხა მტერიო
და წვალობს ურჯულოთაგან
შორს ქრისტიანი ერიო!
ასდგეღდა კეთილ-შობილი,
შეკრიბა თვისი ჯარები
და შორს წავიდა, რომ ღვაროს
იქ მჩაგვრელთ სისხლის ღვარები.
მტერი ვერ დასძლევს გმირ რაინდს!
იგი ციური მეხია:
მას არა ერთი მტრისათვის
კისერი მოუტეხია.
როცა თავის ჯარს უცქერის,
იგი ცას სწვდება ლხენითა:
თითო იმისი რაინდი
ლომს დაიჭირავს ხელითა!

III.

წავიდა, გაჰქრა რაინდი
თავის გმირების კრებითა,—
ვინ იცის, იქნებ ამ წამში
მტრებსა მუსრავენ ხმლებითა.
დაყრუდა ციხე-დარბაზი, —
ვითა სამარე, სდგას წყნარა,
თითქოს მის არე-მარეში
სიცოცხლის ძარღვი გამწყდარა.
დამყარებულა იქ ირგვლივ
საფლავებრივი სიწყნარე:
იქაურობას ზედ ადევს
რაღაცა სევდა-სიმწარე.
გვირაბნი, ქვესკნელს ჩასულნი,
ჯოჯოხეთურად ბნელობენ
და ღამურანი ბურჯებში
ფრენენ და მარტოხელობენ.
საგლოვოდ ჩამოღვრემილან
შავად შეკრული თაღები,
მუნჯად ჰკიდია კედლებზე
წყობ-წყობად იარაღები.
დადიან ჩუმად მსახურნი,
დადიან როგორც ლანდები;
შეხედავ, მოგაგონდება
რაღაც ზღაპრული ამბები...
დადის რაინდის მეუღლეც,
დადის მარტოკა ბედ-კრული—
„მზისადარს“ უხმობს სახელად
იმას გურგენი ლომ-გული—
დადის და ფიქრებს ეძლევა,

ყრუდ ისმის მისი ფეხის ხმა:
რაღაც ცუდს ესაუბრება
ქალბატონს თვისი გულისთქმა.
დადის და თვალზედ ადგია
იმას მდუღარე ცრემლები,—
ცრემლები, გულის ჭრილობის
სიმწვავის გადმომცემლები;
და აგონდება „მზისადარს"
დედ-მამის ცხე-დარბაზი,
ტოლ-ამხანაგნი და თავის
სიყრმე-სიბავშვე მალხაზი;
მას ეჩვენება საამო
თავისი ყმაწვილ-ქალობა,
ამხანაგებში, ტოლებში
ჩიტივით ჭიკჭიკ-გალობა;
იმას თვალწინვე უდგება
თვისი გურგენი ლომ-გული,
იმის სათხოვრად შორიდამ
სასიმამროსთან მოსული...
ოჰ, დღეს სად არის რაინდი,
სად არის სახელოვანი?!—
ვინ იცის, იქნებ ველს ჰგდია
და თავს აძღება ყორანი!...

IV.

შორს მიდიოდა გურგენი,
ცოლი კი ცრემლით სდნებოდა
და მას გულ-ჩვილი რაინდი
ნუგეშად ეუბნებოდა:
ნუ სტირი, ჩემო „მზისადარ",
ნუ ნაღვლობ, ჩემო სულოვო,
ქედს მადევს ვალი მაღალი
და უნდა შევასრულოვო.
შორს ბოროტება მძვინვარებს,
სიმართლე იჩაგრებაო,
დატანჯულთ ქვითინ-ტირილი
აღმა ზეცასა სწვდებაო;
მუსრავენ უძლურთ ძლიერნი,
იღვრება წმინდა სისხლიო,
ხმელეთსა ჰფარავს იმ სისხლის
ოხშივარი და ნისლიო.
ზეციდამ ბუკის, საყვირის
მკაცრი ხმა მეყურებაო:
ჰკრებავს ჩაგრულთ მცველ რაინდებს
ანგელოზების კრებაო.
მეც მათს რაზმებში ჩავსდგები,
მტერს დავსცემ თავზედ რისხვასო,
სადაც დაჩაგრულთ სისხლი სდგას,
ჩემს სისხლსაც შევრთავ იმ ზღვასო.
დაგიბრუნდები უკანვე,
მოგივალ მხიარულიო,
მოგივალ გამარჯვებული,
მე შენი მოყვარულიო.
აქ ვსტოვებ შენთან მოურავს,
ამ ჩემს სიმაგრეს, ჯავშანსო,
ჩემს ერთგულს,—ჭირსა და ლხინში
მხნესა და საქმის გამტანსო.
ვიდრე მე მოვალ, ეს იყოს
მცველი ამ მიდამოსიო,
ეს იყოს ბატონ-პატრონი
ჩემ საყმო-სამთავროსიო"!

ეს ქმრის სიტყვები მზისადარს
ახსოვს და თვალწინ უდგება,
ოხრავს და ამოოხვრაზედ
მის თვალში ცრემლი გუბდება.
ენდო რაინდი მოურავს,
მოტყუვდა, ენდო იმ ცბიერს:
უმანკო მტრედი ხელთ უგდო
შლამის გველს მზაკვარ-ბიწიერს.
ან ვინ იცოდა, თუ იგი
ქალბატონს აღარ ინდობდა,
თუ ანგელოზურს ღიმილში
მგესლარი გველი ჰბუდობდა!

V.

წავიდა ომში რაინდი,
თან გაჰყვენ მძლავრი ჯარები

და მოურავმა ჩაჰკეტა
ყველგან გალავნის კარები.
დაფიქრდა. ფიქრობს: სანამდის
უნდა ვიცხოვრო ასეო:
ჩემი ცხოვრება ბრმა მონის
ცხოვრებას დავამსგავსეო.
ღონე კი შემწევს გონების,
უხვად მაქვს ჭკუის ძალიო,
მაგრამ სულით ვარ უძლური,
სულით ვარ მეტად მხდალიო.
რითი მჯობია გურგენი,
რით არის ჩემზედ მეტიო:
იმის ნააზრებს ხშირად სჯობს
ჩემ აზრთა განაჭვრეტიო.
მაგრამ აქ იგი ბატონობს,
და მე კი ვემონებიო,
ის პირ-მზეს ეალერსება
და მე კი შურით ვსქდებიო.
რა არის შთამომავლობა
და დიდებული გვარიო?
ის გაბრწყინვებს თავის გვარს,
ვისც შესწევს ჭკუის ძალიო.
დღეს მარჯვე დრო მაქვს! ვერ ვნახავ
ამაზედ მარჯვე დროსაო:
შევკრავ და მწარედ შევხუთავ
გურგენის სამთავროსაო.
შავ-დღეს ვნახავენ ქალბატონს...
სხვა-ნაირია ქალიო:
ზოგს მოსწონს მკაცრი, გულ-ქვავი
და ზოგს კი ნაზი-მკრთალიო.
მე კარგად ვიცნობ მზისადარს,
ვცნობ მის გულსა და სულსაო:
ტყულა არ უთქვამთ, რომ „შიში
შეიქმსო სიყვარულსაო“!
სთქვა და ყმათ დასარბეველად
ყველგან კაცები აფრინა;
გურგენის სამყოფ-სამთავრო
გესლით და შხამით მოჰფინა.

სულ გაგულ-ქვავდა, გამძაფრდა,
შეიქნა რაღაც საზარი,
გლეხებს და საწყალ ქვრივ-ობლებს
დასცა მან შიშის თავ-ზარი.
მან ქალბატონიც შეჰხუთა,
მოაკლო შუქი მის დღესა,
ისე ეჭცევა მის სახლში
იმ საბრალოსა, ვით ტყვესა.
მის უნებურად ბედ-კრული
პირში ვერ იდებს ლუკმასა
და გულში იკლავს შავ-ნაღველს,
ეძლევა ფიქრს და სულთქმასა.
მსახურ-მოახლე აღარ ჰყავს,
აღარ სჭრის მ·სი ბრძანება:
მას მოურავის ბრძანებით
სუყველამ თავი ანება.
ის თვითონ რეცხავს ჯამ-ჭურჭელს
და აკრიალებს თაროსა,
ციხის ძირიდამ ოთახში
კოკითა ზიდავს წყროსა;
დღე და ღამ რეცხავს სარეცხებს
მიუჩვეველის ხელითა;
უკვნესის გული საბრალოდ
და მოცულია ბნელითა.
ნანობს, რომ ყმაწვილობის დროს
არ მისჩვევია შრომასა
და გლეხის გოგოებივით
გარჯას და ფეხზედ დგომასა.
ფიქრობს: რომ ხშირად მეშრომა
ასე დღევანდელ დღემდიო,
მაშინ ამ ტანჯვას მე უფრო
ადვილად მოვითმენდიო.
მივეჩვევოდი ადრევე
მძიმე უღელის წევასო
და იმედ-გადაწყვეტილად
ბედს არ ვუწყებდი წყევასო.
წვალობს რაინდის მეუღლე
და ვერსით ხედავს შველასა:

ავ-მოურავის შიშითა
ხმა გაუკმინდავს ყველასა:
მოურავს უთქვამს: ვინც კი რომ
ქალბატონს შეიბრალებსო,
ის სასიკვდილო საწამლავს
ჩემის ხელითვე დალევსო.
უცქერენ ტანჯულს მსახურნი
და შველას არსით ელიან,
იმის შავ-ბედზე ცრემლს ღვრიან,
შველით კი ვერა შველიან.
ვერ ჰღირსებიან მტანჯველის
სასტიკად დამსჯელ სასწაულს;
თავზედ გადმოსდის ნაღველი
და შხამი ტანჯვის საწყაულს.

VI.

გურგენის სასახლეში აღმოჩნდა ერთა-ერთი მოხუცი მსახური, რომელმაც ვეღარ გაუძლო მოურავის თავხედობას და განიზრახა მისი მოკვლა. მართლაც შეიპარა მის საწოლ ოთახში, მაგრამ მოურავს გამოეღვიძა, მსახურს ფარისევლურათ თავი შეაბრალა, სიტყვაც კი მისცა, რომ გასწორდებოდა და ქალბატონსაც თავისუფლებას დაუბრუნებდა. მსახური მოსტყუვდა, ხელი აიღო თავის განზრახვაზე, მაგრამ მეორე დღესვე, მოურავის ბრძანებით, საპყრობილეში ჩასვეს.—მოურავმა კიდევ სცადა მზისადარი დაეყოლებია, მაგრამ პასუხად ზიზღი და ცივი უარი მიიღო. გაბრაზებულმა მონამ გადასწყვიტა შური ეძიებია და გურგენ-რაინდს წერილით აცნობა—მზისიდარი გღალატობსო. გურგენმა რომ ეს შეიტყო, დაუყოვნებლივ მოსწერა მოურავს, ჩემი მოღალატე ცოლი სიკვდილით დასაჯეო. მოურავმა მზისადარი ორს ჯალათს გადასცა და უბრძანა: შორ სწიყვანეთ და სადმე მიუდგომელ ადგილას დამარხეთო. ჯალათებს შეებრალათ მზისადარი, სიცოცხლე აპატიეს, მაგრამ ძლიერ შორს კი წაიყვანეს და ერთს უდაბურს ტყეში დასტოვეს. მზისდარი მაშინ ორსული იყო.

VII.

დაბურულია ხვამლის მთა,
არ უდევს არსად საზღვარი,
არსად აქვს კიდე-ნაპირი,
არც შესავალი გზა-კარი.
მიჯრით მიწყობილ კორდებზე
მეფურად წამომჯდარია,
და შესცქერიან მას შურით
ქვემოდამ მთა და ბარია.
შიგა ბნელობენ მღვიმენი
და შავი ნაპრალ-თარონი,
ჩარბიან, ჩამოჰკივიან
იქ მდინარენი, წყარონი;
ზეცას სწვდებიან ხეები,
იქ მდგომნი მდუმარებითა
და კლდეთა მაღალ მწვერვალებს
ჰფარავენ შტოების კრებითა;
იქ უფსკრულ ნაპირ-კიდეებს
ბუჩქნი ზედ გადაჰკიდვიან,
გასტიტვლებიათ ძირები
და ქვემოდ ცოცვით მიდიან.
ალაგ ქარ-ნიავ-ღვართაგან
გაშლილან სალი კლდეები
და ნამტვრევებით ავსილან
ხევნი და მდინარეები.
ალაგ კი დიდი გორები
დამსქდარან, წამოქცეულან,
ჩაულეწიათ ხეები
და მათთან მტვერად ქცეულან...
აქ დადის მარტოდ ბედ-კრული
მეუღლე გურგენ-მძლავრისა,
გარშემო შემოზღუდვია
მის გულს ზღვა სევდა-ჯავრისა.
დადის ის განმარტოებით,
დადის უკაცურს ველებში,
ხან აღმართს ამოუდგება,
ხან ჩადის უფსკრულ ხვრელებში;

ხან მაღალ სერზე მიმოდის,
დაეძებს სადგურ-საფარსა,
ზეცასა მადლობს ღარიბთვის,
სთხოვს შებრალებას ავდარსა.
დადის და ნადირთ გუნდები
დასდევენ, მიმოჰყვებიან,
შესცქერს ფოცხვერი, დათვები
და მგლები წინა ხვდებიან;
მის გვერდით ავნი მგელ-კაცნი
ღმუვიან, ხეტიალობენ
და ყვავ-ყორნები, ორბები
ზემოდამ დასტრიალობენ.
დადის გურგენის მეუღლე
კვნესით და ვაი-უშითა,
ხან ეფერება ნადირებს,
ხან თვალს არიდებს შიშითა.
ახლოს რომ შიუდგებიან,
ხუჭავს საბრალო თვალებსა,
ყოველ წამს ელის სიცოცხლის
ძაფის შეწყვეტის წამებსა;
ლოცვილობს: „ნადირთ მპყრობელო,
შენ ანგელოზო ტყისაო,
გებრალებოდე უდაბურს
მთაში მე შავის დღისაო!
მარტო არა ვარ, დედა ვარ,
ორნი ვართ დედა-შვილიო
და ორ-სულს ძირით ნუ მომთხრი,
ნადირთ შეუკარ კბილიო“!
მუხლ მოდრეკილი ლოცვილობს,
ლოცვილობს წმინდის გულითა
და ნადირების გუნდ-გრონი
შესცქერენ სიბრალულითა.
ის მათ ეჩვევა თან-და-თან,
მათთან სდგას ავდარ-წვიმაში,
ერთს გამოქვაბულს ჰპოულობს
და ბინადრდება იმაში.

VIII.

თენდება. წყნარად იღვიძებს
ველნარი ზურმუხტოვანი,
შრიალობს ნაძვი, წიფელი
და მუხა ათას-წლოვანი.
აღმოსავლეთი წითლდება,
ღრუბლები ცაზედ კრთებიან,
დადიან არევ-დარევით
და უგზო-უკვლოდ ქრებიან.
აგერ, ამოდის დიდებით
დიდი მნათობი დილისა
და გამოქვაბულს ადგება
ოქროს ფრათ შუქი იმისა.
მაღლა სდგას გამოქვაბული,
თითქოს წვერს აბჯენს ის ცა'ა
და გადმოსცქერის ამაყად
ქვეშ ცოდვილ დედა-მიწასა.
ცელქი სხივების ლაშქარნი
ქვაბში გუნდ-გუნდათ შერბიან
და ზედ-დაკდომით ერთს ალაგს
ეკვრიან, ეჯგუფებიან...
დასცქერენ სხივნი პაწიას,
ხავსის ლოგინზედ მიწვენილს,
ვით გაზაფხულის ვარდის კვირტს,
ყელ-მოღერებულს, მოხდენილს.
პირველათ ჰხედავს ის სოფელს,
ჰხედავს კლდის თაღებს, კედლებსა
და განცვიფრებით პაწია
სხივს უპოტინებს ხელებსა,
თითქოს რაღაცას ბუტბუტობს,
ხან მისდუმდება, ხან სწყრება
და ხან კვლავ მოულოდნელად
ახითხითდება, ასტყდება...
გურგენ-რაინდის მეუღლე
სდგას იქვე ქვაბის კარებში,
ფიქრი და ტანჯვა ამოდუღს
იმისს გონიერს თვალებში.

მუხლ-მოდრეკილი გასცქერის
იგი ცის კიდეს შორეულს,
დილის სურათი აოცებს
მისს თვალებს ცრემლებ-მორეულს:
თითქოს ყბებს შლიან მის ქვემოთ
უფსკრულნი, ბნელ ნი ნაპრალნი,
შიგ თრთის ისევა ნისლის ზღვა,
ვით ზღვის ტალღანი გამწყარალნი.
ეხვევა ორთქლი კლდის თავებს,
შიგ წევან ჯიჯვნი, ჯერნები,
ცელქობენ ცქვიტი ფრთოსნები,
ტევრიდამ გამომღერლები.
ჩარბიან ველში წყარონი,
მიხტიან, მიჩუხჩუხობენ,
და იმათ ჩუხჩუხს კლდე და ღრე
იმეორებენ, იხმობენ;
ნამავენ ნამნი ნაზს ყვავილს,
ტკბილ სურნელების მომფენელს,
ყველანი ერთხმად უმღერენ
და ადიდებენ გამჩენელს.
უცქერს გურგენის მეუღლე
ბუნების აღმაფრენასა
და თითქოს ხვდება იმისს აზრს
და საიდუმლო ენასა;
მუხლ-მოდრეკილი ხელს მაღლა
აპყრობს და შესცქერს ზეცასა
და გულ-მხურვალედ ღაღადებს
გალობით შემდეგს ლოცვასა:
„მაღალ თაღად დაჰყრდობია
ხმელეთს ზეცა დიდებული,
მზე მიცურავს მაზედ დინჯად,
თრთის და უძგერს ლაჟვარდს გული;
აგერ, ერთი ცელქი სხივი
ცის თაღს გულში ისრად ეცა,
გაიფანტენ შორს ღრუბლები,
ვარდის ფერად იქცა ზეცა.
„ცაო, ცაო გულსა მპარავს
შენი ლაჟვარდ-ციურობა,
რა გაბრწყინდი, ტკბილად შეჰქნეს
ფრინველებმა ხმაურობა.
გალობენ და შეჰხარიან
ამომავალ მზის ნათელსა;
შეისმინე ჩემი ლოცვაც
და ნუ მიგვცემ განსაცდელსა!
„ველის ვარდს და ლამაზ იას
თავი ნაზად მოუხრიათ
და შლილ გულზედ მარგალიტად
ღამის ნამი მოუყრიათ;
თავის მფარველს მომღიმარს მზეს
შეღაღადებს ტყე და ველი;
ცაო, ცაო, ჩვენც გვისმინე,
იყავ ჩვენი მწე და მცველი!
„გრილი სიო დანავარდობს,
ნაცსა სვამს და ნამში ლცურავს,
ცვარსა აფრქვევს ფოთლებიდამ
და ნორჩს მდელოს ზედ აწურავს,
ბუჩქთან ბუჩქებს ასაუბრებს
და ადიდებს შემოქმედსა;
ცაო, ცაო, ჩვენც გვისმინე,
ნუ მოგვაკლებ შენს იმედსა!
„წყარო მორბის, მოჩხრიალებს,
თავს ახტება ზვირთი ზვირთებს,
მისს ნაპირზედ იადონი
გალობს და ცეცხლს გულში ინთებს,
იმღერის და მსმენელები
ტკბილის ჰანგით ცაში აჰყავს;
ცაო, ცაო, ჩვენც გვისმინე:
ჩვენ სხვა შემწე არვინა გვყავს!
„რუს კიდეებს ყვავილთ გრონი
გარს არშიად მოვლებიან,
წყალს ჩასცქერენ, შიგ ხედავენ
თვისს სახეს და ირთვებიან,
პირს იბანენ გრილ ზვირთებში,
ადიდებენ აღმა ზენას;
ცაო, ცაო, ჩვენც გვისმინე,
შეგვაჩვიე ჭირთა თმენას!

„შავი შაშვი ხის წვერსა ხის
და ეძლევა აღტაცებას,
სტვენს და აქებს ცა და ქვეყნის
სიკეკლუცე—ძლიერებას,
ამის ყეყურტულს ამეორებს
მთა და ბარი, კლდე და ღრენი...
ცაო, ცაო, შეიწირე
ჩემი ლოცვა აღმა-მფრენი.
„ეს წამია ლოცვის წამი;
გული მაღლით იმსჭვალება,
ყოველ მხრიდან წმინდა ლოცვა
ცისკენ მიჰფრენს და შორს ჰქრება,
გული ცისკენ იზიდება,
გონი ხდება მფრენელ ეტლად;
ცაო, ცაო, შეიწირე
ჩემი ლოცვა წმინდა მსხვერპლად!
„ცა, ცაო, შეიწირე
ცრემლი ჩემგან დანაღვარი,
შემარჩინე პირ-მშო ვაჟი,
შენგანვე მყავს ნაბოძარი,
შენს კალთას ქვეშ შეიფარე
ამ შავს კლდეში დანაბადი
და დაგდებულს უპატრონოდ
შემომცირე დედას დარდი!
„ცაო, ცაო, საშიში და
საზარია ეს ტყე-ველი:
გარეშემო გვასევიან
აფთრები და ტურა, მგელი;
როგორ ვიხსნათ მათგან თავი,
ან თავი რით გავიკვებოთ?
დაგვარჩინე, ცაო შენდა
სადიდებლად საგანგებოდ!“
ლოცვას ათავებს გულ-ნაზი,
მორჩილი შავის ბედისა,
შვილს ხელში იყვანს, გულს იკრავს,
ანაზებს გრძნობა დედისა,
შესცქერს, შეჭიმის, უფერებს,
მთელ სოფელ-ქვეყნად აფასებს,
ჩასჩერებია თვალებში
და გურგენ რაინდს ამსგავსებს.
ამბობს: „საბრალოს“ დავარქმევ
ამ ჩემს საბრალო შვილსაო,
საბრალოდ დაბადებული
ბევრს ნახავს გასაჭირსაო.
ამბობს და უვლის პაწიას,
უყვავის გული ლხენითა,
ართობს და ეალერსება
მას მომხიბლავის ენითა.
იზრდება ჩვილი საბრალო,
იზრდება დედის ნუგეში,
მშობელს შეჰხარის, ჰყლოპინობს,
როგორც რომ ჩიტი ბუდეში.
საგებ-სახურად ხავსი აქვთ,
ღამეს ათევენ მაზედა,
ქვაბიდამ გადმოსცქერიან
ტყეებს და ველებს თავზედა.
საბრალო დედა ყოველ დღე
შვილით გამოდის ბნელს ველში
და იარაღის მაგივრად
ჯოხი უჭირავს მას ხელში.
მცენარის ძირებს დაეძებს,
სთხრის და საზრდოობს ამითა,
ხან შიმშილს ებრძვის გმირულად,
ხან იკვებება ხილითა.
ცხოვრობენ განმარტოებით,
ნადირებს შუა დადიან,
მაგრამ არც დედის, არც შვილის
შეეშა მათ არა სწადიან.
თითქოს იციან, რომ საწყლებს
ბოლო ეღებათ მტრობითა
და მიტომ იმათ მხეცებიც
შესცქერენ თანაგრძნობითა.
წყარო იქავე, ქვაბს ახლოს,
მოდის, ბუტბუტობს ნელ-ნელად
და მზისადარი გულ-ნაზი
ამ წყაროს ხმარობს სასმელად.

დადის და ღონეს უცხოვლებს
იმედი შემოქმედისა,
სული აქვს წმინდა, ნათელი,
კმაყოფილია ბედისა

IX.

ზამთრის პირზე მზისადარმა თავის საბრალოს მკვდარი მელიის ტყავისაგან ჩხირით ტანსაცმელი შეუკერა, ერთი ფურ-ირემიც მოიშინაურა და ამით თავის პატარა შვილს სამუდამო საზრდო გაუჩინა. ამ ყოფაში გაატარეს დედამ და შვილმა რამოდენიმე წელიწადი. ამასობაში საბრალო წამოიზარდა... გურგენმაც ომი გათავა და, აგერ, დიდის ამბით შინ ბრუნდება.

Cისკრის ვარსკვლავი კაშკაშებს
და ჰქრება ბნელი ღამისა,
გრილს ნიავს ეცელქებიან
მარგალიტები ნამისა;
წყნარად იღვიძებს ქვეყანა
და ფრინვლებს გააქვთ ღუღუნი,
მთების უკნიდამ მოისმის
ხმა-ტკბილი მღერა-გუგუნი:

„შეწყდა სისხლის ღვრა, გათავ-
თავ-ზარ-დამცემნი ომნიო, [დენ
მოვდივართ ჩვენის ქვეყნისკენ
შორს განალაშქრნი ლომნიო.

წინ გვიძღვის გურგენ-რაინდი
მტრის თავს დამცემი ზარისო,
მოგვყავს ტყვეების გუნდები
ყოველ მხრის, ყოველ გვარისო.

„ბევრი ვაჟ-კაცი დავსტოვეთ
სასისხლო ბრძოლის ველზეო,
ბევრს დავუხუჭეთ თვალები
უდროვოდ სარეცელზეო.

„მათს საფლავებზედ ყოველს
ანგელოზები მღერენო [წამს
და მათს ციურის ხმებისგან
მთანი და კლდენი ჟღერენო.

„ტკბილო სამშობლო, მიგვიღე
ნალაშქრნი შვილნი შენნიო,
ერთიც არ მოგდის ჩვენს შორის
მწარს ომში შენარცხვენიო“!

ჯარით მოადგა გურგენი
სასახლეს შემოციხულსა,
ნახა კარები დახშული
და ელდა ეცა მის გულსა;
მოურავს კაცი უფრინა:
„რისთვის გაგ!ვლია თავიო,
რატომ არ შემხვდი? რად გინდა
ცოცხლათ გაგაძრო ტყავიო?!..“
უცდის მოციქულს გურგენი,
უცდის და მოსდის მას გული,
მოელის, მაგრამ არსად სჩანს
სამოციქულოდ წასული.
კვლავ დახშულია კარები:
არ გზავნის პასუხს რეგვენი
და ხელ-ძეორედ იმასთან
მოციქულს გზავნის გურგენი.
არსით სჩანს ახლაც პასუხი!..
ვეღარ იმაგრებს გმირი გულს,
ფიქრობს და ცოტა ფიქრს შემდეგ
მესამედ გზავნის მოციქულს.
ამ დროს იმის წინ ტრიალობს
გლეხის გოგონა პატარა,
წიგნს აძლევს დანაღვლებული
და ეუბნება მას წყნარა:
„ეს შენდა გადმოსაცემად
მე ქალბატონმა მომცაო,
ჯალათს მიჰყავდა, ნაღვლობდა,
ბევრი ვიტირე მეცაო“!
კითხულობს ბარათს რაინდი,
გულს ესენება, ყვითლდება,
გრძნობს, რომ მოტყუვდა საზარლად
და საწყალს გული უკვდება.
მოურავს, სანდო მოურავს
შეუცდენია გურგენი!..

მოჰკლა უბრალოდ მეუღლე,
მოჰკლა ის წყნარი, გულ-ბრძენი!
ცეცხლი სწვავს რაინდს უშრეტი,
ცეცხლი თვით ჯოჯოხეთისა,
უნდა, რომ შესვას მან სისხლი
თვის მოურავის მხეცისა.
მოციქულთ უცდის... სად გაჰქრნენ
ნეტავ ის საცოდავები?!..
აგერ, ციხიდამ ისროლეს
მათი მოჭრილი თავები.
„ოჰ,—დაიძახა რაინდმა—
რად არ გასკდება გულიო!
უკუ და უკუ მივდივარ
მე ბედით დაჩაგრულიო.
მომყევით, ვისაც გული გაქვთ
და არ გავხართო დედლებსა“!
სთქვა და ჯარები უეცრად
შაეხლნენ ციხის კედლებსა.
შეირყა მიწა, ასდუღდნენ
მქუხარე სისხლის ღვარები,
მიადგნენ ხმლებით მტრები მტრებს,
შაერთნენ ჯარებს ჯარები.
ზიზინებს ციხე-დარბაზი,
გააქვთ რკინის კართ ჭრიალი,
იქცევა ძველი კედლები
და ისმის ზათქი-გრიალი.
დასძლია მტერი გურგენმა,
შემუსრა, არივ-დარია,
შესძრა მან მკვიდრი ბურჯები,
შეაპო ციხის კარია.
ირევა ხალხი ციხეში,
ეძებს მოურავს სუყველა,
მაგრამ ციხიდამ ის სადღაც
გაჰქრა, თვის თავს უშველა.
შედის დარბაზში გურგენი,
შედის თვის მამათ სადგურში,
ცდილობს დამშვიდდეს როგორმე,
მაგრამ ვერ იკლავს ჯავრს გულში.
ჯარებს უბრძანებს ბრისხანედ:
დასჩხრიკეთ მთა და ბარიო,
და მოურავი მომგვარეთ
ცოცხალი, ანუ მკვდარიო.
შემოდის ბერი ბსახური
თეთრის და გრძელის წვერითა,
და მოურავის თავი მას
შემოაქვს ხანჯლის წვერითა.
ამბობს, რომ ამან მე წინეთ
საკვდავად გამიმეტაო.
სარდაფში ჩამსვა და კარი
სამუდმოდ ჩამიკეტაო;
მაგრამ გავხვრელე კედლის ძირს,
გავძვერი, გავიქეციო,
და ვიმალოდი აქ, თუ იქ
დღემდის, ვით ტყეში მხეციო.
დღეს გავიგონე: გურგენი
მოდის შორიდამ შინაო,
შენსკენ წამოველ და ამას
შემოვეფეთე წინაო.
ციხიდამ გამოქცეული
შემომეყარა ხევშიო;
მკერდიდამ სისხლი სდიოდა,
ხმალი ეჭირა ხელშიო;
მხახა და უცბად შეჩერდა,
შემომიტევა: ლანდოო,
ვიცი, ლანდი ხარ, ნუ ფიქრობ
შიში ჩემს გულში ჩასდოო!
სთქვა და მკლავ-მარჯვე მახვილი
უეცრად მომიქნიაო,
გვერდზე გავუხტი, ჭრილობა
ოდნავ-ღა დამაჩნიაო.
რომ არ მომეკლა, მომკლავდა—
დავზოგე ჩემი ტყავიო—
გამაგულისა, მოვჭალი
და აჰა მისი თავიო.
ბევრი უმანკო სიცოცხლე
ემართა ამას ვალადო,

მაგრამ არ გადაიხდიდა,
რომ არ აგვეღო ძალადო“!
ვიღაცა მოდის, გზას ითხოვს,
შეიძრა გუნდი ხალხისა:
შემოდის ვაჟი დაჭრილი, *)
აღელვებულის სახითა.
ამბობს: რაინდო, მომკალით,
არ ვარ სიცოცხლის ღირსიო,
ცოდვით ვარ სავსე ყელამდე
და მტანჯავს სინიდისიო.
მე შეგაცდინე გველურად,
ვიცრუე, მოგიტორეო,
ცილი დავსწამე ქალბატონს
და კიდეც დაგაჯერეო.
უცოდვო იყო ის მტრედი;
დავღუპეთ წმინდა სულიო,
მასაც კი ვერვინ შეიტყობს,
სად არის დამარხულიო.
მისი მკვლელები ამ ჩხუბში
სიცოცხლეს გაეყარენო
და სად დამარხეს მართალი,
მას დღემდე გულში ჰფარვენო.
ნუღარ მაცოცხლებთ, მომკალით,
არ ვარ სიცოცხლის ღირსიო,
ცოდვით ვარ სავსე ყელამდე
და მტანჯავს სინიდისიო“!
ამბობს გურგენი: „გამშორდით,
წადით, დამტოვეთ მარტოო:
არ მინდა, იმის უმანკო
სისხლს სისხლი დავუმატოო.
მე ვარ იმისი მომკვლელი,
მე დავრთე ამის ნებაო:
დღეიდამ აღარ ექნება
ჩემს ავ სულს მოსვენებაო“!
დაწუხდა ციხე-დარბაზი,
მოაკლდა შვება, ლხინება,
გარშემო შეჰყეფს გრიგალი
და ქარი ექვითინება.

*) ამ ვაჟმა გურგენს მოურავის წერილი წაუღო მზისადარის ღალატის შესახებ და სიტყვიერითაც ბევრი რამ ცუდი მოიხსენა თავის ქალბატონზე.

აღარ მოისმის იქიდამ
რაინდთ გმირული სიმღერა;
შესწყდა იმაში ლხინის ხმა
და მოკრძალე სიმთ-ყღერა.
სამარის ლანდად მიმოდის
გურგენ-რაინდი იმაში,
არ დადის გარეთ არას დროს:
არც დარში, აღარც წვიმაში.
მწარედ დაათრევს სიცოცხლეს,
იმისი ტანჯვა მძიმეა.
შვიდი წელია მას აქეთ,
რაც მას არ გაუღიმია.

X.

ნადიმს აპირობს რაინდი,
შესცვლია დღენი სიმწრისა:
შორეულ მხრიდამ სწვევიან
ამხანაგები სიყრმისა;
ქეიფზედ კიდევ არ არის,
მაგრამ რაც უნდა გასჭირდეს,
მხნედ უნდა დახვდეს მეგობრებს
და უნდა გაუმასპინძლდეს.
მსახურს უბრძანებს: მსროლელნი
შეჰკრიბე, შეამზადეო:
შორს სანადიროდ სტუმრებით
უნდა წავიდეთ ადრეო...
დაჰკრეს საყვირი, დაიწყეს
ტაეებ-ველებმა გრიალი,
შეჰქნეს ისრებმა შხუილი
და ფარ-ხმალებმა ტრიალი.
ასტყდა ძაღლთ ყეფა, მხეცთ კვნესა,
მორთეს ცხენებმა ხვიხვინი
და ამოუშვა გულიდამ
მთამ მწარე კვნესა-ქვითინი.
შეიძრა ყველგან ნადირი,
მირბიან დიდი, პატარა,
იმათმა სისხლმა შეღება
ხევებში წყარო ანკარა.

ამოსწყდენ მგელნი, მგელ-კაცნი,
დათვნი, ირემი, კანჯარი:
დიდი ხანია, არ ახსოვთ
იმათ შავი დღე ამ გვარი.
მოცოცხლდა ისევ გურგენი:
ხოცავს, წინ მიდის მამაცი,
არ ახლავს არვინ თან რაინდს
არც მეძებარი, არც კაცი.
მის წინ გამოხტა უეცრად
დედა-ირემი შემკრთალი,
გახტა და მთის გულს მიეცა,
თან მისდევს გურგენ ფეხ-მალი.
შედგა რაინდი, შეჩერდა:
ირემი ისევ გამოჩნდა;
მომართა მშვილდი, ესროლა,
მაგრამ ასცილდა, არ მოხვდა.
გახტა ირემი ბუჩქებში,
არ ჩქარობს, წყნარად მიროკავს,
მისდევს გურგენი ფეხ-და-ფეხ,
მისდევს და გული უტოკავს.
შედგა ირემი ბუჩქს უკან,
შედგა გურგენიც... რას ჰხედავს?!
თავი ჭგონია სიზმარში,
ჰკვირობს, სიტყვის თქმას ვერ ბედავს:
ბავშვი სდგას მის წინ, ბუჩქს უკან,
გამოქვაბულის პირზედა
და დედა-ირემს, იქ მდგომსა,
ჰკოცნის, ეხვევა ყელზედა.
წინ წადგა ბიჯი რაინდმა,
გახტა ირემი... სდგას ჩჩვილი.
ქვაბიდამ მოდის, უცქერის
მას დედა-კაცი თმა-შლილი.
ჰხედავს გურგენი და ფიქრობს:
ეს აჩრდილია, ლანდია,
ეს ჩემის ცოლის სურათი
ოცნების დანაბადია.
მის წინ იჩოქებს გურგენი,
ამბობს: ოჰ, წმინდა ლანდოო,
ჩემს სატანჯველად ზეციერ
ძალთაგან დანაბადოო!
ვიცი, რომ უღვთოდ დავღვარე
მე წმინდა სისხლი შენიო;
ესაც მეყოფა სასჯელად,
ნუ მტანჯავ, დამეხსენიო"!
შეკრთა რაინდის მეუღლე,
რა ნახა თვისი ლომ-გული,
ისკუპა, ყელზე მოესკვნა
და ამბობს აღფრთოვებული:
ლანდი არა ვარ, ძვირფასო,
ცოლი ვარ შენი, ცოლიო,
შავ-ბედისაგან შორს შენგან
გატყორცილ-განასროლიო.
აი, ეს ვაჟიც შენია,
ეს მოპიკპიკე ჩიტიო,
შენია, შენვე მიიღე
ეს შენი მარგალიტიო"!
იმუსაიფეს და ჰღვარეს
ცრემლები სიხარულისა,
გადაუშალეს ერთმანეთს
ყოველი კუთხე გულისა.
ესიყვარულენ საბრალოს
და აპიკპიკდა პატარა,
ამბობდა, როგორ სიამით
მან აქ სიცოცხლე ატარა.
შეგროვდენ მონადირენიც
რაინდთან სიხარულითა,
გურგენის ბედნიერებით
მათაც იხარეს გულითა.
შემოსეს დედა და შვილი
ძვირფასის სამოსელითა
და წაიყვანეს შინისკენ
რაინდის ლურჯა ცხენითა.
თან მიჰყვებოდა ირემიც
თავის საბრალოს გვერდითა,
ითქოს, რომ იგიც ჰხარობდა
იმათის ტკბილის ბედითა.

ქალნი და ვაჟნი გუნდ-გუნდად
ეგებებოდნენ მათ გზებზედ,
ცხენს აჩერებდენ, კოცნიდნენ
დედა-შვილს კაბის კალთებზედ.
ყველგან ისმოდა: წმინდაა,
ანგელოზია ესაო!
დღეს გაგვითენდა ტკბილი ღღე
სწყლებს და ქვრივ-ობლებსაო.
გამხიარულდა სასახლე
კვლავ გურგენ ბედნიერისა:
მისი კეთილი მეუღლე
მალამო არის ერისა;
დაივლის ხოლმე ყოველ დღეს
ის ყველგან დაბა-სოფლებსა,
ავად-მყოფს ჰკურნავს, ხელს უწყობს
გაჭირვებულებს, ობლებსა.
მშვენიერია საბრალოც,
ბევრნი აქებენ ამასა:
გულ-კეთილობით დედას ჰგავს
და რაინდობით მამასა.

ცახელი.

1893 წ.

15. განდეგილი

ლეგენდა.

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნი-
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან, [ლნი,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჰექა-ქუხილსა,
ყინულს ჯ ქართა მხოლოდ ჰშთენია,—
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის
ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუ-
და ზედ კარია გამოკვეთილი, [ღე
ვით კლდის ნაპირზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა,—
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა
გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთი-სოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა ოანა
სავანესა მას საუკუნოსა.
განსულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან გათქმულა.
და ის ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარე-
ბულს,
მონადირეცა ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ
თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება
და თუ შეჰბედავს, მსწრაფულ რისხვა
ღვთისა
ჰექა-ქუხილით მოევლინება.

III

Ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიკიოსთვის ეს საკაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას უშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და
ვითა მპარავი და მტაცებელი; [ღამ,
სად, რასაც ჰხადის მართალი მართ-
ლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის
ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ ფუთი-სოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

Ზანდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოთ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და გაზბანილი.
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია
და ვით ბურკელი იგი წყმედილი
ცრემლით ურეცხავს, უსოლებია.
დღე და ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა, [ლი,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემ-
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
კანყენებული წუთი-სოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულის-თქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

Არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინ-
დანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნევოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭათ შეკ-
შარავანდედი გადაჰფენოდა. [რულს,
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტ-
ყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც უძლურ-
ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალ გზით ტანჯულს და ტანჯვათ
ზედა
ძლევით მოსილსა და განდიდებულს.

VI

Წამება მისი ღვერთს შეეწირავს,
ვედრება მისი ღვერთს უსმენია

და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერ-
მზე სხივ გაფენით ამოვიდოდა, |ზედ
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ჭლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დაეყრდენ-
და,
და ხორც-უსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა...
და თვის სიწმიდეს ყოველ დღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, საღამოს ლოცვით დაღ-
ლილი
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორ-
ბალი
ირგვლივ სხივ-გაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჭღუ-
ოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას ფერად სხივებში ჰთრთო-
ამა უბიწო დიადის ხილვით [და.
წარტყვენილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდ-
ებისას
შესქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვი-
და მყინვარიდამ, ვითა ვეშაპი, [მეთ,
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

ლაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და ვაიშალა
და იქ, თითქო მტერს შეეxახაო,
ჰექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეერყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჰექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ,
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჰექვა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულ-
თა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქრო-
ესე ყოველნი, ერთად რეულნი, [ლა, —
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას
ღვთისასა,
თითქო ღმერთი სxის ქვეყანას ცოდ-
ვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის მშობ-
ლის ხატსა
და ხელ-აპყრობით ევედრებოდა
წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვეი მწირსა...
ყური ათხოვა—და თითქო ვიღაც

ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა
და, ვით ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის,
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა: — „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
— „კაცი ვარ, კაცი!... მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისა-
ვერ ხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს [გან.
და ზედ დაეცეს დედა-მიწასა?
რა დროს კითხვაა?... შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერ ა, ბინასა“.

X

— „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვაა გარეშ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!... იყავ ნება ღვთის!...
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
და იმ ბნელაში იგი წვალებით
ავიდა მაღლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
— „გამიმყევ, ვინც ხარ! ბინას მოგ-
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა... [ცემ შენ!
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა.“
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარედ, ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ ქვეშ ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა ნწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქექა, ჩაჯდა ცეცხლა-პირს
და გაიწოდა სათბუნად ხელი.
— „უჰ, უჰ, უჰ, რა ცივა!... სთქვა მან სტუმარმან:
ლამის გავშეშდე სიცივისაგან!...“
მწირს ხმა ეცა... ქალის ხმას ჰგვანშეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან: [და...
ნუ თუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და, ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარ-ცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქმნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით..,
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულ დამშვიდებით.

XII

— „შეშა არა გაქვს? ჰკითხა სტუმარმა:
მოიტა, ცეცხლი ავანთოთ ერთი,

ხვალ თუნდა მთელს ზურგს მე ამო-
გიტან,
ოღონდ დღეს გავთბე, შენ შენი ღმე-
მეუდაბნოემ იქავ კუთხიდამ [რთი.“
მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალ-წინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის მშველი ყელ-მოდე-
რებით.
ეჭიოთა მფრქვევსა მის შავსა თვა-
ლებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუ
ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა. [ქი,

XIII

Თვით ნადლს ტრფობისას რომ მო-
ესურვოს
ხორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვე-
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა [ყნად,
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას,— ვინ ვის აშ-
ვენებს:
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-
ფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრ-
თოლდეს!...
დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით
ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!...
თქმულა—მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულ-მშრალი
და უცოდველის გულის ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვე-ქმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან:—„ვინა ხარ,
შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
— „ნწყემსი ქალი ვარ, აქ მთის კა-
ლთებზედ
ცხვარს ვაძოებდი მამი-ჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყე ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო.
რა რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ ბზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქ-მოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვა-
და საკვირველი ის სანახავი [ლებდა
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი,—
ნუ ენდობიო, შვილო ამ მყინვარს,
ნახავ: მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი გულს
უთხარ,—
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!...

მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი...
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიანღა იყო, ვერ მოვასწარი...
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებ წამოუშინა,
ცხვარი გამიფთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა, უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!... რად გავტეხე მამის ნათქვამი!...
ახია ჩემზე, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დავღუპე ცხვარი მე, მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!...
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თვითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავღუპე — ეგ ერთად ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამოდა,
ჰქექდა ტ ჰქუხდა... ტ ჩემთა ფეხ-ქვეშ
თვითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექნა ბეჩავს!... საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვთქვი,—აქავ დავრჩე და ბედს მივენ-
თუ გავბედო და წავიდე შინა? [დო,

XVII

„დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის,
გავახწევდი-ღა იმ ღამეს ბედ-შავს?...
წავსულიყავ და იმ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამერია
ტ მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივ-
ოომ აქ მყინვარის მონასტერია, [ხვდი,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ-ხანს,
მენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი,—ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!...
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარ-
ჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამირჩინე.“

XVIII

—„მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს
დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი..
ღვთით არ განწირულს ყველგან წინ
უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი.“
—„შენკი ეშმაკი, მგონი გეგონე.“
—„ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა
გიკვირს!...
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს
ქვეყნით

ერთს დავიწყებულს და განდეგილ
მწირს!"
—„განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?"
—„მყვანდნენ... და ყველას გამოვე-
თხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი."
—„მას აქედ ბევრი წელიწადია?"
—„არ ვიცი." — „როგორ?" — „არ
ვთკლი წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!"
—„მოშორდი და აქ სულ მარტოკა
ხარ?"
— „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა"..
—„როგორც თუ ღვთისა? ღმერთს
რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?"

XIX

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ
გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი:
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრებსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთი-სოფლად მარტოკა სძლებსო,—
გამკვირვებია მე ეს ამბავი!...
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს
სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰ-
ხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორ-
ესე ლამაზად წუთის სოფელი? [თო
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო:
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და
სიხარულს?!...
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

XX

„ან შენ როგორ სძლებ უწუთი-
სოფლოდ?
მერე იცი კი, რა რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუ თუ თვის-ტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუ თუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია:
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუ თუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?!.." —„რა გით-
ხრა, შვილო?
ყველაზედ უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია."
—„მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა
წავწყდებით,
ვედარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?"
—„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა
ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა..."

XXI

„უბედურსაო"?!... და მწირსა ცცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმა-
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია [ზედ...
და ვით მოადგა იგი ენაზედ?

„უბედურსაო“?!... ეგ ხომ სიტყვაა,
გულის ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, ამოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?... ნუ თუ არ ჰყოფ-
რომ მან დასძლია საწუთროება, [ნის,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუ თუ დაკარგვად აწ მიაჩნია [ბისა
დამარხვა ხორცის, გულ-თქმის, ვნე-
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუ თუ უჩივის იგი აწ ბედსა?
ნუ თუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმეს სდებს შეჰოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამ-
დურავს,
არ გასწირავს სულს შეევდრებულსა,
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულ-უხვად მომადლებულსა!..
არა და არა!... მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს
ვით საყვარელსა ზედ დაჰბაროდა.
საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი შვენება!...
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვე-ქმნილი, გაშტერებული.
რად შეემსგვალა თვალი ამ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მოორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდინაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის-ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ყღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

XXIV

შეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილ ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დალაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!...
ნუ თუ იძლია? არა და არა!...
მის სასოება არ დაუძლურდეს
და, რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!...

არა და არა!... არ აიყრის მადლს
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით
ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?... „წაწყმდი თუ
არა“!...
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!...“ ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!...
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არ ვინ იყო... ქალს კვლავ
ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირ-ქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
მით რა ეშველა?... იგივ ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუ თუ ღვთის მშობლის საფარველ
ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!...

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმიდა ღვთის-მშობლის ნაც-
ვლად,
თვალთ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუ თუ ძის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუ თუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირ-ჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს ჯ იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!...“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და ჰთენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
ღილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტან-
ტალებს
ამ კლდეებშია თმა-აბურძგნული?
ნუ თუ მწირია?... იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალებით უცქერს მთის
თითქო იქიდამ გამოელისო [წვერსა,
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არა რა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?...
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

XXVIII

ზულზედ მომეწვა .. კვლავ სასო-
დედა ღვთისასა მიაპყრა თვალი, [ებით
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი,
მადლით, ნუგეშით ვადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთი-
სგან!...
და ღმერთს მადლობა ცრემლით
ზესწირა...
მივარდა ლოცვანს, დაეყრდო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!...
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარ-დაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.
და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ბეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების,—
აწ შორის ნანგრევთ და ხატამლთა
მარტო ქარი-ღა დადის და ქშუის,
და გამომფთხალი ბეჭა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადიოი ღმუის...

1883 წ. **ილია ჭავჭავაძე.**

16. გაუტესელი სახელი.

ქნიაზი ილო ზის სევდიანი
თავის უვაზო ვენახის თავში [ლიანი:
და შფოთავს, ღელავს თვალ-ცრემ-
გუშინ ქართველმა აჯობა სმაში!!
ჰოდ, დამცირებავ! ვაი, სახელო!
ვინ მოელოდა ამასა, ვინა?
ვაჰ, აგდებულო მასხრად კახელო,
თავი ვინ მოგჭრა, ვინ შეგარცხვინა?!
ახ, მეტი ღონე არ არის, არა!
ხანჯალი იკარ, ილოჯან, გულში!
მაგრამ ხანჯალი მარტო არ კმარა,
ტყვია „დუმდუმი" ჩაისვი შუბლში!
ქნიაზი ილო ზის დაღვრემილი
და... მოაგონდა მას მწვადი... ხაში...
რამ დააგიწყა?! მოსდის ღიმილი:
ქართლელს აჯობა იმან ჭამაში!!
ქართლელი ძალას ღვინოს ატანდა,
ჭამა ვერ შესძლო, მხოლოთა სვამდა;
ილო კი ღვინოს ხაშს, მწვადს ატანდა:
სმითა ხომ სვამდა, თან რამდენს ჭა-
ამოიოხრა შვებით თავადმა [ჭდა!..
და თავის მუცელს გადუსვა ხელი:
ღვინომ უმტყუნა—ხაშმა და მწვადმა
მას დაუბრუნა ისევ სახელი!...

კ. მაყაშვილი.

1904 წ.

17. ა მ ი რ ა ნ ი.

შეიძრა მკვდარი ქვეყანა,
სულთქმა აღმოხდა შვებისა,
ზღვიდამა ზღვამდე გაისმა
ხმა ტკბილი სასოებისა!
ბარად მოვიდა ამბავი:
შეთქმულან ყველა მთანიო
და დაუხსნიათ ტყვე-ქმნილი,
ძლიერი ამირანიო.
მოუკლავთ, გაუსრესიათ
იმისი მწვალებელიო,
ის ქორი შეჩვენებული,
გმირისა სისხლის მსმელიო.
დაუმსხვრევიათ ჯაჭვები,
შეუხვევიათ წყლულიო...
კვლავ ჩვენთვის აძგერებულა
ამაყი, მძლავრი გულიო.
მოდის, მოგრგვინავს, მთა-კაცი,
ამირან უძლეველიო,
ხელში უჭირავს ალმასის

მახვილი თვისი მჭრელიო!
ქვეყნისა მაოხრებელნი
დევები დამალულანო,
ვეშაპნი, შიშით პყრობილნი,
უფსკრულში ჩაცვივნულანო!
ინგრევა ტახტი მაგარი
წყვდიადის დროშის მჭერისო;
ამირან მოდის, ამირან...
მოდის და მოიმღერისო:

„აღსდექით, წელში გამაგრდით,
უმწეო, უბედურებო,
ობლებო, ტიტველ-შიშველნო,
დატანჯულ-დაჩაგრულებო!
ფრთები შეისხით, ვაჟ-კაცნო,
დროებით დამარცხებულნო,
თავ-განწირულნო ქვეყნისთვის,
მაღალის ნიჭით ცხებულნო!..
შორს, თვითნებობავ, შორს ბილწო
შავ-ბნელო ძალა მტარვალთა,
შორს, ბორკილებო, მბოჭავნო
გრძნობათ და აზრთა ბაღალთა!
ამოდი, მზეო, შუქმფენო,
ბადრუკთ გამათბობელო,
ცხოვრების სულის ჩამდგმელო.
ძმობა-ერთობის მშობელო!...
წინ, ბრძოლის ველზე, ვაჟ-კაცნო!
ბევრი რამ მოგვითმენია,
მაგრამ მოგვხვედა ბედმა და
აწ გამარჯვება ჩვენია!...
წინ, ნუ შიდრკებით, არწივნო!
გმირთ ელის ხალხი ტანჯული;
ძირს დავსცეთ ძველი კერპები,
ეხლა ვიწამოთ სხვა რჯული!“

კ. მაყაშვილი.

1905 წ.

18. ლ ი ლ ა.

ლილა არის. ცა ლაჟვარდი
მზის სხივებით იფერება
და ქურდულად მიმალულა
თვით მთვარე და ვარსკვლავთ კრება.

მობიბინე ვარდ-ყვავილი
გულ-მკერდს იშლის, იფურჩქნება,
გაიღვიძა მთა და ბარმაც,
სამეჯლისოდ ემზადება.

ველს გაჭკივის იადონი,
ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს;
მას ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქარი,
მოცელქობს და მოკისკასობს.

მიჯნურივით გაუღიმა
ქვეყანამ ცას, ცამ—ქვეყანას,
და ორივე მწყობრად ჰგალობს
საამქვეყნო გამოცანას:

„დღით მზე ჰნათობს, ღამით მთვარე,
დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო;
თუ წყვდიადი არ გინახავს,
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.

„ვინც წარსულს დროს სტირს და
ის აწმყოსაც ინანებსო; [მოსთქვამს,
მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,
მოელა უნდა სღლ და მრთელსო.

„მშვიდობის გზა მთვარე-ვარსკვ-
ქებათ-ქება მნათობ მზესო; [ლავთ,
ვაშა, ვაშა ბუნების წესს,
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!...“

განდეგილი.

1895 წ.

19. ლ ო დ ი ნ ი.

ლოდინი, კვალად ლოდინი,
გამწყალებელი გულისა...
ნეტა ვიცოდე, სად არის
დაწყება დასასრულისა!

ერთის მხრით მესმის ხარხარი
უსირცხო, ბოროტ სულისა,
მეორე მხრით კი გოდება
და კვნესა დაჩაგრულისა.

დედა შვილს სტირის, ცოლი—ქმარს,
ობოლი—მწარე ობლობას;
ძლიერი უძლურს ტყავს აძრობს,
თანაც ჰპირდება მშობლობას.
ბრბო გარეწართა დასცინის
წმიდა სამარეს გმირისას
და ეკლის გვირგვინს უმზადებს
მომტირალს ქვეყნის ჭირისას.
სამართალი და სიმართლე
გაუთელია ძალასა,
ქვეყნის სვე-ბედის გადაჭრა
ხელთა აქვს მაწანწალასა.
სული ჩაუკლავს მონობას,
უსამართლობის ცქერასა,
საგმირო ცეცხლი უქრება
მამა-პაპურსა კერასა.
რა ყოფნა არის ეს ყოფნა,
შებღალულ-დამცირებული,
შეჰყურე სხვისა წყალობის
და იმედ გაწბილებული?!..
რით არ სჯობიან სიკვდილი
მონურ სიცოცხლეს, წყეულსა,
რით არ სჯობია პირუტყვი
მეტყველსა, მუნჯად ქცეულსა?!
ლოდინი, კიდევ ლოდინი,
გამწყალებელი გულისა...
ნეტავი, როდის იქნება
დაწყება დასასრულისა!...

განდეგილი.

1907 წ. ბაქო.

20. შეკრთა სუსხი.

შეკრთა სუსხი... შავი ნისლი
უფსკრულისკენ მისრიალებს...
ჰა, დრომ დაჰკრა სანეტარომ
და ზამთარიც ხუჭავს თვალებს!...
ცას შეჰხედე: იქ კიდურზედ
მზე, მნათობი მძლავრი სხივით,
მთის მწვერვალზედ დიდსა დროშას
აელვარებს ალმასივით.
რა კარგია გაზაფხული:
თოვლ ყინულის ბორკილს ამტვრევს,
განახლებას ჰგრძნობს ბუნება
და სიხარულს მით ჩვენც გვამცნებს!..
თავისუფლად სიო დაჰქრის
მინდორ-ველის მახარობლად;
სხივ-ნატყორცი იის ბუჩქიც
ვარდს შესცინის ცრემლ-ქვეშ ოლად.
არე-მარე რომ ბიბინებს,
ეს სიცოცხლის ნიშანია,
მჩაგვრელ ნისლის დამარცხება
მისი ნატვრის მიზანია.
ამიტომაც შავი ნისლი
უფსკრულისკენ მისრიალებს,
ზამთარი თრთის სულთ-მობრძავი
და სამუდმოდ ხუჭავს თვალებს!...

სოლ. გ—ძე.

1907 წ.

ძველი მწერლობა.

ლექსები და პოემები.

I. იოანე შავთელი.

ჩვენი საერო პოეზიის ნამდვილი ისტორია მე-XII საუკუნიდან იწყება. ეს საუკუნე მიღებულია ქართული საერო მწერლობის კ ლ ა ს ი კ ურ ხ ა ნ ა დ. ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის (ჭოროხისა და რიონ-ენგურის აუზები) ბაგრატიონთა ღვაწლით შეერთებულმა საქართველომ მე-XI საუკუნის დამლევიდან შესამჩნევათ იწყო ზრდა და აღორძინება. ამ მოვლენას დიდათ ხელი შეუწყო ეგრეთ წოდებულმა ჯვაროსანთა ომებმა, რომელთაც ჩვენი უძლიერესი მტრის, თურქების, ძალა უმთავრესათ პალესტინისაკენ მიიზიდეს. ამით ისარგებლა ახალგაზდა მეფემ დავით აღმაშენებელმა (1089—1125 წ.), მცირე ხნის განმავლობაში თავისი სამფლობელო გარეშე მტრებისაგან გასწმინდა და სამეფოს საზღვრები თითქმის კასპის ზღვასა და არეზამდე მიიტანა. საქართველო განთავისუფლდა პოლიტიკურათ, რასაც თან მოჰყვა კულტურული გაძლიერებაც. წარმოიშვა მთელი რიგი საერო მგოსნებისა, რომელთაც თავისი ჩანგის საგნად დიდებული მეფეების ღვაწლთა შემკობა დაისახეს. მათ შორის ქრონოლოგიურათ პირველი ადგილი იოანე შავთელს უჭირავს. როგორც ჰფიქრობენ, საზოგადოებრივი მდგომარეობით იგი ბერი ყოფილა. მისი ერცელი ოდა „აბდულ-მესია“, რომელიც დაკარგული ეგონათ, ამ ხუთიოდე წლის წინათ პროფესორმა ნ. მარრმა აღმოაჩინა, საფუძვლიანათ შეისწავლა და მეცნიერულათ გამოსცა. იმისი აზრით, ამ ოდაში, რომლის სახელიც „ქრისტეს მონას“ აღნიშნავს, ერთად-ერთი პირია ნაქები; და ეს პირი არის—მეფე დავით აღმაშენებელი.

„აბდულ-მესია“ პირველი ქართული ოდაა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია. როგორც შინაარსით, ისე სტილის ტექნიკური მხრით ეს ოდა ქართული პოეზიის ძვირფას მარგალიტს წარმოადგენს. ამ ოდაში სულ ას-შვიდი ოც-მარცვლოვანი ტაეპია, რომელთაგან ჩვენ მარტო ხუთი მოგვყავს ოდის სხვა და სხვა ადგილებიდან. ეს ტაეპები აქ ხუთ ხუთ მარცვლოვან 16 სტრიქონებადაა დაბეჭდილი. ყველაზე მეტათ საყურადღებოა მე-4 (მარრის გამოცემისა მე-97) ტაეპი.

აგდულ-მესია.

(ხუთი ტაეპი).

1.

ხამებით ღმერთმან,
არსებით ერთმან,
მომცეს შე სწავლა
თქვენდა შემკობად!
გიძღვენ ქებანი:
მწადს აქ ებანი
დავითის, დავით,
ვსჯდე მუსიკობად!...
შემოკრბით ბძენნო,
ათინელთ ძენო,
დავითს ვაქებდეთ
მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მაღრიბს,
ეგვიპტეს, მაშრიყს,
ჩინ-მაჩინეთსა,
თარშის ქებულსა!...

2.

ვიწყო-და ქებად,
ძლივ შეკადრებად:
მსმენელთ ვაუწყო
ქვეყნის მპყრობელი,
მზნე, ლმობიერი,
ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი,
მტკიცედ მფლობელი,
შ ავანდ-ბმირი,
ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად
დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი,
მეფეთა ძენი,
ასპარეზთა-ზედ
მსპარაზნობელი!..

3.

ვაქებდეთ, ერნო,
ყრმანო და ბერნო,
საუნჯედ ჩვენთვის
მონიკებულსა
ქრისტეს მხედარსა
მზნე-ახოვანსა,
პირად-პირადად
განშვენებულსა,
ნათლად ბნელისა
გარდმოფენილსა,
ეთერთა ელვად
დასახებულსა,
სიწმიდის ბაზმად,
არ ბილწად, კაზმად
ნათლის ემბაზად
დაარსებულსა!...

4.

შენ, გონიერო,
გულის ხმიერო,
თვით მეცნიერო
მეფევ ძლიერო!
მიუხდომელო,
მიუწდომელო,
მიუთხრობელო,
წრფელ-სახიერო!
განათლებულო,
განახლებულო,
გაბრწყინვებულო
მზეო ციერო!
გალაღებულო,
გალომებულო,
კვლავ გოლიათო
გულ-ლმობიერო!..

5.

ჴელვყავ საქმესა
ძნელსა რამესა
უგუნურებით,
თვით სულელობით;
ქებასა გრძელსა,
სათქმელად ძნელსა
ვერ ვუძლე, ვიქმენ
ენა ბრგვნილობით;
შესხმა-მკობანი,
მუსიკობანი,
ვუწყი, ვერ გიძღვენ
თქვენ საფერობით,
მაგრამ, ვით წვლილნი,
ქრისტეს მითვლილნი,
ქექმენ მადლობის
შემწირველობით!

II. ჩახრუხაძე.

ჩახრუხაძეც მე-XII საუკუნის მგოსანია. იგი ცხოვრობდა თამარ-მეფის დროს (1184—1212 წ.). მან დაგვიტოვა თორმეტის ოდის კრებული, რომელსაც სახელად „თამარიანი" ეწოდება და რომელშიაც თამარისა და მისი მეუღლის, დავით სოსლანის, ქებაა გამოთქმული. ჰფიქრობენ (ნიკ. მარრი და დ. კარიჭაშვილი), ვითომც ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი ერთი და იგივე პირი ყოფილიყოს.

თამარიანი.

მეოთხე ოდა.

(შემოკლებით)

თამარ, შენ გიძნობ!
ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი,
შუქ-მომფინარი;
ელვა-ეთერი
და სიტყვიერი
დარმანის ველი,
ედემს მაღნარი;
სიუხვედ ზღვებრი,
სიმაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე,
ბევრეტად ნარნარი;
მძლეთა მძლეველი,
თვით უძლეველი,
კედრით კედრამდის
მძლედ სასმენარი!
კაცები გმონებს
და გიპატრონებს
ვეფხთა კლდოვანი,
ლომთა შამბნარი.
ვერ მიგწვდნენ ქებად,
სხდენ თვითვე ვნებად
პლატონის ენა,
დავითის ქნარი!
თამარ წყნარი,
შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი,
პირ-მცინარი;

მზე-მცინარი,
საჩინარი,
წყალი მქნარი,
მოძდინარი;
მისთვის ქნარი
რა არს? ქნარი
არსით მთქნარი
უჩინარი!
ვარდ-შამბნარი,
შამბ-მაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი,
შუქ-მფინარი!

III. შოთა რუსთაველი.

მე-XII საუკუნის მგოსანთა შორის პირველი ადგილი შოთა რუსთაველს უჭირავს. იგი ცხოვრობდა თამარ-მეფის დროს (1184—1212 წ.). როგორც ზოგიერთები ფიქრობენ (მარრი და კარიჭაშვილი), მისი გვარი ჩახრუხაძე უნდა ყოფილიყო; სიტყვა „რუსთაველი“ კი იმ დაბის მაჩვენებელია, სადაც შოთა დაბადებულა (ძველ მესხეთში). განათლება შოთას საბერძნეთში ჰქონია მიღებული, მაგრამ, როგორც სჩანს, სპარსულ-არაბული მწერლობაც სცოდნია. მან დაგვიტოვა უკვდავი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, რომლის შინაარსი, როგორც თვითონ ამბობს, ერთი თქმულებიდან აუღია („აქამდის ამბად ნათქვამი“); მაგრამ ეს თქმულება თავისებურათ გარდაუქმნია, სული ჩაუდგამს და ხორცი შეუსხამს. ამ პოემის ენა შეუდარებელია, ლექს-წყობილება სამაგალითო; ხოლო მთელს პოემაში აქა-იქ გაბნეულ აზრებსა და მომხიბლავ სურათებს ბევრს თავისი მნიშვნელობა და სიცხოველე დღემდისაც არ დაუკარგავს.

„ვეფხის-ტყაოსანი“

(რამოდენიმე ადგილი).

1. როსტევან, თინათინ და ავთანდილ; თინათინის გამეფება.

იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი,
ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე,
მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო,
კვლავ მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა,
მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი,
მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის
გული, გონება და სული;
ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად
და ენა ბევრად ასული.

მისი სახელი თინათინ.—
არს ესე საცოდნარია—.
რა გაიზარდა, გაივსო,
მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იხმნა ვეზირნი,
თვით ჰზის ლაღი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო
მათ ამო საუბარია.
უბრძანა: „გკითხავთ საქმესა,
ერთგან სასაუბაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი
გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა,—
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭრეტთ
ღამესა ჩვენ უმთვაროსა.
მე გარდავსრულვარ, ს ბერე
მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია;
დღეს არა, ხვალე მოვკვდები,
სოფელი ასე მქნელია.
რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია?
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ,
ვისგან მზე საწუნელია“.
ვეზირთა ჰკადრეს: „მეფეო,
ჯერ ვარდი არ დ გჭკნობია,
თქვენი თათბირი ავიცა
სხვისა კარგისა მჯობია;
ჰხმდა განაღამცა სათქმელად,
რაცა თქვენ გულსა გლმობია,
ჰსჯობს და მას მიეც მეფობა,
ვისგან მზე შენაფლობია.
„თუცა ქალია ხელმწიფედ,
მართ ღვთისა დანაბადია,
არ გათნევთ, იცის მეფობა,
უთქვენოდ გვითქვამს კვლავ დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა
მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.
ავთანდილ იყო სპასპეტი,
ძე ამირ-სპასალაროისა,
საროსა ჯობი ნახარდი,
მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, სადარო
ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის შვენება
ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.
გულსა მისსა მიჯნურობა
მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ მჭვრეტელმან
ვარდი შეჰქმნის ფერ-ნაკლულად,
ნახის, ცეცხლნი გაუახლდის,
წყლული გახდის უფრო წყლულად;
საბრალოა სიყვარული,
კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად.
რა მეფედ დასმა მეფემან
ჰბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე,
ვსება სჭირს მის სოქალისა.
სთქვა: „ზედა-ზედა მომხვდების
ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუ თუ მით ვპოვო წამალი
მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა“.
არაბეთს გასცა ბრძანება
დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ
დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი,
ვით მზემან მანათობელმან;
მოდით და ჰნახეთ ყოველმან,
შემსხმელმან, შემამკობელმან“.
მოვიდეს სრულნი არაბნი,
ჯარი გამრავლდეს ხასისა:
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი
ლაშქრისა ბევრ-ათასისა,

ვეზირი სოგრატ, მოახლე
მეფისა დასთა დასისა.
მათ რომე დასდგეს საჯდომი,
სთქვეს: „უთქმელია ფასისა!“
თინათინ მოჰყავს მამასა
პირითა მით ნათელითა.
დასვა და თავსა გვირგვინი
დაადგა თავის ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა
მეფეთა სამოსელითა;
ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა
ცნობითა ზე-მხედველითა.
უკუ სდგეს და თაყვანი სცეს
მეფემ და მისთა სპათა,
დაჰლოცეს და მეფედ დასვეს,
ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი
დაატკბობდეს ტკბილთა ხმათა;
ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს,
ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა.
მამისა ტახტსა საჯდომად
თავი არ ეღირსებოდა;
ამად ჰსტირს, ბაღი ვარდისა
ცრემლითა აივსებოდა.
მეფე ჰსწრთვნის: „მამა ყოველი
ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი
ცეცხლი არ დამევსებოდა“.
უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო,
ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს,
ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო
მართ შენია მონდობილი,
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა,
იყავ წყნარი და ცნობილი.
„ვარდთა და ნეხვთა ვინადგან
მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწყინების;
უხვი ახსნილსა დაბამს,
იგი თვით ების, ვინ ების;
უხვად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გაედინების.
„მეფეთა შიგან სიუხვე,
ვით ედემს ალვა რგულია,
უხვსა მორჩილობს ყოველი,
იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა—დიდად შესარგი,
დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ—შენია,
რაც არა,—დაკარგულია!“
ამა მამისა სწავლასა
ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა,
წვრთნასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა
იქმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზესა სწუნობდა,
მაგრამ მზე თინათინებდა.
მოიხმო მისი გამზრდელი,
ერთგული, ნაერთგულევი;
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე,
შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვით ჩემი ყველაი,
ჩემი ნაუფლისწულევი“.
მოართვეს; გასცა უზომო,
უანგარიშო, ულევი.
მას დღეს გასცემს ყველაკასა
სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს
მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა,
მამისაგან სწავლებულსა;
ჩემსა ნუ ვინ ნუ დამალავს
საჭურჭლესა დადებულსა“.

უბრძანა: „წადით, გახსენით,
რაცა სად საჰურჰლენია!
ამილახორო, მოასხი
რემა, ჯოგი და ცხენია!“
მოიღეს; გასცა უზომო,
სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი,
მართ ვითა მეკობრენია.
ალაფობდეს საჰურჰლესა
მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაიჰსა არაბულსა,
ქვენაბამსა, ნასუქალსა,
რომე ჰგვანდა სიუხვითა
ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
არ დაარჩენს ცარიელსა
არც ყმასა და არცა ქალსა.

2. ნადირობა და ტარიელის ნახვა.

თინათინის გამეფების მეორე დღეს მეფემ და ავთანდილმა ნადირობა გამართეს.

ᲓᲘᲚᲐᲡᲐ ადრე მოვიდა
იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი,
პირად ბროლ-ბადახჩოსანი;
პირს ოქროს რიდე ეხვია,
ჰშვენოდა ქარქაშოსანი;
მეფესა გასვლად აწვევდა,
მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.
შეეკაზმა მეფე, შესჯდა;
ნადირობას გამოვიდეს;
მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს,
ალყად გარედ შემოჰკვრიდეს;
ზეიმი და ზარი იყო,
სპანი ველთა დაჰფარვიდეს;
ნაძლევისა მათისათვის
ისროდეს და ერთგან ჰსვრიდეს.

უბრძანა: „მონა თორმეტი
მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით,
ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით,
ნასროლსა დასთვალვიდითა!“
დაიწყო მოსვლა ნადირთა
ყოვლთა მინდორთა კიდითა.
მოვიდა ჯოგი ნადირთა
ანგარიშ-მიუწვდომელი:
ირემი, თხა და კანჯარი,
ქურციკი მაღლა-მხტომელი;
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს,
ჰვრეტადმცა სჯობდეს რომელი!
აჰა მშვილდი და ისარი
და მკვლავი დაუშრომელი!
ცხენთა მათთა ნატერფალნი
ბზესა შუქთა წაუხძიდეს;
მიჰხოცდის და მიისროდეს,
მინდორს სისხლსა მიასხმიდეს;
რა ისარნი დალივნეს,
მონანი ყე მოართმიდეს;
მხეცნი, მათგ ნ დაკოდილნი,
წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.
იგი მინდორი დალივეს
მართ მათგან განარბენია;
მინდორსა იქით წყალი სდის
და წყლისა პირსა კლდენია;
ნადირნი ტყესა შეესწრნეს,
სადა ვერა ჰრბის ცხენია;
იგი მაშვრალნი ორნივე
მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.
იგი ორნივე საგრილად
გარდახდეს ძირთა ხეთასა;
ლაშქართა შექმნეს მოდენა,
მოსდგეს უფროსი ბზეთასა;
ახლოს უდგს მონა თორმეტი,
უმხნესი სხვათა მხნეთასა;

თამაშობდეს და უპვრეტდეს
წყალსა და პირსა ხევთასა,
ნახეს: უცხო მოყმე ვინმე
სჯდა მტირალი წყლისა პირსა;
შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;
ხშირად ესხა მარგალიტი
ლაგამ-აბჯარ-უნაგრისა;
ცრენ̇ლსა ვარდი დაეთრთვილა,
გულსა მდუღრად ანატირსა.
მას ტანსა კაბა ემოსა,
გარე თმა ვეფხის ტყავისა;
ვეფხის ტყავისა ქუდივე
იყო სარქველი თავისა;
ხელთა ნაპერი მათრახი
ჰკონდა უმსხოსი მკლავისა.
ჰნახეს და ნახვა მოუნდათ
უცხოსა სანახავისა.

მეფემ ამ ყმის დაპერა მოინდომა, მაგრამ უკანასკნელმა მონები დაუხოცა და თვიოონ კი უჩინრათ გაჰქრა. ბევრი ეძებს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ბოლოს, თინათინის წინადადებით, ავთანდილი წავიდა საძებრად. სამს წელს ეძება, იპოვა, დაუშეგობრდა და ყოველი მისი ამბავი შეიტყო.

ამ ყმაწვილს სახელად ტარიელი ერქვა. ერთი შემთხვევის გამო საცოლო, ნესტან-დარეჯანი, დაჰკარგოდა და მის ძებნაში ლევდა წუთისოფელს. ახლა იგი ველად იყო გავარდნილი და ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა. ავთანდილმა ტარიელს აღთქმა მისცა—ნესტანის ძებნაში დაგეხმარებიო; დროებით გამოემშვიდობა და არაბეთს დაბრუნდა. როსტევანს აღარ უნდოდა ავთანდილი გაეშვა, მაგრამ, თინათინის ნებართვით, ავთანდილი გაიპარა და მეფეს ანდერძი დაუტოვა. ამ ანდერძში საკუთარი ხელით ავთანდილის შეხედულება ადამიანის მოკალაკობრივს ღირსებაზე, მის მაღალ დანიშნულებაზე. ეს შეხედულება იმავე დროს თვით ავტორის შეხედულებაცაა.

3. ავთანდილის ანდერძი.

დასჯდა წერად ანდერძისა,
საბრალოსა საუბრისად:
„ჰე, მეფეო, გავიპარე
ძებნად ჩემდა საძებრისად;
ვერ დავდგები შეუყრელად
ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად.
შემინდევ და წამატანე
მოწყალება ღვთაებრისად!
„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ
ამა ჩემსა განზრახულსა:
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს
მოყვარესა მაყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ,
პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
სიცრუვე და ორ-პირობა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
„არას გარგებს სინძიმილი,
უსარგებლო ცრემლთა დენა:
არ გარდავა გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამათაგან
მოპირვება, პირთა თჳენა;
არვის ძალუძს ხორციელსა
განგებისა გარდავლენა.
„ვერ დაიპირავს სიკვდილსა
ჯზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალ-გულოვანი:
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან
ერთად მოყმე და მხცოვანი;
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.
„თუ საწუთრომან დამამხოს,
ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად,
ვერ დამიტიროს მშობელმან,

ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა
და ვერცა მისანდობელმან,—
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე
გულმან მოწყ-ლე-მლმობელმან.
„მაქვს საკონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები,—
მიეც გლახაკთა საპურპლე,
ათავისუფლე მონები;
შენ დაამდიდრე ყოველი
ობოლი, არას-მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები.
„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს
საპურპლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა,
ზოგი ხიდთა გასადებლად;
ნურა ნუ გშურს საკონელი
ჩემი ჩემთვის წასაგებლად;
შენგან კიდე არვინ მივის
ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად.
„გვედრებ, მეფეო, შერმადინს,
მონასა ჩემსა რჩეულსა,—
ნაკად აქვს ჭირი სამისოდ
ამ წელიწადსა წლეულსა,—
ნუგეშინი ეც წყალობით
ჩემგან წყალობა-ჩვეულსა.
ნუ დაადინებ თვალთაგან
ცრემლთა, სისხლითა ფრქვეულსა.
„გასრულდა ჩემი ანდერძი,
ჩემგან ნაწერი ხელითა;
აჰა, გამზრდელო, (ოგშორდი,
წაველ გულითა ხელითა!
ნუ სჰმუნავთ ჩემთვის მეფენი,
ნუ ხართ მოსილი ბნელითა,
სუფევითმცა ხართ თავითა,
მტერთაგან საკრძალველითა!“.

4. ავთანდილის მოთქმა.

ავთანდილი დაბრუნდა ტარიელთან. უკანასკნელს, ავთანდილს გარდა, მეორე ძმად-ნაფიციც ჰყავდა, სახელდობრ მულ-ლაზანზარის მფლობელი ნურედინ ფრიდონი. ავთანდილმა გადასწყვიტა, ჯერ ამ ფრიდონისას წასულიყო და იქიდან დაეწყო ნესტან-დარეჯანის ძებნა. გამოემშვიდობა ტარიელს, შეჯდა თავის მერანზე და გასწია. გზაში თავის სატრფოს (თინათინს) იგონებდა და თავის დარდს ცის მნათობებს უზიარებდა. ეს მოთქმა ავთანდილისა უმაღლესი პოეზიით აღსავსე ადგილია მთელს პოემაში.

მიმავალი ცასა შესტირს,
ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები
შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ,
მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა,
ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!
„ნოდი, მარიხო, უწყალოდ
დამჭერ ლახვრითა შენითა,
შეცამღებე და შემსვარე
წითლად სისხლისა დენითა;
მას უთხრენ ჩემნი პატრონი,
მას გააგონენ ენითა;
როგორ გავსრულვარ, შენ იცი,
გულია აღარ ლხენითა!
„მო, მთვარეო, შემიბრალე,
ვილევი და შენებრ ვმჭლდები;
მზე გამავსებს, მზევე გამლევს,
ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვმჭლ-
მას უამბენ სჯანი ჩემნი, [დები;
რა მჭირს, ანუ როგორ ვბნდებ:
მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!“
მისი ვარ და მისთვის ვკვდები.
„ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

ყოველიმც შენი მონდობილ
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა;
მაგრა ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!"
რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან;
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ასტირდის, ასტირდიან;
ომლერს ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

5. ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი.

ბევრი ძებნის შემდეგ ავთანდილმა ნესტანის კვალს მიაგნო: ნესტან-დარეჯანი „ქაჯებს" (ხალხს) შეეპყროთ და მიუვალ ციხეში ჰყავდათ დამალული. ერთი ვაჭრის ცოლის (ფატმანის) შემწეობით ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ამბავი შეიტყო და უკანასკნელისაგან ტარიელს წერილიც კი წამოუღო, რომელშიაც ტურფა ტუსაღი შემდეგსა სწერდა თავის საქმროს:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი
არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი
ნაღველში ამონაწები;
მე გული შენი ქაღალდად
გულსავე ჩემსა ვაწები...
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ,
ნუ აეხსნები, აწ ები!.
ჰხედავცა, ჩემო, სოფელი
რათა საქმეთა მქმნელია?
რაზომცა ნათობს სინათლე,
ჩემთვის ეგრეცა ბნელია;
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ
მით, მათგან საწუნელია,—
უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
ვამე, რა დიდი ძნელია!
შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა
და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე
მე, შენთვის დაკარგული სად,
ვზი მზრდელად სიყვარულისა,
მის ჩემგან დანერგულისად.
ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,
თვალნი ძლივ გარდასწვდებიან;
გზა გვირაბითა შემოვა,
მცველნი მუნ ზედა დგებიან;
დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შეებმელთა დაჰხოცენ,
მართ ცეცხლად მოედებიან.
ნუ თუ ესენი გეგონენ
სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა,
ამისგან უარესითა:
შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი,
ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა
კლდისაცა უმაგრესითა.
წადი, ინდოეთს მიმართე,
არგე რამ ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა,
ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა
მოშორვებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა.
შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!"

6. ᲫᲐᲯᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

და

პოემის დასასრული.

ნესტანის წერილი რომ წაიკითხა, ტარიელი დაუყონებლივ მზადებას შეუდგა. მოიწვიეს ფრიდონიც და სამნივ ᲯᲐᲯᲔᲗᲘᲡ ციხისაკენ გაემართენ. თან მხოლოდ სამასი მეომარი ჰყავდათ. მცირე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, ციხე იერიშით აეღოთ.

სამთავე სამად გაიყვეს
თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყავთ კაცი სამასი,
ყველაი გმირთა დარები;
მას ღამით უქმნეს სადარნო,
უცრუო, ანაჩქარები;
გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს,
თავის-თავ ჰქონდათ ფარები.
ანაზდად ცხენი გაჰქუსლეს,
მათრახმან შეჰქმნა წრიალი!
რა ჰნახეს, კარნი გაახვნეს,
ქალაქით გაჰხდა ზრიალი;
სამთავე სამგნით მიჰჰართეს,
თავსა მით უყვეს რიალი;
იკრეს ნობსა და დაბდაბსა,
შეიქნა ბუკთა ტკრციალი.
მაშინ ᲯᲐᲯᲔᲗᲘᲡ მოიწია
უსაზომო რისხვა ღვთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან,
მოიშორა სიტკბო მზისა:
მათვე რისხვით გარდუბრუნდა
ბორბალი და სიმრგვლე ცისა;
ველნი მკვდართა ვერ იტევდა:
გადიადდა ᲯᲐᲠᲘ მკვდრისა.

გმირებმა გაიმარჯვეს, ნესტან-დარეჯანი განათავისუფლეს და ტარიელმა ფრიდონისას დიდის ამბით იქორწილა. შეგდეგ როსტევანს ეწვიენ, სადაც ავთანდილისა და თინათინის ქორწილი მოხდა. დასასრულ, ინდოეთს გაემგზავრენ, სადაც ტარიელი სამეფო ტახტზე ავიდა და ამას შემდეგ თავის ძმად-ნაფიც ფრიდონსა და ავთანდილთან მტკიცე კავშირი არ გაუწყვეტია.

მათ [illegible]
ერთმანერთი არა ᲡᲫულდეს;
ერთმანეთსა ჰნახვიდიან,
საწადელი გაუსრულდეს;
ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხმალთად დავეწყლულდეს,
მოიმატნეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამორჯმულდეს
. ყოვლთა სწორად წყალობასა,
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინეს,
კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

IV. მეფე თეიმურაზ პირველი.

(1591—1663 წ.)

მე-XII საუკუნის შემდეგ, მონგოლთა შემოსევის წყალობით, საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა: იგი დაიჩაგრა პოლიტიკურათ და ჩამოქვეითდა კულტულურათ, რასაც თან მოჰყვა მწერლო-

ბის დაცემაც, ამას ხელი შეუწყო კოსტანტინოპოლის დაპყრობ:
ოსმალთა მიერ (1453 წ.), რამაც საქართველო დიდის ხნით მოსწყვიტ
ბიზანტიის სწავლა-განათლების ცენტრებს. ამ მდგომარეობამ გასტა
ნე-XVI საუკუნის დამლევამდე. მე-XVI საუკუნის დამლევსა და მე-XV
საუკუნეში საქართველო სპარსეთის გავლენას დაემორჩილა. საქათველო
ნეფეები და დიდებულები სპარსეთის შაჰის კარზე ღებულობენ აღზრდ
განათლებას, შემოაქვთ სპარსული ზნე-ჩვეულება, ადმინისტრატიულ
ენა და ლიტერატურა. ითარგმნება მრავალი სპარსული პოემა (,
საგმირო მოთხრობანი. ამავე დროს, პოლიტიკურ ტანჯვა-დევნულებაში
იღვიძებს ნაციონალური გრძნობაც. იბადება ორ-გვარი სალიტერატურ
მიმართულება: სპარსული ზღაპრულ-ეროტიული და ადგილობრივი ისტო
რიულ-ეროვნული. ეს ორ-გვარი მიმართულება ახასიათებს ჩვენი საერ
მწერლობის განახლების ხანას (XVII—XVIII საუკუნე).

ქრონოლოგიურათ ამ ხანის პირველი წარმომადგენელია მეფ
თეიმურაზ I-ელი. იგი სპარსულ გემოვნებასა და სპარსეთის მეფის კარზე იყ
აღზრდილი: სპარსულ მწერლობას კარგათ იცნობდა და, როცა სახელმწ
ფო საქმეთაგან მოიცლიდა, სცდილობდა, ზოგი სპარსულიდან გადმოთარ
გმნით, ზოგიც ორიგინალური ნაწარმოებით სამშობლო ლიტერატური
გამოცოცხლებისათვის, შეძლების-დაგვარათ, ხელი შეეწყო. ამ ცდის ნაყოფ
წარმოადგენს მისი: „ვარდ-ბულბულიანი“, „მაჯაჰა“, „შამი-ფარვანიანი“
(სანთელი და პეპელა) და სხვანი. რომელთაგან სანიმუშოდ ორ პატ
რა ლექსსა და ეოჯს ნაწყვეტს მოვიყვანთ.

1. ქართველები.

პირველ თქმულია ბრძენთაგან
სიდარბაისლე მესხისა;
ოვი და შებმა კახელთა
მოსაწონია კაცისა;
ჩუქება, პურად-გაცემა
ქართლელთა არ ეძრახვისა;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემნი რისხვისა.

2. ენა.

ენა ტკბილი, ენა მწარე,
ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის ფარ-მყრელი,
ენა ქვეყნის შე-ცა-მძვრელი,
ენა მკურნალ სნეულთათვის,
ენა მთელთა ლახვრის მკვრელი,
ენა სული სულთ-მობრძავთა,
ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.

3. ვარდობა.

(„ვარდ-ბულბულიანი“-დან).

შევიწიო ძალი ღვთისა,
მე დავიწყო თარგმანობა!...
გაზაფხულზედ დაიწყების
აწინდელი სიტყვის თხრობა:
მზე კირჩხიბზედ გარდაჯდების,
შეიქმნების ქვეყნის ლაბ-ბა

მფრინველთაგან გამოხდების
ბიკბიკი და ამო ხმობა.
ზღვა დაწყნარდა ღელვისაგან,
შეიცვალა ქარ-კეთილად,
ვითა ვული გამწყრალისა
დამშვიდდა და იქმნა ლბილად;
მყინვარება, ზამთრის ყინვა
დაღნა, გალხვა, ვითა ცვილად,
ხეთა იწყეს შემოსადვე
პირველისა დანაწყვილად...
და უსწრო პირველ ყოველთა
ყვავილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი
იგ საყნოსელ მან, იამან,
თავ-მოდრეკილმან სიმდაბლით,
არ თავი გაიზვია მან;
ტკბილად შეხედნა თვალმან და
გულისა კარმან ღიამან...
ზამბახმან პირი გაშალა,
იგ თავის სულმან დახარა,
აგვავსო სურნელებითა,
ზედ ყოვლმან სულმან დაჰხარა;
ეთქვა: „ჩემთანც მოდი სამყოფსა,
ბალშიგან—სულ მანდა ხარ-ა;
ვფიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა,
ან,—ჩემმან სულმან,—და ხარ-ა!“...
ნარგისი მოვა შვენებით,
ყვითლითა შემოსილაო;
არ ვიცი, ვის ჰგავს, სით მოვა,
მისი გვარი დავსილაო;
მისითა სურნელებითა
წალკოტი სულ ავსილაო,
გამდიდრებულა ბაღი და
მებაღე არ დავსილაო.
ყაყაჩო და არღავანა
ერთმანერთსა ედარების:
სიტურფით და შვენებითა
ფვრად ვერვინ გვედარების;
სურნელებით გვაჭარბებენ,
ჩვენი გული ამით ჭკნების,
მივიდეთ და გავერივნეთ,
მათში ნურვინ გამოსწყდების!“
სოსანმან უთხრა რიანსა:
„ქუფრი გაქვს თალბი ფერები,
გიგავს რამ მგლოვიარესა,
გული ჩანს დანაბერები,
შენ სული გიდის სურნელი,
ტურფა რამ მონაბერები;
სული გაქვსა და შვენება,
მათ თან მეც შევეფერები!“
ვით გიამბო რიცხვი, ზომი
მათ ყვავილთა ჯარეგანთა?...
სურნელნი და მრავალ-ფერნი,
არ თუ მსგავსნი ეკალ-ნართა!...
თქვეს: „მოველ-ით უკეთესსა;
მოვა,—საქმე წარგვემართა;
ჰფერობს ჩვენი ხელმწიფობა...
რად დაყოვნდა, არ მოგვმართა?!“
თქვეს: „რა გვექმნების უმისოდ
ვარდისა მომლოდინესა?
ჩვენ თავი დაგვიძს სამონოდ,
მისთვის გლახ ცრემლთა მდინესა!“
მოვიდა, ნახეს გაშლილი,
თქვეს: „ეგზომ ტურფა ვინ ეს-ა?!“
თაყვანი სცეს და შეიტკბეს,
გაღიმდეს, გაიცინესა.
მათ შუა დასვეს ხელმწიფედ,—
იგი მისებრივ შვენოდა;
ეგზომი მათი სიტურფე
მასთან არ გამოჩნდებოდა;
მეფე, გლახა და მდიდარი
იშვებდენ, არ მოსწყენოდა;
იგ მისთვის ხელი ბულბული
თავს ევლებოდა, მღეროდა.

ბაღი, ბაღჩა და წალკოტი
შეამკო, დააშვენა მან;
მან მონად შექმნა ყოველი,
თეთრ-წითლად შუქთა მფენამან;
სრულ საყნოსელი აავსო
სურნელებისა დენამან;
ვეღარა ჰქმნა რა სევდამან,
შეპირვებულმან წყენამან.

V. არჩილ მეფე.

(1647—1712 წ.)

არჩილ-მეფე ჩვენი საერო მწერლობის განახლების ხანის იმ მგოსანთა წრეს ეკუთვნის, რომელთაც ქართულ პოეზიაში ეგრეთ წოდებული ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება შემოიტანეს, ე. ი. უკუაგდეს სპარსულ-ზღაპრული და სატრფიალო სიუჟეტები და უმთავრესი ყურადღება ნამდვილი ცხოვრებისა და ისტორიული პირების თავგადასავალს მიაქციეს. არჩილ-მეფის გარდა ამ ჯგუფს ეკუთვნიან კიდევ იოსებ თბილელი და დავით გურამიშვილი, რომელთ შესახებაც სიტყვა ქვემოთ გვექნება. არჩილ-მეფის თხზულებას „არჩილიანი“ ეწოდება; მაგრამ ეს სახელი მხოლოთ ავტორის მაჩვენებელია და არა თხზულების შინაარსისა, რომლის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ჩვენი ისტორიის ორი ეპოქის (თამარისა და თეიმურაზ I-ის დროისა, ანუ მე-XII და მე-XVII საუკუნის) შედარება კულტურულისა და პოლიტიკური მხრით. ამ საგნის მიხედვით „არჩილიანში“ შემდეგი ნაწილები გვხვდება: შოთა რუსთაველისა და თეიმურაზ-მეფის გაბაასება, თეიმურაზ I-ის თავგადასავალი და თამარ-მეფის ცხოვრების უმთავრესი ფაქტების აღწერა. თავის თავგადასავალს თეიმურაზ-მეფე თვითონ მოგვითხრობს, ხოლო თამარის ისტორიას ავტორი შოთა რუსთაველს ალაპარაკებს.—როგორც თვით ავტორი გადმოგვცემს, პოემა „არჩილიანი“ დაწერილია 1681 წელს.

ქვემოთ მოყვანილი რამოდენიმე ნაწყვეტი, ვგონებთ, საკმაო წარმოდგენას უნდა იძლეოდეს არჩილ-მეფის ენასა და მისი ჩანგის საზოგადო მიმართულებაზე.

1. თეიმურაზ-მეფისა და რუსთველის გაბაასება.

(„არჩილიანი“-დან)

თეიმურაზ-მეფე

რუსთველო, ყური მომაპყარ:
გვადრიან მე და შენაო;
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის:
„შოთამ გაჯობა შენაო!“
ხან კიდეც გამაგულისებს,
მათი მომინდა შენაო:
საკლავად გამოვიმეტო,
ან ამოვართო ენაო!

რუსთაველი.

მე რას ღირსვარ თქვენს დარეგას?
ამხანაგი შემადარონ:
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ,
სულ ხმელეთი მოიარონ,
გრძნებაც რამ ჰქმნან, ცა, ღრუბლითა
შეპყრობილი, მოადარონ,—
სულ მელექსეთ მიუფროსონ,
ვით ისრაელთ მღვდელი არონ!

2. თეიმურაზ-მეფის ქორწილი.

(შემოკლებით)

როს ჰასაკით მოვიწიფე,—
ჩემს ქებასა ვიტყვი არა,—
მაგრამ სხვანი ძას უბნობდეს:
„მზემ ღრუბელი მოადარა;
მისმან მზემან,—ხმელეთზედა
ვერ ვინ ჰპოოს ამის დარა,
თუ ეს არის ამისთანა,
იქმნებაო ამის და რა?“
დედა-ჩემი თვისად სარძლოდ
დაემძახლა გურიელსა:
მალ მომგვარეს შესართავათ,
არ უხანეს მას ნათელსა,
შვმომყარეს ყამიერად
მხიარულსა, ლხინთა მზმელსა...
ეს სოფელი ვეღარ შეიქმს
სხვას მისებრსა სულიერსა!...
თოლას ვიდექით, როდის ვჰქენ
ქორწილი—გამოჩვენება:
ცხადად არ დაიჯერება,
თუ იყო ძილ-მოჩვენება;
მუნ ორმოც დღემდი ზედა-ზედ
სმა, ლხინი, არ მოსვენება,
ბურთობა, ყაბახის სროლა,
ვის რა ასპარეზს ენება.
დილას შევსხდით, ვინადირით,
შუა-დღისას შემოვიქცით,
აწ ბურთობას ხელი მივჰყვით,
მუნ საძილოდ არ გავიქცით,
მერმე დავსხდით ერთად ჭამად,
ლხინი ლხინზე ზედ დავიცით,
ვზემდით, ვმღერდით, ღვინოს ვსმიდით,
ვიდრემდისა გარდავიქცით!...
ზევითა ვთქვი რიცხვი დღეთა,
ვირემ იყო ქორწილობა;
აწ გათავდა მისი საქმე,
გაიყარა შეყრილობა,
მაყრებიცა გავისტუმრე,
ბევრი მიხვდა ლართ-წილობა,
დატვირთულთა საბოძვრითა
არ შეექმნათ მათ წბილობა.
ვინ მოგვარა დედა-ჩემმა,
ის რებეკა, თვითონ სარა:
ტბა მელნისა უცხოდ რამე
გარ გიშრითა მოესარა;
ბაღსა შიგან ვყმაწვილობდით,
სადა გვედგა ტურფა სარა...
ვაჲ, გაარმდა ეს სოფელი:
ჩემთვინ შემრჩა დიდხანს არა!

3. თეიმურაზ-მეფის დაქვრივება და გლოვა.

ჟამი გარდახდა შვებისა,
მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შემექნა
გულს ურვა, თვალთა წუხილი:
ღვარად მდიოდა სისხლისა
ცრემლი, ისმოდა ქუხილი;
ნადიმი აღკრბა, სერობა;
ოდენ მაჭამეს წუ-ხილი.

მოვთქვამდი: „მზეო, დამაგდე,
ცეცხლი მომიდევ, წამ ალი!
მე გლახ უშენოდ ოხერმა
ჩემი ვერ ვპოე წამალი:
ბროლი და ლალი შეთხზნილი
მიწათა შიგან წამალი,
სუფრვა ჰპოვე უკვდავი,
წმიდათა თა'ა წამალი!...

ვაიმე, წახდა, ვის ჰქონდა
ყელი ბროლისა სურათა,—
ვერ გამოხატოს მხატვარმა
ჩინელმა მისი სურათა!—
მჭვრეტელთა სატრფიალოო,
უნახთა მოსასურათა,
ვიჰ, რა უბრალოდ გამწირე,
სისხლის ცრემლ-გასაცურათა!...

მე გამწირე, საყვარელო, —
ლევან რად ჰყავ საბრალობლად?
ალექსანდრე *) ნებიერი
ვით დამიგდე მე ეს ობლად?
შენ უდროოდ ტახტს აოხრებ,
თავსა შეიქმ საბრალობლად...
მე გამბადე მტერთ გულისად,
ბედისა და სოფლის მკმობლად!

გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს მბურავ,
სკიპტრად მომაძლევ შავს ჯოხსა,
პორფირად მაძლევ ძაძასა,
ტაბტად დამ'დგამ ბნელს ქოხსა...
გამაბედითე, დამაგდე,
ვჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა:
უდროოთ ამ ყოფისათვინ
უბნობენ სოფლის საძრახსა!“...

ორმოცამდისი ბნელსა ვჯექ,
სინათლეს მე სად ვნახევდი?
თავსა ვიცემდ', ვსტიროდ',
ცრემლითა ღაწვსა დავხ'ვდი!...
შენც შემიბრალე, არიფო,
მოდი და ჩემთან ახევდი,
ნუგეშინის მეც სიტყვითა,
ღონეს რას მომინახევდი!

4. ქართლ-კახელთა რჩევა მარაბდის ომის წინ.

(შემოკლებით).

1624 წელს ამიერ საქართველოს დიდი უბედურობა დაატყდა: თეიმურაზ პირველზე და ქართლ-კახეთზე გაბრაზებულმა შაჰაბაზმა საქართველოსკენ დიდძალი ჯარი გამოგზავნა ყორჩიბაშ ისა-ხანის წინამძღოლობით. ეს ჯარი დაბანაკდა მდ. ალგეთის პირად, მარაბდის თავს. ქართლ-კახელებმაც დაუყონებლივ თავი შეიყარეს, ავიდენ ტაბახმელას და გამართეს ომის წინ თათბირი. აქ იყვენ: დიდი მოურავი გიორგი საკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მოწინავე ჯარის სარდალი ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, იესე ქსნის ერისთავი, ბაადურ ციციშვილი, მანუჩარ სამცხის ათაბაგი, კახელი დიდებულები და ქართლ-კახელი ვაჟკაცები.

აი როგორ აგვიწერს ამ რჩევას თვით არჩილ-მეფე:

შეიქმნა რჩევა ომისა,
იქ შებმისა და მოცდისა,—
კაცსა მხნესა და ჯაბანსა
დღე ამისთანა დასცდისა,—
ზოგთა უცდურად არჩიეს
და ზოგისა კი დასცდისა:
ზენაა გამმარჯვებელი,
თვარემ კაცთ რჩევა მოსცდისა!

*) ლევან და ალექსანდრე თეიმურაზის ვაჟებს ერქვა. შემდეგში შაჰაბაზ I-ელმა ეს ყმაწვილები გამოასაპურისა, რისგამოც ერთი მათგანი გაგიჟდა, ხოლო მეორე მოკვდა.

გიორგი საკაძე.

მოურავმა თქვა: „დრო არის
მართლის თქმად ხანდახანისად:
გეტყვით, კახნო და ქართლელნო,
ხან ესე ვთქვათ და ხან ისა;
მაგრამ იცითა, ყეინთან
ვარ დამყოფელი ხანისა,—
სულ ერანს გამოგზავნიდა,
იქ არ დამჭერი ხანისა.

„ქვეითობა *) იქ არ ვარგა:
სიცხეა და მისჭირდება,—
ღმერთმა ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს,—
სულ ერთ-პირად ამოწყდება;
მართლის თქმა სჯობს ტყუილისას,
ცუდი არის მი-მოდება;
ეს არ სჯობდეს, დაისწავლეთ,
რჩევა ნუ ვის დაგვიწყდება.

„მე ამას ვარჩევ: მინდორად
ნუ ჩავალთ, ნუ შევებმითა:
ჩვენს აქ დგომასა ვერ სცნობენ,
თუ აწვე არ წავებმითა;
ქალაქს შემოვლენ თავ-წვრილად;
აქ დავხვდეთ,—შევიქმნთ ვებითა...
მე ეს მითქვამს და აწ თქვენ თქვით,
თუ იქ ომს არ შევებმითა!“

ბარათაშვილი.

ბარათა ბარათაშვილი,
მოწინავეთა სარდალი,
აქებდენ დიად მას სარდლად,
მტერსა შეაქმნის ბანდალი:
„საქართველოს შეყრილისა
ყოვნა არ არს სამართალი:
დაგვეფანტვის აქეთ-იქით!“
მოუწონეს,—თქვა მართალი.

*) „ქვეითობა“ ანუ ქვეითი ჯარი ძველათ ჩვენში გლეხობისაგან შესდგებოდა.

კახელი დარბაისლები.

ქახთა არჩიეს ერთ-პირად
შებმა და მათი ომია;
თქვეს: „არსად წავლენ იქიდამ,—
ეს ადვილ მისახვდომია;
ორჯელ გალახულთ შევებათ,
ვინცა ხართ ომის მდომია;
ზოგსა გვწადს ომი ახალი,
ზოგს ბევრი გადაგვხდომია.“

ბაადურ ციციშვილი.

ბაადურ თქვა ციციშვილმა,
ამ რჩევაზედ არ დაჭმუნდა:
„ეამი არის ეს სიცხისა,
მზემ ჰაერი دააბუნდა;
დაგვიმარცხდეს ქვეითობა,
რითდა მორჩეს? თქმა არ უნდა:
თუ ამოწყდეს გლეხი კაცი,
საქართველო داداბუნდა!“

მანუჩარ ათაბაგი.

მოახსენეს ათაბაგსა:
„რად არ ბრძანებ უმჯობესსა,
თქვენგან უფრო ნაომარი
არ ვინ არი აქა დღესა?“
მან უბრძანა: „კარგად არჩევთ,
მე რას ვიტყვი უკეთესსა,
მაგრამ ძველად ნათქმია:
ომი საზღვრავს მესამზღვრესა!

„მერე არის ორი რაზმი:
دაახლოვდეს ერთმანეთზედ;
ვინც მიუხდეს მეორესა
არ ყოვნებით იმავ დღეზედ,
მისი ჯარი გათამამდეს...
მისი دადგეს ძლივდა ფეხზედ...
ხანგრძლივ რჩევა ცუდი არის:
გამარჯვება არის ღმერთზედ!“

ქართლ-კახელი ვაჟ-კაცები.

ვაჟ-კაცები ისწრაფოდეს,
თითქმის კბილებს იმსხვრევდიან:
ჰე, რას ყოვნით მათზე მისვლას?
ისინი აქ არ მოდიან!..
მეფის მზემან,—უსაცილოდ
ჩვენგან იმათ სისხლი სდიან!..
მინდორად სჯობს ომი ცხენზე,
სიმაგრეში რასა ჰქვიანნ?!

ომის საკითხი ხმის უმეტესობით გადაწყდა: ქართველები მედგრათ მიესიენ სპარსელებს, პირველ შეტაკებაზე კიდეც გაიმარჯვეს, მაგრამ მალე დამარცხდენ და უკუიქცენ. ბრძოლის ველზე სპარსელებმა დასტოვეს 14,000 მეომარი, ხოლო ქართველებმა თითქმის 10,000 ქვევითი და ცხენოსანი. არჩილის სიტყვით, ამათ რიცხვში ერიენ: თეიმურაზ მოხრანბატონი, შვიდნი ძმანი ხერხეულიძენი, ბაადურ ციციშვილი და მრავალნი „კარგნი ყმანი“, რომელთაც თავი დასდვეს მამულისათვის.

VI. იოსებ თბილელი.

Иосэб თბილელი მე-XVII საუკუნის მწერალია. მან დაგვიტოვა თავისი პაპის, დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის ცხოვრების აღწერა ლექსად, რომელსაც სახელად „დიდ-მოურავიანი“ ეწოდება. როგორც ამ პოემის შინაარსიდან სჩანს, იგი „არჩილიანის“ შემდეგ ყოფილა დაწერილი, ე. ი. არა უადრეს 1681 წლისა, როდესაც ავტორი (იოსებ სააკაძე) თბილისის სამიტროპოლიტო კათედრას განაგებდა. ამ პოემაში ბევრი საგულისხმო ადგილებია, მაგალ. კვალთელი მღვდლის თევდორეს თავგანწირვა მეფისათვის, ლუარსაბ-მეფის რომანი გიორგი სააკაძის დასთან, ქართლის დიდებულთა გულზვიადობა და სხვანი. მაგრამ ლირიკულის აღმაფრენით თვით მოურავის „გოდებას“ ვერაფერი შეედრება. ეს „გოდება“ იმ დროს შეეხება, როცა საქართველოდან საბოლოოთ განდევნილი და იმედ-გაცრუებული გიორგი სააკაძე სტამბოლს გაემგზავრა. ეს ადგილი არამცთუ ამ პოემაში, არამედ მთელს ჩვენს ძველ ლიტერატურაშიაც კი იმდენათ მაღალ-პოეტურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომ არ შეგვიძლია აქ შემოკლებით მაინც არ მოვიყვანოთ.

მოურავის გოდება.

(„დიდ-მოურავიანი“-დან).

თავო ჩემო, ვით გასულო,
სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს სჯულისათვის
ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის განასარჯო,
ნამსახურო და ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტევს *) ლხინი,
ალაბს, სტამბოლს დაკარგულო!...
თავო ჩემო, სად მოჰკვდები,
ანუ ვისსა სამარებსა,
რას დალახავ ქვეყანასა,
იარები სამ არებსა;
მოშორდები მოყვარეთა,

*) ნოსტევი—მოურავის სამშობლო სოფელია, გორის მაზრაში.

შენ ხარ ვისსა სამარებსა?—
სამყოფთაგან გააბეზრდი,
კარსა გავლი სამ არებსა!...
ქართლს მოვავლე გალავანი,
აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა?
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს
ვინ დაიდგამს ბუდეებსა?
ვერ მიფერებს ვერა საქმის,
თავსა გაიცუდავებსა,
მეფეს ტყუილს მოახსენებს,
უმსგავსოს და ცუდ—ავებსა!
აქ სხვა სიტყვა შემოვიღო,
ნუ გამკიცხავთ, მიგდეთ ყური:
კაცობასა მოვსდგომოდი,
გულში მქონდა არვის შური.
თუ ქორი ზედ აღარა ზის,
კაცს რას არგებს მარტო თური?
ვერ დავსწყვიტე ცრემლთა მილი,
თვალთა ჩემთა მონაწური.
რაც დავსწერე, მომიგონეთ,
განა თუ ვსთქვი საკვეხელად,
სად მოვიკალ ცუდად თავი,
ანუ სისხლი იქცეს ველად,
რაღას მარგებს, მოყვარეთა
ლაწვი შექმნან ცრემლით სველად:
რა ღალატით სიკვდილს ვესწრა,
ვინ იქმნების ჩემად მშველად?...
ნაბოთე მოკლეს უბრალოდ,
ექმნეს სისხლისა მხვრეტადო,
იოსებ ძმათა გაყიდეს,
თორმეტ ჰქმნეს მეთერთმეტადო,
რაქაელ შვილსა სტიროდა,
რომ აღარ არის ბვრეტადო,—
აგრევ დედაჩემს მოუვა
ტირილი მეტის-მეტადო!...
სულთან-მურად და მაჰ-აბაზ
ერთს ყამად იყვნენ მჯდომია,
ორთავ ვეახელ, გარდამხდა
მათთან ლხინი და ომია;
მაპატივებდნენ, მაძლევდნენ,
რისაც რომ ვიყავ მდომია;
რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია
მე კაცი შემომკდომია?!...
მათი დავსთმე სიტკბოება,
შენთვის დავსდევ თავი სულა,
შვილი პირ-მშო საყვარელი,
სიცოცხლე და ჩემი სულა;
ბედმა მიყო, რაღა გკადრო,
აწ თქმის ყამი გარდასულა.
სადაური, სად მოვკვდები,
ეტლი ჩემი სად წასულა?!..
ჩემობითა მებრალები,
ვაჰმე ქართლო, სუსტობისთვის:—
გალავანი დაგექცევა,
გადგებიან ზოგნი თვისთვის;
ეგზომ ჩემი ჭირნახული
აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?—
ოდეს მტერი წამოვაწყდეს,
მომიგონე ამა თქმისთვის...
ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი,
შუბი, ლახტი, ხმალი მკვეთი
ძით მიყვარდა, ბევრჯელ შევქენ
კაცი შუა განაკვეთი,
ამხანაგს და მიღმა მბრძოლსა
ბევრჯელ სადმე მე ვეკვეთი;
გავამდიდრე სრულად ქართლი,
უღონო ვჰქმენ განაკვეთი!
სად მივუხდი, სად ვებრძოდი,
რას მთებს ვიქვენ გარდასული.
გაცემა და ლხინთა ნახვა
აწ რა იქმნა გარდასული;
არ მინდოდა წასახდენლად
ხორცსა გარდა კიდევ სული;
სისხლს დავღვრიდი, ანგელოსნი
რომ მომრტყმოდა გარ დასული.
ავს ვეტყოდი: „ქართლისათვის

მოკვდი!“ წიგნიც იწამება;
ვინ სჯულს რყვნიდეს, გვისუსტებდეს,
მათთვის მშვილდი აწ ამება,
მათგან ბევრი დავასუსტე,
ავხსნი, ზოგი აწ ამება,—
ბოლოს ნახე ჩემი ბედი,
თუ რა მომხვდა აწ წამებაზ!..
ვის რას ვაბრალებ? ეს ყველა
ჩემი წერა და ბედია:
უღმრთოდ ვერავის ვერ ძალ-უძს
გაწყვიტოს სუსტი მკედია;
დავსცადო, კიდევ გამაგრდეს
ჩემის ავეანდის ღვედია.—
პატრონზედ ხრმალი არ გაჰკვეთს,
ამით ვარ უიმედია.

გული არ მითვენს უთქმელად,
თვარ მწადს დუმილი ბაგისა.
მუდამ სახმილი მედების,
ალი მეხვევის დაგისა;
მას უხარიან, რომელმაც
ჩემი დაკარგვა აგისა;
წავალ, მივმართავ სადგურად,
სად თემი ათაბაგის-ა...
მშვიდობით, თვისნო, მოყვასნო,
გამოგესალმოთ სალმობით,
ვეგობარნო და შემცნენო,
ცრემლი დავთსხიო სალმობით,
თქვენ ნუ დაიჩენთ გაყრასა,
გული შემქმნია სალა მით;
ვინ გაირჯების სიმხნითა,
მან შეიდაროს სალამით!...

VII. დავით გურამიშვილი.

(1705—1787 წ.)

Დავით გურამიშვილი მე-XVIII საუკუნის საუკეთესო პოეტია. იგი იმ ქართველ მგოსანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს პოეზიაში ეგრეთ წოდებული ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება შემოიტანეს. დავით გურამიშვილმაც ამ პოეტების კვალს მისდია, მაგრამ მგოსნურის აღმაფრენით და შემოქმედებით მათ წინ გაუსწრო, რამდენათაც ეს მის დროს და მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის შესაძლო იყო (იხ. მისი ბიოგრაფია). მან საუცხოოთ დაგვისურათა ქართლ-კახეთის მრავალ-გვარი გასაჭირი მე-XVIII საუკუნეში—ზოგი ბუნების მოვლენათაგან, ზოგიც გარეშე მტერთა და შინაურ განხეთქილებათაგან (იხ. მაგალ. ნაწყვეტი: „ქართლ-კახელთა გასაჭირი“); შეეხო თავის კერძო ცხოვრებასაც (ნაწყვეტი: „ლეკთაგან დატყვევება“ და „ლოცვა ტყვეობაში“), მაგრამ მისი კერძო ცხოვრებიდან ამოღებული ეპიზოდი (თუნდ იგივე ლეკთაგან დატყვევება) მთელი მაშინდელი ქართველობის გაჭირვებული ცხოვრების ერთი ეპიზოდთაგანია. ჩვენი ხალხის ზნეობრივ-მოქალაქობრივი მდგომარეობის მაჩვენებელია, აგრეთვე, მთელი რიგი დიდაქტიური ლექსებისა („სწავლა მოსწავლეთა“

და დიდაქტიურ-რეალისტური პოემა: „ქაცვია მწყემსი“), სადაც გურამიშვილი თითქმის ყოველი ხელობისა და მდგომარეობის კაცს შესაფერ დარიგებას აძლევს და მით ცხადათ გვატყობინებს, თუ როშელი მხარე უფრო სუსტობდა მაშინდელი ქართველების ცხოვრებაში. საზოგადოთ გურამიშვილის პოეზიას საკმაოთ მძიმე პესიმიზმის ბეჭედი აზის.—მის თხზულებათა კრებულს „დავითიანი“ ეწოდება, რომლიდანაც ჩვენ ქვემოთ ექვსი ადგილი მოგვყავს.—

1. სწავლა მოსწავლეთა.

(შემოკლებით)

ისმინე, სწავლის მძებნელო,
ჰყევ დავითის მცნებასა:
რ მწარე ჭამე, კვლავ—ტკბილი,
ეძებ გემოვნებასა;
ს სინანული სჯობია
ოს-ჟამ დანანებასა,—
მყოფი, ლხინში შესული
ულ მიითვლი ვნებასა...
ას ლა სიკვდიდმდე შენია,
არ ა ენთანა მყოფელი;
სხვას ლების ვერავინ:
თავისა გასაყოფელი;
თუ კა ას მახე უგია
გასტანჯ ყოფელი;
ვსძებ ოდნა არა აქვს,
მჯობი ა ეთი-სოფელი...
ბრძენსა ა ვერა ვპოვე რა
სოფელში ვლა-მ ენებისა:
ბრძენი სა ავისუფლება,
საუნჯე თან ნებისა;
ბრძენი პურთ ს, დარჩების,
მუხლთ არვის ისა;
ბრძენი სიტყ ჩემსავით
ოსტატი თავის ხელ ბისა.
ის,
ხუცესი წირვით, ვაჭარი
ზორს წასვლით, მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა,
მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა,
შენა გწადს აწ რომელითა?

ზოგი ხომ ძოლან გაჩვენე
შვიდ ოდ სარჩოს ძირობა;
მერვე—ხელმწიფე დარჩების,
ვისაც აქვს ქვეყნის მპირობა;
მეცხრეა—ა ჩენთ მწყემსობა,—
უქნიათ მენახირობა,—
მეათე—მიჯნურთ სურვილი,
ტრფიალთა შენამზირობა.

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე,
გლახაკი, გინა მხვნელია,
მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი,
ოსტატი, ბრძენ-მსიტყველია,—
ათისავ თვითო მოგითხრა,
რომელი რისაც მქმნელია;
რომელიც გინდა, იქონე,
ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია.

მ ი ჯ ნ უ რ მ ა ნ უნდა ტრფიალი
გულ-მართლა შეიყვაროსა;
მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით,
როდეს გაეყაროსა;
უმისოდ ჭირად [illegible]
ყოველსა, [illegible]

ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი,
სიცოცხლე გაიმწაროს.

მწყემსობა უნდა სიბრთხილით,
აქვნდეს მცირედი ძილია;
მუდამ მხნედ სა-წყსოს უვლიდეს,
დღე ყინული თუ თბილია.
„მწყემსმან კეთილმან ცხვართავის
დასდვასო სული ტკბილია“, —
ვინც ბრძანა, მან მე მარიდოს
უხილავთ მხეცთა კბილია.

ხელმწიფე უნდა მართალი,
ვით ბრძენთა დაუწერია,
ბრძენი, უხვი და მოწყალე,
მრისხველი ზომიერია;
სჯულ-მტკიცედ, სწორეს სამართლით
იყოს და ყვანდეს ერია,
მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი
ხელსა სკიპტრა მას უჭერია.

გლახაკი უნდა მდაბალი,
ტკბილისა ენა-პირისა,
მლოცველი ყოვლის სულისა,
სულ დიდისა და მცირისა;
უყვარს, ვით იობ, უფალსა
გლახა მომთმენი ჭირისა,
სძულს ღმერთსა ამპარტავნობა
მეტადრე გლახა-მწირისა.

უნდა მხვნელთა ჯმთესველ-
მწიდვნელთა, გინა მბარავთა, [თა,
მზის ამოსვლითგან ჩასვლამდე
შიგ არ შეხედონ კარავთა;
ცხელის ოფლითა დამწვართა,
ჩირდილ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშავონ, ჭამონ და
აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

მოლაშქრე უნდა ჭაბუკი,
თამამი, თავ-მდაბლოვანი,
მეპატრონეთა ერთგული,
[illegible]ილი, სამართლოვანი,
მხნე, ამხანაგთა მოყვარე,
მამაცი, ძალ-გულოვანი,
გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი,
არ სუსტი, მაგარ-მკლოვანი.

ვაჭარი უნდა სარფისა,
სამთვრალოს არას სვემდესა,
ყომარბაზობას ერიდოს,
სიწმიდით თავსა სცევდესა,
მეტად უზომოდ არამსა
ალალში არა რევდესა,
სწორეს აღლსა და სასწორსა
ხელში არ ამრუდებდესა.

ხუცესი უნდა მამაცი,
არ თუ ჯაბანი, მხრდალია;
ხუცესს არ ეთქმის: „ჭირშიგან
ვერ შევალ, სარიდალია!“
ხუცესმა უნდა დამარხოს,
თუ კაცმა სული დალია;
ხუცესიც ბევრს რიგს დააკლებს,
თუ მეტი ღვინო დალია.

ოსტატი უფლის მოშიში
დავითმან ქებით შამოსა;
ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი [illegible]ია.
ნაყოფთა თვისთა ჭამოსა; [illegible]
ცოლით არს, ვით მსხმო ვენა [illegible]ი
კიდესა სახლ-მიდამოსა, [illegible]
შვილნი ხედ ზეთისხილისად [illegible]
ურგს ტაბლის გარეშამოსა. [illegible]

აწ ბრძენი უნდა სოფ[illegible] სულში
ეგრეთ, ვით წმიდა ბერია, [illegible]
ცხოვრებდეს, ერთ ასწავლ[illegible]ა [illegible]იდეს,
გახადოს მეცნიერია: [illegible]
ბრძენმან არ უნდა იკადრ[illegible]ოს,
ურიგო რაც რამ ფერია[illegible]
ბრძენის ურიგო ქცევი[illegible]ა
ბაძით წახდების ერია.

ათივ, ეგ იყო, მ[illegible]გითხარ,
სხვა არა მისა[illegible]ლია:

ოომელიც გინდა, ირჩიე,
აიღე, ხელი ჰკიდეა;
გერჩიოს, გლახად იარე,
გერჩიოს, ყანას მკიდეა.
მე შენთვის აღარ მცალიან,
ყმაწვილის ვალი მკიდია.

2. ქართლ-კახელთა გასაჭირი.

I

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან [მათ
პასუხი უყო ცოდვისა:
ცა რისხვით შუა განიპის,
ქვეყანა შეიძროდისა;
ვენახთ უწვიმის სეტყვანი,
მსგავსნი ნახეთქი ლოდისა,
მკალია დასცის ყანებსა,
ქარი უქროლის ოდისა!
მოუგის დიდი სიყმილი,
შემუსრის ძალი პურისა;
აღარვინ იყვის ღვინითა
აღმავსებელი ჭურისა;
შემცირდის ხართა ნახნავი,
მოსწყდის ნაწველი ფურისა,
ჰყვნის სასწაული, არ იყვის
კაცი მიმგდები ყურისა!
გამოუვლინის ნადირნი,
მჭამელნი კაცთა ხორცისა:
მოთხარნის მკვდარნი საფლავით,
ცოცხალიც ბევრი ხოცისა,
ხმალ-კაპარჭთ რიდი არ აქვნდის,
არცა ხელ-მახას ტყორცისა,
დედ-მამათ შვილი სალხინო
წამზედ საჭიროდ მოსცისა!
არც მით მოიქცნენ! შეჰყარა
უცხო, უწყალო სენები;
ხოცა კაცი და პირუტყვნი:
ცხვარნი, ძროხა და ცხენები.
კვლავ შეაყენა; მახვილთა
სისხლით აღივსო ხევნები,
სრულად აღსრულდა მათზედა
დავითის მონახსენები.

II

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,
თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი;
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის,
ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან
კაცი ღვთისგან შენაწევრი.
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს,
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!
კახელების აღმა-ხნული
ქართლელებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი
დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გადუჭირა,
მტერთ კომბალი თავში დასცხეს,
ორნივ, ერთად შეხრიჩკული,
დასცეს, ქვეყნად დაანარცხეს...
ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას ჰსცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

3. ლეკთაგან დატყვევება.

ᲛᲝ, ყური მიგდე, მოგითხრობ
ტყვედ ჩემსა წამოყვანასა:
ქვეყნის წახდენის მიზეზით
ვცხოვრობდი სხვის ქვიყანასა;
სადაც უხმობენ სახელად,
ქსნის ხევზე, ლამის-ყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ,
მკას ვუპირებდით ყანასა.
დილაზედ ავდექ, წინა-წინ
წაველ კაცითა ორითა;
ვსთქვი: მუშას სადილს ვუმზადებთ
ძროხით, ცხვრითა და ღორითა;
არ შეყრილიყო ჯარ მუშა:
იყვნენ მოსასვლელ შორითა.
ჩვენ, თურმე, გვნახეს, მოგვმართეს
ლეკთა ირტოზის-გორითა.
მუნ ახლო წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადა,—
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდენ
თხუთმეტი კაცი გზირადა,
ავიხსენ თოფი და ხმალი,
მივყუდე მუხის ძირადა,
იმ წყალზე პირის საბანად
მე მიველ თავის ჭირადა.
შემიპყრეს, წამომიყვანეს,
ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გადმომატარეს ასი მთა,
მინდორი ცხრა იმდენია,
მუდამად თვალთა ნაკადი
მდუღარე ცრემლი მდენია;
მაჭამეს დუმა და ხალი,
მახვრიტეს ხინკლის წვენია.
მიმიყვანეს არა-ღირსთა,
ღირსეულად მიმსახურეს;
არც მასვეს და არც მაჭამეს,
არც ჩამაცვეს, არც დამხურეს;
უსასყიდლოდ მიღებული
ვასასყიდლად დამაშურეს;
გავიპარე, დამიჭირეს:
„რად წახველო“, დამპაღურეს.
მარტო ვიყავ; არვინ მყავდა
მე ღვთის მეტი სხვა პატრონი;
არცა მაქვნდა საიმედოდ
საჭურველნი საბრძოლონი;
ღმერთს მივენდევ, მან ისმინა
იგი ჩემი საგედრონი:
ხელმეორედ გავიპარე,
რაკი ვპოე ჟამი-დროონი.

4. ლოცვა ტყვეობაში.

(იამბიკო)

ᲛᲐᲛᲐ, ყოვლის მპყრობელო,
ღმერთო მოწყალეო!
ᲩᲕᲔᲜᲝ გამაკაცებელო,
შემქნელ და მბადეო!
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲮᲐᲠ ᲪᲐᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ-
არსის საყდარზეო,
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ-ᲐᲠᲡᲘ მაგალობე,
შენი ეო-მეო.
ᲘᲧᲐᲕᲜ ჩემზედ მოწყალებით.
შენ დამიფარეო;
ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ შენისათვის
აწ მომეხმარეო;
ᲨᲔᲜᲘ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ
შორს ნუ წამგვარეო;
ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲜ მოწყალებითა,
ისევ შემყარეო!
ᲡᲣᲤᲔᲕᲐ წარმოავლინე,
მადლი მომფინეო;
ᲨᲔᲜᲘ გაჩენილი ვარ და
შენ დამარჩინეო!
ᲘᲧᲐᲕᲜ ᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ჩემზედ,
ჩემო მეუფეო,

ვითარცა პირველ მამათა
შენ უწყალობეო:
ცათა შინა ისრაელთა
საზდო უწვიმეო,
ეგრეთ-ცა ნათლის სვეტითა
ღამე ავლინეო,—
ქვეყანასა ვარ უცხოსა
დაკარგული ტყვეო,
ზედა მთასა ავართასა
აწ მომეშველეო;
პური არა მაქვს, მიბოძე,
მშიან, მაჭამეო!
ჩვენი შენგნით მოცემული
რად დამიმალეო?
არსობისა პურს გამყარე,
შამბი მაძოეო,
მომეც, გვედრებ, შენი ვალი
გარდაიხადეო!
ჩვენ გცოდეთ და შენ შეგვინდევ
სულ-გრძელ მოწყალეო.
დღეს სადილად არა მაქვს-რა,
გამომიჩინეო;
დავიკრიფე ყვავის-ფეხილა
და ისი ვსჭამეო!
მომიტევენ შეცოდება,
თუ რამ შეგცოდეო,
ჩვენთანა შენი წყალობა
ნუ განაქარვეო,
ნადებნი ძველნი სახეშილნი
ნუ განგვიახლეო,
ჩვენნი მსხვერპლნი კ-ენისას
ნუ მიამზგავსეო.
ვითარცა აბელ მართლისა
შენ შეიწირეო.
ჩვენ მიუტევებთ თუ ძმათა,
შენც მოგვიტევეო!
თანაძდებთა გარდავიხდით,
მივსცემთ, რაცა გვძეო;
მათ ჩვენთა აღნადგინებთა
სხვათა ნუ აძლეო;
დამბადებელო მიბოძე,
ეს რაც ვითხოვეო.
ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა,
რომ არ დავინთქეო,
ჩვენ შენად სადიდებელად
მთლად განგვარინეო,
განსაცდელსა მოგვარიდე,
კარგო მენავეო,
არამედ მიხსენ, ვით მოსეს
შუა განუპეო!
ჩვენო მოწყალეო! ეს ძღვენი
გიძღვენ დავით მეო;
ბოროტისაგან დამიხსენ
ყოვლად ავით მეო!

5. გაზაფხული.

(პოემიდან: „ქაცვია მწყემსი“).

ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული.
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული;
შემოკრბენ ყოველნი [ლი;
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.
გაცვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შამოეცარცვა ტანთა საფარი.
ზაფხული განახლდა,
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი. [ტველნი,
ზამთრით გაცრცილნი, შიშველ-ტი-
ახლით დამოსა, ვახადა ძველნი;
მისცა მან ბრძანება,
დართო სვლად მან ნება
პატიმრად მყოფთა.
ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი,
არ აქვთ სიცივით თრთოლა-ბაბანი;

თბილნი ქარნი ჰბერვენ,
ხმით მფრინველნი მღერენ,
განაქვთ ჭიკჭიკი.
ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული;
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი.
სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა;
ქვემძრომთ ხმა ესმისთ, სახლს ხდიან [ბანსა:
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახროდა
ამოძვრენ ველად.
მზგავსად მზგავსადმან იპოვა ტოლი,
ყველამ დაჰკოცნა თავისი ცოლი;
ვამოვიდა დოლი,
ვაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი.
მბიარულს ბაღნულს მოჰყავს ყვავილი;
მოწყენილს ზამთარს თან გაჰყვა [თრთვილი.
აწ მწყემსნი ხარობენ,
ვინ ვისა ჰყვარობენ,
პირობას სდებენ...

6. ანდერძი დავით გურამიშვილისა.

Ალარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:
ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი.
მკითხა ცოდვისა, მიხსენა ძვირი,
ვით ბალსა ხესა განმიხმო ძირი;
დამაგლახაკა, გამხადა მწირი,
საყვარლისაგან მქნა განაწირი.

გული მიშავა ვითა ნახშირი,
გამაყრევინა თავზე თმა ხშირი,
პირი დამიპკნო ვითარცა ჩირი,
დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი.
შემყარა ძელი ილაო ჰირი,
გულზედ მასვია მჭვლად დანაპირი;
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი,
ცელ-გალესილი, ხრმალ-ამოწვდილი.
ვინ ხართ ღვთიანი და მადლიანი,
კოდ-სასწორ-მართალ, სწორ-ადლიანი,
გთხოვთ: შემიბრალოთ, როს მკვდარი მნახოთ,
შენდობა მითხრათ, როცა დამმარხოთ!
ვისაც რამ გცოდე, ვითხოვ შეინდოთ,
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;
ჰე აღარ ძალმიძს თქვენი რამ წყენა,—
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.
თუ ვინდათ კიდეც მაგინოთ თქვენა,
ვერ გავიგონებ, დამიდგა სმენა;
აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქშენა.
მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.
მცხედრად მდებარე გულ-ხელ-კრეფული
მივალ, არ მიმდევს თან ერთი ფული;
თუ რამე მაქვნდა, ყველა მანდ დამრჩა:
ყმა, სახლ, ბაღ, ბოსტან, თეთრი თუ [ფარჩა.
ყველას ვაფიცებ ამ საფიცარსა:
თუ ღმერთი გწამდეთ, ამ სამს ფიცარნუ გაიძნელებთ ასაშენებლად, [სა
გარს ნურას უზამთ დასაშენებლად;
ნუ გაირჯებით შესაღებლადა;
მსუბუქი ქენით წასაღებლადა;
ფასს ნუ დაჰკარგავთ დასახატავად,
თეთრს გაუფთხილდით დასაფანტავად:
მალ მოეშლების მას სილამაზე,—
მიწა ეყრების, ქვა, სილა მაზე.

ვისაც გინდოდესთ თქვენ ჩემთვის
თან გამატანეთ ასეთი ბარგი, [კარგი,
რომ ცუდ-უბრალოდ არ დამეკარგოს,
საწყალს ჩემს ცოდვილს სულს რამე
არგოს.

ჩემს ცოდვილს სულსა ეს შაეწევა:
მღვდლის წირვა-ლოცვა, საკმეველს
კმევა,
მშიერთა ჭმევა, შიშველთა ცმევა,
უსამართლობით არვისა რთმევა.

მკვდარს არას მარგებს ტყუბა-ტირი-
ლი,
ვერ გამაცოცხლებს თავს დაყვირილი;
სჯობს არ ჩაიცვათ ტანთ ძაძა-ფლასი,
მიმიცეთ რამე მღვდელთ წირვის ფასი.

ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა,
დავრდომილობით უხუც-უმღვდლოსა!
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!

უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,
რომ მას აღენთო სანთელი-ცვილი.
ექნა აღაპი, დაედგა ტაბლა:
ასე მაღალმან მე დამამდაბლა!

VIII. ბესარიონ გაბაშვილი.

(1749—1791 წ.).

მე-XVII და მე-XVIII საუკუნეში განახლებულმა ქართულმა პოეზიამ ორ-გვარი მიმართულება მიიღო: ისტორიულ-ნაციონალური და კერძო-რომანტიული; უკანასკნელი მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელნი იყვენ თეიმურაზ I და, განსაკუთრებით, ბესარიონ გაბაშვილი, რომელსაც ჩვენს მწერლობაში „ბესიკის" სახელით იცნობენ. როგორც თეიმურაზ I-ლი, ბესიკიც კარგათ იცნობდა სპარსულს ლირიკას და მისი ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რისგამოც იმის ლექსთა უდიდესი ნაწილი ეროტიული შინაარსისაა. იგი დამღერის გრძნობათა მეფეს—სიყვარულს და შესანიშნავის ხელოვნებით გვიხატავს ამ გრძნობისაგან ვამოწვეულს სულის სხვა და სხვა გვარს მღელვარებას. მისი ლირიკა მისი სულის სარკეა. მისი პოეტური სურათები აღმოსავლეთური მწერლობის ალეგორიული სურათებია: ვარდი აღნიშნავს სატრფო ქალს, ბულბული შეყვარებულ ვაჟს. მოხედნილი, ლამაზი, თარისა და ჩანგურის დამკვრელი, საუცხოო შომღერალი და მოქეიფე ბესიკი განთქმული იყო ერეკლე-მეორის დროს; იგი მეფის სასახლეშიაც იმდენათ ახლო მიღებული იყო, რომ თვით მეფის დასაც კი, ანნას, დაუახლოვდა და რამდენიმე სატრფიალო ლექსი უძღვნა. როცა ეს ამბავი მეფემ შეიტყო და ბესიკი სასახლიდან დაითხოვა, გამწარებულმა ბესიკმა კიდევ რამოდენიმე ლექსი გამოთქვა. აი სწორეთ ამ ხანას ეკუთვნის ის სამი სატრფიალო ლექსი, რომელიც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს.

მაგრამ ბესიკის ჩანგის საგანი მარტო ტრფიალებით არ განისაზღვრებოდა: როგორც მგრძნობიარე პოეტს, მას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ პირის საგმირო საქმეთათვის, რომელმაც მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ისე ძლიერათ შეატრიალა ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი. ჩვენ ვამბობთ ერეკლე მე-II-ზე. და მართლაც ბესიკის ლექსთა შორის ჩვენ გვხვდება ორი ლექსი, რომელნიც ერეკლე-მეფის ღვაწლსა და ვაჟკაცობას შეეხებიან: „ირაკლი მეფის ქება“ და „ასპინძის ომზედ“. საჭიროდ დავინახეთ ორივე ლექსი (ერთი მთლათ და მეორე შემოკლებით) ჩვენს კრებულში შემოგვეტანა.

№1. ანნა-დედოფალზედ.

ვარ უცხო ვინმე ყარიბი
ამა სიტყვათა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა
მაგინებელი, მგმობელი;
მონა ვარ მისი მუდამ-ჟამ
და მისი შეშინებელი:
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადნობელი!
ვფუცავ: მე არვინ მიხილავს,
რომ არს შვეხებით ანნაო;
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“
ვარსკვლავნი მუდამ სამონად
გარს უდგნენ თანისთანაო...
მხილველნო, დაგვემოჭმენით:
კარგი ყოფილა, განაო?..
ცნობა მიმიღო და გული,
სევდით შემზღუდა ანნამან,
კვლავ მომკლა მისმან ციალმან
და წელთა მიმოტანამან...
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ანამა...
სჯობს, რომ არ ჰყვანდეს მიჯნური,
ან მოჰკლას ამისთანა მან!..

№2. მუსამბაზი.

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები,
ვარდმა შემრისხა თავ-მომწონები,
ისარი მტყორცნა დასამონები,
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები;
მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,
მისთვის იქნები დასაყოვნები“!
ვერ მივხვდი მახვილ-განაწონები,
მისთვის შევიქენ ცრემლთა ფონები.
იახა ვკითხე,—მუნ იდგა ნაზი:
„ვარდსა რა ვუქმენ კართა სარაზი?
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი!“
მანცა განმაგდო: „გარეგან, გაზი!...
„შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი...
„სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი,
„შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი,
„შენის გონებით იქნება რაზი,
„ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები“.
რა ია გაწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,
ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე,—
„იწროს გზის პოვნად გზები გაქვს ფართე,—

„ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე,
„ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე,
„შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე,
„შემომითვალოს, რა ვუკუღმართე,
„რად მომიგონა მოუგონები?“
ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა:
მითხრა: „ყარიბო“,—მონაზებითა,—
„ვარდ“ მით არის გულ დაკლებითა,
„რომ შენი იყო თავ-დადებითა...
„შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
„თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა;
„ნაცვალი მოგხვდა დასახსოვნები.“
დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალე
ბაღის კარს დავჯექ შენაძალები. [ბი,
ცრემლით ამევსნენ მწირნი თვალები,
ვიყავ ბედისა დამაბრალები;
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები,
შეიქმნებოდენ ჭირ-ნაკრძალები.
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭალები,
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები:
თავი მაქვს მისთვის შენაწონები.

3. ბულბული მოდის მწუხარებით.

ბულბული მოდის მწუხარებით,
ცრემლის დენითა;
ვეჭობ, მებაღეს დაუტუქსავს
ცეცხლ-ოდებითა:
„ბულბულო, გადი ამ ბაღიდამ
შენის ნებითა,
თორემ კრაზანა შენ დაგჩაგრავს
ყოვლის გზებითა!“
წადი ბულბულო, შენ მებაღეს
შეჰფიცე რჯული;
კრაზანს ეეედრე, მოგიტეოს
დანაშაული;
ნარგისთან კაცი გააგზავნე,
სრულ ჰქნან აღთქმული:
მებაღესთანა დაგეხმაროს
ვარდის ენითა.
ადე ბულბულო, ვარდის სიტყვით
მებაღე ნახე,
თუ წყრომით იყოს გარს შემოვლე,
თავს დაემარხე;
ბაღში ეგები შეგიყვანოს,
ნარგიზი ნახე:
კოკობი ვარდი არ მიგიღებს,
თავის ნებითა.
სიკვდილო! მოდი მიიბარე
ბულბულის სული,
მებაღემ დასწყლა და დაჭოდა
ბულბულის გული:
მკვდარი ბე იკი, მოდი, მნახე,
ჩამიდგი სული,
თუ გინდ მიწასთან მიმაბარე
მოყვრის ენითა!

4. ირაკლი-მეფის ქება.

ღმერთო, მოეც დიდი დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე,
ირაკლი!
ვამკოთ ქართველთ ცხებული...
ცხებული,
ღვთისგან გამეფებული,
დავითის შტო ქებული,
ირაკლი!

ღმერთო, მოეც დიდი დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე,
ირაკლი!
რომ ქართლს აღმოუბრწყინდა...
უბრწყინდა,
ყოვლი მძლავრი შეშინდა,
მით სახელი განდიდა
ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდ დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლ-ქვრივთა, გლახათ მწე,
ირაკლი!
აღაყვავა ჰსჯულია...
ჰსჯულია,
ქრისტეს ბრძანებულია;
მოსცა მსჯავრი სრულია
ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე,
ირაკლი!
მარად ეერძვის სპარსელთა...
სპარსელთა,
მაჰმადისა მოსავთა;
ბევრ-გზის სძლია ოსმალთა
ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე,
ირაკლი!
ეზრახვის რუსთ ხელმწიფე...
ხელმწიფე,
აღუთქვამს, ექმნას შემწე,
რადგან ოსმალთ არის მძლე
ირაკლი.
ღმერთო, მოეც დიდი დღე...
დიდი დღე,
მტერზე განაძლიერე,
ობოლ-ქვრივთა, გლახაკთ მწე,
ირაკლი!

5. ასპინძის ომზედ.

(ირაკლი მეფეს)

ასპინძის მიწა გიწამებს,—
ურგებ არს ჩემგან თქმულები,—
რუს, ქართელ-კახნი მოადგნენ
აწყურსა, დარაზმულები;
მუნ დგანან ლეკნი რჩეულნი,
დაღისტანს ბიჭად თქმულები,
ოსმალთა რაზმი ურიცხვი,
მათთანვე შენართულები.
იქითი პირი მტკვარისა
და ველნი მეწამულობდეს,
ოსმალთა დელი-ბაშები
წითელ-ყვითლითა მკულობდეს;
აბჯართა ოქრო და ვერცხლი
ხვანთქრის ხაზინას სძულობდეს;
კვლავ ლეკთა ყაწიმ შაშხანი
მცირედრე ხვარაზმულობდეს.
რუსნიცა წითელ-მწვანითა
და ლურჯით შეხამდებოდენ,
თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდენ,
ვარსკლავთა ეგვანებოდენ,
ზარბაზან-თოფნი გრგვინვითა
ცის კიდეთ ეუბნებოდენ;
თვით მეფეს ქართელ და კახნი
ომსა ხაოსით ჰხლებოდენ.
ვაი. მის დღისა მომსმენსა,
ვითარ ვინ ვით განვაქიქო?..
ცილი დასდეს მეფეს რუსთა:
„ჩვენთვის კეთილს არა იქო!“
ღრაფი*) ჯარით გამობრუნდა,

*) ტოტლებენი.

მით სახელი ვერა იქო,
სხვა პასუხი არვის მისცა:
„სითაც მოველ, წავალ იქო!“
რა ნახეს ლეკთა და ოსმალთ
რუსისა გამგზავრებანი,
წელ-მაგრად შეხვდათ ნიშანი,
აუხდათ დანატრებანი,
დაფ-ზურნა-საყვირს უხშირეს,
შეიქმნა საოცრებანი,
ვის ჰქონდის მკლავთა იმედი,
სრულად დაჰკარგეს მცენები.

უიბვიდ ჰგონის ლეკ-ოსმალთ
თქვენიცა გაბრუნებანი,
დას-დასად დროშა გაიყვეს,
მცირე ხანს ჰქონდად ბჭობანი:
ანაზდეულად დაეცნენ
ქართლ-კახელთ, უქმნან გმობანი;—
ვინ ვის უსწრობდა, მორბოდეს...
ვითა ვთქვა მათი მკობანი!

გამოვლეს წყალი ოსმალთა
და აგრევ ლეკთა ყიჟინით,
დელიბაშ, კოხტა-ბელადი *)
სულ ზედ დაგესხნეს კიჟინით:
„გაბრუნდით, ნუღარ დასდგებით, —
ხმა ისმა, —რას დაგვიჟინით?!“...
ერთის ხმა ასად ეგონისთ...
შაშხანი მოწვიმს ჟიჟინით.

მაშინ გულს იკარ მჯიღითა,
მიწა შეიძრა რხევითა,
ცხენმან შეგატყო შერისხვა,
შემზადდა ტანის ნძრევითა,
თავლნი ნაკვერცხლად შეგექმნეს,
აშეთდი სისხლ-მორევითა,
ცხვირისა ნესტთა მოჰქროლდენ
ქარნი ქვეყნისა ნგრევითა.

მ დგრად გაქუსლე მიდამო,
თეთრი გეაჯდა რბევასა,
სახლისა შვილნი იახლნე,
ვინ იყვნენ შენთან ჩვევასა,
ათნი-სამ, განა თუ ოცნი,
გისმენდენ ომსა რჩევასა...
შავ-გულო, სად ხარ, შენ გეტყვი,
ვინ იყავ ჯილდო ძლევასა!

პირველ მიმართე წინმბრძოლთა,
დელემთა შუბოსანათა,
ხან გთქვიან კაცად, ხან ფრინველად,
ხან გმირად პილოს ტანათა.
დაჰფრიწენ მათნი წყობანი
ანაზდად, მოკლე ხანათა;
კვლავ ბელადს გარდაელაგნე,
მისცემდი სისხლის ბანათა.

მოღმართ უყივლე გაქცეულთ,
იცნეს ხმა, შედგეს შენითა,
ყველაი შენთვის დაბრუნდა,
თუ ვინ სად ჰრბოდა ქშენითა,
გაქცეულთ თათართ ვერღა-სით
გაგასწრეს წყალსა ცხენითა,
ხიდის ისარსა მიჰსჯარენ
სულ თათარ-ლეკნი რბენითა.

ზოგმან შემართა შიშითა
წყალს გასვლა უფონობითა,
ზოგნი ერთმანერთს ხოცდიან,
ძრულად მიხდილი ცნობითა,
არ იცოდიან რამცა ჰქმნან,
ვერ იყვნენ ჭკუა-ბრძნობითა,
მიდამო ჰკაფდი უწყალოდ,
მტვრეტნი გაქებდეს მხნობითა.

არ მიეც გზანი სავალად,
ოდენ ისარი **) საცოცად,
ერთი რა შედგის, უკანა
წყალს გარდააგდის სახოცად,
ძვირად შეექმნათ თავაზი,
მუხლს გეხვეოდენ საკოცად,
ერთისა უიმედოთა
ქართველთ აშოვე ას-ოცად.

*) ლეკების წინ-მძღოლი იყო. ეს სახელი „ქართლის-ცხოვრებიდან (II ნაწ. გვ. 492) ამოგვაქვს; თვით ლექსში კი, რომელიც არეულათაა გამოცემული (ხ. ჭიკინ. გამოც. 1885 წ.), აქ ვიღაც „ლეკვანდი“-ა მოხსენებული, რომელსაც ჩვენი ისტორია არ იცნობს.

**) ხიდის ისარი.

ხმალი ჩააგენ მაძღარი,
უბრძანე ალაფობანი:
გახდა ზრიალი, იპყრობდენ,
ვით ცხოვართ სადმე ჩობანი,
მეურდოეთა მოჰყვანდეს
მათნი გმირებთა მჯობანი,
მოულოცვიდენ მეფესა,
იეფდა კაცის ძღვნობანი.
ასრე გახშირდა ალაფი,
ვით რიყე წყალთა მსხდომია,
საათსა ჰყიდდნენ ყურუშად,
ფოშ-რათი მოსანდომია,
რახტები ოქროს ცურვილი
ცხენს ედვათ მოსახდომია,
ტოლომა-ქურქი-კაუხი
ვერ რიცხვით მისახდომია.
ცხენნი მოჰყვანდეს ძვირფასნი,
მისრის ნასყიდი ფლურებით;
წყლის მინაქონთა ვინ რიცხვდა,
მომშთვართა თავ-მოძულებით,
თოფნი და ხმალნი რჩეულნი,
ყაწიმ-ძეწკვებით კრულებით,
მაშინ დაგთქოდენ შაირსა
სიბრძნით შემწყობნი მკულებით!..

დამატებანი.

I. ბიოგრაფიები.

ა. მეელი მწერლობა:

მე-XII საუკუნის დიდებულ მგოსნებზე: იოანე შავთელსა, ჩახრუხაძესა და რუსთაველზე ჩვენ ჯერ-ჯერობით თითქმის არავითარი რეალური საბიოგრაფიო ცნობა არ მოგვეპოვება, გარდა იმ ორიოდე ღარიბული ცნობისა, რომელიც ზემოთ მათს ნაწარმოებს წინ წავუმძღვარეთ. ამიტომ ჩვენს მოკლე საბიოგრაფიო შენიშვნებს თეიმურაზ-მეფიდან დავიწყებთ.

1. **მეფე თეიმურაზ** I-ელი დაიბადა 1591 წლის მახლობლათ. მამა მისი, დავით ალექსანდრეს ძე, მხოლოთ 6 თვეს ითვლებოდა კახეთის მეფედ. დედა მისი ქეთევან, რომელიც სპარსელებმა 1624 წელს აწამეს და დღეს ქართველ წმინდანთა შორისაა ჩარიცხული, მუხრან-ბატონის ასული იყო. მამის სიკვდილის შემდეგ, 1603 წელს, თერთმეტი წლის თეიმურაზი შაჰაბაზ I-ელმა სპარსეთს გაიწვია, ხოლო 1605 წელს, როცა ბიძა მისმა, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, თავისი მამა (ალექსანდრე II) და ძმა (გიორგი) მოჰკლა,—შაჰმა 13 წლის თეიმურაზს კახეთის მეფობა უბოძა და დიდის ამბით გამოისტუმრა სამშობლოსკენ. ახალგაზდა მეფე ხალხმა აღტაცებით მიიღო გრემის სასახლეში. მალე იგი მეფედაც აკურთხეს, ხოლო სამი წლის შემდეგ, 16 წლის თეიმურაზს დედა მისმა ცოლად მოჰგვარა დადიანის (სამეგრელოს მთავრის) ასული ანნა. მაგრამ ორი წლის შემდეგ ანნა-დედოფალი გარდაიცვალა და თეიმურაზს დაუტოვა ორი ობოლი: ლევანი და ალექსანდრე, რომელნიც, შემდეგში, თეიმურაზზე გაბრაზებულმა შაჰ-აბაზმა სპარსეთს გაიწვია და გამოასაჭურისა, რისგამოც ერთი გარდაიცვალა, ხოლო მეორე ჭკუაზე შეცდა.—ბევრი მწუხარება და ვაი-ვგლახი გამოსცადა როგორც თეიმურაზმა, ისე მთელმა საქართველომ შაჰ-აბაზის წყალობით:

მე-XVI საუკუნიდან კახეთის მეფეებს საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდათ რუსეთის მეფეებთან და ზოგიერთმა მათგანმა ერთგულობაც კი

შეჰფიცა მოსკოვის მეფეებს. ამას ვერას გზით ვერ ურიგდებოდა შაჰ-აბაზ I-ელი და ყოველ ღონეს ხმარობდა სრულიად მოესპო ქართველებში რუსეთთან დაახლოების სურვილი და ყველაფერი, რაც ამ სურვილს ხელს უწყობდა. შაჰაბაზი სცდილობდა ქართველებში მაჰმადიანობა შემოეტანა; და, როცა ეს ვერ მოახერხა, ათასობით და ასი-ათასობით დაუწყო ქართველებს სპარსეთში გადასახლება და მათ ადგილებზე თავისი ერთგული სპარსელები გადმოასახლა (კახეთში).— თეიმურაზს სიკვდილამდე მოსვენება არ უნახავს: იგი რამდენჯერმე აიყვანეს კახეთისა და ქართლის ტახტზე და იმდენჯერვე ჩამოაგდეს ტახტიდან; თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს გარეშე გაატარა: რამდენჯერმე მიმართა მან რუსეთს, იყო თვით სპარსეთის სასახლეშიაც, ბევრჯელ თავი დაიმცირა, რომ ტახტი დაებრუნებია როგორმე, მაგრამ ამაოთ: ერთხელვე საუკუდმართოთ გადაბრუნებული ბედის ჩარხი მას წადმა აღარ დაბრუნებია. ამ ვაი-ვაგლახსა და უცხოობაში ყოფნის დროს გვირგვინოსანი მეფე ერთათ-ერთს ნუგეშს მგოსნობაში ჰპოებდა, რითაც იმავე დროს სამშობლო ლიტერატურის გამოცოცხლებასაც ხელს უწყობდა. იგი გარდაიცვალა 1663 წელს, სპარსეთში, ქალ. ასტრაბადს. შაჰის ნებართვით, ქართველებმა მისი გვამი სამშობლოში გადმოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს.

2. არჩილ მეფე. არჩილი იყო ქართლის მეფის ვახტან V-ის (შაჰნავაზის) უფროსი შვილი. იგი დაიბადა 1647 წელს. თოთხმეტის წლისა რომ შეიქნა, არჩილი მამამისმა იმერეთის ტახტზე გაამეფა (1662 წ.), მაგრამ, რადგან იმერეთში ამ დროს დიდი არეულობა იყო, არჩილი იძულებული შეიქნა ორი წლის შემდეგ იმერეთის ტახტი მიეტოვებია. 1664 წელს იგი კახეთში გაამეფეს. მაგრამ ბედი არც აქ სწყალობდა. ხუთჯერ დაიპირა არჩილმა სამეფო ტახტი და ამდენჯერვე დაჰკარგა. ბოლოს იგი გადავიდა რუსეთს და იქ გარდაიცვალა 1712 წელს, ქალ. მოსკოვში.

3. იოსებ თბილელი. იოსებ თბილელის შესახებ ძლიერ ცოტა საბიოგრაფიო მასალა მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ იგი შვილიშვილი (ძის-ძე) იყო დიდი მოურავის გიორგი საკაძისა, რომლის მოღვაწეობაც შაჰ-აბაზის დროს ეკუთვნის. 1662 წელს იოსებ საკაძეს თბილისის მიტროპოლიტობა მიუღია და გულმოდგინეთ შესდგომია სიონის ტაძრის გამშვენებას, რასაც მოწმობს 1683 წლის ხელთაწერი. გარდაცვალებისშემდეგ იოსებ თბილელი ამავე ტაძარში დაუსაფლავებიათ, თუმცა, სამწუხაროთ, არავინ იცის, თუ სახელდობრ რომელ ადგილსაა იგი დასაფლავებული.

4. დავით გურამიშვილი. თავადი დავით გურამიშვილი დაიბადა სოფელ გორის-უბანს (თბილისის ახლო) 1705 წლის მახლობლათ. განათლება შინაურული მიიღო. 1724 წელს იგი ლეკებმა შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს დაღისტანში, საიდანაც გაიპარა და თერგის ხეობით რუსეთში გადავიდა. რუსეთში იმ დროს სამშობლოდან გარდახვეწილი ქართლის მეფე ვახტანგ მე-VI იმყოფებოდა, რომელმაც დავითს ჯაბადარ-ბაშობა (არსენალის უფროსობა) უბოძა. შვიდწლოვანი ომის დროს (1756—1763 წ.), რომელშიაც რუსებთან ერთათ იქ მყოფი ქართველებიც იღებდენ მონაწილეობას, გურამიშვილი გერმანელებმა დაატყვევეს. მაგრამ თანამემამულეებმა მალე გამოისყიდეს, რის შემდეგაც დავითმა კიდევ კარგა ხანს იცოცხლა და 1787 წლის მახლობლათ გარდაიცვალა, როცა იგი 82 წლის მოხუცი იყო.

5. ბესარიონ გაბაშვილი. ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) დაბადებულა 1747 წლის მახლობლათ. მამა მისი მღვდელი ზაქარია გაბაშვილი ცნობილია, როგორც ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ანტონი I კათალიკოზი საქართველოდან რუსეთს გააძევეს. ბესიკს სწავლა ამ კათალიკოზის მიერ ახლათ დაარსებულ სასწავლებელში მიუღია, სადაც ბერებს თურმე თავისი ლექსებით მოსვენებას არ აძლევდა.—როცა ბესიკი წამოიზარდა, იგი ძლიერ დაუახლოვდა მეფის სასახლეს და განსაკუთრებით ამ სასახლის წევრს, ანნა ბატონიშვილს (ერეკლე მე-II-ის დას). ეს რომ მეფემ გაიგო, სასახლიდან დაითხოვა, ხოლო ანნა ბატონიშვილი დიმიტრი ორბელიანს მიათხოვა. მაგრამ ბესიკი ამას შემდეგაც არა სცხრებოდა: მაშინ მეფემ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა (მეტეხის კლდიდან გადაგდება). ბესიკი იმერეთს გაიქცა, სადაც სოლომონ-მეფემ მიიღო და თავადობაც უბოძა (რაჭაში). შემდეგ მეფემ იგი პოლიტიკური მინდობილობით სპარსეთსა და რუსეთშიაც კი გაგზავნა. რუსეთიდან დაბრუნების დროს იგი გარდაიცვალა ქ. იასში (ბოლგარიაში), სადაც გენერალი პოტიომკინი ინახულა, 1791 წ. და იქვე დაიმარხა.

ბ. ახალი მწერლობა:

ახალი დროის მწერალთაგან ჩვენ მხოლოთ გარდაცვალებულ და იმ ცოცხალ მგოსანთა შესახებ ვათავსებთ მოკლე საბიოგრაფიო ცნობებს, რომელთაც სამწერლო მოღვაწეობა 60-იანს წლებამდე დაიწყეს. ესენი არიან: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, მამია გურიელი; ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, და ანტონ ფურცელაძე.

შეჰფიცა მოსკოვის მეფეებს. ამას ვერას გზით ვერ ურიგდებოდა შაჰ-აბაზ I-ელი და ყოველ ღონეს ხმარობდა სრულიად მოესპო ქართველებში რუსეთთან დაახლოების სურვილი და ყველაფერი, რაც ამ სურვილს ხელს უწყობდა. შაჰაბაზი სცდილობდა ქართველებში მაჰმადიანობა შემოეტანა; და, როცა ეს ვერ მოახერხა, ათასობით და ასი-ათასობით დაუწყო ქართველებს სპარსეთში გადასახლება და მათ ადგილებზე თავისი ერთგული სპარსელები გადმოასახლა (კახეთში).— თეიმურაზს სიკვდილამდე მოსვენება არ უნახავს: იგი რამდენჯერმე აიყვანეს კახეთისა და ქართლის ტახტზე და იმდენჯერვე ჩამოაგდეს ტახტიდან; თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს გარეშე გაატარა: რამდენჯერმე მიმართა მან რუსეთს, იყო თვით სპარსეთის სასახლეშიაც, ბევრჯელ თავი დაიმცირა, რომ ტახტი დაებრუნებია როგორმე, მაგრამ ამაოთ: ერთხელვე საუკუდმართოთ გადაბრუნებული ბედის ჩარხი მას წადმა აღარ დაბრუნებია. ამ ვაი-ვაგლახსა და უცხოობაში ყოფნის დროს გვირგვინოსანი მეფე ერთათ-ერთს ნუგეშს მგოსნობაში ჰპოებდა, რითაც იმავე დროს სამშობლო ლიტერატურის გამოცოცხლებასაც ხელს უწყობდა. იგი გარდაიცვალა 1663 წელს, სპარსეთში, ქალ. ასტრაბადს. შაჰის ნებართვით, ქართველებმა მისი გვამი სამშობლოში გადმოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს.

2. არჩილ მეფე. არჩილი იყო ქართლის მეფის ვახტან V-ის (შაჰნავაზის) უფროსი შვილი. იგი დაიბადა 1647 წელს. თოთხმეტის წლისა რომ შეიქნა, არჩილი მამამისმა იმერეთის ტახტზე გაამეფა (1662 წ.), მაგრამ, რადგან იმერეთში ამ დროს დიდი არეულობა იყო, არჩილი იძულებული შეიქნა ორი წლის შემდეგ იმერეთის ტახტი მიეტოვებია. 1664 წელს იგი კახეთში გაამეფეს. მაგრამ ბედი არც აქ სწყალობდა. ხუთჯერ დაიჭირა არჩილმა სამეფო ტახტი და ამდენჯერვე დაჰკარგა. ბოლოს იგი გადავიდა რუსეთს და იქ გარდაიცვალა 1712 წელს, ქალ. მოსკოვში.

3. იოსებ თბილელი. იოსებ თბილელის შესახებ ძლიერ ცოტა საბიოგრაფიო მასალა მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ იგი შვილიშვილი (ძის-ძე) იყო დიდი მოურავის გიორგი საკაძისა, რომლის მოღვაწეობაც შაჰ-აბაზის დროს ეკუთვნის. 1662 წელს იოსებ საკაძეს თბილისის მიტროპოლიტობა მიუღია და გულმოდგინეთ შესდგომია სიონის ტაძრის გამშვენებას, რასაც მოწმობს 1683 წლის ხელთნაწერი. გარდაცვალებისშემდეგ იოსებ თბილელი ამავე ტაძარში დაუსაფლავებიათ, თუმცა, სამწუხაროთ, არავინ იცის, თუ სახელდობრ რომელ ადგილსაა იგი დასაფლავებული.

4. **დავით გურამიშვილი.** თავადი დავით გურამიშვილი დაიბადა სოფელ გორის-უბანს (თბილისის ახლო) 1705 წლის მახლობლათ. განათლება შინაურული მიიღო. 1724 წელს იგი ლეკებმა შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს დაღისტანში, საიდანაც გაიპარა და თერგის ხეობით რუსეთში გადავიდა. რუსეთში იმ დროს სამშობლოდან გარდახვეწილი ქართლის მეფე ვახტანგ მე-VI იმყოფებოდა, რომელმაც დავითს ჯაბადარ-ბაშობა (არსენალის უფროსობა) უბოძა. შვიდწლოვანი ომის დროს (1756—1763 წ.), რომელშიაც რუსებთან ერთათ იქ მყოფი ქართველებიც იღებდენ მონაწილეობას, გურამიშვილი გერმანელებმა დააატყვევეს. მაგრამ თანამემამულეებმა მალე გამოისყიდეს, რის შემდეგაც დავითმა კიდევ კარგა ხანს იცოცხლა და 1787 წლის მახლობლათ გარდაიცვალა, როცა იგი 82 წლის მოხუცი იყო.

5. **ბესარიონ გაბაშვილი.** ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) დაბადებულა 1747 წლის მახლობლათ. მამა მისი მღვდელი ზაქარია გაბაშვილი ცნობილია, როგორც ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ანტონი I კათალიკოზი საქართველოდან რუსეთს გააძევეს. ბესიკს სწავლა ამ კათალიკოზის მიერ ახლათ დაარსებულ სასწავლებელში მიუღია, სადაც ბერება თურმე თავისი ლექსებით მოსვენებას არ აძლევდა.—როცა ბესიკი წამოიზარდა, იგი ძლიერ დაუახლოვდა მეფის სასახლეს და განსაკუთრებით ამ სასახლის წევრს, ანნა ბატონიშვილს (ერეკლე მე-II-ის დას). ეს რომ მეფემ გაიგო, სასახლიდან დაითხოვა, ხოლო ანნა ბატონიშვილი დიმიტრი ორბელიანს მიათხოვა. მაგრამ ბესიკი ამას შემდეგაც არა სცხრებოდა: მაშინ მეფემ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა (მეტეხის კლდიდან გადაგდება). ბესიკი იმერეთს გაიქცა, სადაც სოლომონ-მეფემ მიიღო და თავადობაც უბოძა (რაჭაში). შემდეგ მეფემ იგი პოლიტიკური მინდობილობით სპარსეთსა და რუსეთშიაც კი გაგზავნა. რუსეთიდან დაბრუნების დროს იგი გარდაიცვალა ქ. იასში (ბოლგარიაში), სადაც გენერალი პოტიომკინი ინახულა, 1791 წ. და იქვე დაიმარხა.

ბ. ახალი მწერლობა:

ახალი დროის მწერალთაგან ჩვენ მხოლოთ გარდაცვალებულ და იმ ცოცხალ მგოსანთა შესახებ ვათავსებთ მოკლე საბიოგრაფიო ცნობებს, რომელთაც სამწერლო მოღვაწეობა 60-იანს წლებამდე დაიწყეს. ესენი არიან: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, მამია გურიელი; ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, და ანტონ ფურცელაძე.

6. ალექსანდრე ჭავჭავაძე. თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელს ქ. პეტერბურგში, სადაც მამა მისი გარსევანი, ერეკლე-მეფის ელჩად იყო. რუსეთის სამეფო კარზე. ხუთი წლის ალექსანდრე მშობლებმა ფრანგულ პანსიონში მიაბარეს. ცამეტის წლისა თბილისში ჩამოიყვანეს და კეთილ-შობილთა სასწავლებელში (ეხლანდელი პირველი სავაჟო გიმნაზია) შეიყვანეს. 1803 წელს ახალგაზდა ალექსანდრე ფარნავაზ-ბატონიშვილს მიემხრო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში, რისგამოც ციმბირში გაგზავნეს. რამდენისამე წლის შემდეგ დანაშაული აპატიეს; იგი პეტერბურგს წავიდა და პაჟების კორპუსში სწავლა დაამთავრა, რის შემდეგაც სამშობლოში დაბრუნდა, სამხედრო სამსახურში განწესდა და სხვა-და-სხვა ომებში მამაცი მხედრის სახელი მოიპოვა. შემდეგში მას დაემოყვრა ცნობილი რუსის მწერალი ალ. გრიბოედოვი, რომელმაც მისი ქალი ნინო შეირთო. ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა თბილისში 1846 წელს.

7. გრიგოლ ორბელიანი. თავადი გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი 1800 წელს დაიბადა.

პირველდაწყებითი სწავლა გრიგოლ ორბელიანმა ანჩხატის დეკანოზის ალექსი-მესხიშვილისაგან მიიღო. შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში შევიდა, საიდანაც საარტილერიო სკოლაში გადაიყვანეს, რომელიც 1817 წელს დაამთავრა. აქედან იწყება მისი სამხედრო სამსახური. მომავალმა პოეტმა სხვათაშორის სპარსეთთან ომში (1826—28 წ.) მიიღო მონაწილეობა, რამაც შემდეგში პოეტს თემა მისცა „სადღეგრძელოს“ დასაწერად.

1829 წელს თბილისში ქართველ ახალგაზდა არისტოკრატებ შორის დაარსდა საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოსთვის დამოუკიდებლობა დაებრუნებია. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ბატონიშვილები: ოქროპირ, დიმიტრი და ალექსანდრე, რომელიც სპარსეთში ცხოვრობდა, ხოლო ნამდვილ მოქმედ წევრებად ითვლებოდენ: ელიზბარ და გიორგი ერისთავი, მამუკა და ვახტანგ ორბელიანი, ია ფალავანდიშვილი, კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე და სხვანი. 1830 წლის პოლონეთის აჯანყებამ ამ საიდუმლო საზოგადოების ოცნებას ფრთები შეასხა და 1832 წლის დამლევს მისმა წევრებმა გადასწყვიტეს აქტიური მოქმედება დაეწყოთ. მაგრამ 11 დეკემბერს ია ფალავანდიშვილმა შეთქმულები გასცა და მთავრობამ ყველანი დაიჭირა. გრიგოლ ორბელიანი ამ დროს სამსახურის გამო ნოვგოროდს იყო; რადგან მაზედაც ეჭვი მიიტანეს, იგიც დაატუსაღეს, მაგრამ სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს

და მხოლოთ ჩრდილოეთის კავკასიაში გაგზავნეს, საიდანაც შემდეგ ვილნოში გადაიყვანეს. 1837 წლამდე პოეტს სამშობლოში დაბრუნება არ ღირსებია.

ამას შემდეგ კი იწყება მისი დაწინაურება: 1843 წელს მას დაღესტნის მართველად ნიშნავენ; 1858 წელს თბილისში გადმოჰყავთ და „ნამესტნიკის“ საბჭოს თავმჯდომარეობას აძლევენ; 1860—1862 წელს, ბარიათინსკის წასვლის შემდეგ, იგი მთავარმართებლის თანამდებობასაც ასრულებს, ხოლო 1866 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად ინიშნება.

ამით თავდება მისი სამსახური, რის შემდეგაც პოეტი თბილისში ცხოვრობს და საზოგადოებრივ საქმეებში იღებს მხურვალე მონაწილეობას. 1883 წელს იგი გარდაიცვალა.

8. **ვახტანგ ორბელიანი.** თავადი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 1812 წელს. წერა-კითხვა თავისი დედის თეკლე-ბატონიშვილისაგან (ერეკლე მე-II-ის ქალი იყო) ისწავლა. 1825 წელს პეტერბურგს პაჟების კორპუსში მიაბარეს, სადაც მას ძლიერ შეუყვარდა გიოტესი, შექსპირისა და შილლერის კითხვა. 1832 წელს შეთქმულობის გამო იგი ოთხის წლით კალუგაში გადაასახლეს, საიდანაც 1837 წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1838 წლიდან 1881 წლამდე სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა. 1864 წლიდან მომრიგებელი შუამავლის თანამდებობასაც ასრულებდა და ამ თანამდებობაში გარდაიცვალა თბილისს 1890 წელს.

9. **ნიკოლოზ ბარათაშვილი.** თავადი ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი დაიბადა 1816 წელს 22 ნოემბერს. შვიდის წლისა რომ შეიქნა, დედამ (რომელიც დაჲ იყო პოეტის გრიგოლ ორბელიანისა) ქართული წერა-კითხვა დააწყებინა; შემდეგ კალოუბნის სკოლაში მიაბარეს, ხოლო 1827 წელს კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანეს, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა (ახლანდელი I-ლი ვაჟთა გიმნაზია). ბარათაშვილძა ლექსების წერა გიმნაზიაშივე დაიწყო. რადგანაც მეტათ მოუსვენარი ყმაწვილი იყო, 1832 წელს კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხები სამუდამოთ დაიშავა. გიმნაზია გაათავა 1835 წელს, და დააპირა უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ მშობლებმა სიღარიბის გამო უარი უთხრეს. ნიკოლოზი იძულებული შეიქნა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. სამსახურში იგი ძლიერ გულმოდგინე აღმოჩნდა, მაგრამ დაწინაურებას მაინც ვერ ეღირსა: 1844 წლამდე უბრალო სტოლის-უფროსად ითვლებოდა. 1844 წელს იგი ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ გაამწესეს, საიდანაც 1845 წელს განჯაში გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე. ბარათაშვილი აქ დასნეულდა და იმავე წლის 9

ოქტომბერს გარდაიცვალა. ამგვარათ ასრულდა პოეტზე საკუთარი სიტყვები: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებ შორისო“. ორმოცდა რვა წლის შემდეგ (1893 წ.) ქართველებმა დიდის ამბით გადმოასვენეს განჯიდან მისი გვამი და დიდუბის ტაძრის გალავანში დაასაფლავეს, ხოლო ამ ორი წლის წინათ (1905 წ. 9 ოქტომბ.) მის საფლავს ძეგლიც დაადგეს.

10. **რაფიელ ერისთავი.** თავადი რაფიელ ერისთავი 1824 წელს დაიბადა. მამა მისი დავით თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის ცნობილი მემამულე იყო. შვიდი წლისა რომ შეიქნა, პატარა რაფოს დედამ ქართული წერა-კითხვა დააწყებინა. შემდეგ იგი ებარა ოცდაათიანი წლების ცნობილ ბერს, ფილადელფოს კიკნაძეს, რომლისგანაც სწავლობდა ქართულ გრამატიკასა და საღვთისმეტყველო საგნებს. რუსული ენის შესასწავლად რაფიელ ერისთავმა ბევრის რუსი მასწავლებლის ხელში და პანსიონში გაიარა, სანამ იგი არ მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ანუ სავაჟო გიმნაზიაში (1833 წ.), რომელიც 1845 წ. დაამთავრა. ამავე წლის მახლობლათ დაუწყია ლექსების წერაც. 1846 წელს სახელმწიფო სამსახურში გამწესდა უბრალო თარჯიმანის თანამდებობაზე; შემდეგ მთავარმართებლის კანცელარიაში „სტოლის უფროსის“ თანაშემწეობას ასრულებდა; აქედან ქუთაისის გუბერნატორის უფროს მოხელედ გადაიყვანეს, მერე ზუგდიდის მაზრის უფროსად დანიშნეს; როცა 60-იანი წლების რეფორმები შემოვიდა, რაფიელი ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ იქნა დანიშნული და ამ თანამდებობას 1870 წლამდე ასრულებდა. შემდეგ თბილისში დაბრუნდა და 1881 წლამდე ვექილობდა. 1881-იდან 1889 წლამდე სამსახურისგან სრულიად თავისუფალი იყო და სწორეთ ამ დროს ეკუთვნის მისი სალიტერატურო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა, რომელმაც მას მთელი ერის სიმპატია მოუპოვა. 1889 წლიდან 1896 წ. დამლევამდე ქართული ენის ცენზორის თანამდებობას ასრულებდა.—1895 წელს რაფიელს სალიტერატურო სამსახურის 50 წელი შეუსრულდა და ქართველმა საზოგადოებამ დიდის ამბით იუბილე გადაუხადა.—იგი გარდაიცვალა 1901 წელს. ორიგინალურ ლექსებს გარდა მას ბევრი პროზით ნაწერი და ნათარგმნი თხზულებაც დარჩა: ასეთია მაგალითად კრილოვის არაკები, პუშკინის „ძუნწი რაინდი“, სხვა და სხვა გადმოქართულებული პიესები, რუსულ-ქართულ-ლათინური ბოტანიკურ-მინერალური და ზოოლოგიური ლექსიკონი და სხვანი.

11. **მამია გურიელი.** თავადი მამია დავითის ძე გურიელი დაიბადა 1836 წელს. ექვსი წლისა რომ შეიქნა, იგი მიაბარეს ადგილობრივ მღვდელს, რომლისგანაც ქართული წერა-კითხვა ისწავლა. 12-ის

წლისას რუსული წერა-კითხვა დააწყებინეს, ხოლო 1851 წელს ახლათ გახსნილ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. მაგრამ მესამე კლასიდან გამოიყვანეს და თბილისს გაგზავნეს, სადაც 1853 წელს იგი მთავრობამ გრენადერების პოლკში ჩარიცხა. 1853-იდან 1861 წლამდე მამია სხვა და სხვა ოჯახებში იღებდა მონაწილეობას. 1861—1877 წლებში იგი სამსახურს გარეშე ითვლებოდა. ამ დროს იგი დაუახლოვდა თბილისის მაღალ საზოგადოებას და 1868 წელს ჯვარი დაიწერა მელიქიშვილის ქალზე, რომელსაც ორი წლის შემდეგ სამუდამოთ დაშორდა (განქორწინებით).—1877 წელს იგი ხელმეორეთ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს, რომელშიაც 1884 წლამდე დაჰყო. ოჯახური უბედობით გულ-დაჩაგრულმა მამიამ ლოთობას მიჰყო ხელი, გაღარიბდა, დასნეულდა და 1891 წელს ბლექით გარდაიცვალა ქუთაისში.—მისი პირველი თარიღიანი ლექსი 1857 წელს ეკუთვნის. მის ლექსთა კრებული საკმაოთ ვრცელ ტომს წარმოადგენს; მაგრამ ისეთი ლექსი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფორმითაცა და შინაარსითაც სრულიად კმა-საყოფელი იყოს, კრებულში იშვიათათ მოიპოვება: საუკეთესო ლექსებად სთვლიან—„ადამიანს“, „კარჩხალის მთებს“, „ალავერდის“-ს და „პოეტი და ჩვენება“-ს (ამ უკანასკნელიდან ჩვენ მოგვყავს ნაწყვეტი—„ფიცი“) მამია გუჩიელს ეკუთვნის, აგრეთვე, ჰომეროსის პოემის „ილიადის“ პირველი კარისა და ლერმონტოვის „დემონის“ თარგმანი.—საზოგადოთ კი მის ჩანგს დიდებული არაფერი შეუქმნია.

12. **ილია ჭავჭავაძე.** თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს. საშუალო განათლება თბილისის გამნაზიაში დაამთავრა, რის შემდეგაც პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ დაჰყო 1861 წლამდე და, სტუდენტთა არეულობის გამო, მე-IV კურსიდან გამოვიდა. სალიტერატურო მოღვაწეობა მოწაფეობაშივე ჰქონდა დაწყებული (1857 წ.), ასე რომ 1861 წელს იგი საკმაოთ მომზადებული დაუბრუნდა „მშობელ-ქვეყანას“, სადაც იმ დროს, თვით პოეტის სიტყვით, „ძილი“ იყო გამეფებული. ამ წელს ეკუთვნის მისი საუკეთესო ნაწარმოები „მგზავრის წერილები“, შემდეგს წელს მაღალ-ხელოვნური მითხრობა „გლახის ნაამბობი“, ხოლო 1863 წელს —„კაცია-ადამიანი?!“. ამავე (1863) წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც ერთ წელზე მეტს ვერ იარსება.—1864 წელს მთავრობამ განიზრახა ჩვენში საგლეხო რეფორმების შემოტანა. ამ საქმის გამო ილია ჭავჭავაძე ქუთაისის გუბერნატორთან გაგზავნეს გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობის გამოსაკვლევად. 1864—1868 წლებში იგი დუშეთის მაზრაში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობას ასრულებდა, ხოლო 1868—1874 წელს იმა-

ვე მაზრის მომრიცებელ მოსამართლედ ირიცხებოდა. 1875 წელს თბილისში გაიხსნა სათავად-აზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე მის თავმჯდომარედ აირჩიეს. ორი წლის შემდეგ მან დააარსა გაზეთი ,,ივერია'', რომლის რედაქტორობასაც 1901 წლამდე ასრულებდა.—1879 წელიდან, როცა თბილისში ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება'' დაარსდა, ილია ჭავჭავაძე ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება. 1905 წელს მან თავი დაანება ბანკის თავმჯდომარეობას და დღეს სახელმწიფო საბჭოს წევრადაა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ არჩეული. —ილია ჭავჭავაძე ცნობილია არა მარტო როგორც მგოსანი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე, არამედ აგრეთვე როგორც წარჩინებული პუბლიცისტიც: მის საპუბლიცისტო წერილთა შორის ყველაზე მეტათ ცნობილია: ,,ცხოვრება და კანონი'' და ,,ქვათა ღაღადი''. ეს უკანასკნელი სომხის მეცნიერთა წინააღმდეგ მიმართულია. ბევრი მისი ნაწერი ევროპულ ენებზედაცაა გადათარგმნილი.

13. აკაკი წერეთელი. თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი დაიბადა 1840 წელს, სოფ. საჩხერეში (ზემო იმერეთს). მაშინ ჩვენში „ძიძაობა" დიდათ გავრცელებული ჩვეულება იყო და პატარა კაკოც ერთი გლეხის ოჯახში გააბარეს სოფ. სავანეს. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდიო",—ამბობს მგოსანი ამის შესახებ თავის ავტო-ბიოგრაფიაში.—როცა კაკო წამოიზარდა, მშობლებმა სასახლეში გამოიყვანეს. აქ დედა-მისმა მას გონებრივ-ზნეობრივი წრთვნა „მრწამსისა" და „მამაო-ჩვენოს" დაზეპირებით დააწყებინა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კაკომ ხუცურის-კითხვაც დაიწყო თავისი დის ხელმძღვანელობით, ხოლო მხედრული წერა-კითხვა (წერა ხარის-ბეკზე) თავისით ისწავლა. მცირე ხნის შემდეგ დედამ (რომელიც ივანე აბაშიძის ასული იყო და იმერეთის მეფის სოლომონ I-ელის ქალის დარეჯანის შვილი-შვილი) რუსული წერა-კითხვაც დააწყებინა. შვიდი წლის კაკოს თითქმის მთელი „ვეფხვის-ტყაოსანი" და დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატია" გადაკითხული ჰქონდა. ამავე დროს დაუწერია მას რაღაც კომედიის მსგავსი იმის შესახებ, თუ როგორ აწვალებდა მამა-მისის მოურავი გლეხებს, მაგრამ შემდეგში ეს თავისი პირველი ნაწარმოები თვითონვე დაუწვავს.—რვა წლისა რომ შეიქნა, აკაკი სახლს მოაშორეს და ქუთაისს გაამგზავრეს, რადგან სასწავლებელში შესლვის დრო მოუვიდა. იგი მიაბარეს გიმნაზიაში. როცა გიმნაზია დააშთავრა, პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა და მას აქედ მხოლოთ ლიტერატურასა და ჩვენი ხალხის

საერო ინტერესებს ემსახურება. არ დარჩენილა არც ერთი ქართული გამოცემა, რომელშიაც მას მონაწილეობა არ მიეღოს. მას ბევრი უწერია რუსულ გაზეთებშიაც. 1897—1900 წლებში იგი სცემდა საკუთარს ჟურნალს „კრებულს“, რომელიც მასზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დაიხურა. მისი პირველი თარიღიანი ლექსი, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, 1856 წელს ეკუთვნის; მას აქედ სრულმა 50 წელმა გახვლო და აკაკის სამგოსნო შემოქმედება დღემდეც არ შეჩერებულა, მაშინ როცა მისი თაობის სხვა მგოსნებმა დიდი ხანია რაც ლექსების წერაზე ხელი აიღეს. არ დარჩენილა ხელოვნებითი ლიტერატურის თითქმის არც ერთი დარგი, რომელშიაც აკაკი წერეთელს თავისი წვლილი არ შეეტანოს: ლირიკა, პოემა-მოთხრობანი, დრამა-კომედიები, საპუბლიცისტო წერილები, „სიტყვები“, ლექციები და სხვანი,—ასეთია მისი შემოქმედებითი ნიჭის უხვი ნაყოფი. ბევრი მისი ნაწერი გადათარგმნილია რუსულსა, ფრანგულსა და გერმანულ ენაზე; ხოლო მისი წვრილ-წვრილი ლექსების უმრავლესობა თითქმის მთელს იმიერ საქართველოში ჩონგურსა და გიტარაზე სასიმღერო ლექსებადაა მიღებული.

14. **ანტონ ფურცელაძე.** ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე ღარიბის ქართლელი აზნაურის ოჯახში დაიბადა. დიდის გაჭირვებით მშობლებმა პატარა ანტონი რუსეთის ერთ-ერთს კადეტთა კორპუსში მიაბარეს, მაგრამ აქ საგიმნასტიკო ვარჯიშობის დროს მან ფეხი დაიშავა და სამუდამოთ დაკოჭლდა. ამიტომ მშობლებმა მოსამზადებელი კლასიდანვე გამოიყვანეს (1853 წელს), რის შემდეგაც ანტონი ხუთი წლის განმავლობაში (1853—1858 წ.) შინ ცხოვრობდა. აქ მან თვითონ შეისწავლა წერა-კითხვა და, რადგან მამა მისის ოჯახში წიგნების კითხვა ძლიერ უყვარდათ, ახალგაზდა ანტონიც ხარბათ ეწაფებოდა მშობლიურსა და რუსულს ლიტერატურას. 1858 წელს ნივთიერმა ხელმოკლეობამ 16—17 წლის ანტონი აიძულა თბილისში ჩამოსულიყო სამსახურის საშოვნელად *). პირველ ხანად 8-მანეთიანს (თვეში) ადგილზე გამწესდა, მაგრამ თავისუფალ დროს მაინც თვით-გზნვითარებას სწირავდა. ერთი ნაცნობი აფიცერი ნივთიერ დახმარებას დაჰპირდა და ანტონმაც გადასწყვიტა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესულიყო. მაგრამ ეს უნივერსიტეტი დაიხურა და ანტონის ოცნებასაც ფრთები შეეკვეცა. იგი „ცისკრის“ რედაქციაში შევიდა, სადაც პირველათ მოათავსა ჭონქაძის „სურამის ციხის“ გარჩევა (1862 წელს). შემდეგ იგი თანამშრომლობდა „დროებასა“ და „მნათობში“, რომელშიაც თავისი ტრაგედია „დიდ-მოურავიანი“ დაბეჭდა. შემდეგ მონაწილეობას იღებდა „ივერიასა“, „იმედსა“ და სასოფლო გაზეთ „გუთნის-დედაში“. ანტონ ფურცელაძეს ბევრი ლექ-

*) მისი პირველი თარიღიანი ლექსიც ამავე წელს ეკუთვნის (1858 წელს. ღვინობისთვე).

ლები, პოემები და მოთხრობები აქვს ნაწერი, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პოემას „თამარ-დაზნელი“ და მოთხრობებს: „მართა“, „მაცი-ხვიტია“ (მეგრელთა ცხოვრებიდან), „ვაი მართალთა“ და სხვ. თბილისის სათავად-აზნაურო ბანკში სამსახურით ანტონ ფურცელაძე თანდათან დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძის წრეს: ამ ბანკში იგი ჯერ „დამფასებლად“ ირიცხებოდა და შემდეგ, ამ უკანასკნელ დრომდე, დირექტორად; წელს კი ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.— ანტონ ფურცელაძის ნაწარმოებთა საზოგადო ნაკლი გარეგანის ფორმის და განსაკუთრებით სტილის, ენის შეუმუშავლებლობაა.

II. ლექსიკონი.

ამ ლექსიკონში უმთავრესათ სიტყვების ის მნიშვნელობა გვაქვს ახსნილი, რომლითაც ესა თუ ის სიტყვა თვით ჩვენს კრებულშია ნახმარი. ლექსიკონის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით უმთავრესათ საბა-ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებით, აგრეთვე „აბდულ-მესია“-სა და „თამარიანის“ ბოლოში ნიკ. მარრის მიერ ჩართული ლექსიკონით, და „ვეფხვის-ტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის სიტყვებს განმარტებით; აქა-იქ ნიკ. მარრის სხვა გამოკვლევანიც მოვიშველიეთ, მაგალ. მისმიერ გამოცემული „იპოლიტეს—თარგმანებაჲ ქებაჲ-თაჲ“ და „ფიზიოლოგი“. ზოგიერთ შემთხვევაში კი თვითონ ავტორებს მივმართეთ პროვინციალიზმების ასახსნელად.

ა.

აბასტად—სწრაფათ.

აბგარ-აბჯარი—იხ. აბჯარი.

აბჯარი—საომარი იარაღი; ჯაჭვის სამოსი კაცისა, გინდ ცხენისა.

ადლი—ალაბი, არშინი, 16 გოჯი.

აკარნი—ავარები; ლეკის ერთ-ერთი თემია.

ავჟანდა—უნაგირის ნაწილია, უზანგი.

აზარფეშა—გრძელ-ტარიანი ვერცხლის სასმისი.

აზვირთება—აღელვება.

ათაბაგი—სამცხე-საათაბაგოს მთავარს ეწოდებოდა (ძველ მესხეთში).

„**ა**თნი-სამ“—სამი ათი, ოცდა ათი.

აიაზმა—ნაკურთხი წყალი.

აკლდამი, აკლდამა—სასაფლაო გვირაბი.

„**ა**ლაბი“—სირიის ქალაქია, ალეპპო.

ალალი—სამართლიანი; პატიოსნური.

ალამი—ქსოვილის ნაჭერი; დროშის ქსოვილი; დროშა.

ალაფობა—ტაცვა, ცარცვა.

ალვა—ალვის ხე.

ალყა—წრე, სალტე.

ამად—ამიტომ; ამისთვის.

ამაო—უქმი, ფუჭი.

ამაოება—არარაობა.

ამაყად—თავმომწონეთ, ამპარტავნულათ; უშიშრათ.

Ამბორი, ამბორება—კოცნა, მთხვევა.
Ამბორება — არეულობა, აჯანყება, შფოთი.
Ამიერ—აქედან, ამას შემდეგ.
Ამილახორი—მეფის ცხენთა უფროსი გამგე; მეჯინიბეთ-უხუცესი.
Ამირ-სპასალარი — ჯართ - უფროსთა უფროსი.
Ამო— საამო.
Ამოგება—(„ამოაგებს")—გავსება, გამდიდრება.
Ამური — ღმერთი ტრფიალებისა; ტრფიალება.
Ამქარი—ამხანაგი ერთსა და იმავე ხელობაში.
Ანაზდად—უცებ, მოულოდნელათ.
Ანაზდეული—მოულოდნელი.
Ანგაარება, ანგარება—ფულის ან ვერცხლის მოყვარეობა; უსამართლოთ შეძენა; სიხარბე, გაუმაძღრობა.
Ანგარი—ვერცხლის ანუ ფულის მოყვარე; ხარბი.
Ანდამატი—ალმასი.
Ანდერძი— სიკვდილის მოლოდინში დატოვებული სურვილი ანუ აღთქმა.
Ანკარა—წმინდა, სუფთა.
Ოხრება—აკლება, დაქცევა.
„**Არა დ**"—არა და.
Არამი—უსამართლო, უკანონო.
Არეზი—მდ. არაქსი.
Არე—არე-მარე, გარემო ადგილები; ქვეყნის ოთხი კუთხე; წელიწადის ოთხი დრო; საკუთრათ გაზაფხული.
Არიფი—ამხმნაგი გასაჭირში; შესაკუთრებული შინაყმა.
„**Აროთ არი**"— არ არი.
Არსი—ის, რაც არსებობს; რაც ნამდვილათ არის.
Არღა—აღარ.
Არღავანი— წითელი ფერი.
Არჩვი—გარე-თხის მოდგმის ნადირია.
Ასაკი, **ჰასაკი**—წლოვანება; ხნოვანება,
Ასპარეზი—სარბიელი, მოედანი.
Ასული—შვილი ქალი.
„**Ასული**"—მაგალ. „ენა ბევრად ასული", ე. ი. უმაღლესათ განვითარებული ენა.
Ასძრახდომოდეს — გამოლაპარაკებოდეს, შეხმაურებოდეს.
Ატროებული — ატეხილი, ნოუსვენრობაში მყოფი.
Აფთარი—მხეცია, riena.
Აღა—ბატონი.
„**Აღა, ბალი!**"— „კარგი, ბატონო!"
Აღაპი—წირვა-ლოცვით და პურით მოხსენება მიცვალებულისა.
Აღგზნებული—ანთებული.
„**Აღკრბა**"—აიშალა, დაირღვა.
Აღმა-კმეული—ზემოთ წარგზავნილი საკმევლის კვამლივით.
Აღმაფრენა—გონებით მაღალ აზრთა და იდეალთა საძთავროში ტრიალი.
Აღმოხდომა—ამოსვლა.
Აღმოხდენა—ამოყვანა.
Აღორძინება—განახლება, გამოცოცხლება.
Აღპყრობა—აშვერა, ამართვა; აღება.
Აღსავსე—სავსე.
Აღსარება—იმის გამოთქმა, რაც გულში გვაქვს.
Აღსრულება, **აღსასრული**—სიკვდილი.
Აღტკენა—აღტყენა, აგზნება, ანთება.

აღუპყრობელი—აუმართველი; „ხელ-აღუპყრობელი“—უმწეო, ვისაც მშველელი არა ყავს.

აშეთება—აშფოთება, გაცოფება.

აშიკობა—ტრფობა, სიყვარული.

აშიკი—მოტრფიალე, შეყვარებული.

აშლა—წამოდგომა; არევა; აჯანყება.

აჩრდილი—ლანდი, მოჩვენება.

აჩქამება—ახმაურება.

აწყური—ციხე-ქალაქი იყო ბორჯომის ხეობაში, სადაც ძველათ მიტროპოლიტი იჯდა—„მაწყვერელი“.

აწცა—ახლაც.

აწმყო—ახლანდელი.

ახოვანი—ტანოვანი; გულადი; გმირი.

აჯა—თხოვნა; „გეაჯები“—გთხოვ.

აჯილღა—მამალი კვიცი; დაუკოდავი ცხენი.

ბ.

ბაბანი, თრთოლა-ბაბანი—სიცივისაგან კანკალი.

ბაგე—ტუჩები.

ბადალი—მსგავსი; შესაფერი.

ბადრი—გავსილი მთვარე; ბადალი, სწორი.

ბაზმი—ლამპარი.

ბანაკი—ლაშქრის სადგური, ბინა.

ბანდალი—ბრილობისა, ნაცემობისა ან ავათმყოფობის გამო ფეხ-არევით სირბილი, იქით და აქეთ მიხეთქ-მოხეთქება.

ბანოვანი—ქალი, დედა-კაცი.

ბარაქა—სიუხვე; მადლი, კურთხევა.

„**ბარაქალა!**“ — „ღმერთმა გაკურთხოს!“

ბარბაროსობა—ველურობა, გაუნათლებლობა.

ბარდნა—მსხვილი თოვლი.

ბასრი—მკრელი.

ბაღჩა—პატარა ბაღი, საყვავილე.

ბაყათარ—გადმოცემით ოსების გოლიათი იყო, რომელსაც ვახტანგ-გორგასლანი შეებრძოლა.

ბაცაცობა—ქურდობა.

ბგერა—ხმა, ამოთქმა.

ბედითი—ცუდი, უგვანი; უბედურების მომვლენი.

ბედ-კრული—ბედ-დაწყევლილი, უბედური.

ბედოვლათობა—მფლანგაობა, უანგარიშობა.

ბედშაობა—უბედობა.

„**ბევრი**“—ათი-ათასი.

ბეგარა—იძულებითი მუშაობა სხვის სასარგებლოთ.

ბეთანია—ძველი მონასტერია ვერის ხეობაში, თბილისის ახლო; ამ მონასტრის კედელზე თამარ-მეფის სახეა გამოხატული.

ბეჟან—ზღაპრული გმირის სახელია.

ბიბინი—ღელვა, რხევა (ყანისა და ან ბალახისა).

ბილიკი—ვიწრო (საცალფეხო) გზა.

ბილწი—არა-წმინდა; საზიზღარი.

ბიწი—მანკიერება, ცოდვა, ნაკლულოვანება.

ბობოქრობა—წყრომა, გაჯავრება.

ბოგანო—ღარიბი, უმიწა-წყლო გლეხი.

„**ბოდბელის მცნება**“—ბოდბელი მიტროპოლიტი იყო, რომელიც მუდამ გაიძახოდა: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო.“

ბომონი—კერპთ სადგური; წარმართების ტაძარი.

ბორგვნილი—დაუცხრომელი ჯავრით მოცული; გაცოფებული.

ბოროტი—ავი, უკეთური.
ბრბო—უბრალო ხალხი; უწეს-რიგო კრებული.
ბრგვნილი—ენამოტეხილი.
ბრე—მტვერი.
ბრკვმობა—ფანტვა; დაბრკოლება.
ბროლ-ბადახჩოსანი—თეთრ-წითელი.
ბროლ-მინა—ძვირფასი შუშა; სითეთრის ნიშანია.
ბროლ-ფიქალი—იხ. ბროლი და ფიქალი.
ბრწკალი—ბრჭყალი.
ბუკი—ჩასაბერავი საკრავი, საყვირი.
ბულალა—საკუთარი სახელია კაცისა ან ქალისა.
ბუმბერაზი—დიდი ტანის გმირი.
ბუმბერაზობა—გმირთა შეტაკება.
ბუნი—ტარი ხახჯლისა ან შუბისა.
ბურვა—მოხვევა, დახურვა.
ბურჯი—მაღალი კოშკი; სიმაგრე.
ბღვრიალა—დიდ-თვალა; დაჭყეტილი.
ბძარვა—გლეჯა, წიწკნა.
ბჭე—მესაკალი კარები; მოსამართლე.

გ.

გაარმება—გაუგემურება; მობეზრება.
გააფთრება—აფთარივით გაბრაზება, განძვინება.
გაახვნეს—გააღეს.
გაბალთვა—დაკრა, დაკოდვა.
გაბასრული—შერცხვენილ-გაწბილებული, თავლაფ-დასხმული; გმობილი, გაკიცხული.
გაბედითება—გაუბედურება.
გაგერშვა—გაწრთვნა.
გადაბოტვა—მძიმეთ ფეხის გადადგმა, გადაბიჯება.
გადათხევა—გადაღვრა.
გადაკვეთვა—გადაკრა.
გადაჭყვენა—გადასინჯვა, გადაქცევა.
გადახვეწა—გადაკარგვა, უცხო ქვეყანაში გადასახლება.
გადიადება—გადიდება.
გადმობუდება—გადმობრუნება, გადმოქექვა.
გადმონაყარი—გამონაცადი, ბევრის მნახველი.
გადმოტევება—გამოკიდება.
გადმოტყორცნა—გადმოსროლა.
გავა—ცხოველთა სხეულის ნაწილია თეძოს ძვლებიდან ზურგისაკენ ორთავ მხარეს.
„გაზი"—გასწი, გადი გარეთ.
გათოშილი—გაყინული, შეციებული.
„გაიზვია"—გაიზვიადა; თავმომწონება დაიწყო.
გაისი—მომავალი წელიწადი; დილის დასაწყისი.
გაკვეთა—გაკრა; განშორება; განსაზღვრა, დანიშნა.
გალაღებული—გათამამებული, წაქეზებული.
გალი—უშტო ხე.
გამკრთალი—სწრაფათ გამოჩენელი და სწრაფათვე გამქრალი.
გამოსალმება—გამომშვიდობება.
გამოსხლეტა—გამოხტომა; გამოკლება, გამორიცხვა.
გამჟღავნება—გამხელა, გამოცხადება, გამოაშკარავება.
გამსჭვალვა—მთელს სხეულში ან მთელს არსებაში გატარება.
გამტყორცალი—გალეშილი, დამთვრალი.
გამხედრება—გალაშქრება, საომრად წასვლა.

„ბანაკვეთი“ - გაპრილი; გარიცხულ-განდგომილი; რენეგატი.
ბანაღამცა—დიაღაც.
ბანაწამები—ნაწამები, ნატანჯი.
ბანგება—ღვთის მზრუნველობა ყოველს მის გაჩენილზე.
ბანგებიანი—შორმეკვრეტელი გონებით, საზრიანი, გამჭრიახი.
ბანგმირვა—იარაღით გაპობა ან გახვრეტა.
ბანდეგილი—ცალკე გასული, მარტოთ მცხოვრები.
ბანზრახვა—ფიქრი.
ბანზრახული—ნაფიქრი.
ბანკურნება—სნეულის მორჩენა, გასაღება.
ბანმტკიცება—გამაგრება, დამყარება.
ბანშვება, შვება—შექცევა, მხიარულობა; ბედნიერათ ცხოვრება.
ბანცხრომა—ლხინობა; ნებივრობა.
ბანრინება—საშიშროებისგან გამოხსნა, მორიდება.
ბანქიქება—უპატიოთ ხსენება, გახიახება, გაწბილება; ქიქი—ნაკლი, კიცხი.
ბანჩინება—სასამართლოს გადაწყვეტილება.
ბანძი—სიმდიდრე; დამალული ხაზინა.
ბანწირულება—იმედის დაკარგვა; თავზედ ხელის აღება.
ბარემოცული—გარშემორტყმული.
ბარეწარი—უთაური, ზარმაცი, მცონარი; განდგომილი, უვარგისი.
ბარჯა—თავდადებით შრომა.
ბასალება—სალკლდესავით გამაგრება.
ბასპეტაკება—გათეთრება.
ბასწავლული—განათლებული, ნასწავლი.
ბაფოთება—დაფაცურება; გაშმაგება.
ბაშმაგებული—გახელებული, გაგიჟებული.
ბაძარცვა—გაცარცვა, წაგლეჯა.
ბაწბილება—შერცხვენა.
ბაწვდა—გაშვერა.
ბაწყალებული—მაგალ. თვალები—წყლით ავსილი, ანუ დასუსტებული.
ბაჭიანურება—გაგრძელება, დაგვიანება.
ბახალისება—გაბეჯითება, წაქეზება.
ბახრწნილი—წამხდარი, დამპალი; გარყვნილი.
ბეაჯები—იხ. აჯა.
ბება—მიგება, სამაგიეროს მიწყვა.
ბედი—გარეული, წყლის ფრინველია, უმეტესათ თეთრი ფერისა, მაგრამ ზოგჯერ (მაგ. ავსტრალიაში) შავისაც.
ბენია—ჯოჯოხეთის ადგილი, სადაც ცეცხლი ანთია.
ბეო—კაცის სახელია.
ბერი—მეორე გინდ მესამე ქმრის ან ცოლის მოყოლილი შვილი.
ბესლი—შხამი.
ბვირაბი—გასასვლელი ხვრელი.
ბვრვინვა—მკისა და თიბვის სიმღერას ეძახიან მთაში.
ბზირი—სოფლის მოხელეა, მამასახლისის თანაშემწე.
„ბიპნოტიზმი“—შთაგონებით დაძინება, ან ძილის მსგავს მდგომარეობაში მოყვანა.
ბიშერი—შავი ქარვა. „გიშრის მწყობრი“—შავი ნაწნავი.
ბიძნობ—იხ. ძნობა.
ბმირვა, გმერა—იხ. განგმირვა.
ბმობა—სიტყვით ან საქმით შეურაცყოფა.
ბოგჩა—ტბის სახელია ერევნის გუბერნიაში.

ბოდება—მოთქმით ტირილი.
ბოლვა—გვალვა, უწვიმრობა, ძლიერი სიცხე.
ბრამმატა—საბოძვრის წერილი.
ბრიგალი—ძლიერი ქარი, ტრიალით მბრუნავი.
ბრძნება—მოხიბლვა, ჯადო.
ბრძნეული—მომხიბლავი, ჯადოსნური; ჯადოსანი.
ბუთნის-დედა—უფროსი მუშა, რომელიც გუთანს მიჰყვება და მართავს ხვნის დროს.
ბულ-გადაგებული—იმედ-დაკარგული.
ბულის-თქმა—გულით ნდომა, სურვილი; ფიქრი.
ბულის-ხმიერი—შეგნებული; გამგონი.
ბულსრულად—მთელის გულით, გაბედულათ.
ბულ-ჩვილობა—გულ-სუსტობა, გულ-კეთილობა.
ბულ-ხმიერი—იხ. გულის-ხმიერი.
ბუნდრუკი—სუნნელი საკმეველი.
ბურიელი—გურიის მთავარს ეწოდებოდა.
ბურჩი—ქვა-სანაყი, ფილთაქვა.
ბუტია—კაცის სახელია.
ბუშაგი—დარაჯი, ყარაული ციხისა.

დ.

დაბა—პატარა ქალაქი ან დიდი სოფელი; ძველათ „დაბა“ სოფელს ნიშნავდა.
დაბანაკება—დაბინავება ჯარისა ან მგზავრებისა.
დაბ-დაბი—დაფი, დარაბანდი.
დაბნედილი—გულ-წასული, გულ-შეწუხებული, გრძნობა-დაკარგული.
დაბუნდება—ჩამობნელება, სიბნელით დაფარვა.
დაგანგაშება—ახმაურება, აჩოჩქოლება.
დაგვა—დაწვა.
„**დაგვიძს**“—დაგვიდვია, გვაქვს.
დადუნება—დასუსტება.
დავრდომილი—დაცემული.
„**დაზი**“—დაიწი, დასწი.
დათმობა—დანებება, ხელის აღება.
დათრგუნვა—ფეხით დათელვა.
დათრთვილვა—თრთვილის ანუ თოლბის შეყრა; გაყინვა; სიცივით ფერის ცვლევინება.
„**დაკვლევა**“—დაკვირვება; გამოკვლევა.
დაკოდილი—დაჭრილი; გამოყვერული.
დაკოჟრება—დაბებერავება, ნაჭრილობევი ადგილების გამაგრება.
დალახვროს—ლახვრით (შუბით) დასჭრას; დასწყევლოს, დაღუპოს.
დამაშვრალი—დაღალული, დაქანცული.
დამყარება—დამტკიცება, დამაგრება.
დამცხრალი—დამშვიდებული.
დამძახლება—დამოყვრება ქალის მოყვანით ან მითხოვებით.
დანაგული—დადაგული, დამწვარი.
დანარცხება—თავქვე დახლა მიწაზე.
დანაყრება—მცირე რისამე ჭამა სადილობამდე.
დანთქმა—დაკარგვა, ჩაღუპვა.
„**დარა**“—მსგავსი.
დარაზმული—რაზმებად, მწკრივად დაწყობილი.
დარაჯი—ყარაული.
დარბაზი—სასახლე; დიდი სახლი;

მეფის საბჭო.

დარბაისელი — დიდი ჩამომავლობის პირი, ან საპატიო მოხელე; მეფის დარბაზის წევრი; დინჯი.

დარბევა—აკლება, ძალით წართმევა.

დარგი—ნაწილი; გვარი.

დარი—მსგავსი; სწორი; ტოლი.

დარმანის ველი—წამლის მინდორი.

დასაბამი—დასაწყისი.

დასი—გუნდი; ჯგუფი.

დასული—ჩასული, ჩარიცხული

დატუქსვა—შერისხვა; შეწყრომა.

დაუმზრალი—გაუყინავი.

დაფდაფი—დაფი.

დაფი—დარაბანდი.

დაქოლვა—ჩაქვავება; დაწყევლა.

დაქსაქსული—დახლართული; გაფანტულ-გამოფანტული.

დაღი—რაიმე სავაჭრო ნივთზე ან ცხოველზე დასმული ნიშანი; ჭრილობა.

დაღრეჯა—მოწყენა, დაღონება.

დაყრდნობილი—დაბჯენილი, დამყარებული.

„დაყუდება“—მარტოთ გასვლა და სადმე მიუვალ ადგილას ცხოვრება

დაშთენა—დარჩენა

დაშნა—ხმალია ერთგვარი.

დაცხრომა—დაყუჩება, დაჩუმება.

დაძაბუნება—დაჩაგვრა; დასუსტება; დალაჩრება.

დაწაფება—ხარბათ სმა.

დაწინდება—გირაოდ მიცემა.

დაწყლვა—დაჭრა, დაკოდვა.

დაწყლულებული — დაჩირქებული, დაიარავებული.

დაჭმუნება—დანაღვლიანება.

დახშობა—დაკეტვა.

დგმა—თაობა; ჩამომავლობა.

დევი—ზღაპრული არსებაა, ბოროტი სული, რომელიც, ჩვენის (და სპარსთა) ძველების წარმოდგენით, ადამიანს ემტერება და მუდამ მასთან ბრძოლაშია.

დეღლიბაში—ოსმალთა რჩეული ჯარის-კაცი.

დემონი ქაჯი, ავი სული, ეშმაკი.

დერეფანი—წინკარი; კორიდორი.

დვრინვა—ბოხის, დაბალი ხმით გალობა

დიაცი—დედა-კაცი; ქალი.

დიდო — კახეთ-თუშეთის მოსაზღვრე ხალხია.

დიბა—ოქროქარგული ნაქარგი ფარჩა.

დიდება ქება; სახელი.

დინჯად—მშვიდათ, წყნარათ; დარბაისლურათ.

დიოგენი — ბერძნის ფილოსოფოსი (IV საუკ. ქრ წინ).

დიპლომი—მაღალ სასწავლებლებში კურსის დამთავრების მოწმობა.

დისკო—მრგვალი ფირფიტა ხისა ან რკინისა; ცის მნათობთა სიმრგვლე

„დოლი“—**„დოლი გამოვიდა“** ანუ **„დოლი დაიძრა“**—ღორმა გოჭების დაყრა დაიწყო, ან ძროხამ ხბო მოიგო და სხვ.

დონდლედ—დუნეთ.

დრეკა—მოხრა; მოღუნვა.

დროშა—ბაირაღი.

დროშკა—ერთცხენიანი ეტლი.

დრეკვინვა—საყვედურის თქმა; შფოთვა; მღელვარება.

დუდუნი—ბუტბუტი, გაურკვევლათ ლაპარაკი ან კითხვა.

დუმა—ცხვრის კუდის ქონი.

დუმილი—სიჩუმე.

დუხჭირი—უშნო, მახინჯი.

დღე-დღითი—ყოველ დღე.

ე.

ებანი—ქნარი, ჩანგი; დაირა, დაფი; ბობღანი.

ᲔᲑგური— მცველი, დარაჯი.
ᲔᲑრ—-მსგავსათ; „ჩემებრ“— ჩემსავით.
Ეგზომი—ესოდენი; ამოდენი.
Ედემი—სამოთხის ბაღი.
Ეზომ—ამდენათ.
Ეთერი—მეტათ თხელი ნივთიერება, რომლის რხევისაგანაც წარმოდგება სინათლე, ელექტრონობა და სხვანი.
Ელდა—თავზარი; მოულოდნელი შიში.
Ელეგია—პატარა ლექსი, რომელშიაც მგოსნის სამწუხარო გრძნობაა გამოხატული.
Ელტვის—იხ. ლტოლვა.
Ელფერი—ელვარება; ფერი.
Ემბაზი—სანათლავი ჭურჭელი.
Ენა-მჭევრი—მჭევრ-მეტყველი; შნოიანათ მოლაპარაკე.
Ეპოქა—ხანა, დროს ნაწილი, რომელსაც რაიმე შესანიშნავი მოვლენა ახასიათებს.
Ერანი—ირანი, სპარსეთი.
Ერთ-გზის—ერთხელ.
Ერი—ხალხი.
Ერისთავი—ხალხის-თავი, ხალხის უფროსი; ჯარის წინამძღოლი.
Ეროტიული—სატრფიალო.
Ესდენ—ამოდენი.
Ესენება—სენად ანუ ავათმყოფობად ემჩნევა.
Ესვა—ჭყავდა.
Ესთ—ესდენ, ამზომათ..
„Ეტლი“—ბედი, ბედისწერა.
Ეული—მოყიალე, უსახლკარო.
Ეშხი—სილამაზე.
Ეხი—კლდის ნაპრალი, ნახეთქი.

Ვ.

Ვაგლახ—„ვაი“; ვაგლახი—უბედური, საწყალი.
Ვალალი—გლოვა-ტირილი.
Ვალი—მოვალეობა.
Ვაჰმე, ვაჰმე—ვაი მე!
Ვანი—ტბა და ქალაქია ძველ სომხეთში არარატის მთის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ძველათ ქართველებს უცხოვრიათ.
Ვარგი—რიგიანი; კარგი.
Ვარვარი—ლაპლაპი.
Ვარი—უარი
Ვარცლი—ცომის საზელი გობი.
Ვახში—სარგებელი.
Ვება—მწუხარება; „ვაის“ ძახილი.
Ვეება—დიდი; უზარმაზარი.
Ვედრება—თხოვნა.
„Ვზემდით“—იხ. ზმა.
Ვეზირი—მეფის მესაიდუმლე, თანამზრახველი.
Ველი—მინდორი.
Ვერანა—ნაოხარი; უპატრონო.
Ვიდრე—სანამ.
Ვით—როგორც.
Ვითარი—როგორი.
Ვითარცა—როგორც.
Ვიქტორ გიუგო—საფრანგეთის გამოჩენილი მგოსან-რომანისტი (1802—1885 წ.).
Ვინამე—მოვინამე; დავსველდი.
Ვირემ—ვიდრე, სანამდისაც.
Ვნება—ტანჯვა; ძლიერი გრძნობა.

Ზ.

Ზათქი—კაცთა და ცხენთა ფეხის ხმაურობა.
Ზაკვა—ცბიერება, ვერაგობა, სიბოროტე.
Ზამბახი—შროშანა (ყვავილია).
Ზარნაშო—დიდი ბუ.
Ზარ ცემა—თავზარის დაცემა, შეშინება.
Ზაფრა-ნაცემი—დანაღლიანებული.
Ზედაშე—შესაწირავი ღვინო.

ზეიმი—აყალ-ბაყალი, ერთი ყოფა სიხარულისა ან შიშისაგან.
ზე-მხედველი—გამჭრიახი.
ზენა—ზეცა; ზეციური.
ზენაარი—ზეციური არსება.
ზენაით—ზემოთ.
ზეფირი—ნიავი, ქარი.
ზვავი—მთიდამ ჩამოწოლილი მიწა ან თოვლი
ზვარაკი—სამსხვერპლო ხბო.
ზვირთი—ტალღა; წყლის ჭევლი.
ზილი—კრინი, წვრილი ხმა გალობაში.
ზლაზვნა—ბაჯბაჯით, უხეიროთ სიარული.
ზმა—საზოგადოთ ლ ა პ ა რ ა კ ს ნიშნავს, აგრეთვე მ ო ქ მ ე დ ებ ა ს ა ც, ქ მ ნ ა ს; კერძოთ იგი აღნიშნავს სიტყვების იმგვარს თამაშს, როცა ორი მეზობელი სიტყვიდან მესამე სიტყვა გამოდის, მაგალითად: „მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას, თუმცა მის ადგილს ს ულ ე ლ ი ო“ და სხვა.
ზოგად—ერთათ, ერთობით; თანაც.
ზოვი—ზვავი.
ზრახვა—ფიქრი.
ზურმუხტი—მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; მწვანე.
ზუჩი—ჯაჭვის ბადიანი თავსახურავი რკინისა, მუზარადის მსგავსი.
ზღვევა—სამგიეროს გადახდა.
ზღუბი—იხ. ზღურბლი.
ზღუდე—კედელი; გალავანი.
ზღურბლი—ბჭე კარისა, порогъ; წირთხლი, косякъ.

თ.

თავთ-საკვეთი—თავის მოსაჭრელი.
თავრიზი—ადერბეიჯანის (სპარსეთის პროვინციის) დედა-ქალაქია.
თავსება—მაგიერობის გაწევა, სანაცვლოდ ყოფნა; მთლათ გათანასწორება, გატოლება.
თავ-სხმა—დიდი წვიმა.
თავხედი—ამაყი; თავგასული; თამამი.
თათბირი—რჩევა.
თაკილობა—სირცხვობა, უკადრისათ მიღება.
თალხი—მუქ, მოჭირებული ფერი, სამგლოვიარო.
თანამდები—ვალი, ვალდებულება.
თან-მსრბოლი—თანამავალი.
თარიღი—წლისა და დღის რიცხვი.
თარში—ქალაქი მცირე აზიაში, ტარსუ
თეთრი—თეთრი ანუ ვერცხლის ფული; ფული.
თემი—მხარე ანუ მაზრა; ერთი მხრის ხალხი; ამ მხრის ხალხის ყრილობა.
თერანი, თეირანი—სპარსეთის სატახტო ქალაქია.
თვალ-ბედითი—ავ-თვალი.
თვის-ტო·ი—ნათესავია.
თვის-ტომობა—ნათესაობა.
თითბერი—ყვითელი რვალი, ან სპილენძი.
თნევა—პირში მიფერება.
თოთქოლი—ჩოჩქოლი, ხმაურობა.
თოხლი—ნაბევარი წლის კრავი.
თრთვილი—თოშში.
თრთოლა—კანკალი.
თრთოლა-ბაბანი—კანკალი.
თუნგი—ქართლ-კახეთში ღვინის საწყაოა, 5 ბოთლს უდრის.
თური—ჩიტის საჭერი ბუდე.
თხებურა—თხებივით.
„თხლი-შეჭამანდი“—აღმოსავლეთის

საქართველოში ერთგვარს შეპამანდს ეძახიან, რომელსაც ღვინის თხლისაგან აკეთებენ.

Ოხრემლი—ღრმა თხრილი.

Ი.

Ადონი—ბულბული.

Ია—ბრილობა.

ياراليا—საკუთარი სახელია.

Ეგ—იგი.

Ოდუმალობა—სიჩუმე.

Ერიში—ზედ-მისვლა, ატაკა.

„Ითავსებოდა"—იხ. თავსება.

Ილაო—მუცლის ერთგვარი ტკივილია.

Ილეთი—ლაზათი, შნო.

Ომედ-მიხდილი—ომედ-დაკარგული.

Ინა—თმის საღებავი მცენარეა.

Ინალიფა—გვარია აფხაზეთში.

Ირაკრაკა—იხ. რაკრაკი.

Ირეგვნებოდეს—იხ. რეკვა.

Ოფლი—სათესლე ხორბალი.

Ეყვის—იყო ხოლმე.

Ეპვი—ეპვი.

Კ.

Კაბა—ზემოთი ტანსაცმელი.

Კაბა ჯუბა—იხ. კაბა და ჯუბა.

Კაბდო—ფარცხის წინ მიკრული ფიცარი; ფარცხი.

Კადნიერი—თამამი, შემბედავი; თავხედი.

Კადრება—გაბედვა.

Კაეშანი—ნაღველი; დარდი.

Კათოლიკოსი — კათალიკოსი, მსოფლიო მღვდელმთავარი; ამ სახელს ეძახოდენ ამერეთში მცხეთის ეპისკოპოსს, ხოლო იმერეთში—ბიპვინტისას (აფხაზეთშია).

Კამათლები—ნარდის სათამაშო ოთხკუთხი პატარა ძვლები.

Კამარა—თაღი.

Კამკამი—კაშკაში; ბრწყინვალება.

Კანჯარი—გარეული ვირი.

Კაპარჭი—მშვილდ-ისარი თავის ბუდით; ისრის ბუდე.

Კარნუ—ქალაქი ერზრუმი (აზიის ოსმალეთშია, ეფრატისა და არაქსის სათავეთა მახლობლათ).

Კდემა—დარცხვენა; გმობის შიში.

Კედარი—მხარე, ნაპირი.

Კელეპტარი—დიდი სანთელი.

Კენკეშა—ბალახეული მცენარეა.

Კენწლობა—ხმლით ჩხვლეტა-ვარჯიშობა

Კერპი — ღმერთების ეამოხატულება ქვისა ან ხისაგან.

Კერპი—შეუბრალებელი, გაუტეხელი.

„Კერძო ღვთისა"—წილი ღვთისა.

Კეფა—თავის ზემოთ ნაწილი.

Კვეთება—შებრძოლება, ბრძოლა.

Კვესი—კაჟისაგან ცეცხლის გასაჩენი ფოლადი.

Კვლავ—უწინ; კიდევ.

Კიდე—გარდა.

Კიდე—ნაპირი.

Კიკინი—ხმა-მაღლა გაკიცხვა; სათამარი კივილი.

Კირთება—მონობა, უღელი.

Კირკიტათ—მაგრათ.

Კირჩხიბი—კიბო; ზოდიაქის ნიშანი (ასტრონომიაში).

Კისკასი—ცქვიტი, მარდი.

Კომბალი—თავმრგვალი ჯოხი; ხომახი.

Კოპალა—მთის წმინდანია

Კორდი—ბალახით შემოსილი უხნავი მინდორი.

Კოჯორი—თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთები და საგარაკო ადგილია.

Კრაზანა—მწერია, ბზიკი.

Კრინ-მანჭი—გალობაში მიხრილ-მოხრილი წვრილი ხმა.

Კრიჭა—შემოსავალი ვიწრო კარი.

Კრთომა—ფრთხობა, კანკალი.

Კრონოსი—ერთი შვიდ ცდომილთაგანია, სატურნი.

Კრული—ბედ-კრული; დაწყეველილი.

Ქრძალვა — მორიდება; შიში.

Ქუდურა — კუდიანი, ზედმეტი სახელია.

Ქულტურა — გონებრივ-ზნეობრივი და ქონებრივი ზრდა-განვითარება; სწავლა-განათლება.

Ქუნტრუში — ხტომა.

Ქურატ-პალატი — ბერძნული (ბიზანტიური) საპატიო წოდებაა, ნიშნავს დარბაზ-ბატონს; ამ წოდებას ბიზანტიის იმპერატორები აძლევდენ ჩვენს მეფეებსა და ერის-თავებს მე-VI—XI საუკუნეში.

Ქურნება — სნეულის მორჩენა, გასაღება.

Ქუშტი — მრისხანე, მკვახე; მწყრალი, გაბუტული.

Ღ.

Ღაბა — ხარის სახელია.

Ღავრა — დიდი მონასტერი.

Ღალვა — შფოთი; განზეთქილება, შუღლი.

Ღალი — წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

Ღამპარი — სასინათლო, სანათი.

Ღასტი — ჩელტი; წკეპლებისაგან დაწნული ჭილობი.

Ღაკვარდი — ლურჯი.

Ღარი — განძი, საუნჯე, ხაზინა.

Ღაღი — თავისუფალი, თამამი.

Ღაღობა — ხუმრობა; სითამამე.

Ღაფშა — ცხენი.

ᲦᲦაშქარი — ჯარი.

Ღაშარის ჯვარი — წმ. გიორგის ხატია მთაში.

Ღახტი — თასმებისა ან მეტალისაგან დაწნული უტარო და გრძელი საომარი მათრახი.

Ღახვარი — შუბი.

ᲦᲔგა — ნაცრის ფერი.

ᲦᲔლო — საზღვარი, სადამდინაც მოთამაშეებმა ბურთი უნდა მიიტანონ.

ᲦᲔში — მკვდარი სხეული.

ᲦᲘთონი — საჭედი მადნეული.

ᲦᲘრიკა — ანუ ლირიკული პოეზია — პოეზიის ერთ-ერთი გვართა-განია, რომელშიაც პოეტი პირდაპირ გამოხატავს თავის გრძნობა-მისწრაფებას; მისი ფორმებია: ელეგია, სიმღერა, ოდა, ჰიმნი და სხვ.

ᲦᲘტანია — ეკლესიის გარ-შემოვლა.

ᲦᲘტონი — მარტო მყოფი, ერთადერთი; მარტივი.

„ᲦᲘშან“ — ნიშანი.

ᲦᲛობა — გულშემატკივრობა; წყენა.

ᲦᲛობიერი — მოწყალე, შემატკივარი.

ᲦᲝდება — ცდა.

ᲦᲝდი — დიდი ქვა.

ᲦᲝდი და Ტარტაკოვი — ცნობილი რუსის მომღერლები იყვენ ერთ დროს თბილისში.

ᲦᲝბა — დასვენება.

ᲦᲝლვა — გაქცევა; მისწრაფება. „ᲔᲚᲢვიან“ — ზოგჯერ აღნიშნავს — გაურბიან, ზოგჯერ — ესწრაფებიან.

ᲦᲣლი — კვამლივით ან ორთქლივით შესქელებული ჰაერი.

ᲦᲣრჯა — ცისფერი ცხენი

Მ.

Მაგნიტი — ანდამატი, ერთგვარი ღითონია, რომელიც რკინას იზიდავს.

Მადლი — ნიჭი; კურთხევა; მოწყალებით მიხედვა.

„Მაეზაყება“ — ზორბათ ხის.

მალამო—სალბუნი, წასაცხები წამალია ჭრილობის მოსაშუშებლად.
მამითადი—მუშის წვეულობა.
მანდილი—თავზე წამოსასხამი შალი.
მანკიერი—ბიწიანი, ცოდვიანი.
მანქანი—მრავალგვარი ხერხი.
მარად—ყოველთვის.
მარგალიტი—ძვირფასი თვალია.
მარგი—მარგებელი.
მართ—მართლა, სწორეთ, უეჭველათ
მართ-ოდენ—მარტოოდენ, მხოლოთ.
მარიხი — მარსი, არეა, ბრძოლის ღმერთი; ერთი შვიდ ცდომილთაგანია (პლანეტთაგანია).
მარმარილო—ქვაა.
„**მარქვი**"—მითხარი.
მაღნარი—ხშირი და შამბიანი ტყე.
მაღრიბი—დასავლეთი; დასავლეთის მცხოვრები.
მაყრული—ქორწილის სიმღერაა, რომელსაც მაყრები მღერიან.
მაშვრალი — დაღალული, დაქანცული.
მაშრიყი— აღმოსავლეთი; აღმოსავლეთის მცხოვრები.
მაწანწალა—ცუდათ მოსიარულე.
მახვილი—მკვეთრი, გამჭრიახი; ხმალი.
მახვილ-განაწონები—ხმლით განგმირული.
მახვრალი — მაშვრალი, მოქანცული.
მბადე—დამბადებელი.
მგელ-კაცი—მხეცია.
მკოსანი—მღერალი; პოეტი.
მგრგვლივ—ირგლივ, გარეშემო.
მგრძნი—მგრძნობელი.
მგუნება—დაწუნება, გამორთმევაზე უარისთქმა.
მდაბალი—თავ-მდაბალი.
მდელო—მწვანილი, ბალახი.
მედგარი—გაანჩხლებული, გაბრაზებული.
მედგრად—გაანჩხლებით, გააფთრებით.
მეკობრე—ზღვის ყაჩაღი.
მენახირობა—ძროხის მწყემსობა.
მეოხება—შუამავლობა, შემწეობა.
მერანი—ცხენი.
მეტანია—თაყვანისცემა, რომელიც ორ-გვარია: მუხლ მოდრეკით და მუხლ-მოუყრელათ მარტო პირჯვრის დაწერით.
მეტრანპაქე—სტამბის ერთი მუშათაგანია, რომელიც აწყობილ სვრელებს გვერდებად აწყობს და შეჰკრავს.
მეტყველი—მოლაპარაკე.
მეუფება—მეფობა, ბატონობა.
მეყვსიულად—ანაზდეულათ, უცბათ.
მეცნიერი—მცოდნე; სწავლული.
მეწალკოტე—მებადე.
მეწამული—სისხლის ფერი.
მეჯლისი, მეჯლიში—კრება; დიდი წვეულობა.
მზმელი—მქნელი; მთქმელი ზმისა (იხ. ზმა).
მთიები—განთიადის ვარსკვლავი
მთოვარე—მთვარე.
მთხვევა—კოცნა.
მიდამო—ირგვლივ, გარემო, აქეთ-იქით; გარემო ადგილები.
მიეთ-მოეთობა—წარამარა ლაპარაკი; ერთს აზრზე დაუდგომლობა.
„**მივის**"—მყავს.
მიმსრბოლი—სწრაფათ მიმავალი.
მიმტაცი—წამრთმევი.
მისაყრდომი—მისაბჯენი, შესაფარი.
მიღმა—იქითკენ, შორს; გარდა.
მიწყივ—მუდამ, ყოველთვის.
მიხაკი—ყვავილია.

მიჯნური—მოტრფიალე; გაგიჟებით მოყვარული.
მიჯნურობა—ტრფობა, სიყვარული.
„მიჯრით მიწყობილი“—ერთმანეთზე მჭიდროთა და რიგზე მიწყობილი.
მკვირცხლი—მარდი, სწრაფი, კისკასი.
მკრთალი—შეშინებული; გაუბედავი; მკრთალი ფერი—სუსტი ფერი.
მკურნალი—ექიმი.
მლიქვნელი—პირმოთნე, მაცდური.
მლმობელი—გულშემატკივარი.
მოარე—მოსიარულე.
მოგება—მაგიერის მოწყვა; შეძენა.
მოვლენა—გამოგზავნა.
მოზვერი—ახალგაზდა ხარი.
მოთალი—ერთგვარი ყველია, ნაკრებათ დათლილი და ხარჭოში არეული.
მოთინათინე—მოელვარე, ბრწყინვალე.
მოლახვა—მოვლა, შემოვლა.
მომშთვარი—მომხრჩვალი.
მონა—ყმა.
მონავრულათ—მტაცებლურათ.
მონაღვაწები—ნაშრომი.
მონიჭება—მიცემა, ბოძება.
მონობა—ყმობა, მორჩილება.
მორბედი—წინა-მავალი.
მორდუობა — ძიძაობა, გამზრდელ—გაზრდილობა.
მორჭმული—მდიდარი, სახელოვანი.
მოსავი—მოიმედე.
მოსარჩლე—ქომაგი, შემწე.
მოსთვლა—მოკრეფა (ყურძნისა).
მოსხლეტა — მოშორება; გაქანება (მაგალ. ცხენისა ან ისრისა).
მოუბარი—მოლაპარაკე.
მოურავი—გამგე სახლკარისა, ქალაქისა ან მთელი ოლქისა.
მოფონება—შეკრულის მოშვება, შესაღავათება.
მოღმართ—აქეთ, პირ-აქეთ.
მოყვასი—მახლობელი, ნათესავი.
მოყმე—ყმაწვილი კაცი; ყმა; ქვეშევრდომი.
მოშთობა—მოხრჩობა.
მოძღვრება—სწავლა, დარიგება.
მოწბილება—შერცხვენა.
„მოწინავე“—გაზეთის პირველი წერილები, მეთაური.
მოწყვლა—დაჭრა.
მოწიწება—მოკრძალება.
მოჭირვება—მოთმენა.
მოჭირნახულე—ვისაც შრომა-გაჭირვება დაუდვია; მშრომელი, მოღვაწე.
მოხვეჭა—მოპოება, ზოვნა.
მოხიბლვა — მოჯადოება; გრძნობა-გონების შეპყრობა.
მოხმობა—მოწოდება.
მოხრავი—ოხვრის მთქმელი, მწუხარე.
მრისხანედ—გაწყრომით, გაჯავრებით.
მრისხველი—გამწრომი; დამსჯელი.
მსახვრალი—გრძნებით ან ჯადოთი შემკვრელი.
მსვრელი—გამქელტი, ამომწყვეტი.
მსოფლიო—ქვეყანა; ქვეყნიური.
მსპარაზნობელი—მოასპარეზე, ასპარეზზე მოთამაშე.
მსუნაგი—გაუმაძღარი.
მსჯავრი—ხალხის ან სასამართლოს განაჩენი.
მტარვალი—სასტიკი მმართველი.
მტვერ-წყარილი—დაუდევარი, ზარმაცი.

მტილი—ბაღი.
მტლე—მალამოს წასაცხები ნაქსოვის ნაჭერი; მალამო.
მუდარა—ხვეწნა, თხოვნა.
მუდმისად—მუდამ, ყოველთვის.
მუზარადი—რკინის ჩაბალახი.
მუნნი—ცხრა დანი სხვა და სხვა ხელოვნების მფარველნი, ბერძნების თქმულებით.
მუმლი—კოღოს მსგავსი მწერია.
მუნ—იქ.
მუნდერი—მუნდირი.
მუნით—იქიდან.
მუსვრა—ქლეტა, ამოწყვეტა.
მუფარახი—დარდის გამქარვებელი წამალი.
მუქთა-ხორა—უქმი მჭამელი.
მუშაკობა—მუშაობა.
მუხანათი—მოღალატე.
მუხთალი—მოღალატე.
მღაღადებელი—ხმა-მაღლა მთქმელი, მყვირალი.
„**მღერა**"—თამაში.
მღვიმე—ქვაბი, გამოქვაბული.
მყარი—მტკიცე, მაგარი.
მყივარი—მყვირალი.
მყის—მსწრაფლ.
მყობადი, მყობადი—მყოფადი, მომავალი.
მყუდროდ—მშვიდათ, დაწყნარებულათ.
მყუდროება—მშვიდობა, სიწყნარე.
მხედარი—ცხენოსანი; მეომარი ცხენოსანი.
მძარცველობა—მცარცველობა, მტაცებლობა.
მძვინვარე—მრისხანე; სასტიკი.
მძლე—მძლეველი, მოძრევი, დამმარცხებელი.
მძორი—ლეში, მკვდარი სხეული.
მწე—შემწე.
მწვავე—მწარე, დამწველი.
მწრთვნელი—მასწავლებელი, აღმზრდელი.
მწიდნველი—იხ. წიდნვა.
მწირი—უცხოობაში მყოფი, სხვაგნით მოსული; ბერი; უნაყოფო (მაგალ. მიწა).
მწუხრი—შეღამება, საღამო; საღამოს ლოცვა.
მწყაზარი—თეთრი, სპეტაკი; მოხდენილი, მშვენიერი.
მჰვალი—სხეულის მჩხვლეტავი ტკივილებია.
მჰვრეტი—მაყურებელი, მხედველი.
მჰმუნავი—მწუხარე, ნაღვლიანი.
მხდალი—მკრთალი, მშიშარა.
მხვედრი—შეხვედრილი წილი, ნარგები.
მხნობა—მამაცობა.
მხცოვანება—მოხუცებულობა.
მხცოვანი—ჭაღარა შერეული, მოხუცი.
მჯიღი—მოკუმშული ხელი, მუჭი.

ნ.

ნაბოთე—ისტორიული პირია (ბიბლიიდან.), რომელიც მოაკვლევინა ისრაელების მეფემ ახაავმ.
ნადიმი—სმა და-ჭამით დროს გატარება.
ნავთ-სადგური—ნავ-გემების დასადგომი ადგილი ზღვის პირას.
ნათავხედი—რაც თავს გადაგვხვდომია.
ნათურქალი—რაც თურქებს ეკუთვნოდა.

ნაკი—ზედ-მეტი.

ნამცეცი—ნაფხვენი.

ნამჯა—მომკილი პურის ღეროები.

ნაოში—ნახნავი.

ნაპრალი—ნახეთქი.

ნარდად—საერთოთ და გადაჭრილი ფასით სამუშაოს აღება.

ნარგისი—მეტათ სურნელი, თეთრი ფერის ყვავილია.

ნარნარი—ნაზი, საამური.

ნატამალი—ნაშთი; ნაოხარი.

ნატამალობა—ნაოხრობა.

ნატერფალი—ფეხის დადგმით აყენებული მტვერი.

ნაუფლისწულევი— უფლისწულობაში (ბატონიშვილობაში) ნაქონები. იხ. უფლისწული.

ნაღარა—სამუსიკო იარაღია, ნესტვი, სულის ჩაბერვით დასაკრავი.

ნაღველი—სევდა, მწუხარება.

ნაშთი—დანარჩენი; ნანგრევი.

ნაჭირვები—ნაშრომი.

ნებიერი—თვითნება, თავის ნებაზე მიშვებული; უზრუნველი, მოსვენებული; ნაზი, აზიზი.

ნერგი—ახლათ დარგული მცენარე.

ნეიტრალი—დამოუკიდებელი.

ნესტიანი—ნოტიო, სველი.

ნეტარება—უმაღლესი ბედნიერება.

ნექტარი—ღმერთების სასმელი.

ნთქრევა—თქრიალი, ზანზარი, ნძრევა.

ნთხევა—დაღვრა, დაქცევა.

„ნიადა“—უსათუოთ, აუცილებლათ.

ნიადაგ—მუდამ, ყოველთვის.

ნიავი—ქარი.

ნიანგი—ხვითქი, ზღვის ცხოველია.

ნირი—ფერი.

ნიჭი—წყალობა; საბოძვარი; სულის განსაკურთებული თვისება.

ნობათი — დარაჯობა, ყარაულობა; დარაჯი, ყარაული; კრებული.

ნობი—საყვირი, სამუსიკო იარაღია.

ნორჩი—ძლიერ ახალგაზდა.

ნუკვა—ხვეწნა, თხოვნა.

ო.

ოდა—ხოტბა, სალირიკო ლექსი რომელიც გამოთქმულია ან დაწერილი რაიმე აღტაცებული გრძნობის ზეგავლენით (რომლისამე ღირსშესანიშნავი ამბის ან პირის გამო).

ოდენ—მარტო.

ოდეს—როცა.

ოდი—სიცხისაგან მოსავლის წახდენა.

ოდითვე—რა დროიდან; ძველათგან.

ორბი—არწივი

ორ-ორი—ოროლი, ორ პირი და გრძელტარიანი შუბი.

ორ-პირობა—სიტყვის გატეხა, ღალატი.

ორ-ჭოფობა—ორგვარობა, ორ-აზროვნობა.

ოსტატი—ხელოსანი, რაიმე ხელობის მცოდნე.

ოცნება—შორეულ საგნებზე ფიქრი, უნ-ყოფო წარმოდგენა.

ოხერი—უპატრონოთ დარჩენილი.

პ.

პალატი—სასახლე, სამეფო სახლი, დარბაზი.

პატიმარი—ტუსაღი, პყრობილი.

პატიჟი—ტანჯვა; მოწვევა, დაპატიჟება.

პატრიაქალური—ძველი მამათ-მთავრული; იმ დროინდული, როცა საზოგადოებაში მამათ-მთავრული (მამასახლისური) წყობილება არსებობდა; მარტივი.

პილოს-ტანი—სპილოსავით ზორბა, დიდი-ტანისა.
პინა—სასწორის თეფში.
პირად-პირადად — ფერად - ფერადათ, სხვა და სხვა ფერად.
პირი-მზე—მოწითლო ფერის ყვავილია, რომელიც განმარტოებით იზრდება.
პირმშო—პირველი შვილი.
პირქუში—თავ-პირ ჩამოღვრემილი, მწყრალი.
პკურება—სხურება, წვეთწვეთად დასხმა.
პლატონ—ბერძნის დიდებული ფილოსოფოსი 427—347 ქრ. წინ.
პორფირი—სამეფო წამოსასხამი, მანტია.
პროტექცია—მფარველობა; გავლენიანი პირისაგან შემწეობა.
პსიხიკა—სულის (გონებრივ-ზნეობრივი) ვითარება, სულის მდგომარეობა.
პყროობა—ჭერა; ფლობა.

ჟ.

ჟამი—დრო, საათი.
ჟუჟუნა—წვრილი და ხშირი (მაგ. წვიმა.); ჟუჟუნა თვალები—ლამაზი თვალები.

რ.

რაზმი—ჯარის მწყობრი; ლაშქრის ერთი ნაწილი, რაიმე მიზნით გამოცალკევებული.
რაზომცა—რამდენათაც.
რაინდი—გმირი, მხედარი.
რაკრაკი—დილის სინათლის გამოჩენა, განთიადი.
რაქაელ—იაკობის ცოლი და იოსეფის დედა (ბიბლიაში).
რახტი—ცხენის მოსართავი; ოქროსი ან ვერცხლის ლაგამი.
რბევა—აკლება.
რება—სიარული.
რებეკა—ისაკის ცოლი და იაკობის დედა (ბიბილიაში).
რეგვა—დასეტყვა, გასრესა; ირეგვნებოდეს—ისეტყვებოდეს.
რემა—ჯოგი ვირისა; ვირი.
რეცა—ვითომც, თითქოს.
რიალი—მარცხი, ბოროტი საქმე.
რიანი, რეჰანი—შაშპა (მცენარეა).
რიდე—პირ-საბურავი, მოსახვევი.
რიკრაკი—იხ. რაკრაკი.
რისხვა—წყრომა.
რიტორი—ორატორი, მჭევრ-მეტყველი, მშვენივრათ მოლაპარაკე.
როკაპი—კუდიანების უფროსი, მთავარ-კუდიანი.
როკვა—ცეკვა-თამაში.
რონინება—სიარული.
როსსი—შესანიშნავი იტალიელი მსახიობი(1829—1896 წ.).
როტვა — უთავბოლო ლაპარაკი, ბოდვა.

ს.

საშიკოდ—იხ. აშიკობა
საბაღნარდ—ბაღი.
საბელი—მსხვილი თოკი, ბაწარი.
საბოძვარი—საჩუქარი (უფროსთაგან უმცროსთადმი).
საგზნობელი—აღმანთებელი.
საგონებელი—ფიქრი.
სადავე—ლაგმის საჭერი თასმები.
სადარნო—მოთვალიერება, დაზვერვა.
სადარო—შესადარი, მსგავსი.
სავალალო—საშგლოვიარო.
სავანე—სამყოფელი, განსასვენებელი ალაგი.

სავედრო—სათხოვარი.
საზღაური—გარდასახადი; ჯარიმა.
ხათნოება—კეთილი საქმე; ხასიათის კეთილი თვისება.
სათუთობა—სინაზე, ნებივრობა.
ხალიდუმლო—დაფარული.
საკაცე—ავათმყოფის ან მკვდრის გადასატანი მოწყობილობა.
საკურთხეველი—ტაძრის ნაწილი, სადაც სამსხვერპლო სდგას; სამსხვერპლო.
საკრძალველი—სარიდალი; საშიში.
საკუჭნაო—თესლეულობის შესანახი განყოფილება ბეღელში.
ხალა—თხელი და მრგვალი ქვა.
ხალარო—საგანძური, საუნჯე, ხაზინა.
ხალაღობოდ — სახუმაროთ, ვასართობლათ.
სალბუნი—ბალამო.
ხალი—მაგარი (კლდე).
სალმობა—სალამი.
ხალმობა—ტკივილი, სატკივარი.
ხალოსი—სულელი (ბუნებით ან განვგებ, მოჩვენებით).
ხალუდე—სადაც ლუდსა ხდიან.
სამარე—საფლავი.
ხამკვიდრებელი—სამფლობელო, საცხოვრებელი მიწა-წყალი.
სამსალა—საწამლავი.
სამსჯავრო—სასამართლო.
ხამღერელად—იხ. მღერა.
სამღთო—მსხვერპლია.
ხამყარო—ქვეყნიერება.
ხამყო—სამყოფი.
ხამწყსო—ჯოგი, ნახირი და სხვ.; სამრევლო (მღვდელთა).
ხამხედრო—საომარი.
ხანადიმოდ—იხ. ნადიმი.
ხაპკური—სასხურებელი, შესასხმელი.
ხაპყარი—ჯარის უფროსი.
სარა—სასახლე; სარა—აბრაამის ცოლის სახელია.
სარაზი—დასაკეტი.
სარდალი—მხედართ-მთავარი.
სარკმელი—ფანჯარა.
ხარო—კვიპაროზის ხე სწორი და მაღალი.
ხარფა—სარგებელი.
ხარქმელი—სარქველი; თავსახურავი.
ხარჩლი—გამოქომაგება, მხარის მიცემა, წახმარება.
„ხარჩოს ძირობა“—თავის-რჩენის საფუძველი.
ხასო—სასოება, იმედი.
ხასოება—იმედი.
ხასო-წარკვეთილება—იმედის დაკარგვა.
ხასუფეველი—სანეტარო ცხოვრება საიქიოს; სამეფო, სამფლობელო.
ხასყიდელი—ფასი.
ხასწაული—უჩვეულო და კაცის გონებისთვის მიუწდომელი მოვლენა.
ხატანა—ეშმაკი, ავი სული.
ხაუკუნო—სამუდამო.
ხაუნჯე—სიმდიდრის საცავი, სიმდიდრე.
ხაფათერაკო — სახიფათო, საუბედურო.
ხაყვირი—სამუსიკო იარაღია.
ხაჩიხი—საჩეხი, შესავალის კარების, ფანჯრების, ან დერეფნის ზემოთ ჩამოფარებული ფიცრული.
ხაცერე—ცერზე წამოსაცმელი საომარი იარაღი.

ხაწადელი—სასურველი.
ხაწუთრო —წუთისოფელი, საკაკო ცხოვრება.
ხაწყაული—ჯურჯელი.
ხაჯურველი—ხომარი იარაღი.
ხაჯურჯლე—ხაზინა, განძეულობის საწყობი.
ხახიერად—კეთილათ, საამურათ.
ხახიერება—სიკეთე, სიმშვენიერე.
ხახმილი—დიდი ქურა, ფეჩი.
ხახსრად—საშველად.
ხევდა—ნაღველი, დარდი.
ხენი—ავათმყოფობა, სნეულება.
ხერობა—სადამოს ლოცვა; ვახშმობა.
ხვავი—მტაცებელი ფრინველია.
ხვე—ბედი.
ხვიანი—ბედნიერი.
ხთველი—რთველი, ყურძნის კრეფა.
ხიდარბაილლე—სიდინჯე ხასიათისა, წინ დახედულობა. სიბრძნე.
ხივაგლახე—სისაწყლე, გაჭირვ ბული ყოფა.
ხიკასკასე—სიმკვირცხლე, სიმარდე.
ხიმუხთლე—ღალატი.
ხიმძიმილი—მწუხარება.
ხინოპი—უძველესი ქალაქია მცირე აზიაში შავი ზღვის პირას.
ხინსილა—ახლათ გამოჩეკილი ბარტყი, წიწილა.
ხისხლ-მეტი—სისხლის სიჭარბე, ერთგვარი სნეულებაა.
ხიღატაკე—სიღარიბე.
ხიყმილი—შიმშილი.
ხიყრმე—ბავშობა, სიყმაწვილე.
ხიცხადე—სინამდვილე
ხკიპტრა—სამეფო ჯოხი.
ხნეული—ავათმყოფი.
ხოსანი—სწორი და მაღალი, კარგი ფერის (მოლურჯო) ყვავილი.
ხოფელი—ქვეყანა.
ხოქალი—თვალი პატიოსანი, საზოგადოთ ძვირფასი ქვა.
ხოღანლუღი, ხონღალუღი—ჭალა და ხოფელია თბილისის სამხრეთით, მტკვრის პირას.
ხპა—ჯარი.
ხპასალარი—ჯარების უმფროსი.
ხპასპეტი—ჯარის წინამძღოლი.
ხპეტაკი—ძლიერ თეთრი.
ხრულება—სისრულე.
ხტამბოლი—კონსტანტინოპოლი. ახლანდელი ოსმალეთის დედა ქალაქი.
ხუდარა—მკვდრის შესახვევი ტილო.
ხულთანი—ხვანთქარი, ოსმალეთის ხელმწიფე.
ხულ-თქმა—სულის ამოღება; კვნესა, აბოოხვრა.
ხულ მნათი—განმანათლებელი; სულის აღმგზნებელი.
ხულის-კვეთება — სულთა-ბრძოლა; ძლიერი მისწრაფება.
ხულ-ხდომა—სულის ამოსვლა, სიკვდილი.
ხუნნელი—საამო სუნი.
ხუნნელ საპკური—საამო სუნის საასხურებელი წვეთები.
ხუფევა—მეფობა.
ხცენა—თეატრში სათამაშო ადგილი; სახახლობა; დრამატიული ნაწარმოების ერთ ერთი ადგილი.
ხჯა—ბეჭობა, რჩევა; სასჯელი.
ხჯული—კანონი; სარწმუნოება.
ხჯულ-მტკიცედ—მტკიცე კანონიერათ, კანონების დაცვით.

ტ.

ტაბლა—სტოლი, მაგიდა; ან მაზე დადებული სანოვაგე.

ტაიჭი—მერანი, ცხენი.
ტანტალი—წანწალი, თრევა, აქეთ-იქით ხეტიალი.
ტარიგი—ერთი წლის კრავი; სამსხვეოპლო ცხოველი.
ტაროსი—ამინდი.
ტარტაკოვი—იხ ლოდი.
ტაძარი—საყდარი, ეკლესია.
ტევრი—დიდი და ხშირი ტყე.
ტვირთ-ჰძიმე—გაჭირვებული.
ტიალი—ობერი, უპატრონო.
ტინი—მაღალი კლდე.
ტკრციალი—ზარის ან საყვირის გუგუნი.
ტლანქი—კაურანდავი, გაუთლელი; ხეპრე; მოუხეშავი.
ტოლომა—ბეწვეული, ქურქი.
ტომი—ხალხი, ნათესავი.
ტორი—ცხოველის წინაფეხი; სამაცხვრო ჯოხი.
ტორუ—ტოროლა (ფრინველია).
ტრფიალი—სიყვარული; შეყვარებული.
ტურფა—ლამაზი, მშვენიერი.
ტუკსვა—გაწყრომა, შერისხვა.
ტყება—ტირილი, გოდება.
ტყორცნა—სროლა.

უ.

უბადრუკი—გლახაკი; უბედური; ღარიბ-გაჭირვებული.
უბიწობა—უმანკოება, უცოდველობა; ზნეობრივი სიწმინდე.
უბრყვილო—წმინდა, სუფთა.
„უგარი"—ნახშირის სუნი.
უდაბურება—უკაცურობა.
უდაველ.თო—უდოვლათო, უხეირო, უსარგებლო.
უდიერი—თავის-ნება, ახირებული; მოურიდალი; დაუდევარი, ზარმაცი.
უდივრად—უდიერათ, მოურიდლათ.
უებრო—უმაგალითო, შეუდარებელი.
უზანგი—ავჟანდა (ფეხის ჩასადგმელი) უნაგირისა.
უხმო—უბმელი.
უზღუდო—უსაზღვრო; თავ-შეუკავებელი.
უთვისო—უნათესაო.
უთვის-ტომო—უნათესაო.
უკუნეთი—ბნელეთი.
უკუნი—ბნელი, წყვდიადი.
უკუ-ქცევა—უკან გაბრუნება, გაქცევა.
ულმობელი—შეუბრალებელი.
უმანკო—უბიწო, უსახიჩრო, უცოდველი.
უმწე—იხ. უმწეო.
უმწეო—უშემწეო, ვისაც დამხმარე არავინა ჰყავს; სუსტი.
უნებლი—უნებური.
უნჯი—განძი, სიმდიდრე.
ურგები—უსარგებლო.
ურდო—ბანაკი.
ურვა—მწუხარება, დარდი; ზრუნვა.
ურჩი—გაუგონარი; მოწინააღმდეგე.
ურჩობა—წინააღმდეგობა, გაუგონრობა.
ურძანი—ხეა.
უსაზომო—უზომო.
უსასო—უიმედო.
უსასყიდლოდ—უფასოთ.
უსტარი—წერილი.
უსუსური—უგუნურ-გამოუცდელი.
უფალი—ბატონი, მფლობელი.
უფლის-წული—მეფის შვილი, ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე.

უში—ოხვრა.
უშრეტი—უკრობი.
უცხოობა—სხვა ქვეყანაში ყოფნა.
უწყება—შეტყობინება, ცნობა.
„**უხანეს**"—იხ. ხანება.
„**უხვ-ა**"—უხვია, ბევრის მდომია, ან გამცემია.
უხვება—სიუხვე.

ფ.

ფალანი—ცხენის კურტანი, კეხი.
ფალია—თოფის ან ზარბაზნის საპირისწამლე,
ფანდური—ჩანგურისებური სამუსიკო იარაღია.
ფანცქალი—გულის ცემა, კანკალი.
ფარა — ჯოგი (უფრო ცხვრისა); წვრილი შავი ფულია (40 ფარა—6 კაპეიკია).
ფარატინა—ნაკლეკი, ნაკუწი.
ფარაჯა—ზეიდან წამოსასხამი, საწვიმარი ტანსაცმელი.
ფარ-გება—ფარის მიგებება, ხმარება.
„**ფარფაშობა**"—ფარფარი, თავმომწონება, ტრაბახი.
ფაფხურა—ტრაბახა, სიტყვით ბევრის აღმთქმელი (დამმუქრებელი), საქმით კი არაფრისა.
ფენიქსი — ეგვიპტელების წარმოდგენით ფრინველი იყო, მზის ჩასვლისას კვდებოდა და ამოსვლისას ცოცხლდებოდა.
ფენთხი—საქონლის ხორცის უვარგისი ნაჭერია.
ფერ-გამქრალი—ფერდაკარგული.
ფერ-მიხდილი—ფერ-დაკარგული.
ფერცხალა—გვერდებ ჩამოლესილი.
ფერხული—ხელჩაკიდებული თამაში.
ფიალა—თასი, სასმისი.
ფიანდაზი— ფეინდაზი, ფეანდაზი—ხელმწიფის (ან ნეფე-დედოფლის) ფეხქვეშ გასაშლელი ნაქსოვი.
ფინთიხი—თოფის ტყვია.
ფირუზი—მოლურჯო ფერის (ცისფერი) ძვირფასი ქვაა.
ფიქალი—ძარღვებიანი ქვა; ფიცარი ქვისა; რაღაც ძვირფასი ნივთიერება (ნ. მარრი).
ფლასი—ფალასი, ძონძი, სამგლოვიარო ტანსაცმელი; მჩვარი.
ფლიდი—პირ-ფერი, მატყუარა.
ფლური—ფული, რომელიც უდრის ორი შაურის წონა ოქროს ანუ შვიდ აბაზს.
ფონი—თხელი ადგილი მდინარეში, სადაც ფეხით გაისვლება.
„**ფოხვლით**"—ფეხების ფართხუნით; სწრაფად გაქცევას აღნიშნავს.
ფრანგული—ერთგვარი ხმალია.
ფრიად—ძალიან, მეტისმეტად.
ფრქვევა—ღვრა, ფანტვა.
ფუზე—იხ. ფუძე.
ფური—ძროხა, დედალი ირემი ან კამეჩი.
ფურჩვნილი—გაშლილი.
ფუფალა—ხატარა ბავშებს როცა ელაპარაკებიან, ამ სახელით „ღმერთს" აღნიშნავენ.
ფუფვნეულება—იხ. ფუფუნება.
ფუფუნება—განცხრომა, ნებივრობა.
ფუ�ება—ფიცი, შეფიცება.
ფუძე—სამოსახლო ადგილი სახლკარითურთ.
ფშვენა—ფშვა, სასიამოვნო სუნი.

ᲨᲨინვა—სუნთქვა.

ᲨᲮა—ალესილი, წაწვრილებული პირი (ხანჯლისა ან მთისა).

Ძ.

Ძავ-ციხე—ქვა-ციხე.

Ძათ-ქათი—კაშ-კაში.

Ძამანჩა—Ჭიანურის საკრავი, ცხენის ძუა-გაბმული, Ჭატარა მშვილდი.

Ძანდაკება—ხეზე, ქვაზე ან ლითონზე ამოკვრა, ჩუქურთმა; კაცის ან რისმე სახედ Ჩამოსხმული ლითონი ან გამოთლილი ქვა.

Ძარ-ტეხილი—Ჭარიშხალი.

ᲫარᲭაში—დანის ან ხმალ-ხანჯლის ბუდე.

Ძებათა-Ჭება—უმაღლესი Ჭება, ანუ საუკეთესო გალობა.

Ძედი—კისერი; ზოგჯერ ძალ-ღონეს აღნიშნავს.

ᲫევᲭევი—ცხენის მოᲭუსვლა დეზებით; გოგმანი.

ᲫᲣლვა—ფეᲮით თელვა.

Ძენჯვნა—Ჩხვლეტა, ტანჯვა.

Ძენჯნა—იხ. Ჭენჯვნა.

ᲫᲭო—ტახის, დათვის, ლომის და სხვათა Ჯაგარი, ფაფარი (კისერზე).

Ძველ-მოᲭმედება—კეთილი საᲭმე.

Ძველური—კეთილი, კეთილის მოᲭმედი.

Ძვითინი—ტირილი.

Ძისტი—მთის ხალხია კავკასიაში.

ᲫᲨᲨტი—მუᲨტის წაკვრა.

ᲫიᲭი—კიᲭი, სირცხვილი; გაკიᲭვა, შერცხვენა.

Ძნარი—Ჩანგი, სიმებიანი საკრავია.

Ძურანი—წაბლისფერი.

Ძურუმი—წარმართთა მღვდელი.

ᲫურᲭი—ბეწვიანი ტყავის მოსასხამი.

ᲫურᲪიკი—Ჯეირანი, გარე-თხა.

Ძუფრი—სიბნელე, წყვდიადი; შავი ფერი.

ᲫუᲩი—კლდის პირის ბალახია, რომელიც მეᲭუᲩებულათ იზრდება.

Ღ.

Ღავღუვი—ღავღავი, მგლის ან ძაღლის ერთგვარი ხმაურობაა.

Ღალა—მოსავლის ნაწილი, რომელსაც მიწის მუშები მამულის პატრონს აძლევენ.

„Ღარიბი“—იხ. ყარიბი.

Ღ.ღადი, ღაღადება—ხმამაღლა ძახილი.

Ღაწვი—ლოყა.

Ღელე—ხევი, მთებ შუა მდებარე დაბლობი; Ჩავარდნილი ადგილი; მდინარე.

Ღვარძლი—მაწყინარი ხორბალი; შური, სიძულვილი.

Ღვაწლი—შრომა.

Ღვედი—დაწნული თასმა; Ჭამარი.

Ღვწა—შრომა.

Ღიმი—სიცილი.

Ღირღიტა—გუთნის პატარა თვალი (გოგორა), რომელიც უხნავზე მიგორავს.

Ღლიღვი—ხალხის სახელია.

Ღმინი—იხ. ღიმი.

Ღრე—ხევი, ღელე; Ჩავარდნილი ალაგი.

Ღრეობა—მთვრალთა ხმაურობა.

უ.

ᲣᲐᲞᲐᲮᲘ—ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲝᲒᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲓᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲜᲘᲨᲐᲜᲨᲘ ᲐᲛᲝᲡᲐᲦᲔᲑ ᲜᲘᲕᲗᲡ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ (ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ-ᲑᲐᲦᲘ), ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲯᲘᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲧᲐᲑᲐᲮᲖᲔ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲣᲐᲓᲠᲔᲑᲐ—ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲝᲚᲔᲑᲐ; ᲧᲐᲓᲐᲠᲘ, ᲧᲐᲓᲠᲘ—ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲤᲐᲡᲘ; ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ.

ᲣᲐᲕᲐᲠᲯᲔᲜᲘ—ᲡᲐᲑᲘᲯᲒᲘ ᲯᲝᲮᲘ.

ᲣᲐᲚᲐᲜᲘ—ᲦᲐᲚᲐ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ.

ᲣᲐᲚᲮᲘ, ᲧᲐᲚᲦᲘ—ᲖᲔ-ᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲣᲙᲐᲜᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲝᲛᲐ.

ᲣᲐᲠᲘᲑᲘ—ᲣᲪᲮᲝᲛᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ, ᲣᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲝ.

ᲣᲐᲬᲘᲛᲘ—ᲧᲐᲬᲘᲑᲘ, ᲮᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲛᲐ.

ᲣᲔᲔᲜᲘ—ᲘᲮ. ᲧᲔᲘᲜᲘ.

ᲣᲔᲘᲜᲘ—ᲮᲐᲜᲘ, ᲮᲐᲧᲐᲜᲘ, ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ.

„**ᲣᲔᲚᲛᲐᲦᲚᲝᲑᲡ**“ — ᲧᲔᲚ-ᲛᲝᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲝᲛᲬᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲣᲕᲐᲕᲘᲡ-ᲤᲩᲮᲘᲚᲐ—ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲐ (ᲛᲮᲐᲚᲔᲣᲚᲘ).

ᲣᲕᲐᲕ-ᲧᲕᲐᲕᲘ—„ᲧᲕᲐᲡ“ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

ᲣᲕᲔᲚᲐᲙᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ.

ᲫᲘᲕᲘᲚᲘ—ᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

ᲫᲛᲐ—ᲛᲝᲜᲐ; ᲭᲐᲑᲣᲙᲘ, ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ.

ᲫᲝᲕᲚᲘ—ᲧᲝᲕᲔᲚᲘ.

ᲫᲝᲕᲜᲐ—ᲓᲐᲓᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲪᲓᲐ.

ᲫᲛᲐᲠᲑᲐᲮᲝᲑᲐ — ᲡᲐᲘᲑᲔᲓᲘᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒ. ᲑᲐᲜᲭᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

ᲫᲝᲠᲔ—ᲥᲕᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲐ; ᲣᲙᲘᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲢᲐᲚᲐᲮᲝᲗ ᲜᲐᲒᲔᲑᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ.

ᲩᲠᲘᲐᲜᲢᲐᲚᲘ—ᲧᲕᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲩᲮᲐᲕᲘᲚᲘᲐ.

ᲩᲠᲛᲝᲑᲐ—ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔ, ᲑᲐᲕᲨᲝᲑᲐ.

ᲩᲣᲜᲯᲘ—ᲧᲣᲜᲬᲘ, ᲙᲣᲜᲫᲘ, ᲮᲘᲡ ᲜᲐᲕᲝᲠᲘ; ᲮᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ, ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲮᲔ ᲬᲐᲘᲙᲪᲔᲕᲐ ᲐᲜ ᲛᲝᲡᲯᲠᲘᲐᲜ.

ᲩᲣᲠᲗᲗᲐᲯᲘ—ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡ ᲩᲐᲥᲘ.

ᲩᲣᲠᲣᲨᲘ—ᲤᲣᲚᲘ—40 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘᲐ.

Შ.

ᲨᲐᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ—ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲝ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘᲐ.

ᲨᲐᲕᲐᲠᲜᲝ — ᲛᲖᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲭᲙᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲕᲘᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘ.

ᲨᲐᲘᲠᲝᲑᲐ—ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲝᲑᲐ, ᲛᲒᲝᲡᲜᲝᲑᲐ.

ᲨᲐᲛᲑᲘ—ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ· ᲚᲔᲠᲬᲐᲛᲘ.

ᲨᲐᲛᲑᲜᲐᲠᲘ—ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲢᲧᲔ ᲐᲜ ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ.

ᲨᲐᲜᲒᲘ — ᲨᲐᲜᲗᲘ (?), ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲓᲔᲜ.

ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓ-ᲒᲛᲘᲠᲘ—ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ.

ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲘ—ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ.

ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲘ—ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲐ, ᲗᲝᲤᲘᲐ.

ᲨᲐᲰ-ᲐᲑᲐᲖ I—ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ (1587—1629 ᲬᲔᲚᲡ).

ᲨᲔᲑᲝᲭᲕᲐ—ᲛᲐᲒᲠᲐᲗ ᲨᲔᲙᲕᲠᲐ ᲗᲝᲙᲘᲗ.

ᲨᲔᲑᲦᲐᲚᲣᲚᲘ—ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲐᲜ ᲪᲝᲦᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲠᲘᲚᲘ; ᲡᲐᲮᲔᲚ-ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ.

ᲨᲔᲓᲔᲓᲔᲑᲣᲚᲘ—ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ.

ᲨᲔᲓᲠᲙᲝᲛᲐ—ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲐ; ᲛᲝᲦᲣᲜᲕᲐ.

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ—ᲘᲮ. ᲨᲐᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ.

ᲨᲔᲗᲮᲜᲘᲚᲘ—ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

„**ᲨᲔᲘᲥᲛᲜ**“—ᲨᲔᲰᲥᲛᲜᲘᲡ, ᲒᲐᲰᲮᲓᲘᲡ.

შემზარავი—შემაშიშარი.
შემოგარენი—გარემონი, ახლო-მახ-ლო ადგილები.
შემსჭვალვა—მთელს სხეულში ან არსებაში გატარება; მილურ-სმა; შეკვრა, შებოჭვა.
შემუსვრა—იხ. მუსვრა.
შენათხზი—შეზ-ებული.
შენაკვთა—შეპმუხვნა.
შენაფლობი—დაპყოობილი, დამონე-ბული.
შერმადინ—კაცის სახელია; შერმა-დინი—„ვეფხისტყაოსნის“ ერ-თი მოქმედ პირთაგანია—ავთან-დილის შინაყმა.
შენეული—შენი ნაქონი.
შეპყრობა—დატყვევება.
შერყევა—შერხევა, შეძვრა; ჭკუაზე შეშლა.
შესანდობარი—საპატიებელი, მისა-ტევებელი.
შესუდრვა—სუდარში გახვევა.
შესხივებული — სხივ-მოსილი, გაბრ-წყინვებული.
შეუდრეკი—მოუღუნავი, გაუტეხელი.
შეუორგული—ორგულობაზე შორს მდგომი.
შეფარდება—შეთანხმება; შედარება.
შეფერხება — დაბრკოლება, ხელის-შეშლა.
შეფრქვევა—შესხმა, შემკობა, ქების თქმა.
შეჩვენება—დაწყევლა, შერისხვა.
შეძრწუნება—შეშინება.
შეწყნარება—შეწყალება, შებრალე-ბა; მიღება.
შეპირვებული—შევიწროებული; შე-წუხებული; დაჩაგრული.
შეჭურვილი—შეიარაღებული.
შვება—ლხენა, ბედნიერება.
შვრომა—დაღალვა.
შთაგონება—ჩაგონება.
შთენა—დარჩენა; შთენილი—დარჩე-ნილი.
შთენი—იხ. ნაშთი.
შილთახი—შარი, ცილის წამება.
შმაგი—გიჟი.
შოლტი—გრძელ ტარიანი მათრახი.
შტერი—სულელი, ჩერჩეტი.
შურდული—ქვის სასროლი პაწაწა ჩანთა, ბაწრებ შებმული.
შუქურა—ვარსკვლავია.
შუღლი—მტრობა, ჩხუბი.

ჩ.

ჩანთქმა—ჩაყლაპვა; ჩაღუპვა.
ჩანჩქარი — კლდეზე გადმომდინარი წყალი.
ჩარდახი—მცირე ოთახი; ტახტრევან-დი; სასახლე (?).
ჩაფხუტი—საომარი ჩაბალახი.
ჩაყუჩება—ჩაჩუმება.
ჩაჩი—უშნო ქუდი.
ჩაჩიქვა—ჩაფხვნა.
ჩანჩქარი—პატარა მუზარადი (საო-მარი რკინის ქუდი).
ჩვილი, ჩჩვილი—ლბილი, ნორჩი.
ჩინ-მაჩინეთი — ჩინეთის (კიტაიის) იმპერია.
ჩირი—ხმელი ხილი.
ჩირქი—ჭუჭყი, ბალღამი.
ჩიქილა—ლეჩაქი.
ჩიჩვირი—გრძელი ტუჩი; ხორთუმი.
ჩობანი—მეცხვარე; მენახირე.
ჩოგანი—ბურთის გასაკრავი ჯოხი.
ჩოთირი—თაკილი; მეჩოთირება—მე-

თაკილება, მეუცხოვება.
ჩრვა, ჩაჩრვა—პირში ან ხელში ძალით ჩადება.

ც.

ცბიერი—ბოროტი, ავი.
ცერად—არა-პირდაპირ, ალმაცერათ.
ცვილი—თაფლის სანთელი.
ციაგი—კაშკაში, ბრწყინვა.
ციალი—იხ. ციაგი.
ციბრუტი—მშვილდით სატრიალებელი სადგისი, ხის სახვრეტი.
ციგა—ჰატარა მარხილი.
ციმციმი—კამკამი; მზის სინათლის მღელვარება.
ცის-დასავალი—ჰორიზონტი, ე. ი. ის ზოლი, სადაც ცა და დედამიწა თითქოს ერთმანეთს უერთდება.
ცის-კარი—განთიადი; დილის ვარსკვლავი; დილის ლოცვა.
ცნობადი—საცნობელი.
ცური—საქონლის ძუძუს ძირი.
ცუღლუტი—დაუდგრომელი; ზარმაცი.
ცხარე—ფიცხელი, სასტიკი.
ცხოველება — სიცოცხლის მიცემა, გამოცოცხლება.
„ცხოველი"—ცოცხალი.
ცხრომა—დაწყნარება, დაყუჩება; დაპატარავება.

ძ.

ძალა-მიხდილი — ძალა-გამოლეული, დასუსტებული.
ძალ-უძს—ძალა აქვს, შეუძლია.
ძაძა—საგლოვიარო ტანსაცმელი.
ძაძა-ფლასი — საგლოვიარო ტანსაცმელი.
ძეგლი—სამახსოვრო რამ შენობა, ან ნაშთი.
ძერა-კუდა—ძერა, მტაცებელი ფრინველია.
ძეწკვი—ოქროსი ან ვერცხლის წვრილი ჯაჭვი.
ძლევა-მოსილი—ძლიერი, გამარჯვებული.
ძნობა—გალობა; გალობით შემკობა.
ძოღან—წეღან; ამას წინეთ; გუშინწინ.
ძოწეული—წითელი ფერის ძვირფასი სამეფო სამოსელი.
ძრუწუნი—შიში, შეშინება.
ძრწოლა—კანკალი, თრთოლა.

წ.

წაბილწვა, წაპილწვა—გაუწმინდურება, გარყვნა.
წალკოტი—ბაღი, საყვავილე.
წამება—წვალება, ტანჯვა.
წარგრაგვნა—შეხვევა.
„წარძიღებ"—წამართმევ.
წარტაცება—წართმევა.
წარტყვენა—მოტაცება, დატყვევება.
წარწყმედა—დაღუპვა; მოსპობა.
წარხდომა—წასვლა, დაკარგვა.
„წაღება"—წართმევა.
წბილობა—შერცხვენა; თაკილი.
წერაქვი—მიწის სათხრელი და კლდის სამტვრევი იარაღია.
წვლილი—წვრილი, მცირედი შესაწირავი.
წვრთნა—დარიგება, სწავლება; აღზრდა.
წიაღი—კალთა; უბე.
წიდვა—წიდვნა, ვაზის ნასხლევის დარგვა.

წილ—ნაცვლათ, მაგივრათ.
წინამორბედი—წინმსვლელი.
წინაპარი—მამა-პაპა, პაპის-პაპა და სხვანი.
წინწილა—მეტალის თეფშები (სამუსიკო იარაღია).
წინწკრად—ჩხირივით (?).
წკირა, წკირი—პაწაწა ჩხირი.
წრეტა—სისოვლის (სინოტივის) გამოშრობა; ნაწრეტი—გამომშრალი.
წრფელი—წმინდა; პირდაპირი.
წყვდიადი—ბნელი.
„წყლიანი"—ტკბილი და სასიამოვნო ლაპარაკი.
წყლული—ჭრილობა, იარა.

ჭ.

ჭაბუკი—ახალგაზდა; გმირი.
ჭავლი—ჭევლი, ტალღა.
ჭანდარი—ძელ-ქვა (ხეა), ჩინარი.
ჭაშმაკი, ჭარმაღი, ჭანმაგი—ჭაღარა შერთული, მაგრამ მხნე და ტანმრთელი მოხუცი.
ჭაპანი—თასმების თოკი (უღლისა და ურმის მოსართავია).
ჭერხო—სახლის ზემო სართულის ნაწილია, ჭერს ზემოთ და სახურავ ქვეშ.
ჭეშმარიტება—უეჭველი სიმართლე, სინამდვილე.
ჭვრეტა—ცქერა, ხედვა.
ჭიატი—ღრუბლებში გამოხედვა (მზისა).
ჭირნახული—ჭირში გამოვლილი; ნაშრომ-ნაღვაწი.
ჭმუნვა—მწუხარება.
„ჭური"—ჭურჭელი; საჭურველი ანუ საომარი იარაღი.
ჭყონდიდი—„დიდი მუხა"; ამ სახელით ცნობილია სოფ. მარტვილი (სამეგრელოში), სადაც სამიტროპოლიტო კათედრა იყო; აქაურს მიტროპოლიტს ჭყონდიდელი ეწოდებოდა დაფრიად საპატიო ადგილი ეჭირა საქართველოს მეფეების კარზე; ჩვენს კრებულში „ჭყონდიდი"—„ჭყონდიდელის" აზრითაა ნახმარი.

ხ.

ხადილი — წვეულობა, სტუმრობა; მოწვევა, მოწოდება, ძახილი.
ხავიწი — ერბოში მოდუღებული ფქვილი.
ხალი—მოხარშული ხორბალი.
ხანაგა, ხანაგი—საობლო სახლი.
ხანება, დახანება—დაგვიანება.
ხანი—ხაანი, მონგოლების ხელმწიფე.
ხანჯარი—ხანჯალი.
ხარკი—ხარაჯა, სახელმწიფო გადასახადი.
ხარო — ქვიტკირით ამოშენებული ორმო.
ხასი—მეფის მახლობელი, დარბაისელი.
ხატი—სახე.
„ხახმატის ჯვარი" წმ. გიორგის ხატია მთაში.
ხევი—მთებ შუა მდინარე ან ჩახრამული ადგილი, რომელზედაც ჩვეულებრივ მდინარე მოდის.
„ხელი"—გიჟი.
ხელის-აპყრობა — ხელის-გამართვა; შემწეობა.

ხელ-მახა—სასროლი, სანადირო იარაღი.
„ხელობა“—გიჟობა.
ხელყოფა—დაწყება.
ხეობა—ორ მთას შუა მდებარე ვიწრო დაბლობი ადგილი; ხევი.
ხვანთქარი—ოსმალეთის მეფე.
ხვარაზმულობა—ხვარაზმულათ ნაკეთობა (ხვარაზმი—სპარსეთის ჩრდილოეთით პროვინციაა).
ხვაშიადი—დაფარული ფიქრი, გულის პასუხი.
ხვედრი—წილი.
ხვივილი—ხრიალი, ხმაურობა; ხვიხვინი (ცხენისა).
ხვრეტა—ხვრეპა, სვმა.
ხიზანი—სხვის ადგილზე დროებით დასახლებული.
ხილვა—ნახვა.
ხინკალი—დასორსოლავებული ცომი მოსახარშად.
ხირიმი—თოფია ერთგვარი.
ხმა-მიღებული—ხმა-წართმეული, დამუნჯებული.
ხმობა—თქმა; ჰხმობს—ამბობს.
ხოდაბუნი—დიდი მოსახნავი მიწა.
ხოკერი—ხის ქერქის ჭურჭელი, ბოყვი, ხოკი.
„ხოკვა პირისა“—დაკაწრვა, დაფხაჭვნა.
ხორბალი—პურის მარცვალი.
ხოშვა—ფოთლების გაცვენა; მაგალ. „ხე გაიხოშა“—ხეს ფოთლები დასცვივდა; გახოშვა—ძალდატანებით ფოთლების გაყრევინება, დახვეწა.
ხრო—კრება, გუნდი.

ჯ.

ჯაბანი—ძაბუნი, მშიშარა.
ჯაგი—მომაღლო ჩირგვი.
ჯადო—გრძნება; საზღაპრო საოცრება.
ჯავარი—ელვარება; ძვირფასი ქვა.
ჯავშანი—აბჯარი; ჯაჭვის საცმელი.
ჯალაბი—ცოლშვილი, ოჯახი.
ჯალათი—მტარვალი, ავაზაკი; კაცი, რომელიც მთავრობის განკარგულებით დამნაშავეებს ახრჩობს ან თავსა სჭრის.
ჯანი—ძალ-ღონე.
ჯარა—ძაფის სართავი მანქანა.
ჯეირანი—გარე-თხა, ქურციკი.
ჯერი—კერძი, იჯრა; რიგი.
ჯინა, ჯინი—ნაგავის გასატანი გოდორ-მარხილი (დაწნულია), რომელშიაც მთაში ზამთრობით იძინებენ.
ჯინი—ფეერია, კეთილი სული.
ჯირითი—სათამაშო ჯოხი; თვითონ ჯირითით თამაში.
ჯიქურ—კერპათ, შეუპოვრათ.
ჯორა—სახიდი, სიმებიანი საკრავის ნაწილია, რომელიც სიმების ქვეშაა შედგმული.
ჯუბა—კაბაზედ ჩასაცმელი მოკლე ბეწვიანი ტანთსაცმელია ულახელოთ ან მცირე სახელოებით.
ჯურღმული—ღრმა თხრილი.
ჯუჯუ-კალია—მწერია, ჯუჯუ-მკალ

ჰ.

ჰაეროვანი—კეთილ-სახოვანი, მშვენიერი; მხნე, მამაცი.

ჰანგი—სიმღერის ან მუსიკის ხმა და სხვა ხმა.

ჰარმონია—შეთანხმება, შეწყობა.

ჰასაკი, ასაკი—წლოვანება.

„ჰკლევდის“—ჰკლავდა.

ჰოროლი—იხ. ოროლი.

ჰუნე—ცხენი.

„ჰყვა“—ჰყავდა.

„ჰყვნის“—იქმოდა,

„ჰყუდია“—სდგას.

„ჰხამს“—საჭიროა, რიგია, უნდა.

„ჰხადის“—აღიარებს; ეძახის.

„ჰხმდა“—რიგი იყო, ჯერ-იყო.

შენიშვნა. ზოგიერთი სიტყვების მნიშვნელობა დაბეჯითებით ვერ შევიტყვეთ; აი მათი სია:

„ბაშვადონუმ!“—სპარსულათ: „ბასბაად ინჰამ“—„კმარა! მეყოფა!“ (იხ. გვ. 80, სვრ. 1, სტრ. 29).

ლელემი—? (იხ. გვ. 225, სვრ. 2, სტრ. 7).

ძურური—ფული (?). (შეად. გვ. 3, სვრ. 2, სტრ. 14).

ულსტი—? (იხ. 217, სვრ. 2, სტრ. 19).

შეხრინკული—? (იქვე სტრ. 28).

იმედია, მცოდნე პირები ამ სიტყვების ახსნაში შემდეგის გამოცემისთვის დახმარებას გაგვიწევენ.

შეცდომების გასწორება.

გვ.	სვრელი.	სტრიქონი ზემ.	ქვემ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს
1	—	5	—	ალექსანდრე ჰავჰავაძე იმ დროს ცხოვრობდა,როდესაც...	ალექსანდრე ჰავჰავაძემ წერა იმ დროს დაიწყო (1823 წლამდე), როდესაც...
„	—	11	—	სვე-ბდის	სვე-ბედის
5	—	21	—	ამოება	ამაოება
11	1	1	—	ხელმწიფობას,	ხელმწიფობას
16	1	3	—	ღელავნი	ღელვანი
51	2	8	—	прохгдитъ	проходитъ
53	—	—	17	თუცა	თუმცა
70	2	1	—	სმღერა	სიმღერა
77	—	—	12	უღერასა	ეღერასა
79	2	—	2	მასხია	მარხია
86	2	1	—	თქვემი	თქვენი
„	„	6	—	უგუნრებო	უგნურებო
„	„	17	—	გამოვსულეარ	გამოვსულვარ
87	1	20	—	თანასწორაც	თანასწორად
89	2	14	—	მისი.	მისი
93	2	—	4	უფრო,	უფრო
101	1	—	9	კარი!	კარი,
121	1	—	8	ქვითნიებენ	ქვითინებენ
147	1	5	—	მინდან	მინდა
159	2	12	—	ამ ოა	ამაოა
„	„	20	—	ც სა	ცისა
160	2	13	—	[დევს.	[დევს,
163	1	5	—	შიშისგან.	შიშისგან

	გვ.	სვრელი.	სტრიქონი. ზემ.	ქვემ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს
...ჰაერო						
	166	1	—	10	გმირთა-გმირო.	გმირთა-გმირო
...ჰანგი-	„	2	2	—	მღვრელი,	მღვრელი:
	168	1	17	—	დაუხური	დაუხურია
...ჰარმო	171	1	15	—	კვლავადც	კვლავადაც
...ჰასაკ	175	1	—	6	შ ჯარ სწაიყვანეთ	შორს წაიყვანეთ
„ ...ჰკლ	186	1	19	—	ჰერ ა	ჰერსა
...ჰორო	192	1	2	—	მომეშვა	მოეშვა
...ჰუნე-	199	1	17	—	ს ბერე	სიბერე
„ ...ჰყვ	„	„	26	—	დ გჰკნობია	დაგჰკნობია
„ ...ჰყვნ	201	2	23	—	მათგ ნ	მათგან
„ ...ჰყუ	202	2	13	—	მაყვარულსა	მოყვარულსა
„ ...ჰხან	204	2	—	2	მტირალსა.	მტირალსა,
„ ...ჰხაკ	205	2	10	—	ადაც	სადაც
„ ...ჰხმ	206	—	1	—	დაცემაც,	დაცემაც.
	215	2	—	3	როდეს	აროდეს
	216	1	5	—	სა წყსოს	სამწყსოს
	223	1	15	—	შეუბრალე	შეუბრალე-
	224	2	22	—	ყაწიმ შაშხანი	ყაწიმ-შაშხანი